N27 (526) 8/VII-14/VII-2010 ფასი 1 ლარი

გზა

ქართული პროზის საგანძური

ტომი №19
ვასილ ბარნოვი

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი
თამაზ ბიბილური

გიგი უგულავას ყოფილი ცოლი თხოვდება(?)

„თაკო ცაგურია და ლევან გოთუა დიდი ხანია, ერთად არიან“

ვისი სწავლა დააფინანსა მაკა ასათიანმა

მსახიობი მონასტერში ცხოვრებაზე ფიქრობს

არჩილ სოლოლაშვილი: „სინანულის ძლიერი განცდა მაქვს“

ფრთხილად!

„დამუხტული სითხე“ და „მკურნალი“ ფოტო

გვარდიელები გამსახურდიას მოშორების გეგმას საუნაში აწყობდნენ

თენგიზ კიტოვანის „გენიალური მიგნება“

ISSN 1987 - 5029

როგორ შევარჩიოთ საცურაო კოსტიუმი

აპილაკი
Apilacum

ბუნების საჩუქარი!

- აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას
- აუმჯობესებს ორგანიზმის მდგრადობას სტრესის მიმართ
- აჩქარებს გამოჯანმრთელების პროცესს



ვიტამინების, ამინომჟავების, მონერალებისა და მიკროელემენტების კომპლექსი

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

ს.ს. "გრინდექსი", რიგა, ლატვია
წარმომადგენლობა საქართველოში
შიო მღვიმელის ქ. 15, ტელ/ფაქსი: 44 19 99
ელ.ფოსტა:info@grindeks.ge, www.grindeks.lv

Grindex

რადიომკურნალი

იპოვე შენი მკურნალი „ჰალიდრის" ეთერში!

ყოველ ოთხშაბათს, 15:30 საათზე სალომე ლილუაშვილთან ერთად

საუკეთესო საჩუქარი დიასახლისებს!

320 თანამედროვე კერძი!

იკითხეთ ნიგნის მაღაზიებში!

ფასი: 29.99

№27 (526)
8 - 14 ივლისი. 2010 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები 5
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ პოლიტიკა 7
■ ჭორ-მართალი 8
■ ერიჰა! 10
■ საზრდო 12
■ სეზონი 18
მამუკა გამყრელიძის საკურორტო თავგადასავლები
■ ფსიქოპორტრეტი 20
მიზანსწრაფული, დაბნეული, მარცხიანი
და უზომოდ შეყვარებული
■ ამპლუა 22
ჩახლართული ამბები, ინტრიგების ქსელი
და 32 სახასიათო პერსონაჟი
■ ეკრანს მიღმა 24
მკაცრი შენიშვნის მოლოდინში მყოფი
ხელმარჯვე რეპორტიორი
■ ვარსკვლავები 26
■ სული სიმტკიცე 28
ბავშვთა სახლის აღზრდილის წარმატება
■ დრონი 29
ფეხბურთელი, რომელიც ბენიტო
მუსოლინის „წიხლით უღებდა კარს“
■ ტკივილი 33
ყოფილი კრიმინალი დახმარებას ითხოვს
■ კრიმინალი 34
ამაზრზენი დანაშაულის
გაუხმაურებელი დეტალები
■ ვიჟაზისტი 36
„პლასტიკური ქირურგი“, რომელიც
მაკა ასათიანთან მუშაობდა“
■ ანტიდეპრესანტი 38
■ ავტო 38

ქვეყანა

შეყვარებულთა დაქორწინება თუ მეგობრობა, რომელიც რომანად მონათლეს?..

„შეყვარებულმა წყვილმა თურმე რომანტიკული მოგზაურობა მოიწყო ეგვიპტეში და ამ მოგზაურობის ამსახველი ფოტოები თაკოს **Facebook**-ზე აქვს გამოფენილი“.

7

სახე



როგორ გახდა 24 წლის მეიგავე სერიალის სცენარისტი

„ამჟამად, მე და ირაკლი კაკაბაძე ვწერთ. დიდი მნიშვნელობა აქვს ატმოსფეროს, სადაც მუშაობ“.

18

ცხოვრება

ამაზრზენი დანაშაულის გაუხმაურებელი დეტალები

„ისედაც განადგურებულები ვართ, ქუჩაში ვერ გამოვსულვართ, რადგან მთელმა ქვეყანამ გაიგო, რაც მოხდა და ბავშვებს სკოლაში წასვლაც აღარ უნდათ... აბა, რა უნდა გითხრათ, ჩვენი ტკივილი გვყოფნის, თავი დაგვანებეთ“.

28

ფეიერვერკი

„ახლა დედაზე უნდა იფიქრო და არა — სადედამთილოზე“

„ასეთი თავმოყვარეობაშელახული არასდროს ვყოფილვარ — დედაჩემი ვიღაც ბერძენზე თხოვდება. ჩემი მშობლები 3 წელია, ერთმანეთს დაშორდნენ. მართალია, მამამ მაშინვე შეირთო ვიღაც უკრაინელი, მაგრამ ამის გამო გული ისე არ მტკენია, როგორც ახლა მეტკინა“.

76

■ ისტორიის ლაბირინთები 40
სპარსეთში გადასახლებულ ქართველთა გამუსლიმანება
■ ტაძარი 43
საქართველოს ეკლესია დავით აღმაშენებლიდან ერეკლე II-მდე
■ ხელოვანი 45
ბუმბულში გაცოცხლებული სამყარო
■ ჯანმრთელობა 46
კვება ორსულობის დროს
■ ეს სამყაროა 48
საკითხავი ქალებისათვის
■ კვალი 52
ეპიზოდური როლების უბადლო შემსრულებელი
■ თაობა 55
მუსიკოსი, რომელმაც როკერები გოგი დოლიძის სიმღერაზე აცეკვა
■ წარმატება 56
ანსამბლ „მართვეთი“ მოხიბლული ევროპელები
■ გასაჭირი 58
მრავალშვილიანი ოჯახის ტკივილი და მოზარდები, რომლებიც დღიურ მუშად მუშაობენ
■ თინეიჯერული პონტები 59
აქვთ თუ არა მშობლებს ხელახლა დაოჯახების უფლება
■ წვეთი პოეზია 62
■ სახსოვარი 63
■ ფანტასტიკური დეტექტივი 64
რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ მიცვალებულთან (გაგრძელება)
■ რომანი 68
სვეტა კვარაცხელია. ძლიერი სუსტი ქალი (გაგრძელება)
■ რეალური 72
ULTRIX (დასასრული შემდეგ ნომერში)
■ ნამდვილი ამბავი 75
საკურორტო რომანი...
■ გზავნილები 76
■ ყველა ერთისათვის 80
■ მოზაიკა 88
■ შეჩერებული წამი 89
■ ერუდიტი 92
■ გასართობი 94
■ ასტროლოგია 96
■ საკანვორდი 97
■ საფირმო კროსვორდი 98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com

რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



სპარსეთში გადასახლებულ ქართველთა გამუსლიმანება

XVII საუკუნის 10-იანი წლების შუახანებში სპარსეთის შაჰმა, აბას I-მა აღმოსავლეთ საქართველოდან ათასობით ქართველი აყარა და სპარსეთში ძალდატანებით გადაასახლა.

36

ადამიანი

მრავალშვილიანი ოჯახის ტკივილი

„სოციალურ დახმარებას ვიღებთ, მოხუცებსაც აქვთ პენსია და ამ თანხით ვცდილობთ, თვიდან თვემდე გავიტანოთ თავი. ამას წინათ, სოციალური დახმარება 5 თვით შეგვიწყვიტეს...“

52

ბიბლუსი

გისოსებიან ვიწრო და დახუთულ ოთახში გამომძიებელი მორიგ დაკითხვას აწარმოებდა:

— მაშ ასე, მისტერ ბერდიაშვილო, ისევ ჯიუტობას გააგრძელებთ თუ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს დაწვრილებით მოგვიყვებით?

გამომძიებლის წინ მჯდარ ნიკას უკვე დაჰკარგოდა ჩვეული პენი და მიმზიდველობა...

62

ტაიმ-აუტი

სინანულის განცდა და ლოცვა მაცხოვრის საფლავთან

„ტაძარში 500-ზე მეტი ტურისტი იყო, ბერძენმა მოძღვარმა რატომღაც იმდენი ადამიანისგან გამომარჩია, ხელი მომკიდა, მაცხოვრის საფლავთან მიმიყვანა, სანთელი მომცა და მითხრა: — ილოცეო... იცი, რა დამემართა? ტირილი რომ დავიწყე, ვეღარ გავჩერდი.“...

88

ჩვენი ჰილარა, ჩემი დიეგო...

შესავლის ნაცვლად ამერიკელები ჩვენი მეგობრები არიან, ხოლო ამერიკელთა უფროსობა ანუ ის ხალხი, ვინც ამ მეგობრობას უზრუნველყოფს, — კიდევ „უფრო მეგობარია“! ამას ისე კი არ ვამბობ, „ზეპირად“, ან იმას კი არ ვგულისხმობ — სტრატეგიულ კავშირებს და მთელი ამბავი! არა, ისე, ყოფით დონეზეც, ადამიანური ურთიერთობების თვალსაზრისით... რა ადამიანური და „ყოფითი ურთიერთობა“ გქონდა შენ ამერიკის ხელისუფლებასთანო? — მკითხავთ და ახლავე გიპასუხებთ: გამოვედი, ბატონო, სახლიდან, გავაჩერე ტაქსი, მისამართი ვუთხარი და მეჩქარება-მეთქი, დავაყოლე. ჩქარა ვერ ვივლითო — ტაქსისტმა. — რატომ-მეთქი? — და რა მითხრა, იცით?

— ჩვენი ჰილარაა ჩამოსული და გზებია გადაკეტილიო.

აი, ასე: ჰილარა! თანაც — ჩვენი!!! ჯიგრულად, შინაურულად... არც აგრესია და უკმაყოფილება, გზების გადაკეტვის გამო.

აბა, პუტინი ყოფილიყო! ასე იტყოდა?!

— პუტინია ჩამოსული, მაგის დედის... — და აქ ისე გააგრძელებდა, ჟურნალის ფართობი არ გვეყოფა!

ეს კარგი, ყველამ ვიცით ეს ამბავი და ყველას გვიყვარს „ჩვენი ჰილარა“, მაგრამ იმას როგორ ვყვარებივართ?! მოიარა მთელი აღმოსავლეთ ევროპა და კავკასია (თუ კავკასია ცალკე არ უნდა მეთქვა? ალბათ, ალბათ — ჩვენც ხომ ევროპა ვართ! ეგ კი არა, ხალხი ვიცი, — უკვე „აღმოსავლეთი ევროპაც“ „უტყდება“) და ჩვენთან ბოლოს ჩამოვიდა! მახსოვს, ბავშვობისას, გურიაში ჩასულს, ჩამავლებდა ხელს ჩემი სტუდენტი მამიდაშვილი და ვიწყებდით „ტურნეს“ სხვადასხვა სოფელში ნათესავებთან, თან მარიგებდა: ისე უნდა დავგეგმოთ, რომ ბოლოს, სადაც ყველაზე „კაი პურისჭამა“ იციან, იქ მივიდეთ ღამე დასარჩენადო... ჰოდა, „ჰილარასაც“ სცოდნია ეს „წესი“ და ჩამოვიდა ბაქოდან თბილისში!

ჩამოვიდა და „შეუბერეს“ მაგან და მიშამ, მაგრამ რა შეუბერეს! ახლა, კაცმა რომ თქვას, მთლად ჯორჯ „დაბლიუ“ ბუშივით კურტუმო არ უქნევია და ურცხვად არ უცეკვია, მაგრამ იმისგან განსხვავებით, დალევით კარგად დალია! ღვინოც მაგრად მოეწონა: ჯერ, სანამ შეთვრებოდა, „კულტურულად“ თქვა, — დაბალანსებული გემო აქვსო; მერე, ცოტა რომ „გაეხსნა“ — სულ „ექსელენტ“ და „ბიუთიფალ“ იძახა; ბოლოს — მარტო ამ წყლით და ღვინით წახვალთ შორსო, ჰოდა, ქეც ახდენთ „სასტაულებსო“; სულსულ ბოლოს (ეს აღარ აჩვენეს ტელევიზიებმა) დამთვრალა და მთლად „უშუალო“ გამხდარა — „ოეე, მიშა, შე ბუშის ძმაკაცო! მაინც კაი ბიჭი ხარ!“ აი, ასე იყო ეს ამბავი... არადა, მიშას რომ სადღეგრძელოს ეუბნებოდა და სასწაულებს ახდენთო, რომ აქებდა, გახსოვთ, როგორ სთხოვდა პრეზიდენტი: ეს რა არის, სასწაული ღამე უნდა ნახო შარდენზე, იქნებ გამოგვესეირნაო?.. იმან უპასუხა, — მაგისთვის ბერი ვარო; ამან თავი გაიგიჟა, — ღმერთო, მომკალი, რა ესმის ჩემს ყურებს, მაგაში ვერ დაგეთანხმები, ზღვაზეც არ წამოხვალო?!. იმან, — ჩემმა ბილმა გამაფრთხილაო... მოკლედ, იეღურტულეს, რა! ბოლოს გულდაწყვეტილმა მიშამ უთხრა, — შემდეგ უფრო დიდი ხნით ჩამოდი, რა არი, სულ დავეკარგეთ ერთმანეთს, მანამდე ახალ „სასწაულებს“ მოგიმზადებთო (ვაჰ! „სასწაულზე“ ძველი, მაგრამ მაგარი ანეკდოტი გამახსენდა. ბოლოს გეტყვით. ოღონდ მხოლოდ სიტყვა „სასწაულზე“ გამახსენდა და ვინც სხვა პარალელს დაინახავს, თავის გარყვნილებას მოჰკითხოს)...

გაგვიგრძელდა „ჩვენი ჰილარას“ ვიზიტზე საუბარი, მაგრამ ეს ბუნებრივია — ჩვენთვის ამაზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა ამ დღეებში, ჩვენთვის — საქართველოსთვის, თორემ ისე, ცხოვრება დუღდა მთელ მსოფლიოში: ნოღაიდელმა და პუტინმა „ხელოვნებაზე ისაუბრეს“, კონკრეტულად — სკულპტურაზე; არგენტინის ნაკრებმა და დიდმა დიეგომ აფრიკაში „ჩაისვარეს“ (რაც საქართველოში ზოგს მაგრად ეწყინა (მაგალითად, მე), ზოგს (ბოროტებს) — გაუხარდა. ამიტომ დავწერე სათაურში კლინტონის ცოლზე „ჩვენი“, დიეგოზე — „ჩემი“); ზესტაფონში, ერთ-ერთ გუბეში ექვსმეტრიანი „ბუა“ გამოჩენილა, ძაღლებს ჭამს და მოსახლეობა გარეთ ვერ გადის; სამაგიეროდ, იმ რეგიონში ბავშვებმა ჭამას უმატეს, რადგან, თუ არ ჭამენ, დედები რეალური „ბუათი“ აშინებენ...

...ერთი ეგ „ბუა“ მომცა ავლაბარში!

P.S. ბოლო აბზაცში ცოტა მოვიტყუე, როდესაც სათაურის „ანატომია“ ავხსენი: არა, მარადონა-კლინტონზე კი ემთხვევა იმას, რაც ვთქვი, მაგრამ იდეა რომ დოჩანაშვილის მოთხრობიდან „ვისესხე“, ეს მაინც უნდა ვაღიარო. „ჩემი ბუჭუტა, ჩვენი ტერეზა“ — ასე ჰქვია იმ მოთხრობას, მაგრამ ზემოთ აღწერილ ამბავთან მსგავსება, სამწუხაროდ, ამით მთავრდება: იქ შორიდან მოსული ჭკვიანი კაცი ისე გალახავს ადგილობრივ „გაბლატავებულ“ ახალგაზრდას, თქვენი მოწონებული...

...დაპირებული ძველი ანეკდოტი „სასწაულზე“:

გურული მოულოდნელად ბრუნდება შინ და დღისითმზისით, თავის საწოლში, თავის ცოლთან ერთად, ვიღაც ტიტველი მუტრუკი დახვდება:

— ვინაა, ქალო, აი კაცი და რას შობა ჩემ ლოგინში?! — იღრიალა გამწარებულმა.

ბედნიერმა და დაქანცულმა ქალმა მშვიდად უპასუხა:

— რას შობა შენ ლოგინში და, სასტაულს შობა, სასტაულს!!!

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

სოციალური მედიის პირველი საერთაშორისო დღე თბილისმაც აღნიშნა

სოციალური მედიის დღე წელს პირველად ჩატარდა და ამიერიდან, თარიღი — 30 ივნისი ყოველწლიურად აღინიშნება აქტიური ინტერნეტმომხმარებლებისა და ბლოგერების მიერ. ამ ღონისძიების ინიციატორი ქვეყანა აშშ გახლავთ, კერძოდ — ნიუ-იორკში არსებული ფირმა „მაშაბლი“, თბილისში კი ეს დღე „სინგულარ ჯგუფის“ დახმარებითა და მთაწმინდის პარკის ხელშეწყობით ჩატარდა.

თამთა დადეშელი

ივენთზე 6 განსხვავებული პრეზენტაცია 6-მა პრეზენტატორმა წარმოგვიდგინა. ესენი არიან: გიორგი გიორგაშვილი, გოჩა გაბოძე, ლადო ლომიძე, მარი ტალახაძე, საბა ლეკვეიშვილი და დავით ჯიშკარიანი. სოციალური მედიის აღნიშვნის იდეა გაჩნდა საერთაშორისო პორტალზე mashable.com, რომელსაც მსოფლიო მასშტაბით, 566 ქალაქი და ათასობით ადამიანი შეუერთდა. თბილისი, დაინტერესებული ადამიანების რაოდენობის მიხედვით, საკმაოდ მოწინავე ადგილზეა. ამ დღის მთავარი მიზანი — სოციალურ მედიაში აქტიურად ჩაბმული ადამიანების შეკრება გახლდათ, ასევე — ქართულ და უცხოურ მედიასაშუალებებს შორის კომუნიკაციის გამარტივება და ა.შ. ღონისძიება mashable.com-ის აღმასრულებელი დირექტორის — Pete Cashomore-ის ვიდეომისალმებით გაიხსნა.

მარი ტალახაძე, *ორგანიზატორი და ერთ-ერთი პრეზენტატორი:*

— ღონისძიება, რომელიც წელს პირველად ჩატარდა, ამიერიდან ყოველწლიური იქნება. ქართველები თბილისში შეუერთდით და დამსწრეთა რაოდენობით, მე-16 ადგილზე ვართ. იდეა ნიუ-იორკში გაჩნდა, „მაშაბლის“ მთავარ ოფისში. ოფიციალური მადლობის წერილიც კი მივიღეთ, რომ ამიერკავკასიის მხარეში ასეთი დაინტერესება იყო; საჩუქრებსაც დაგვპირდნენ — მაისურებს და ა.შ. დღევანდელი დღით კმაყოფილი ვარ, იმიტომ, რომ მართლა არ მოველოდი, ამდენი ხალხი თუ მოვიდოდა. ჩემი ინიციატივა იყო და შემდეგ, „სინგულარ ჯგუფი“ და მთაწმინდის პარკი დამეხმარნენ.

გოჩა გაბოძე, *მონაწილე:*

— mashable.com-ზე წავიკითხე ერთ-ერთი პოსტი, რომ უნდა აღნიშნულიყო სოციალური მედიის დღე, რომელიც აქამდე არ არსებობდა და მომინდა, რომ საქართველოშიც დანერგილიყო. დავდე სტატუსი. „სინგულარ ჯგუფი“ დაინტერესდა და ამ დღის ორგანიზება მოახდინა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი. ჩემ მიერ წარმოდგენილი თემა იყო — პირველი სოციალური ქსელები. პირველი ჩატებით დავიწყე და მოვედი facebook-ის ტიპის სოციალურ ქსელებამდე და ბლოგებამდე. ჩემთვის ეს ისეთივე საინფორმაციო საშუალებაა, როგორც ნებისმიერი ტელეარხი. მას შესაძლოა, ზოგიერთ გამოცემაზე მეტი მკითხველიც კი ჰყავდეს. ჩატი (IRC) 1988 წელს შეიქმნა და ფაილების, მისამართებისა და აზრების გაცვლის საშუალებად გამოიყენებოდა.

გიორგი გიორგაშვილი, *„პალიტრა მედიის“ მარკეტოლოგი:*

— ამ პროექტში მონაწილეობა პირველ რიგში, იმიტომ გადავწყვიტე, რომ ქართულ ბლოგსფეროში პირადი ბლოგი ჭარბობს. არსებობს კორპორაციული ბლოგებიც და იმის ხაზგასმა მინდოდა, რომ მასაც თავისი ადგილი აქვს. თემა იმიტომ ავარჩიე, რომ ბოლო 9 თვეა, წარვმართავ ბლოგს წიგნების მაღაზიათა ქსელისათვის — „ბიბლუსი“. ამჯერად, ის მცირე გამოცდილება წარმოვადგინე, რომელიც აქამდე დამიგროვდა. მთელი პრეზენტაციის შინაარსი — კორპორაციული ბლოგი და საქართველოში მისი არსებობაა. კორპორაციული ბლოგი საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის საჭირო ინტერნეტრესურსია.

ლადო ლომიძე, *მონაწილე:*

— დიდი ხანია, ბლოგინგით და სოციალური მედიით ვარ დაინტერესებული და როდესაც მსგავსი ტიპის პრეზენტაციებსა და პერფორმანსებს ვესწრებოდი, ძირითადად, მსმენელი ვიყავი. როცა მივხვდი, რომ მეც შემეძლო რაიმეს გაკეთება, გადავწყვიტე, ჩემი თემა წარმომედგინა და ახალი სიტყვა მეთქვა.

— კონკრეტული თემა რის მიხედვით შეარჩიე?

— იმის გამო, რომ საქართველოში და საერთოდ, ინტერნეტსივრცეში ბევრმა არ იცის RSS-ის გამოყენება და მნიშვნელობა. იმედი მაქვს, ჩემი პრეზენტაციის შემდეგ ერთი ადამიანი მაინც დაინტერესდება და ისარგებლებს.

საბა ლეკვეიშვილმა „მედია ბანკის“ პრეზენტაცია წარმოგვიდგინა, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ფოტოებისგან შედგება; მათი რაოდენობა 4 ათასია.

— დაგეგმილი გვაქვს მილიონამდე ფოტოს ატვირთვა. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი პოზიტიური ინფორმაცია გავავრცელოთ საქართველოს შესახებ. ასევე დავამატეთ ბლოგი, სადაც დაიწერება სტატიები ჩვენს ქვეყანაზე და ეს იქნება რაც შეიძლება მეტ ენაზე. მოკლედ, კარგი საინფორმაციო პორტალი შეიქმნება.

ბოლო მონაწილემ — დავით ჯიშკარიანმა კი წარმოადგინა თემა „სოციალური მედია, უკუგება კაპიტალდაბანდებიდან, ROI“. მთავარი არსი — ადამიანური რესურსი+დრო=ფულს. ღონისძიებას ცნობილი სახეებიც ესწრებოდნენ. მხიარული და ემოციური დამსწრე საზოგადოება დიდი ოვაციებით ხვდებოდა პრეზენტატორებსა და მათ მიერ წარმოდგენილ საინტერესო თემებს და აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი აშკარად, ძალიან კარგად ერკვეოდა ამ არაჩვეულებრივი გამოგონების — კომპიუტერისა და ინტერნეტის ავკარგიანობაში. ■

ჭრელი მსოფლიო

კლეოპატრას სიკვდილის შესახებ ახალი ვერსია გავრცელდა

„ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა გველის ნაკბენით არ მომკვდარა, მან ოპიუმნარევი სასიკვდილო კოქტეილით მოიწამლა თავი“ — ასეთი დასკვნა გერმანელმა მეცნიერებმა ალექსანდრიაში შემონახული უძველესი სამედიცინო ტექსტების შესწავლისა და ქვეწარმავალთა სპეციალისტებთან კონსულტაციის შემდეგ გააკეთეს. როგორც ქვეწარმავალთა სპეციალისტები ამბობენ, კობრის ნაკბენის შემდეგ ადამიანს სხეულზე ლაქები უჩნდება და რამდენიმე დღეში საშინელი ტანჯვით იღუპება. ისტორიკოსი კრისტოფერ შეფერი ვარაუდობს, რომ სილამაზით განთქმული დედოფალი სიცოცხლეს ხანგრძლივი, მტანჯველი სიკვდილით არ დაასრულებდა, ის ბევრად უფრო სარწმუნოდ მიიჩნევს ახალ ვერსიას, რომლის თანახმადაც, 40 წლის კლეოპატრამ თავისი სილამაზის უკვდავსაყოფად, ოპიუმნარევი საწამლავით მოიკლა თავი. ■

ინდონეზიაში პაპუასების ახალი ტომი აღმოაჩინეს

ინდონეზიის სტატისტიკის სამსახურმა აღმოსავლეთ პროვინცია პაპუას მთიან რაიონში ახალი ტომი დაარეგისტრირა. ქვეყანაში მოსახლეობის აღწერა მიმდინარეობს. ტომის 3 ათასამდე წარმომადგენელი ხეებზე ცხოვრობს, იკვებება მცენარეებითა და ველური ცხოველების ხორცით და არ იყენებს ტანსაცმელს. აღწერის შედეგად გაირკვა ისიც, რომ ტომში 120 წელს გადაცილებული ოცამდე ადამიანია. მათ ერთი უხუცესი ქალბატონიც ჰყავთ, რომელსაც სულ ახლახან 145 წელი შეუსრულდა. სტატისტიკის სამსახურის წარმომადგენლებმა რეკორდსმენი ქალბატონის — კატემის ასაკი მისი შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების გამოკითხვით დაადგინეს. ■

რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ

ქვეყანა

კლინტონის „დამშვიდების ტური“ თუ ამერიკის რეალური დახმარების სურვილი?!

ხათუნა ბახტურიძე

„დამშვიდების ტური“ — ასე შეაფასა 5 ქვეყანაში ჰილარი კლინტონის ტურნე ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკური ექსპერტების უმრავლესობამ. მათი აზრით, „კლინტონის მისია“ რეგიონში მოკავშირეთა დამშვიდებას ემსახურება, რომლებსაც აშშ-რუსეთის გააქტიურებული ურთიერთობები აშფოთებთ. „რუსეთის პრეზიდენტის, დმიტრი მედვედევის ბოლო ვიზიტის შემდეგ, ობამას ადმინისტრაციას იმის დამტკიცება სურს, რომ რუსეთთან გადატვირთვის პარალელურად, მას სურს კავშირის გაღრმავება ისეთ მოკავშირეებთან, როგორიცაა პოლონეთი. ამისთვის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ცენტრალურ, აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში გაემგზავრა. ტურნეს მიზანია ასევე, კონსერვატორთა კრიტიკის გაქარწყლებაც — თითქოს ვაშინგტონი მოკავშირეების მიტოვების ფასად ცდილობს მოსკოვთან დაახლოებას“, — წერს „ვაშინგტონ პოსტი“. სრულიად განსხვავებული მოსაზრებები აქვთ ქართველ პოლიტიკურ ექპერტებს — სოსო ცისკარიშვილსა და ანდრო ბარნოვს.

სოსო ცისკარიშვილი:

— კლინტონის „ბლიცკრიკი“ შავი, კასპიის და ბალტიის ზღვების ქვეყნებში მართლაც საინტერესო იყო. ვიზიტი ხანმოკლე იყო, ამიტომ რაიმე სიახლის მოლოდინი წარმოუდგენელიც კი გახლდათ... ასეც მოხდა. მიუხედავად ამისა, ამერიკის ხელისუფლებისა და ხალხის საქართველოსადმი კეთილგანწყობილება საზოგადოებამდე გულწრფელად და დამაჯერებლად იქნა მიტანილი. დარწმუნებული ვარ, საქართველოში ვიზიტი ქალ-

გაგრძელება იხ. გვ. 14

შეყვარებულთა დაქორწინება თუ მეგობრობა, რომელიც რომანად მონათლეს?..

რა გასაკვირია, რომ ცნობილი ადამიანების ცხოვრება, მით უფრო მათი პირადი თავგადასავლები საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევს. ვინ ვის დაშორდა, ვინ იქორწინა, ვინ ვისთან გააბა რომანი — ასეთი ინფორმაცია ყოველთვის აინტერესებს მკითხველს. თან, როგორც იტყვიან, თბილისი პატარა ქალაქია, ყველა ყველას იცნობს, ჭორებიც სწრაფად ვრცელდება და ჟურნალისტებსაც ვერსად დაემალები.

ეკა ქავთარაძე

ახალი ჭორ-მართალი ქალაქში გიგი უგულავას ცოლყოფილის — თაკო ცაგურიას გარშემო გავრცელდა. ჯერ კიდევ ზამთარში ამბობდნენ, რომ მერის პირველი მეუღლე გათხოვებას აპირებდა, ბატონი გიგი კი ამ ნაბიჯის გადადგმას უკრძალავდა(?). მაშინ ამასთან დაკავშირებით ქალბატონ თაკოს გაზეთი „ყველა სიახლე“ დაუკავშირდა, მაგრამ მერის ცოლყოფილმა ეს ინფორმაცია უარყო: მე უკვე ვიყავი გათხოვილი და ასე მალე ახალი ოჯახის შექმნის საკითხს ვერ გადავწყვეტო, — ბრძანა. ისიც დააყოლა: გიგისთან გაყრილი ვარ, მას თავისი ოჯახი აქვს, მასთან ჯვარიც კი ავიყარე და არავის აქვს უფლება, თუნდაც ყოფილ მეუღლეს, ჩემს პირად ცხოვრებაში ჩაერიოსო.

ოჯახის დანგრევის შემდეგ ქალაქის მერმა ლელა კილაძეზე იქორწინა

შეყვარებულმა წყვილმა თურმე რომანტიკული მოგზაურობა მოიწყო

ამბობენ, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდებაო და გიგი უგულავას ცოლყოფილის გათხოვების შესახებ ცოტა ხნის წინ ისევ ალაპარაკდა „სრულიად თბილისი“. ან რა გასაკვირია — საქმე ხომ ქალაქისთავს ეხება!.. მოკლედ, თქვენი მოთმინება რომ აღარ გამოვცადო, გაცნობებთ — შევიტყვეთ, რომ თაკო ცაგურიას რჩეული — ლევან გოთუა, ცნობილი პიანისტისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის, მანანა დოიჯაშვილის ვაჟია. ამბობენ, ლევანი თაკოზე რამდენიმე წლით უმცროსია და იმასაც აღნიშნავენ, რომ გიგი უგულავა და ლევან გოთუა წინათ კარგი მეგობრები იყვნენ... ლევანი ერთხელ უკვე იყო ქორწინებაში, მაგრამ შვილი არ ჰყავთ. ამჯამად ის ერთ-ერთ ბანკში მუშაობს.

შეყვარებულმა წყვილმა თურმე რომანტიკული მოგზაურობა მოიწყო ეგვიპტეში და ამ მოგზაურობის ამსახველი ფოტოები თაკოს Facebook-ზე აქვს გამოფენილი.

შეგახსენებთ, რომ თაკო ცაგურია პროფესიით ექიმია და გიგი უგულავასთან მას ორი ქალიშვილი ჰყავს. ბომონდური ამბებით დაინტერესებულ საზოგადოებას კარგად ემახსოვრება, რომ ოჯახის დანგრევის შემდეგ ქალაქის მერმა ლელა კილაძეზე იქორწინა. ადრე ლელაც გახლდათ დაქორწინებული და მას ერთი შვილი ჰყავს.

თაკო ცაგურია პროფესიით ექიმია და გიგი უგულავასთან მას ორი ქალიშვილი ჰყავს

თბილისის „პირველი ლედი“ სხვადასხვა დროს მუშაობდა: ვიზაჟისტად საქართველოს ტელევიზიის I არხზე მთავარ სპეციალისტად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსად ეკონომიკის სამინისტროში, კულტურულ ღონისძიებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელად კულტურის სამინისტროში. ამჟამად ლელა კილაძე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში კულტურულ ღონისძიებათა უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, თეიმურაზ ჯანაშიას მრჩეველია.

შვილის დაქორწინების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ქალბატონ მანანა დოიჯაშვილს დავუკავშირდით. მან ლევანისა და თაკოს რომანის ირგვლივ გავრცელებული ცნობების სინამდვილე უარყო და დასძინა, — ისინი უბრალოდ, მეგობრები არიანო. „ამაზე არანაირ კომენტარს არ გავაკეთებ. გეუბნებით ფაქტს, რომ ეს სიცრუეა“, — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ქალბატონმა მანანამ. არადა, ოჯახის ერთ-ერთმა ახლობელმა დაგვიდასტურა, რომ ლევანი და თაკო დიდი ხანია, ერთად არიან...

ჩვენი მხრიდან დავძენთ: არაფერს ვამტკიცებთ, მხოლოდ იმ ინფორმაციას გადმოგცემთ, რომელიც გავრცელდა და ამდენად, უკვე საზოგადოების განსჯის საგნად იქცა. დანარჩენს დრო გვიჩვენებს... ■

„კვირის პალიტრის“ კოლექცია

„დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

წიგნი IX

რენუარი

12 -დან – 19 ივლისამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!

ყურადღება: I, II, III, IV, V, VI VII და VIII ტომი, წიგნის მაღაზიებში გაყიდვაშია!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები
დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

ერიჰა!

ელექსირად გასალებული „დამუხტული სითხე“ და „მკურნალი“ ფოტო

მას შემდეგ, რაც გაზეთ „კვირის პალიტრის“ ბოლო ნომერში დაიბეჭდა სტატია — „ბოდიში, თქვენ გელით...“ — სადაც პარაფსიქოლოგ ირაკლი ლომაიას მამხილებელი ფაქტები და დოკუმენტები იყო გამომზეურებული, მედიასახლში სატელეფონო ზარები, ფაქტობრივად, არ წყდება. რეკავენ ლომაიას მიერ მოტყუებული და მისი „მკურნალობის მეთოდით“ გაწბილებული ადამიანები და თავის ამბებს გვიყვებიან. მიზეზთა და მიზეზთა გამო, ზოგს საკუთარი ვინაობის გამხელა არ სურს, ზოგიც გვარ-სახელის გამოქვეყნებას მხოლოდ იმიტომ ერიდება, რომ არ სურს, მისი საახლობლოს წევრებმა იცოდნენ, რომ თავის დროზე, ლომაიას „სასწაულებრივი ძალის“ მანაც ირწმუნა და ფაქტობრივად, თაღლითობის მსხვერპლი გახდა.

„მწარედ მომატყუეს და 200 ლარი ფაქტობრივად, წყალში გადავყარე“

ემა ტუხიაშვილი

„მოტეხილი ფეხი წლების განმავლობაში მაწუხებდა. ვკოჭლობდი და სიარულის დროს გაუსაძლის ტკივილს ვგრძნობდი. ექიმებში სიარულით რომ დავიღალე, გადავწყვიტე, ლომაიასთან მივსულიყავი და ბედი მეცადა. თანაც იმ დროს, მისი სასწაულებრივი ძალის შესახებ რას არ ჰყვებოდნენ! ყველა გაზეთსა და ჟურნალში იწერებოდა მასზე და ტელეეკრანზეც ხშირად ჩნდებოდა. მეც ვიფიქრე, რომ ამ კაცს მართლაც, რაიმე ღვთიური ნიჭი ჰქონდა, — აბა, ტყუილად ხომ არ ატყდებოდა მის გარშემო ასეთი ამბავი-მეთქი! მის შესახებ სატელევიზიო სიუჟეტი მქონდა ნანახი, სადაც პატარა სენაკელ ბიჭს სტიგმებიდან სისხლი სდიოდა... მოკლედ, მივედი ლომაიასთან იმ იმედით, რომ მეც განმკურნავდა. 200 ლარი ვიზიტსა და რაღაც სითხეში გადამახდევინა, რომელსაც თითქოს უნდა მოვერჩინე. რა თქმა უნდა, ფეხი ისევ ისე მტკივა, როგორც მანამდე, ის ფული კი ისე შერჩა ლომაიას, როგორც სხვა ბევრი მოტყუებული პაციენტისგან აღებული გასამრჯელო“, — გვიამბო შუახნის მამაკაცმა.

ნინო ბუცხრიკიძე: „ეპილეფსია მქონდა და, მკურნალობის ტრადიციული მეთოდით რომ ვერაფერს გახდნენ ექიმები, ახლობლების რჩევით, ირაკლი ლომაიასთან ვიზიტზე ჩავეწერე. დამპირდა, რომ მომარჩენდა, მაგრამ ყოველ ვიზიტზე ჩემი მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. სამჯერ ვიყავი მისული და 200 ლარის გადახდა მომთხოვეს. რა უნდა მექნა?.. თანხა სრულად გადავიხადე, მაგრამ მკურნალობამ შედეგი რომ არ გამოიღო, პრეტენზიებით მივადექი მის ოფისს და ფულის დაბრუნება მოვითხოვე. მისმა თანამშრომლებმა ისეთი დღე დამაყარეს, ლამის ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენეს. რა უნდა მექნა? შევეგუე, რომ მწარედ მომატყუეს და 200 ლარი ფაქტობრივად, წყალში გადავყარე“.

„ძალიან მრცხვენია ამის აღიარება, მაგრამ ირაკლი ლომაიას ოფისის კარს იმ იმედით მივადექი, რომ „შეკრული“ ბედი გამეხსნებოდა და ოჯახის შექმნას შევძლებდი. ორი უმაღლესი მაქვს დამთავრებული, გარეგნობაც კარგი მაქვს, მაგრამ ცხოვრების თანამგზავრი ვერ ვიპოვე. ერთხელ მეგობარმა ჟურნალი მომიტანა, სადაც ეწერა, რომ ირაკლი ლომაია სასწაულებს ახდენდა და მეც გადავწყვიტე, ბედი მეცადა. დამპირდა, რომ ჩემს კარმას უარყოფითი ენერგიისგან გაწმენდდა და სხვა მსგავს სისულელეებს. სახლში 7 სანთელი გამატანა და ამაში 200 ლარი გამომართვა. რა თქმა უნდა, მალევე მივხვდი, რომ თაღლითობის მსხვერპლი გავხდი, მაგრამ რას გავაწყობდი? თაღლითთან ხომ ჩემი სურვილით მივედი!..“ — *გულისტკივილით გვიამბო ერთმა ქალბატონმა.*

მსგავსი ამბავი ძალიან ბევრია და ყველა ფაქტის მოყვანა ერთ წერილში შეუძლებელია. თუმცა არის განსაკუთრებული შემთხვევებიც, როდესაც, მაგალითად, ირაკლი ლომაია შვილმკვდარ დედას, მისი შვილის სულთან დაკავშირებას ჰპირდებოდა და ამისთვის ქალბატონს სამეგრელოში გამგზავრებას ურჩევდა. სწორედ ეს ამბავი გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმ მრავალთაგან, რომლის გამოც, დაახლოებით ერთი წლის წინ „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტმა ხათუნა პაიჭაძემ თვითმარქვია პარაფსიქოლოგის სამხილებლად ჟურნალისტური გამოძიება დაიწყო.

ხათუნა პაიჭაძე:

— რედაქციაში მოდიოდნენ გამწარებული ადამიანები და დახმარებას გვთხოვდნენ. ამდენი უკმაყოფილო ადამიანის მოსმენის შემდეგ, ბუნებრივია, ლომაის საქმიანობით დავინტერესდი. აღმოვაჩინე, რომ ჩემ ირგვლივაც უამრავი ადამიანი იყო, ვინც თავის დროზე ირაკლი ლომაიას თაღლითობის მსხვერპლი გახდა, მაგრამ ამის ხმამაღლა აღიარების რცხვენოდა. ზოგს 200 ლარად, რამდენიმე დამუხტული სანთელი მიჰყიდა, ზოგს მოწყალე თვალით გადმოხედა და ბოთლში ჩასხმული სითხეც უბოძა და სხვა... რა თქმა უნდა, არც ერთ მათგანს ლომაიას „მკურნალობამ“ არ არგო. ამის შემდეგ გადავწყვიტე, მისი სასწაულმოქმედი ძალა ჩემს თავზე გამომეცადა. ამისათვის რედაქციამ 236 ლარი გამომიყო, რადგან სწორედ ამდენი ღირდა ვიზიტი „პარაფსიქოლოგთან“, და ფოტოკორესპონდენტთან ერთად, ირაკლი ლომაიას ოფისისკენ ავიღე გეზი. მივიტანე ფოტო, რომელზეც თითქოს ჩემი მეუღლე იყო გამოსახული და სწორედ მისი პრობლემების მოგვარება ვთხოვე. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც მითხრეს, რომ ფოტო, რომლისთვისაც ლომაიას უნდა „ემკურნალა“, აუცილებლად 3/4-ზე უნდა ყოფილიყო. სანამ ამ სურათით ხელში მასთან მეორედ მივიდოდით, „ქართული პარაფსიქოლოგიის მამა“ ფაქტობრივად, აორთქლდა: ოფისში მისულებს, აბრა, რომელიც ლომაიას საქმიანობის შესახებ იუწყებოდა, ჩამოეხსნათ და მისი ადგილსამყოფლის შესახებაც ვერაფერი შევიტყვეთ. გავარკვიე, რომ ბინა, სადაც ლომაია პაციენტებს იღებდა, იქვე ახლოს მცხოვრებ, იაშვილების ოჯახს ეკუთვნოდა. დიასახლისმა გვიამბო: ირაკლი ლომაია ისე წავიდა, ოფისის ქირაც

კი გადაუხდია. მისგან შევიტყვეთ, რომ ლომაიას ოფისთან ხშირად მოდიოდნენ უკმაყოფილო პაციენტები, იყო ერთი აყალმაყალი, მაგრამ ისეთებიც იყვნენ თურმე, ვინც მის მზეს ფიცულობდა... ამის შემდეგ, ლომაიას ინტერნეტგვერდით დავინტერესდი და აღმოვაჩინე, რომ მისი ქონება „თი-ბი-სი ბანკს“ აუქციონზე გასაყიდად ჰქონდა გამოტანილი. ამასობაში, ინტერნეტში მის „დამუხტულ“ სურათსაც მივაკვლიე, რომელსაც ლომაია 30 დოლარად და 99 ცენტად ყიდდა. მითითებული იყო, რომ ეს ფოტო ყველა ორგანოს სამკურნალოდ გამოიყენებოდა(!)...

— მხოლოდ ამ ფოტოს ცქერით იკურნებოდა პაციენტი?

— მხოლოდ ფოტოსთვის შეხედვა საკმარისი არ იყო — ის ჯერ უნდა შეგეძინა, შემდეგ კი (ე.წ. ინსტრუქციის შესაბამისად) ან ბალიშის ქვეშ ამოგედო, ან გულის ჯიბით გეტარებინა. იქვე იყო მითითებული, რომ ინტერნეტიდან ფოტოს გადმოწერის შემთხვევაში, ის სამკურნალო თვისებებს კარგავდა. ამან კიდევ ერთხელ გამაოგნა: როგორ შეიძლებოდა, ამ ყველაფრის ნახვის შემდეგ, საღად მოაზროვნე ადამიანს ეფიქრა, რომ ლომაიას სურათი განკურნავდა?! აშკარა იყო, რომ ვითომ პარაფსიქოლოგი, სასოწარკვეთილი ადამიანების მდგომარეობით სარგებლობდა და ფულს სძალავდა. ლომაიას ვეძებდით ყველგან, სად აღარ დავრეკე, რომ მისთვის მიმეკვლია. ყველა მითითებულ მისამართზე, სადაც მანამდე მისი ოფისები მდებარეობდა, გაუჩინარებული მკურნალის შესახებ არაფერი იცოდნენ. მის ერთ-ერთ ოფისში ასეთი პასუხიც კი გამცეს: თავი დაგვანებეთ, ამ ლომაის ნახევარი საქართველო დასდევს და ნუ შეგვაწუხეთო!.. ლომაიასთან დაკავშირების იმედი რომ გადამეწურა, გამოვაქვეყნე სტატია იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც ხელთ მქონდა. როგორც კი ეს სტატია დაიბეჭდა, გაუჩინარებული პარაფსიქოლოგიც გამოჩნდა. დამირეკა და კატეგორიული ტონით მითხრა: საპასუხო წერილს ვგზავნი და ერთი სიტყვა არ შემისწოროთ, ისე დამიბეჭდეთო! ვცადე, ამეხსნა, რომ ასეთი საკითხები სარედაქციო კოლეგიის გადასაწყვეტია და არა ჟურნალისტის; თან, დავინტერესდი — საიდან მირეკავდა. მიპასუხა, რომ ძალიან შორს, ამერიკაში იმყოფებოდა... იმავე საღამოს ლომაია „იმედის“ ეთერში გამოჩნდა და ამბობდა, რომ უკრაინაში იყო წასული. ამის შემდეგ რედაქციაში მისი წარმომადგენლებიც მობრძანდნენ და ჩემი სტატიის გამო გვედავებოდნენ, გვარწმუნებდნენ, რომ ლომაია მართლაც(!) ღვთიური ნიჭით იყო დაჯილდოებული. ვთხოვე, ის უნიკალური, დამუხტული სითხე მოეტანათ, რომელსაც ლომაია პაციენტების სამკურნალოდ იყენებდა და ექსპერტიზა ჩაგვეტარებინა. მიპასუხეს, რომ ეს სითხე — დამუხტული წყალია და შესაძლოა, ლაბორატორიულმა კვლევამ მასში უცნაური ვერაფერი დაადასტუროსო. გადავირიე — გამოდის, რომ დამუხტულ წყალში ახდევინებდნენ ხალხს 236 ლარს!.. მოკლედ, არც ლომაიას და არც მის წარმომადგენლებს არანაირი კონტრარგუმენტი არ აღმოაჩნდათ იმ ფაქტების საწინააღმდეგოდ, რომლის შესახებაც „კვირის პალიტრაში“ დაიბეჭდა და აღარც ველოდი, რომ ერთი წლის შემდეგ ეს „ღვთისმოსავი“, „ანგელოზი“ ადამიანი, „ღმერთის ნებით“ მოსული პარაფსიქოლოგი გამოაქვეყნებდა გაზეთ „ქრონიკაში“ ასეთ ცილისმწამებლურ წერილს, სადაც მადანაშაულებს, თითქოს მხოლოდ იმის გამო „ავუგორე შავი პიარი“, რომ „კვირის პალიტრაში“ რეკლამა არ განათავსა, და რომ ჩემთვის არც მისი გაღმერთება იქნებოდა პრობლემა, თუ სოლიდურ თანხას ჩავიჯიბავდი!.. ამის შემდეგ, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გავიდა სიუჟეტი, სადაც ბატონმა ლომაიამ განაცხადა, რომ თურმე მას ფულს ვძალავდი და ამის დამამტკიცებლად, რაღაც აუდიოჩანაწერიც წარმოადგინა. „იმედიდან“ დამირეკეს, მთხოვეს, მივსულიყავი და ჩანაწერისთვის მომესმინა. ცხადია, ეს ჩემი ხმა არ იყო, რადგან ლომაიას მხოლოდ ერთხელ ვესაუბრე და ისიც მაშინ, როდესაც თავად დამირეკა, ვითომ ამერიკიდან. დღემდე არ ვიცი რას ემსახურებოდა მისი ეს ბინძური ხრიკი.

სათუნა პაიჭაძე: მინდა, ჩემ მიერ გაკეთებული მხილებების საფუძველზე, ხალხმა დაინახოს – ვინ არის რეალურად, ე.წ. „ქართული პარაფსიქოლოგიის მამა“ და თავი აღარ გააბითურებინოს მას

— ამის შემდეგ დაიწყე ჟურნალისტური გამოძიების მეორე ეტაპი, როდესაც დაადგინე, რომ ლომაია ყალბი პასპორტით, რუსეთსა და აზერბაიჯანშიც „კურნავდა“ ხალხს...

— ეს ყველაფერი რაღაც, ძალიან უცნაურად დაემთხვა ერთმანეთს. დაახლოებით 4-5 თვის წინ მოსკოვიდან მეგობარმა დამირეკა და მითხრა, რომ აზერბაიჯანის მოქალაქე, ვინმე მიკი ლაიანი, რომელიც მისი ეჭვით, ირაკლი ლომაია უნდა ყოფილიყო, მოსკოვში ხალხს პარაფსიქოლოგიურ მომსახურებას უწევდა. პირველი, რამაც ჩემი ეჭვი აღძრა, გვარი „ლაიანი“ იყო. ალბათ ბატონმა ირაკლიმ ინგლისურად ასე თარმნა „ლომაია“... „საქპატენტში“ მივედი და ვთხოვე, აზერბაიჯანის მოქალაქე — მიკი ლაიანზე გაცემული პატენტი მოეძებნათ. ასეთი დოკუმენტი იქ არ აღმოჩნდა, მაგრამ მიაკვლიეს ვალერი ხომერიკსა და მიკი ლაიანს შორის დადებულ სალიცენზიო ხელშეკრულებას. როგორც ველოდი, ირაკლი ლომაიას სახელზე გაცემულ ხელშეკრულებებსა თუ ლიცენზიებში მითითებული მისამართები ზუსტად დაემთხვა მიკი ლაიანის ხელშეკრულებაში მითითებულს. აშკარა იყო, რომ ერთსა და იმავე პიროვნებასთან გვქონდა საქმე. როგორ მოვიპოვე ირაკლი ლომაიას ყალბი პასპორტი — ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა და წყაროს ვერ დავასახელებ, მაგრამ ფაქტია, რომ მიკი ლაიანის პასპორტის ფოტოზე ნამდვილად, ირაკლი ლომაიაა აღბეჭდილი. როგორც კი მიკი დავიდოვიჩ ლაიანის სახელზე გაცემულ პასპორტს დავხედე, მივხვდი, რომ სიყალბესთან გვქონდა საქმე, რადგან საბუთი არასრულყოფილია და მასზე პირადი ნომერი საერთოდ არ არის მითითებული. გარდა ამისა, პასპორტის სიყალბე დასტურდება იმითაც, რომ ადამიანის სახელის და გვარის შეცვლის შემთხვევაშიც კი არ იცვლება საპასპორტო პარამეტრები, მათ შორის — პირადი ნომერი, დაბადების ადგილი და სხვა. ამ ყალბი დოკუმენტის თანახმად, ირაკლი ლომაია აზერბაიჯანშია დაბადებული, — არადა, თვითონ ამბობს, რომ თბილისში დაიბადა... მიკვირს, როგორ იჯერებს ჩვენი საზოგადოება ამ თაღლითის ისეთ ტყუილს, თითქოს ის „სვაროვსკის“ სახეა და რომ ანჯელინა ჯოლისთან ერთად იღებენ ფილმში. მინდა, ჩემ მიერ გაკეთებული მხილებების საფუძველზე, ხალხმა დაინახოს — ვინ არის რეალურად, ე.წ. „ქართული პარაფსიქოლოგიის მამა“ და თავი აღარ გააბითურებინოს მას.

— როგორც ვიცი, აპირებ, ირაკლი ლომაიას წინააღმდეგ სარჩელი შეიტანო სასამართლოში...

— პირველ რიგში, პროკურატურას გადავცემ ჩემს ხელთ არსებულ ყველა დოკუმენტს, მათ შორის — ყალბი პასპორტის ასლს, რომელიც ნოტარიუსის მიერ არის დამოწმებული. სასამართლოშიც შევიტან სარჩელს და არაფრით შევარჩენ ირაკლი ლომაიას „კვირის პალიტრისა“ და ჩემი სახელის შეურაცხყოფას. ასევე, ძალიან მინდა დავიცვა ყველა მისგან მოტყუებული და გამწარებული ადამიანი, რომ მეორედ აღარ ჩაუვარდეს ლომაიასნაირ თაღლითებს ხელში.

■

„იყო ამაყი და მორჩილი, ბოროტთაგან განშორებული სინათლე და სიწმინდის განსახიერება“

„შესულხართ ოდესმე ძველი წიგნების მაღაზიაში? გადაგიფურცლავთ მრავალგზის გადაფურცლული წიგნი, რომელიც ბევრჯერ წაუკითხავთ, მაგრამ მაინც არაფერი დაჰკლებია? პირიქით, დროისაგან უფრო მიმზიდველი გამხდარა, უფრო მშობლიური, როგორც ძველი სახლი, როგორც ძველი ქალაქი, როგორც ძველი ტაძარი. გამოგიცდიათ სიხარული დიდი ხნის ნანატრი წიგნის შეძენისას, როცა შინისაკენ მოუთმენლად მიდიხართ, რათა მალე განმარტოვდეთ, მალე დარჩეთ პირისპირ წიგნთან, მალე ეზიაროთ მის სიბრძნეს, განიცადოთ მასთან შეხვედრის სიხარული, ეს იდუმალი ძალა, რომელიც ამ უბრალოდ აკინძული ქაღალდებიდან, ამ გვირისტად ჩარიგებული ასოებიდან მოდის, მთელ შენს არსებას იმორჩილებს და, რაც მთავარია, სამუდამოდ შენთან რჩება. ის მხოლოდ შენია, თუნდაც წიგნი მილიონებმა წაიკითხონ...“, — წერდა თამაზ ბიბილური, მწერალი და ჟურნალისტი; რამდენიმე ფილმის სცენარის ავტორი და მონაწილეც კი; „ნათელხილვის ოსტატი“, რომლის ნაწარმოებები ათიათასობით იბეჭდებოდა და რომელიც ძალიან უყვარდათ; რომელიც ყოფილა მართალი, ზუსტი, გულში ჩამწვდომი და ჰყვებოდა ლაღად, თავისუფლად და საინტერესოდ „მუხლადი, ცოცხალი სიტყვით“...

ირმა ხარშილაძე

„ქართული პროზის საგანძური“ ჟურნალ „გზასთან“ ერთად XX ტომად XX საუკუნის მეორე ნახევრის ამ საინტერესო მწერლის რომანს — „ჟამი კითხულისა“ — და რამდენიმე მოთხრობას წარმოგიდგენთ. წიგნის გამოსვლამდე კი, ტრადიციულად, ავტორზე გიამბობთ.

თამაზ ბიბილურის მეუღლე, ფილოლოგი და ჟურნალისტი, ქალბატონი **თინურა ვაშაძე** იხსენებს:

— მის სახელსა და გვარს პირველად 1957 წლის სექტემბერში „შევხვდი“. მეორე კურსის სტუდენტებს დოცენტმა თამარ ბელინსკაიამ ჟურნალ „ცისკრის“ ივლისის ნომერი შემოგვიტანა და წაგვაკითხა მანამდე ჩვენთვის უცნობი ავტორის — თამაზ ბიბილურის 3 ნოველა: „ჩემი და“, „მრისხანე კაცი“, „გაპარვა“ (ეს ნოველები თამაზს შემდგომ, არც ერთ გამოცემაში აღარ შეუტანია) და მომავალ ჟურნალისტებს მათი თარგმნა დაგვავალა... მეხუთე კურსზე კი მე და ჩემი ექვსიოდე თანაჯგუფელი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ მიგვავლინეს პრაქტიკაზე. 60-იან წლებში ქართულ ახალგაზრდულ გაზეთში ბევრი ნიჭიერი ჟურნალისტი მუშაობდა, მაგრამ ჩვენთვის თამაზ ბიბილური მაინც გამორჩეული იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი პირველი ზიარება მხატვრულ თარგმანთან მის სახელთან იყო დაკავშირებული, თანაც, ასაკითაც ახლოს იყო ჩვენთან... დამთავრდა პრაქტიკა. დასრულდა უნივერსიტეტში სწავლის წლებიც. ზაფხულის ერთ დღეს, რუსთაველის პროსპექტზე მიმავალმა, შორიდან თამაზ ბიბილურსა და ნოდარ ებრალიძეს მოვკარი თვალი. მეორე მხარეს გადასვლას ვერ მოვასწრებდი, არადა, არ ვიცოდი, რა მექნა — თავჩაღუნულს გამევლო თუ მივსალმებოდი. მე ხომ ისიც არ ვიცოდი, „დავამახსოვრდი“ თუ არა მათ. როცა გავუსწორდი, შეჩერდნენ, მომესალმნენ და მომიკითხეს, თანაც დასძინეს — რატომ აღარ შემოივლი ჩვენთან რედაქციაშიო? ფრთაშესხმული ვიყავი, ბედნიერი — მათ შემამჩნიეს! შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ თბილისიდან წავედი. და აი, ოქტომბრის ორში (ამ დღეს რა დამავიწყებს!) მირეკავს ნორა ნორაკიძე (გაზეთის განყოფილების გამგე, რომელთანაც გავიარე პრაქტიკა და რომელსაც დიდი წვალებით დაუდგენია ჩემი ადგილსამყოფელი) და მეუბნება: ფეხით რომ მოგიხდეს ჩამოსვლა, ხვალ დილით რედაქციაში უნდა გამოცხადდე რედაქტორთანო... აი, ასე გავხდი ამ დიდებული „ოჯახის“ წევრი... 13 წელი ვიმუშავეთ მე და თამაზმა ერთად. შემდეგ, დიდმა ლიტერატორმა, ბატონმა ვახტანგ ჭელიძემ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ მიიწვია მოადგილედ. აქედან დაიწყო მისი ინტენსიური სამწერლო მოღვაწეობაც. დაიწყო და... როგორც ერთი კოლეგა წერდა, „სულ მალე თხემზეც მოექცა“... თამაზს მკრეხელობად მიაჩნდა, ადამიანს მეუღლის შემოქმედებასა თუ პიროვნულ ღირსებებზე საჯაროდ აზრი გამოეთქვა, საკმარისი იყო, თუნდაც ძალზე მოკრძალებული ეპითეტი წამომცდენოდა რომელიმე ახლობელთან (სხვებთან როგორ გავბედავდი?!) მის ახალგამოქვეყნებულ წერილსა თუ ბელეტრისტიკაზე, რომ აღშფოთებით შემაჩერებდა: რა მოგივიდა, როგორ შეიცვალე, ეს არ გეკადრებაო!.. მაშინ, საქციელწამხდარს, ვერ მშველოდა ვითომ ხუმრობით მოხმობილი არგუმენტი, — რომ მე ჟურნალისტი ვარ და ჩემი პროფესია უფლებას მაძლევს, ისევე გამოვთქვა აზრი მის შემოქმედებაზე, როგორც სხვისაზე. სწორედ ამგვარი „წვრილ-წვრილი“ ღირსებები გამოარჩევდა თამაზს სხვათაგან. სწორედ ამგვარ „წვრილ-წვრილ“ ღირსებათა გამო, ერთობლივმა ცხოვრებამაც კი ვერა დააკლო რა იმ მშვენიერსა და ამაღლებულს, რასაც რომანტიკოსი და ამავე დროს მაქსიმალისტი პერსონები ერთმანეთისგან მოითხოვენ...

წერილში „სტილი“ თამაზ ბიბილური წერდა: „...თქვენ გინდათ, გაიგოთ, თუ რას ვფიქრობ საკუთარ სტილსა და ენაზე... აბა, რა გიპასუხოთ? ასე მგონია, ზოგჯერ ზედმეტად ვარ მოჩუქურთმებული. ყოველ შემთხვევაში, ამას რომ გავიფიქრებ, ჩემს ხელნაწერს დაუნდობლად ვებრძვი ხოლმე. სურვილით კი ის მინდა, რომ ჩემი სტილი უაღრესად სადა და უბრალო იყოს. ეზოში თუ მაღალი ხე იდგა, უნდა ვთქვათ, რომ მაღალი ხე იდგა, „ასოციაციური“ ხერხებით ამ ხის აღწერა დროის დაკარგვა მგონია. ნაწარმოების სტილი და ფორმა თავისით იბადება. ყოველ სათქმელს თავისი ფორმა თავისით მოჰყვება. მთავარია, ეს ფორმა მოიხელთო. როცა წერას ვიწყებ, ფორმა

უკვე არსებობს. ისეც ხდება, რომ ზოგჯერ შინაარსი ფორმამაც გიკარნახოს, ფორმა იყოს პირველადი. ბოლოს და ბოლოს, ნაწარმოების ფორმაც ხომ ისევე გვხიბლავს, როგორც მისი შინაარსი?“

კრიტიკოსი გურამ გვერდწითელი თამაზ ბიბილურის რომანს — „ჟამი კითხულისა“ — გაბრიელ გარსია მარკესის „პატრიარქის შემოდგომის“ პარალელურად განიხილავს: „ბოროტებას საერთოდ, თავისი წარმოშობის ძირებიც აქვს და გამოხატვის მიმსგავსებული ფორმებიც. მარკესის და ბიბილურის წიგნებშიც ამ სენის უპირველეს თვისებად დამთრგუნველი შიშია მიჩნეული. ამ ორთავე, მაღალმხატვრული რომანის სათქმელის მასშტაბურობა ზოგადსაკაცობრიოა, მიუხედავად იმისა, ერთი ლათინური ამერიკის ქვეყნის, მეორე კი სულაც ქართული მთის ერთი თემის ცხოვრებაზეა დაწერილი. როცა თამაზ ბიბილურის რომანი იწერებოდა და, მგონი, უკვე დამთავრებულიც იყო, მარკესის „პატრიარქის შემოდგომას“ ჩვენში ჯერ არავინ იცნობდა და არც შეეძლო მის შესახებ რაიმე სცოდნოდა. თუ სიმართლე გინდათ (ამას გთხოვთ, მიკერძოებაში ნუ ჩამითვლით), ამ ორი რომანიდან ჩემზე უფრო დიდი შთაბეჭდილება „ჟამი კითხულისამ“ მოახდინა“... ალბათ, თანამედროვე ქართველი მკითხველი, რომელიც ინტერესით ეცნობა გაბრიელ გარსია მარკესის ნაწარმოებებს, ასევე დიდი ინტერესით წაიკითხავს თამაზ ბიბილურის ამ რომანს და შთაბეჭდილების გაზიარებასაც არ დაიზარებს.

პოეტი ქალბატონი, ბორენა ჯაჭვლიანი თამაზ ბიბილურს „მაძიებელსა და მეოცნებეს, რომანტიკოსსა და სენტიმენტალურს უწოდებს და დაურთავს: „მის დახვეწილ სულს არაფერი გამოეპარებოდა: არც კარგი ლექსი, არც სურათი და მუსიკალური ნაწარმოები; სპექტაკლი თუ ფილმი; რეჟისორი თუ დრამატურგი“. მწერალ ვახტანგ ჯავახაძის აზრით, „მისი სტიქია მაინც მარტოობა იყო, რაც ალბათ ჭეშმარიტი შემოქმედის ყველაზე ბუნებრივი და სასურველი თავშესაფარია“. ჯანსუღ ჩარკვიანი კი წერს: „იყო ამაყი და მორჩილი, ბოროტთაგან განშორებული სინათლე და სიწმინდის განსახიერება“.

თამაზ ბიბილურის ჩანაწერში ვკითხულობთ: „მე მას თავისუფლება ვასწავლე. მაგრამ მთავარი ვეღარ ვუთხარი, რომ ამქვეყნად არავინ არის თავისუფალი. რომ ამ მირიად ვარსკვლავთა შორის ყველა ერთმანეთს გადაჯაჭვია. მზე ჩაფრენია თავის პლანეტებს და ხელიდან არც ერთს არ უშვებს. პლანეტები — თავის უმრწემეს თანამგზავრებს. თავად მზე კი, თითქოს მძლავრი და თვითმპყრობელი, არავინ უწყის, რამდენი ვარსკვლავის ნებაზე დაძრწის ბნელით მოცულ, შიშით გათანგულ, უკიდეგანო სამყაროში“.

თიურა ვაშაძის მინაწერი: „ეს უთარიღო ჩანაწერი (თამაზის ჩანაწერებში იშვიათად თუ შეხვდებით თარიღს) ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე და სევდიანი დღეების განწყობილებას აღმიდგენს. ზაფხულის ღამეები. დაცარიელებული ქალაქი. უჩვეულო სიწყნარე. მხოლოდ ჭრიჭინობელების ხმა ისმის. თამაზს, რა თქმა უნდა, არ სძინავს. აივანზე ზის და ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას გასცქერის. მე დაღლილობისგან ფეხზე ძლივს ვდგავარ — სამსახური, ოჯახის ტვირთი და გულისშემძვრელი ტკივილი, რომელსაც მგონია, რომ მის უჩუმრად ვატარებ. შუაღამეა. რა თქმა უნდა, ვერ ვიძინებ. წამოწოლა ალბათ მიშველიდა, მაგრამ არ მინდა, თუნდაც ერთი წუთი დავკარგო მასთან ყოფნისა. შიშს ვყავარ შეძრული: ვაითუ ძალზე ცოტა დარჩა, ვაითუ მალე სანატრელი გამიხდეს თუნდაც ეს სულისშემძვრელი ღამეები. მეც გავდივარ აივანზე. ვჯდები სავარძელში, ერთად გავცქერით ზეცას და სამყაროს უსასრულობაზე, იმ საოცარ იდუმალებაზე ვსაუბრობთ, რასაც ადამიანში სიჩუმე და ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა აღძრავს. თამაზის საუბარი ისე მშვიდია, როგორც მარადიულობა. რიჟრაჟისას წავთვლემთ“...

თამაზ ბიბილური 1992 წლის 10 დეკემბერს გარდაიცვალა და დიდუბის პანთეონშია დაკრძალული. ■

დასაწყისი იხ. გვ. 7

ბატონი კლინტონისთვის უკანასკნელი არ იქნება. შეიძლება, რამდენიმე ადამიანი განაწყენებული იყოს იმის გამო, რომ კლინტონისათვის დაგეგმილი ვიზიტის ფარგლებში მონაწილეობა ვერ მიიღო, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. კლინტონის ვიზიტის მნიშვნელობა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ცალკეულ პიროვნებათა უკმაყოფილება.

ანდრო ბარნოვი:

— მედვედევისა და ობამას მიერ ვაშინგტონში გამართული ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი ორ რეგიონში იმას ნიშნავს, რომ ამერიკამ რუსეთთან მოლაპარაკების ძირითადი ფაზა დაასრულა, ამ მიმართულებით უკვე ყველაფერი გარკვეულია (სხვათა შორის, რუსებისთვისაც) და ახლა სამხრეთ კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში აგრძელებს თავისი პოლიტიკის გატარებას.

— რას გულისხმობთ, მაინც რა არის გარკვეული?

— ის, რომ ამერიკა არასოდეს შეცვლის პოზიციას საქართველოს მიმართ, არ შეეგუება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას და ეცდება, დაგვეხმაროს ეკონომიკის განვითარებასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ობამასა და მედვედევის მოლაპარაკების დასრულებისთანავე თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც პირველად აღნიშნა და ოფიციალურად დაადასტურა, რომ აფხაზეთი და ცხინვალი — ოკუპირებული ტერიტორიებია.

— ქართველ ექსპერტთა ერთი ნაწილი ამბობს, რომ ინგლისური სიტყვა — occupied — ნიშნავს „დაკავებულს“ და არა „დაპყრობილს“... მათი თქმით, ხელისუფლება ტყუის, როდესაც გვეუბნება, — რუსეთი ამერიკამ ჩვენი აქტიური მცდელობის შედეგად გამოაცხადა ოკუპანტადო...

— „ოკუპაცია“ — იურიდიული ტერმინია. ნურავის ეგონება, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი განცხადების გამოქვეყნებისას ლინგვისტურ ან მითოლოგიურ ტერმინებს იყენებს.

— დავით ბაქრაძის თქმით, ამერიკა-საქართველოს ურთიერთობები მალე ახალ ფაზაში გადავა. თქვენი აზრით, როგორი შეიძლება იყოს ეს ახალი ფაზა?

— ახალი ფაზა გამორჩეული იქნება კონკრეტული პროექტებისა და ახალი დახმარების განხორციელებით, ასევე, უფრო აქტიური თანამშრომლობით, ვიდრე ბოლო 2 წლის განმავლობაში იყო.

— ამერიკა, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დახმარებას გვპირდება, საქართველოსთვის იარაღის მოწოდებას ემბარგოს რატომ ადებს და რატომ გვიშლის ხელს იმ აღჭურვილობის შეძენაში, რომელიც თავდაცვისთვის გვჭირდება?

— თავდაცვისთვის იარაღი ნამდვილად გვჭირდება და დარწმუნებული ვარ, ამ ვიზიტის შემდეგ შეიცვლება იმ ქვეყნების პოზიცია, რომლებიც თავს იკავებდნენ საქართველოსთან იარაღით ვაჭრობისგან.

— თქვენი აზრით, კლინტონმა თბილისში ყოფნისას რატომ აარიდა თავი „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტის კითხვას, — მიაწვდის თუ არა ამერიკა საქართველოს იარაღსო?

სოსო ცისკარიშვილი:

— ამ შემთხვევაში, საქმე გვქონდა ეტიკეტის დარღვევასთან: „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტმა 2 შეკითხვა დასვა: პირველის ადრესატი იყო კლინტონი, მეორის კი — სააკაშვილი. კითხვების დასმის შემდეგ, ტრიბუნა პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაიკავა და 10-წუთიანი მონოლოგით ყველა თემა გადაფარა, მაგრამ არაფერი უთქვამს აშშ-ის მიერ საქართველოსთვის იაღარის მიყიდვაზე. ამით დიპლომატიურად ისარგებლა ქალბატონმა კლინტონმა და საზოგადოებას დაემშვიდობა... ამ კითხვაზე პასუხისგან თავის არიდება, გარკვეულწილად, პასუხია. როგორც ჩანს, ამერიკის მხრიდან საქართველოსთვის იარაღის მოწოდებაზე შეზღუდვების მოხსნის პერსპექტივა ჯერ კიდევ არ არსებობს.

ანდრო ბარნოვი:

— ეს მომავლის საქმეა. მე მაინც მგონია, რომ ეს პოლიტიკური კონიუნქტურის ამბავია. პრობლემა ნელ-ნელა მოგვარდება. თუ ისეთ დესტრუქციულ ქვეყანას, როგორიც რუსეთია, თავდასხმით იარაღს აძლევენ, არა მგონია, ჩვენ თავდაცვისთვის საჭირო აღჭურვილობაზე გვითხრან უარი. ისე, იარაღზე უარის თქმა არ ნიშნავს იმას, რომ არ დაგვეხმარებიან.

— იმის იმედი გაქვთ, რომ ვაშინგტონი საქართველოს სასარგებლოდ, რუსეთზე ზეწოლას გააძლიერებს?

— იმედი ნამდვილად მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, ზეწოლა რადიკალური ნაბიჯებით არ განხორციელდება. ვაშინგტონი დიპლომატიური მეთოდებით შეეცდება რუსეთის დაყოლიებას. გარდა ამისა, თეთრი სახლი საქართველოსაც დაეხმარება იმით, რომ ოკუპირებულ რეგიონებში გარკვეულ პროგრამებს განახორციელებს. თუმცა ძირითადი აქცენტი მაინც არაოკუპირებული ნაწილის განვითარებაზე იქნება გაკეთებული — იმისათვის, რომ საქართველო აფხაზებისა და ოსებისთვის უფრო მიმზიდველი გახდეს.

სოსო ცისკარიშვილი:

— ერთ დღეში არაფერი ხდება. ამ ეტაპზე უმთავრესი, სარკოზი-მედვედევ-სააკაშვილის 12 აგვისტოს შეთანხმების შეუსრულებლობის საკითხია. მერე იქნება საუბარი იმაზე, თუ რა სტატუსით უნდა განვახორციელოთ ურთიერთობა აფხაზებთან და ოსებთან. რა გვირჩევნია — გვყავდეს აფხაზებისა და ოსების სახით, კეთილი მეზობელი თუ დამონებული მტერი? ან, აფხაზებსა და ოსებს რა ურჩევნიათ — საქართველოს სახით, კეთილი მეზობელი ჰყავდეთ თუ გაბრაზებული მტერი? სანამ ჯარების გაყვანის პროცესი არ დაიწყება, ძნელია, ილაპარაკო შემდგომ ნაბიჯებზე, მით უმეტეს, როცა პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების უალტერნატივო წინაპირობა შესრულებული არ არის.

— ძნელი სათქმელია, ეს კლინტონ-სააკაშვილის და ობამა-მედვედევის შეთანხმების შედეგია თუ რაიმე სხვა ფაქტორის, მაგრამ პუტინმა უკვე განაცხადა, რომ ქართველ და ოს ერებს შორის საჭიროა დიალოგი მესამე ქვეყნის ჩარევის გარეშე. ეს რუსეთის მხრიდან ორმაგი სტანდარტით მოქმედების გაგრძელებას ნიშნავს თუ კონფლიქტის მოგვარების რეალურ სურვილს?

ანდრო ბარნოვი:

— ვფიქრობ, რუსეთი ისევ ორმაგი სტანდარტით მოქმედებას აპირებს, თუმცა პუტინის ამ განცხადებაში გარკვეული სიფრთხილეც დავინახე.

— რას გულისხმობთ?

— მათ კი დაიწყეს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ქართველმა და ოსმა ხალხებმა თავად უნდა გაარკვიონ ურთიერთობა, მაგრამ მათი წარბშეკრული საუბრის მანერა საუბრის შინაარსს არ შეესაბამება. რუსეთმა საჯაროდ როგორი პოზიტიური შინაარსის განცხადებაც უნდა გააკეთოს, ის სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ხელების ფათურს მაინც არ მოიშლის. ნახეთ, რა გაუკეთა ამერიკას!.. ობამას „გადატვირთვის პოლიტიკის“ მიუხედავად, რუსეთი აქტიურად ამუშავებდა აგენტებს მის წინააღმდეგ და ქვეყნის შიგნით არეულობის მოწყობას ცდილობდა. ახლა ხომ წარმოგიდგენიათ, რას უზამს საქართველოს?

— რუსმა მაღალჩინოსნებმა 11 აგენტის მხილება ამერიკა-რუსეთს შორის სიტუაციის დაძაბვის მცდელობად შეაფასეს. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, ეს კონსერვატორებმა ობამას პოლიტიკის დისკრედიტაციისთვის გააკეთეს.

— შესაძლოა, ვიღაცამ აგენტების დაკავებისა და მათი მხილების დრო მართლაც, გარკვეული ლოგიკით შეარჩია. მაგრამ ეს ხალხი ციდან ხომ არ ჩამოუყვანიათ, ისინი ხომ რეალურად არსებობენ!

— როგორ ფიქრობთ — რუსი აგენტების გამოაშკარავება რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში ან ზოგადად, მსოფლიო პოლიტიკაში რამეს შეცვლის?

— არაფერს შეცვლის: ეს საქმე ისე ჩაფარცხეს, რომ ამერიკიდან რუსი დიპლომატებიც კი არ დაუთხოვიათ. მაგრამ ამ ამბის შედეგად, ამერიკამ მსოფლიო კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლება, ის სანდო პარტნიორი არ არის და რაოდენ კარგ მეგობრად, თანამოაზრედ და მოკავშირედაც უნდა გაღიარებდეს, მაინც შეეცდება, ზურგს უკან წყალი აგიმღვრიოს. ■

„მსოფლიო დეტექტივების სეიფი“
ყოველ ორშაბათს! ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად
თითო კრიმინალური საქმე!
მსოფლიო დეტექტივების სეიფი
საქმე №4
5 - დან 12 ივლისამდე
აგათა კრისტი
მივიწყებული მკვლელობა
საქმე №3
სიდნეი შელდონი
● ნიღაბჩამოხსნილი სახე
● უცნობი სარკეში
საქმე №5
12 ივლისიდან
ჯადსონ ფილიპსი
○ სახლი მთაზე
○ ჭორაობის ქალაქი
ფასი 2 ლარი!
(ჟურნალთან ერთად 3 ლარი)
უკვე გამოსული წიგნები - საქმე №1 და №2
(ჯეიმს ჰედლი ჩეიზი და
ართურ კონან დოილი),
შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში

ინტელექტუალურმა სატელევიზიო პროექტმა გამარჯვებული უნივერსიტეტი გამოავლინა

„როცა ამ თაობას წიგნის უსიყვარულობას აბრალებდნენ, გარკვეულწილად, მეც ვეთანხმებოდი, მაგრამ სატელევიზიო გადაცემა „სტუდენტურ დემოკრატიაში“ მე ვნახე მოტივირებული, ნაკითხი, მომზადებული და მოაზროვნე თაობა და რწმენა დამიბრუნდა... დიდი მადლობა ამისთვის ამ გადაცემის წამყვანსა და ავტორს“, — მითხრა აღელვებული ხმით როინ მეტრეველმა და დარბაზში მოყრილ სტუდენტებს გადახედა. მათ კი ხალისიანი განწყობილებისთვის მიზეზი ნამდვილად ჰქონდათ: 2 ივლისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საშობაო დარბაზში წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები იყვნენ შეკრებილი. წარმატებული სატელევიზიო პროექტ „სტუდენტური დემოკრატიის“ ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი კი სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულების დასაჯილდოებლად ემზადებოდა.

პროექტის წარმატებაში ლომის წილი მის მიზანდასახულ და გამჭრიახ წამყვანს, გოჩა ტყეშელაშვილს ეკუთვნის

ლალი პაპასკირი

ეს გადაცემა მაყურებელმა ეკრანზე, პირველად წლისა და 3 თვის წინ იხილა და ამ ხნის განმავლობაში 16 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები პირველობისთვის იბრძოდნენ. ფინალურ გადაცემაში საქართველოს უნივერსიტეტის, თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის, თბილისის სასულიერო აკადემიის და კავკასიის უნივერსიტეტის გუნდები გავიდნენ. გადაცემის სტუმართა შეფასებებით, 2009-2010 სასწავლო წლის „ყველაზე დემოკრატიული უმაღლესი სასწავლებლის“ ტიტული სამედიცინო უნივერსიტეტს მიენიჭა. პროექტში მონაწილე დანარჩენ უნივერსიტეტებს კი დიპლომები სხვადასხვა ნომინაციაში გადაეცათ.

სამედიცინო უნივერსიტეტის დარბაზში მედიაპროექტ „ბიზნესმარათონის“ გამარჯვებულთა დაჯილდოებაც შედგა. ამ პროექტის საცდელი გადაცემები ერთი თვის განმავლობაში ინტერნეტტელევიზია ITV.GE-ზე ხორციელდებოდა და მასში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესგუნდები მონაწილეობდნენ. გადაცემას ექსპერტთა სტატუსით, ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. „ბიზნესმარათონი“ გოჩა ტყეშელაშვილსა და ეკონომიკის ექსპერტ ირაკლი ლექვინაძეს მიჰყავდათ. ექსპერტთა შეფასებით, საცდელი გადაცემების გამარჯვებული — ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა.

ამ გადაცემამ დამანახვა, რომ ქართველ ახალგაზრდებში ცოდნის ლამპარი ისევ ანთია

გოჩა ტყეშელაშვილი, *გადაცემის ავტორი და წამყვანი:*

— სატელევიზიო პროექტი „სტუდენტური დემოკრატია“ წლისა და 3 თვის წინ დაიწყო. მაშინ სერიოზული მხარდამჭერებიც არ გვყავდა და მასში მე და შემოქმედებითმა ჯგუფმა მთელი გული და სული ჩავდეთ. შედეგი, რომელიც ფინალში მივიღეთ, იმ სტუდენტების დამსახურებაა, რომელთაც აქ ხედავთ და როცა ასეთ მოტივირებულ ახალგაზრდა თაობას ვუყურებ, ბედნიერი ვარ. კარგი თაობა მოდის და თუ ახალგაზრდობის დაბალ ინტელექტზე ლაპარაკობენ, ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ მათ შესაბამისი სტიმული არა აქვთ. ვფიქრობ, ამ გადაცემის დახმარებით სხვა სტუდენტებსაც გაუჩნდებათ სურვილი, უფრო წარმატებულები გახდნენ.

გიგი წერეთელი, *პარლამენტის ვიცე-სპიკერი:*

— თვით პროექტის სახელი უკვე მიანიშნებს იმ ღირებულებასა და ფასეულობაზე, რასაც დემოკრატია ჰქვია. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ მომავალი თაობა ასე სიღრმისეულად სწავლობს დემოკრატიულ პრინციპებს. სწორედ ამ პრინციპების გათვალისწინებით, ეს პროექტი ერთადერთია საქართველოში, რომელმაც სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, პოლიტიკური სპექტრი, სამეცნიერო წრეები და ინტელიგენცია გააერთიანა. პროექტის წარმატებაში ლომის წილი მის მიზანდასახულ და გამჭრიახ წამყვანს, გოჩა ტყეშელაშვილს ეკუთვნის, შემოქმედებით ჯგუფთან ერთად. სიამაყით გეტყვით, რომ პარლამენტი აქტიურად იყო ჩაბმული „ეტალონის“ პროექტებში და ვეცდებით, ბოლომდე მხარში ამოვუდგეთ ასეთ რეიტინგულ გადაცემებს.

ჯანსუღ ჩარკვიანი, *პოეტი:*

— ამ გადაცემამ დამანახვა, რომ ქართველ ახალგაზრდებში ცოდნის ლამპარი ისევ ანთია და ჩვენს ქვეყანაში წიგნიც ისეთივე მთავარია, როგორიც იყო, რაზეც უფროსი თაობა გამუდმებით ვოცნებობდით... მადლობა ამისთვის ბატონ გოჩა ტყეშელაშვილს, იმისთვის, რომ ამ ადამიანმა თავდაუზოგავი შრომა გასწია ახალგაზრდები რომ დაერწმუნებინა — კითხვა მათი წარმატების საწინდარია. „სტუდენტური დემოკრატიის“ წარმატება მართლაც, მამულიშვილური საქმეა და იმედი მაქვს, ახალგაზრდებისთვის განათლების სტიმულად იქცევა. ■

წყალი, რომელიც ასე სჭირდება ჩვენს ორგანიზმს

წყალი ის სასიცოცხლოდ აუცილებელი ნივთიერებაა, რომლის გარეშეც ადამიანის სრულფასოვანი არსებობა წარმოუდგენელია. წყალს ვსვამთ მაშინ, როდესაც გვწყურია და ხშირად სათანადო ყურადღებას არც ვაქცევთ ჩვენ მიერ მოხმარებული წყლის ხარისხს. არადა ეს ისეთივე მნიშვნელოვანია ჩვენი ჯანმრთელობისთვის, როგორიც წყლის ბალანსის დაცვა.

დადასტურებულია, რომ ადამიანის სხეულის 70% წყლისგან შედგება.

- სისხლში წყლის შემცველობა — 70%;
- კუნთებში — 75%;
- ცხიმურ ქსოვილში — 10%;
- ძვლებში — 22%;
- ტვინში — 85%.

— თუ ორგანიზმი თავისი მასის 2% წყალს კარგავს — ვითარდება წყურვილის გრძნობა;

— 6-8% წლის დაკარგვის შემთხვევაში — იწყება თავბრუს ხვევა;

— 10% წყლის დაკარგვისას — იწყება ჰალუცინაციები;

— 12%-ის დაკარგვისას — ორგანიზმი იღუპება!

ზემოთ მოყვანილი მონაცემების შემდეგ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა — რა რაოდენობის წყალი უნდა მიიღოს ადამიანმა იმისათვის, რათა წყლის ბალანსი ორგანიზმში მუდმივად დაცული იყოს? ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის სპეციალისტები დღე-ღამეში წყლის შემდეგი რაოდენობების მიღებას გვირჩევენ:

21°C ტემპერატურის დროს — მინიმუმ 1,5 ლიტრი წყალი

26°C ტემპერატურის დროს — 2 ლიტრი წყალი

32°C ტემპერატურის დროს — 3 ლიტრი წყალი

ექიმების რეკომენდაციებთან ერთად იმ სიცხეს თუ გავითვალისწინებთ, რომელიც საქართველოში შემოდგომამდე შენარჩუნდება, სასურველია და აუცილებელიც კი, რომ ყოველდღიურად 3 ლიტრი წყალი მივირთვათ.

წყლის ბალანსი და მისი როლი ადამიანის ორგანიზმში

ასაკთან ერთად ორგანიზმში წყლის ბუნებრივი ბალანსი ირღვევა და გაუწყლოების პროცესი სულ უფრო აქტიურდება. მაგალითად, ხანდაზმული ადამიანის ორგანიზმში წყლის შემცველობა მხოლოდ 55%-ია. ორგანიზმში წყლის ბალანსის დარღვევა შესაძლოა მრავალი დაავადების გამომწვევ და მაპროვოცირებელ მიზეზად იქცეს. თუმცა, როდესაც ორგანიზმში წყლის დეფიციტზე ვსაუბრობთ, ერთი მნიშვნელოვანი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ. წყალთან ერთად ორგანიზმიდან ჩვენი ჯანმრთელობისთვის აუცილებელი მინერალების ნაკრებიც გაედინება. ამიტომ, თუ ადამიანი მინერალებით ღარიბ წყალს მიიღებს, სითხის ბალანსი კი აღდგება, მაგრამ მინერალური ბალანსი ორგანიზმში დაირღვევა. მაგალითად, ასეთ დროს ყველაზე ხშირია სისხლის მიმოქცევის სისტემის დარღვევა, სისტემატური თავის ტკივილები, დაღლილობა და სხვა.

ყველაზე საუკეთესო შედეგს მთის სუფთა სასმელი წყალი იძლევა, რომელიც გამოირჩევა დაბალანსებული მიკროელემენტების საუკეთესო ნაკრებით. ბუნებრივი მინერალებით გამდიდრებული, სუფთა წყაროს წყალი ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობას მნიშვნელოვნად აუმჯობესებს, ეხმარება ორგანიზმს დაკარგული ენერგიის აღდგენაში და სხეულის სიჯანსაღეს უწყობს ხელს. სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია, რომ სუფთა სასმელი წყლიდან ორგანიზმში მინერალური ნივთიერებების 25% ხვდება. ორგანიზმის მიერ წყლიდან ათვისებული მინერალური ნივთიერებები აქტიურად მონაწილეობენ სასიცოცხლო პროცესებში, ქსოვილებისა და განსაკუთრებით ძვლოვანი ქსოვილების შენებაში, უზრუნველყოფენ ნორმალურ წნევას, არეგულირებენ ფერმენტების მოქმედებას. სუფთა, ბუნებრივი და ხარისხიანი წყლის მიღებით არა მარტო წყურვილს დაამარცხებთ, არამედ ორგანიზმს საჭირო მინერალების ნაკრებით მოამარაგებთ.

ნატურალური წყაროს წყალი ამაღლებს ორგანიზმის სასიცოცხლო ტონუსს და აქვს უნარი ორგანიზმიდან გამოდევნოს მავნე ტოქსინები და შლაკები. ბუნებრივი წყაროს წყლის მიღებით უმჯობესდება საჭმლის მომნელებელი სისტემა და სისხლძარღვების ფუნქციონირება. წყაროს წყალი არეგულირებს ორგანიზმის ტემპერატურას და კანს ელასტიკურობას მატებს. ნატურალურ წყალს აქვს უნარი გაამაგროს კბილის ემალი და სხვ.

„ბაკურიანის“ წყაროს წყლის ბუნებრივ მინერალურ კომპლექსში ორგანიზმისთვის აუცილებელი ყველა მინერალი შედის. ეს წყალი ორგანიზმისთვის საჭირო რაოდენობით შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, როგორიც არის კალციუმი, მაგნიუმი, კალიუმი, ნატრიუმი, ჰიდროკარბონატი და სულფატი. „ბაკურიანი“ არა მხოლოდ წყურვილს მოგიკლავთ, არამედ ორგანიზმში წყლის ბალანსის აღდგენის საუკეთესო საშუალებაცაა.

„ბაკურიანი“ — კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ მიერ წარმოებული პროდუქტია. ამ პროდუქტს საქართველოს ბაზარზე მომხმარებელი 2005 წლიდან იცნობს. თუმცა თავიდან იგი მხოლოდ დიდი — 5 და 19 ლიტრის ტევადობის შეფუთვით იწარმოებოდა და საოჯახო და საოფისე მოხმარებისთვის იყო მოსახერხებელი. 2009 წლიდან, მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად, კომპანიამ ბრენდის წარმოება 0.75-ლიტრიანი და 1.5-ლიტრიანი შეფუთვით დაიწყო. 5-ლიტრიანი კი, 6-ლიტრიანმა ჩაანაცვლა, მოგვიანებით კი დიდ შეფუთვებს 3-ლიტრიანი შეფუთვაც დაემატა. დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ „ბაკურიანის“ პორტფელის გაფართოება ქართველი მომხმარებლისთვის მოსახერხებელი აღმოჩნდა. დღეს კომპანია მარტო ბაკურიანის ბრენდს 5 სხვადასხვა შეფუთვით სთავაზობს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ წყლის ფასი ბაზარზე ყველაზე კონკურენტუნარიანია.

სახე

მამუკა გამყრელიძის საკურორტო თავგადასავლები

„ბოგონებმა გვიპატრონეს, ასაკით ჩვენზე უფროსები იყვნენ...“

„ცოტა უცნაური ხასიათი მაქვს — არც ზღვის კურორტები მიყვარს და არც მთის, ყველაზე კარგად ქალაქში ვისვენებ“, — ამბობს გადაცემის — „ვის უნდა 20 ათასი“ — წამყვანი, მამუკა გამყრელიძე. წელიწადის დროებიდან გამორჩეულად, შემოდგომა უყვარს, განსაკუთრებით — საქართველოში. ზამთრის სიცივეს ზაფხულის პაპანაქება ურჩევნია, ამბობს, რომ ბედუინივით კაცია — სიცხეს მშვიდად იტანს, მაღალი ტემპერატურა დისკომფორტს არ უქმნის...

მეუღლესთან ერთად

თამუნა კვინიკაძე

— ბავშვობაში მშობლებთან ერთად, შოვში, ბორჯომში, სურამში ვისვენებდი. მაშინდელი სანატორიუმები პროფკავშირის ან მეოთხე მთავარი სამმართველოს (*საბჭოთა ელიტის სამკურნალო დაწესებულებათა სისტემა. — ავტ.*) დაქვემდებარებაში იყო. როცა საგზურით გათვალისწინებული ვადა ამოიწურებოდა, მერე ბინას ვქირაობდით. ყველა სანატორიუმი ბავშვებით იყო სავსე, ასაკის შესაბამისად, კარგ დროს ვატარებდით. მახსოვს, ბორჯომში ერთი გოგონაც შემიყვარდა, რიტა ერქვა... (*პაუზის შემდეგ*) საოცარი განცდა იყო, გულში ჩამრჩა.

— ის ზაფხული გაიხსენეთ, როცა დასასვენებლად პირველად წახვედით ძმაკაცებთან ერთად.

— კარგად მახსოვს, გაგრაში წავედით. იმ პერიოდში ბიჭვინთაში დასვენება უფრო იყო მოდაში, მაგრამ მე ყოველთვის გაგრასა და სოხუმში ჩასვლა მერჩივნა. სოხუმში კომპოზიტორთა სახლის სანატორიუმი იყო, მთელი რუსეთის ბომონდი იქ ჩადიოდა. საბჭოთა კავშირის ყველა ცნობილი კომპოზიტორი იქ ისვენებდა. ბიჭვინთაში ლიტერატორები ისვენებდნენ.

— გაგრაში ახალი „რიტა“ არ შეგხვდათ?..

— (*იცინის*).

— როგორ ერთობოდით?

— რა ვიცი, ვერთობოდით. საინტერესოდ ვატარებდით დროს. ხშირად ვქეიფობდით, მაგრამ ჩვენი შეკრებები წრეგადასულ ღრეობაში არასდროს გადადიოდა. არც ნარკოტიკებს ვიყენებდით — ეს ჩემს სამეგობროში ძალიან არაპოპულარული იყო. მუსიკა გვიყვარდა და დღესაც ასეა. მეგობრები გიტარაზე უკრავდნენ... მოკლედ — სუფრა, მუსიკა, გოგონები... ყველაფერს ნუ მომაყოლებ, რა!..

— არა, ყველაფრის მოყოლას არ გთხოვთ.

— პლაჟზე რომ გავიდოდით, შეუხედავ გოგოებზე „ჩალიჩს“ ვიწყებდით. ვიცოდით, ასეთი გოგო მერე აუცილებლად ლამაზ მეგობარს მოიყვანდა... უმეტესობა რუსები იყვნენ, ბელორუსები, უკრაინელები და პოლონელებიც. საკმაოდ „გახსნილები“ არიან... ერთ დღეს მე და ჩემმა ძმაკაცმა ქუჩაში 2 ლამაზი გოგო შევნიშნეთ; იმ დღეს ოფიციალური შეხვედრიდან მოვდიოდი და ჩაცმულიც შესაბამისად ვიყავი. მეგობარს გადავულაპარაკე, — ეს გოგონები არ „მოვხსნათ“-მეთქი? ამ დროს შევნიშნეთ, რომ სხვებიც „ეჩალიჩებოდნენ“. ჩვენ მანქანით ვიყავით. ტროტუარზე მიმავლებს გადავუსწარით და რამდენიმე მეტრის მოშორებით გავჩერდით. მანქანიდან გადმოვედი და, ის ბიჭები მომიახლოვდნენ თუ არა, ერთ-ერთს მკაცრი ტონით, ყოველგვარი შესავლის გარეშე ვუთხარი, — ესენი უცხოელები არიან, ახლავე თავი დაანებეთ, გაიგეთ?!. მე ცენტრალური კომიტეტიდან გახლავართ-მეთქი... ამ სიტყვების თქმისთანავე გავშორდი. „ტიპი“ ადგილზე გაქვავდა.

— მერე ის გოგონები თქვენს მანქანაში მიიპატიჟეთ?

— აბა, რას ვიზამდით?! მანქანის კარი გამოვაღე, გავუღიმე და, — დაბრძანდით, გენაცვალე-მეთქი, — მივმართე თავაზიანად (*იცინის*).

— საზღვარგარეთის კურორტებს თუ სტუმრობდით?

— არა, ეს მაშინ ჩემთვის პრობლემა იყო. მამა მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. საგზური არაერთხელ გამიკეთა, მაგრამ ინსტიტუტში ისეთი პარტკომი მყავდა, არსად მიშვებდა.

— მიზეზი რა იყო?

— სასწავლებელში მისვლის დღიდან ამითვალწუნა. მიზეზი — საღეჭი რეზინი იყო, რომელიც ბავშვობიდან ძალიან მიყვარს. ერთხელ მიბრძანა, — გადააგდეო. შევეკამათე, — რატომ უნდა გადავაგდო-მეთქი? ვაღიარებ, ცოტა უზრდელი კაცი ვიყავი... მოკ-

ლედ, სანამ ინსტიტუტი დავამთავრე, ამ პარტკომის „წყალობით“, ვერც ინგლისში წავედი, ვერც გერმანიაში. საზღვარგარეთ პირველად, უნგრეთში გავემგზავრე. იქ ერთი თვე, მე და ჩემი მეგობარი, მეუღლეებითურთ, კერძო სახლში ვცხოვრობდით.

— მთის კურორტებზე დასვენება არ გიყვართ?

— თოვლსა და სიცივეს ვერ ვიტანს, გუდაურშიც კი არ ვარ ნამყოფი. სიმართლე გითხრათ, ზღვის მოყვარულიც არ ვარ. ერთადერთი ადგილი, სადაც ვისვენებ, ქალაქია. ხმაური არ მღლის. ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერება, პარკებში დასვენება, ქუჩებში ხეტიალი მიყვარს. ახლა შვილიშვილი მიმყავს გერმანიაში. მიუნხენის სამუზეუმო კომპლექსი უნდა დავათვალიერებინო. ეს სიამოვნება თავად, უკვე მიღებული მაქვს.

— რომელმა ქალაქმა მოახდინა თქვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება?

— ლონდონი მომწონს. იქ ულამაზესი პარკებია — სუფთა, მოვლილი ბალახით, შადრევნებით. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ყველაფერს ხალხი უვლის. დიდი კულტურით გამოირჩევიან, არ ანაგვიანებენ... ლონდონში არსებობს ე.წ. როზარიუმი, რომელიც დედოფალ ვიქტორიას დროს გაშენდა. იქ 200 წლის ვარდები ხარობს. ირგვლივ ისეთი სილამაზე და სურნელია, გამოსვლა არ მოგინდება. პარკების კულტურა ფრანგებსაც აქვთ, მაგრამ იქ, წყლის დეფიციტის გამო, ნაკლები ბალახია, ფხვიერი ქვიშით მოპირკეთებული ბილიკები მტვრიანია. ფრანგული პარკები ხელოვნურად შექმნილს ჰგავს. ლონდონში კი ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ქალაქგარეთ, ტყეში ხარ გასული: ჩიტები ჭიკჭიკებენ, ციყვები დახტიან... ლონდონი ულამაზესი ქალაქია.

— ამა თუ იმ ქვეყანაში ჩასვლისას, ბუნებრივია, იქაურ სამზარეულოსაც ეცნობით. ეგზოტიკური კერძები დაგიგემოვნებიათ?

— კალიების გარდა, ყველაფერი მიჭამია. ბაყაყის ბარკლებს ქათმის ხორცისმაგვარი გემო აქვს. გველის ხორციც გამისინჯავს, მაგრამ არასდროს მიჭამია კუპატი, ხაში, გულ-ღვიძლი. შიგნეულობისგან დამზადებულ კერძებს ვერასდროს გავსინჯავ. საერთოდ, უპირატესობას ევროპულ, კონკრეტულად — იტალიურ სამზარეულოს ვანიჭებ. გრილზე შემწვარ ხორცს არაფერი შეედრება.

ლონდონი მომწონს. იქ ულამაზესი პარკებია — სუფთა, მოვლილი ბალახით, შადრევნებით

— სპორტის ექსტრემალური სახეობები თუ გიზიდავთ?

— არა, მე ჩოგბურთი მიყვარს. იმდენად, რომ შემიძლია, საათობით შეუსვენებლად ვითამაშო. სპორტის ექსტრემალური სახეობებისგან ძალიან შორს ვარ. ზღვაში თავი ჩამიყვია (*იცინის*)... ერთხელ წითელ ზღვაში ჩავყვინთე. წყალქვეშა სამყაროს სილამაზე მომეწონა, მაგრამ არ გამიტაცა. ირგვლივ ყველაფერი აკვარიუმივით იყო. საერთოდ, ზღვაში იშვიათად ჩავდივარ, აუზით ვკმაყოფილდები. არც ერთ ალპინიადაზე არ ვყოფილვარ, არც თხილამურებით ვსრიალებ.

— ბევრ ქვეყანაში ხართ ნამყოფი?

— არასდროს დამითვლია, ალბათ 20-მდე იქნება. ჰოლანდიის გარდა, ევროპის ყველა ქვეყანაში ვარ ნამყოფი.

— ქვეყანა, რომელში მოგზაურობის სურვილიც დღემდე ვერ აიხდინეთ, რომელია?

— იერუსალიმში მინდა ჩავიდე. იქ არ ვყოფილვარ და ძალიან მაინტერესებს. სექტემბერში ვაპირებ გამზავრებას.

— ოდესმე მოგზაურობისას, უფულოდ თუ დარჩენილხართ?

— (*იცინის*) ეს წლების წინ მოხდა. ჩემმა მეგობარმა ცოლი შეირთო და მეუღლესთან ერთად, სოჭში წავიდა. 2 დღის შემდეგ მე და ჩემი მეორე მეგობარიც გავემზადეთ გასამგზავრებლად. ორივეს 300 მანეთამდე გვქონდა. მაშინ სოჭამდე მატარებლის ბილეთი 10 მანეთი ღირდა. მატარებლით მგზავრობა რატომღაც დაგვეზარა. თვითმფრინავი სოხუმის აეროპორტში დაჯდა და რაღაც მიზეზის გამო, სოჭში ვეღარ გადაფრინდა. იძულებული გავხდით, სხვა ტრანსპორტით გაგვეგრძელებინა გზა. მაშინ სოხუმიდან სოჭამდე მანქანებით მანდარინი მიჰქონდათ; ერთ-ერთ ასეთ მანქანაში ჩავსხედით. მახსოვს, 5-5 მანეთი გამოგვართვეს. მაგრამ გზად, 25 მანეთის მანდარინი შევუჭამეთ... სოჭში რომ ჩავედით, ღამე იყო. მეგობარს მივაკითხეთ, იმ ღამესვე რესტორანში ვიქეიფეთ. მაგარი დრო გავატარეთ, მაგრამ ჩვენი 300 მანეთიდან ძალიან ცოტა დარჩა. მეორე დღეს ამ თანხით ისევ რესტორანში შევედით. გვერდით სუფრასთან ტუაფსელი გოგონები ისხდნენ. გავხედეთ, გავუღიმეთ... თავადაც გაგვიღიმეს. მერე ვიცეკვეთ. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, იმ გოგონებმა მოგვხედეს, გვიპატრონეს, ასაკით ჩვენზე უფროსები იყვნენ... თბილისში დაბრუნების დროც დადგა, მაგრამ წამოსასვლელი ფული აღარ გვქონდა. ისევ მეგობარს მივაკითხეთ და სამგზავრო ფული ვთხოვეთ. არაო, — თავი გაიგიჟა, — ცოლი ახალი მოყვანილი მყავს და მას რაღაცები უნდა ვუყიდოო. — იცოდე, მე წავალ, მამუკას დაგიტოვებ და მისი გამოკვება რამდენიც დაგიჯდება, შენს თავს დააბრალეო. — დამეუქრა გია (ჩემი თანმხლები მეგობარი)... მოკლედ, მუქარამ გაჭრა, ფული ავიღეთ და მატარებლით წამოვედით. გზად გიამ გადამალული 10-მანეთიანიც გამოაჩინა და გემრიელად ვისადილეთ.

— ბოლოს მინდა, გადაცემის შესახებაც გკითხოთ: ახალი სეზონიდან ის ხომ კვლავ გავა ეთერში?

— ამ ფორმატმა გაამართლა. ადამიანს შეგიძლია, 1 ლარით სასიკეთო საქმის მონაწილე გახდე. სულ მილიონ 100 ათასი ლარი შემოვიდა, 40 ოჯახის ცხოვრება სასიკეთოდ შეიცვალა!..

— ყველაზე მეტად, რომელი მოთამაშე დაგამახსოვრდათ?

— კოტე კუბლაშვილი და ნიკა გვარამია. ადამიანური თვალსაზრისით, ყველაზე მაგარი — ჭოლა იყო, ხოლო სასაცილო — დიმა ობოლაძე: ამ ადამიანმა იმდენი ინერვიულა, რამდენიც ყველა დანარჩენმა, ერთად აღებულმა... ახალი სეზონიდან, „ვის უნდა 20 ათასი“ „რუსთავი 2“-ის ეთერში კვლავ გავა (არ ვიცი, შეიძლება, რამე სიახლეც იყოს). შესაბამისად, დასახმარებელ მოქალაქეთა განცხადებების მიღებაც განახლდება. ■

მიზანსწრაფული, დაბნეული, მარცხიანი და უზომოდ შეყვარებული

„ძალიან ბედნიერი ვარ, გაბრწყინებული თვალებით, ცოტა ეჭვიანიც“

რუსკა მაყაშვილი **რუსთაველის თეატრის მსახიობია. მისი სახელი უკავშირდება სპექტაკლებს: „კვერცხი“, „სულიერი არსებები“, „ბიდერმანი და ცეცხლის წამკიდებელნი“, „გაიღიმეთ, ჩიტი გამოფრინდება“, „დაბოლილი მთვარე“ და სხვ. თუმცა ფართო აუდიტორიამ რუსკა ერთ-ერთი პოპულარული რეკლამიდან გაიცნო, სადაც მსახიობი ფიფქიას ასახიერებს და ძალიან ლამაზად ცეკვავს. რუსკა აგრეთვე მონაწილეობს გახმაურებულ სრულმეტრაჟიან ფილმში „ოცნების ქალაქი“. ახლახან მსახიობი ახალ ტელესერიალშიც გამოჩნდა — „გოგონა გარეუბნიდან“.**

ნინო მჭედლიშვილი

— „ოცნების ქალაქში“ თინჩო ვარ, ტელესერიალში — ანჩო. მოკლედ, ეს „ნჩოები“ უკვე ყელშია ამოსული (*იცინის*)!.. ამბიციური და „სტერვაა“ ანჩო. ახლა ვფიქრობთ, ცოტა სასაცილო გავხადოთ ჩემი გმირი, კომიკური პერსონაჟი.

— **სინამდვილეში როგორი ხასიათი აქვს რუსკა მაყაშვილს?**

— მტკიცე ხასიათი მაქვს. რასაც ვიტყვი, შეიძლება, დროში გამეწელოს, მაგრამ აუცილებლად გავაკეთებ. ვცდილობ, საკუთარ თავს არ გადავაბიჯო. მიზანდასახულიც ვარ.

— **გადაწყვეტილებებს ცხელ გულზე იღებ?**

— უმნიშვნელო გადაწყვეტილება შეიძლება, ცხელ გულზეც მივიღო. მაგალითად, რაღაცაზე გავბრაზდე, წამოვხტე და წამოვიდე იმ კონკრეტული ადგილიდან... ცხელ გულზე მეგობრის გამოც მიჩხუბია, მაგრამ ეს ჩემებს არ სწყინთ. იციან, რომ ასეთი ვარ და 3 წუთში გადამივლის გაბრაზება. ბოღმას გულში არასდროს ვიდებ, ისეთი რაღაცები მავიწყდება, რაც არ უნდა დამავიწყდეს. მერე ჩემს თავზე მეშლება ხოლმე ნერვები. ხშირად ისიც კი მავიწყდება, რატომ გავბრაზდი, რატომ ვიჩხუბე.

— **მტრალა ხარ?**

— ამ ბოლო დროს გავხდი მტრალა.

— **რისი ბრალია?**

— ჩემი არანორმალური დღის რეჟიმისა და გადაღლილობის. რომ ვიტირებ ხოლმე, მერე კარგად ვარ.

— **საყვარელი ადამიანის გამო გიტირია?**

— ჯერჯერობით არა და იმედი მაქვს, არც მომიწევს არასდროს. სიყვარული მაბედნიერებს. შეიძლება, სიხარულისგან ვიტირო, სხვა მხრივ — არა.

— **ახლა ბედნიერი ხარ?**

— ძალიან.

— **როგორია შეყვარებული რუსკა?**

— ძალიან ბედნიერი, გაბრწყინებული თვალებით, ცოტა ეჭვიანიც. სულ კარგ ხასიათზე ვარ, ისედაც არ ვუჩივი ხასიათს, მეგობრებს დებილიც კი ვგონივარ (*იცინის*), — როგორ შეიძლება, გამუდმებით კარგ ხასიათზე იყოო?! — მეუბნებიან.

— **რა არის შენთვის ეჭვიანობის საბაბი? შეიძლება, მაგალითად, მის მეგობარ გოგოზე იეჭვიანო?**

— არა, მეგობარ გოგოზე არ ვიეჭვიანებ.

— **კაფეში რომ ნახო გოგონასთან ერთად, როცა გეგონა, თეატრში იყო, მაშინ?**

— ასეთ შემთხვევაში, ძალიან გავბრაზდები: ტყუილი ყველაზე მეტად მეზიზღება. ეს გიორგიმაც კარგად იცის. არა აქვს მნიშვნელობა, პატარა ტყუილს მეტყვი თუ დიდს, — ორივე შემთხვევაში ერთნაირად გავბრაზდები.

— **თვითონ რამდენად გეხერხება ტყუილის თქმა?**

— ფანტასტიკურად. ისე ვიტყვი ტყუილს, ნერვიც არ ამიტოკდება. ბავშვობაში იმდენს ვიტყუებოდი!.. დამნაშავე რომ ვიყავი, ისე მოვყვებოდი ამა თუ იმ შემთხვევას მშობლებთან, რომ ჩემს დას ჰბრალდებოდა ყველაფერი.

— **ერთი და გყავს?**

— ერთი და და 3 წლის ძმა — ნოდარიკო... უი, ნოდარიკო კი არა... ნოდარიკო ჩემი დისშვილია, ჩემს ძმას ელიზბარი ჰქვია. ნახე, რა დაბნეული ვარ (*იცინის*).

— **ადამიანთა სახელებს, ქუჩის დასახელებებს რამდენად კარგად იმახსოვრებ?**

— ვერ ვიმახსოვრებ. ერთი და იმავე ადგილას შეიძლება, მესამედ მივდიოდე და მაინც ვერ მივაგნო. სადარბაზოებსაც ვერ ვიმახსოვრებ. საშინელი ორიენტაცია მაქვს, ფილარმონიის წინ რაღაც რომ მიგასწავლო, შეიძლება, — უკან არისმეთქი, გითხრა. ვერ ვარჩევ მანქანების ფირმებს. მარტო „მერსედესი“ და „ბემვე“ ვიცი, რომელია. ვერ ვიმახსოვრებ დაბადების დღეებს. წელს ჩემი ყველა დაქალის დაბადების დღე დამავიწყდა და სულ საყვედურებით ამავსეს. ბოლოს მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, — დღეს ჩემი დაბადების დღეა და მოეთრიეო... ჰოდა, ასე დარცხვენილი მივდიოდი.

— **თვითონ როგორ აღნიშნავ დაბადების დღეს?**

— არ მიყვარს ჩემი დაბადების დღე, ბოლო 3 წელია, არ აღმინიშნავს. მეზარება.

— **ზარმაციც ყოფილხარ.**

— ისე, რა.

— **დილით მაღვიძარა გაღვიძებს თუ თავად ახერხებ გაღვიძებას?**

— დილით მაღვიძებს ტელეფონი, რომელზეც დაყენებული მაქვს მაღვიძარა და რომელიც ბალიშის ქვეშ მიდევს. მთელ ოთახს აზანზარებს, რომ რეკავს. ეგ რომ არ იყოს, წასულია ჩემი საქმე. ძლივს ვდგები. თითებზე ვითვლი, რამდენი საათი მეძინა. 8 საათი თუ არ მძინავს, დაღუპული ვარ. ენერგია საერთოდ არა მაქვს. თან, ყავასაც არ ვსვამ.

— **რატომ?**

— ბავშვობაში დედა არ გვასმევდა, მერე რაღაც, აღარ მომინდა. გავსინჯე, მაგრამ არ მომეწონა.

— **დაბადების დღეზე ვსაუბრობ-**

დით: შენს დაბადების დღეს მანქანა რომ გაჩუქოს ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა, ამ საჩუქარს მიიღებ?

— არ ვიცი, არა.

— **ძალიან კარგ მანქანაზე იტყვი უარს?**

— ვაიმეეე... როგორმა თაყვანისმცემელმა? თუ ის ადამიანი ბიზნესმენია, მისთვის ის მანქანა არაფერია და თანაც, თუ ის ჩემი, როგორც მხოლოდ მსახიობის თაყვანისმცემელია, მივიღებ, სხვა შემთხვევაში — არა.

— **მანქანა გყავს?**

— არა, მაგრამ მეყოლება ალბათ. მართვა ვიცი, მაგრამ ავტომატიკა მირჩევნია მექანიკას. აუტკივარი თავის ატკივება მეზარება.

— **შეყვარებული ვარო, მითხარი. გვიამბე ცოტა რამ მის შესახებ.**

— გიორგი ყიფიანია ჩემი შეყვარებული. ახლა აპირებს ესპანეთში სასწავლებლად წასვლას — სპორტული მენეჯმენტი უნდა შეისწავლოს, „ტრენერობა“ სურს. ჯიპა აქვს დამთავრებული.

— **განშორება მოგიწევთ, ალბათ, რამდენიმე წლით...**

— ჩამოვა ხოლმე. მეც ჩავალ ესპანეთში... მალე გავა დრო. განშორება ზოგჯერ კარგიცაა გრძნობების გამოსაცდელად.

— **...წვეულებაზე ხარ საყვარელ ადამიანთან ერთად, ის კი სხვა გოგოს ეცეკვება. იქნება ეს თქვენ კამათის მიზეზი?**

— სხვა გოგოს გააჩნია: თუ ძალიან ლამაზია და საერთოდ არ ვიცნობ, ჩემი შეყვარებული კი მთელი საღამო მასთან ცეკვავს, ალბათ ცოტათი ვიეჭვიანებ. მე იმავეს არც ერთ შემთხვევაში არ გავაკეთებ. არც სამაგიეროს გადახდის მიზნით ვიცეკვებ სხვასთან. საერთოდ, სამაგიეროს გადახდას ვერ ვიტან.

— **გჯერა იმ კომპლიმენტის, რომლებსაც ქალები გეუბნებიან?**

— რა თქმა უნდა, არა. სრული იდიოტიზმია ამის მოსმენა ქალისგან, — რა ლამაზი ხარ, რა კარგად გამოიყურებიო... არასდროს მითქვამს უსაფუძვლოდ კომპლიმენტი ქალისთვის. მქონია შემთხვევა, როცა ძალიან ცუდად გამოვიყურებოდი (არც დრო მქონდა თავის მოსაწესრიგებლად და არც განწყობილება), გავრბოდი რეპეტიციაზე და ამ დროს შემხვედრია ვიღაც და, — ვაიმე, რა კარგად გამოიყურები, რუსკაო!.. მაგ დროს მინდა ვუთხრა, — შენ არამეთქი, — ან რაღაც უარესი. მე ასეთი რამ არ შემიძლია — თუ არ მომწონს, მირჩევნია, ჩუმად ვიყო (ეს ხშირად ხდება) ან პირში ვუთხრა, რომ არ მომწონს. ზურგს უკან სხვებთან ჭორაობა, — ნახე, ის რას ჰგავს!.. — და პირში იმის თქმა, — რა ლამაზი ხარ-მეთქი! — ჩემი აზრით, უსინდისობაა.

— **როგორი დიასახლისი ხარ?**

— აზრზე არა ვარ (იცინის)... ალბათ კარგი დიასახლისი ვიქნები. სახლში თითქმის სულ არა ვარ. რომ მოვდივარ, ჩემებს სძინავთ და რომ მივდივარ, მაშინაც სძინავთ.

— **და ამას არავინ აპროტესტებს?**

— არა, ასე ამბობენ, — ბავშვი მუშაობსო... მიუხედავად ამისა, მგონია, რომ კარგი დიასახლისი ვიქნები.

— **ამჟამად არაფერი გევალება? კერძის მომზადება, ბინის დალაგება, საკუთარი გარდერობის მოწესრიგებაც კი?**

— ეგ ყველაფერი მე რომ მევალებოდეს, ახლავე თავს მოვიკლავდი. იციან, რომ ძალიან ვიღლები და აღარ მტვირთავენ. რაღაც, ბევრჯერ ვთქვი, რომ ვიღლები, მაგრამ მართლა ასეა. ამას წინათ ვხუმრობდი, — სექტემბრიდან ველოდები აგვისტოს-მეთქი: სექტემბრიდან ერთი დღეც არ დამისვენია, ახალ წელსაც კი. მინდა, ერთი თვით სადმე გადავიკარგო.

— **როგორ გიყვარს წუწუნი!..**

— ჰო, მაგრამ მგონი, საფუძვლიანად ვწუწუნებ. დასვენება მინდა! კი ვამბობ, ერთი თვე გადავიკარგები-მეთქი, მაგრამ ერთ კვირაში მომწყინდება, ვიცი.

— **წელს სად აპირებ დასვენებას?**

— თურქეთში მინდა წავიდე. საერთოდ, ისეთ ადგილზე ვისვენებ, სადაც წყალია. წყლის ნიშანი ვარ, მორიელი და წყლის გარეშე ვერ ვძლებ.

— **მითხარი ფრაზა შენი საყვარელი ლექსიდან.**

— რატომ?

— **მაინტერესებს, როგორი ლექსები გიყვარს.**

— ლექსები საერთოდ არ მიყვარს, უფრო სწორად, ლექსების წაკითხვა არ მიყვარს. ბოლო დროს ერთი ფრაზა ამოვიჩემე, — „ო, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება“.

— **ეს, მგონი, შენი სიზარმაცის გამო აიკვიატე და არა იმ გლობალური პრობლემის გამო, რომელსაც ავტორი გულისხმობდა.**

— (*იცინის*) მე ვარ კიდევ ზარმაცი?!.

— **საერთოდ, როგორ იღებ კრიტიკას?**

— ნორმალურად. ყველას არ მოვეწონები. ყველას კრიტიკის გამო თუ გამისკდა გული, ცუდად იქნება საქმე... ვუსმენ, ზოგჯერ ვეთანხმები კიდეც და ვიზიარებ. თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ მაკრიტიკებს: თუ ვიცი, რომ ამ ადამიანს იმდენიც არ გაუკეთებია, რაც მე, რა თქმა უნდა, კარგად ვიფიქრებ — გავითვალისწინო თუ არა მისი შეფასება, მით უფრო — კრიტიკა.

გიორგი ყიფიანია ჩემი შეყვარებული. ახლა აპირებს ესპანეთში სასწავლებლად წასვლას

— **გაიხსენე შემთხვევა შენი ცხოვრებიდან, რომელიც შენს ხასიათს კარგად დაგვანახვებს...**

— კომიკური ადამიანი ვარ, ცოტა — ხიფათიანიც: ყველგან ძირს ვეცემი, აბსოლუტურად ყველგან. შეიძლება, უბრალოდ ვიდგე და უეცრად წავიქცე. სერიალში „გოგონა გარეუბნიდან“ ყველას ჩემი კურიოზები აკერია პირზე. რომ დაიყვირებენ, — „მატორ!“ — უკვე ძირს ვაგდივარ. თან, იქ ხომ სულ მაღალქუსლიანები მაცვია (*იცინის*)... ვერ ვხვდები, რატომ, მაგრამ ქუჩაში, სადარბაზოში, კიბეზე — ყველგან ვეცემი. დღე არ გავა, რომ არ წავიქცე. თუ ხელში რამეს დავიჭერ, ყველაფერი მიფუჭდება.

— **შენ კი ამბობ, კარგი დიასახლისი ვიქნებიო...**

— ფანტასტიკური! დავლეწავ მთელ სამზარეულოს (*იცინის*)!..

— **მგონი, შენი შეყვარებული ახლავე უნდა მიაჩვიო იმ აზრს, რომ საჭიროა, კერძების მომზადება ისწავლოს...**

— კერძების მომზადება ვიცი, მაგრამ იმ სამზარეულოში, სადაც მე ვტრიალებ, ისეთები ხდება... ამას სიტყვით ვერ გადმოგცემთ. ■

მართვა ვიცი, მაგრამ ავტომატიკა მირჩევნია მექანიკას

ჩახლართული ამბები, ინტრიგების ქსელი და 32 სახასიათო პერსონაჟი

როგორ გახდა 24 წლის მეიგავე სერიალის სცენარისტი

ლალი ფაცია

„ქრისტეშობამდე 615 წელს,/ ერთ იგავ-არაკს წერდა ეზოპე —/ იმის შესახებ, როგორ დასდევდა/ აჩრდილი ერთ ბიჭს — თავის მეზობელს./ მერე კრილოვმა ლექსად გარდაქმნა,/ ცოტა შეცვალა სიგრძე-სიგანე,/ აკაკიმ თარგმნა, მანაც შეცვალა,/ თავისებურად შემატა სიბრძნე./ მეც მინდა, ერთი რაღაც შევცვალო,/ ღმერთო, ნუ მინყენ, შენ გევედრები./ სხვა კუთხით მინდა წარმოვაჩინო,/ თორემ მე იმათ კი არ ვედრები?“ — ეს გახლავთ ნაწყვეტი, რამდენიმე წლის წინ დაწერილი იგავ-არაკისა, რომლის ავტორიც ჩვენი თანამედროვე, თეატრმცოდნე — ნიკა წულუკიძე გახლავთ... სანამ იგავ-არაკების წერას შეუდგებოდა, მანამდე თეატრალურ უნივერსიტეტში სამსახიობო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მოგვიანებით მიხვდა, რომ მისგან მსახიობი არ გამოვიდოდა და თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩააბარა... ამ ნაბიჯის გადადგმა ქართული თეატრმცოდნეობის პატრიარქმა — ვასო კიკნაძემ შესთავაზა, რომელმაც უთხრა: ჩემთან თუ დააპირებ სწავლას, სპეციალურად შენთვის ავიყვან ჯგუფს და მერე ჩემი საქმის გამგრძელებლად დაგტოვებო... ნიკამ პედაგოგის წინადადება ყურად იღო, რითაც დღეს უკმაყოფილო სულაც არ არის. მაგისტრის ხარისხიც დაიცვა და სადოქტოროზეც იწყებს მუშაობას. თეატრი ნიკასთვის ყველაფერია... სხვათა შორის, მისი მეიგავეობაც თეატრს უკავშირდება: „როცა სამსახიობო ფაკულტეტზე აბარებ, გარითმული იგავ-არაკების წაკითხვა მოგეთხოვება... პედაგოგმა, ვისთანაც ვემზადებოდი, მირჩია, — იქნებ სცადო, თვითონ დაწერო იგავ-არაკი და მისაღებ გამოცდებზეც წაიკითხოო? მეც ავდექი და დავწერე იგავ-არაკი ბაჭიაზე (ბაჭიაში ჩემს თავს ვგულისხმობდი), რომელსაც მსახიობობა უნდოდა: „ულრან ტყეში, ერთ გორაზე პატარა წყაროს მახლობლად/ განთქმული მსახიობები — დათვი და ლომი სახლობდა./ იმ გორაზე, იმ წყაროსთან, მსახიობთა ახლომახლო/ პაპისგან დანატოვარი აქვს ბაჭიას სამოსახლო./ ლამაზ და კოხტა ეზოში ნატვრის ხე ამოსულიყო./ ბაჭია იქ ოცნებობდა, არტისტი გამოსულიყო./ სიზმარშიც სცენაზე იდგა, სცენასაც ყვავილებით რთავდნენ/ ჩიტები და ცხოველები ოვაციებს უმართავდნენ“.../ მიმღები კომისიის წევრებმა, აბიტურიენტის მიერ წაკითხული მისი იგავ-არაკი რომ მოისმინეს, მოიხიბლნენ. თეატრალური უნივერსიტეტის არსებობის მანძილზე ასეთი შემთხვევა პირველად მოხდა. ამ ფაქტმა ხელი დიდად შეუწყო ნიკას ჩაბარებაში... დღეს კი მისაღებ გამოცდებზე, კრილოვის იგავ-არაკებთან ერთად, აბიტურიენტები ნიკა წულუკიძის ნამუშევრებსაც კითხულობენ. 24 წლის შემოქმედისთვის ალბათ ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია.

— ნიკა, როგორც ვიცი, შენი იგავ-არაკები სცენაზეც არის დადგმული...

— დიახ, „თავისუფალ თეატრში“ ავთო ვარსიმაშვილმა და თიკო კორძაძემ ჩემი ნამუშევრების მიხედვით სპექტაკლი დადგეს. სხვათა შორის, დები ღლონტები ანუ მსახიობები — თათული ედიშერაშვილი და თამუნა ნიკოლაძე პირველად, სცენაზე კაჭკაჭების როლებს ჩემს იგავ-არაკებში თამაშობდნენ. უღრმესი მადლობა რეჟისორებს, მსახიობებს და საერთოდ, ყველას!

— კი, მაგრამ ეს მეიგავე კაცი როგორ მოხვდი „ღამის შოუს სტუდიის“ ახალ პროექტში — „გოგონა გარეუბნიდან“ — სცენარისტად?

— ამ ამბავს საინტერესო დასაწყისი აქვს: 3 წლის წინ მე, ჯაბა კილაძე და კახა მიქიაშვილი ჯაბას ბებიასთან, ფასანაურში ვისვენებდით (თამარა ბებო „გენიალურ“ ხინკალს აკეთებს). იქვე აქვს სახლი ვანო ჭელიძესაც („ღამის შოუს სტუდიის“ დირექტორი), რომელმაც თავისთან დაგვპატიჟა (ვანოს მაშინ არ ვიცნობდი). ჩემზე ამბობენ, პატარა იუმორის გრძნობა აქვსო. ჰოდა, ერთად რომ დავსხედით, რაღაცები მოვყევი და სიცილით კინალამ გაიგუდნენ. ვანომ მითხრა, — კარგი იქნება, თუ ჩვენთან სტუდიაში მოხვალო... მაგრამ ამ ამბავს განვითარება არ მოჰყოლია. თუმცა ვანოსთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია. ამ ადამიანს უდიდეს პატივს ვცემ. ცოტა ხნის წინ უკვე საქმიანი წინადადებით დამირეკა და მითხრა: ახალ სერიალზე ვინწყებთ მუშაობას და ისეთი სცენარისტი გვჭირდება, რომელსაც იუმორის გრძნობაც აქვს და წერაც ეხერხებაო... მივედი. კანდიდატები ბევრნი იყვნენ, მათ ირაკლი კაკაბაძე ხვდებოდა. 2-3 სცენის დაწერა დაგვავალა (შაბათი დღე იყო) და გვითხრა, ხუთშაბათს მოგვიტანეთო. იქიდან რომ წამოვედი, ისე მოხდა, რომ მამაჩემი სასწრაფოდ საოპერაციო აღმოჩნდა... ოთხშაბათ საღამოს საავადმყოფოს პალატაში ფიქრებით დაღლილს გამახსენდა, რომ მეორე დღეს სცენარი უნდა მიმეტანა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ეს საჩემო საქმე არ იყო და არაფერი გამომივიდოდა. მაგრამ იმის გამო, რომ ირაკლის არ ეთქვა, ეს უპასუხისმგებლო ვინ არისო, პალატაში მყოფმა რაღაც დავწერე და მეორე დღეს მივუტანე. სულ მალე დამირეკეს და თანამშრომლობა ოფიციალურად შემომთავაზეს. ასე რომ, უკვე 2 თვეა, რაც ამ სერიალზე ინტენსიურად ვმუშაობ...

— მარტო შენ წერ სერიალისთვის სცენარს?

— ამჟამად, მე და ირაკლი კაკაბაძე ვწერთ. დიდი მნიშვნელობა აქვს ატმოსფეროს, სადაც მუშაობ. „საზოგადოებრივ მაუწყებელშიც“ მიმუშავია, სხვადასხვა რადიოში, რადიო „იმედში“ ახლაც ვმუშაობ (ჩემი გადაცემა მაქვს); ყველგან არაჩვეულებრივი სამუშაო პირობები მქონდა, გარშემო მყოფებისგან ყოველთვის პატივისცემას ვგრძნობდი. მაგრამ ახლა სადაც მოვხვდი, მართლაც რომ განსაკუთრებულია. მიხარია, რომ „ღამის შოუს სტუდიის“ კოლექტივი ასე, ერთ ოჯახად არის შეკრული. იქ ყველამ თავისი საქმე იცის და თავდაუზოგავად შრომობს. თან, მათი პროექტები ხომ ერთმანეთზე უფრო წარმატებულია!..

— სერიალი საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატის დროს გადის ეთერში. მიუხედავად ამისა, მაინც ბევრი მაყურებელი ჰყავს...

— დიახ, ასეა. სერიალს „გოგონა გა-

„თეატრი ჩემთვის ყველაფერია“

რეუბნიდან“ საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს.

— მოკლედ, შენ და კაკაბაძე „ძერწავთ“ ამ რეიტინგს...

— (*იღიმება*) ირაკლის ამ მხრივ, მეტი გამოცდილება აქვს. მე, როგორც თეატრალს, დიალოგების აგება მეხერხება. ამასთან, როგორც კრიტიკოსს, კარგად ვერკვევი ადამიანის გუნება-განწყობილების, ხასიათის ნიუანსებში, — მაგალითად, ვიცი, ამა თუ იმ ფრაზას როგორ იტყოდა ესა თუ ის პიროვნება. თეატრალურ უნივერსიტეტში პირველი 2 წელიწადი სწორედ ამას გასწავლიან ანუ — რას ნიშნავს გარდასახვა.

— ჰოდა, რას ნიშნავს შენთვის, ეს „ჯადოსნური“ გარდასახვა?

— მსოფლმხედველობის შეცვლას... იგავ-არაკებიც მჭიდრო კავშირშია თეატრთან. არ არსებობს ადამიანი, რომელიც რაიმე ცხოველთან არ ასოცირდება. როცა იგავ-არაკს ვწერ, პერსონაჟებად ყოველთვის კონკრეტულ ადამიანებს ვიყენებ. ისინი ისე ჰგვანან ცხოველებს, გაგიჟდებით. სხვადასხვა ადამიანის ხასიათის თვისებების გამოყენებით ახალი პერსონაჟის შექმნა ურთულესი რამ არის. ამიტომ, პირველ 5 სერიაზე მუშაობა საკმაოდ რთული იყო. წარმოიდგინეთ, რომ სერიალის ყველა პერსონაჟის ბიოგრაფიაცაა დაწერილი? არადა, სერიალი შეიძლება, ისე დამთავრდეს, რომ ეს ბიოგრაფიები არც გამოვიყენოთ, მაგრამ ეს ჩვენ გვჭირდებოდა. მაგალითად, ესა თუ ის პერსონაჟი ბავშვობაში ჩოგბურთზე დადიოდა ან ცურვაზე: მსგავსი შტრიხებით, პერსონაჟების კონკრეტულ ხასიათებს ვავითარებთ.

— სულ რამდენი პერსონაჟია?

— 32 და თითოეულის გამოძერწვა უკვე მოვახერხეთ...

— ჩახლართული ამბები და ინტრიგები სერიალში არ ილევა...

— სერიალში ცხოვრებისეული ეპიზოდებია ჩართული... აქ ერთი ამბავი გამახსენდა, რომელიც ჯემალ ღაღანიძემ მომიყვა: კომუნისტების დროს, რუსთაველის თეატრი არგენტინაში ფესტივალზე იყო წასული. დამთავრდა სპექტაკლი თუ არა, საგრიმიოროს კარი ქართველმა მამაკაცმა შეაღო და ჩვენი მსახიობები თავისთან, სახლში დაპატიჟა. დასის წევრები გაგიჟდნენ: საბჭოთა პერიოდში ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ არგენტინაში ქართველი ცხოვრობდა. გაჰყვნენ იმ კაცს, რომელმაც უზარმაზარ სახლში მიიყვანა და საოცარი სუფრა გაუშალა. რა გინდა არგენტინაშიო? — ჰკითხეს მსახიობებმა. — მხოლოდ მე კი არა, აგერ იქით სახლი რომ დგას, იქაც ქართველი ცხოვრობსო. — მასაც დაუძახეო. — რას ამბობთ, 4 წელია, ერთმანეთს არ ველაპარაკებითო!.. არგენტინაში სულ ორი ქართველი ცხოვრობდა და ის „მოეხერხებინათ“, რომ ერთმანეთს არ ემდუროდნენ!.. ასე რომ, კონფლიქტი ქართველებს არ „ეშლებათ“ და ამიტომაც არ გვიჭირს მსგავსი რაღაცების შეთხზვა.

— საკმაოდ ახალგაზრდა ხარ იმისთვის, რომ ასე კარგად ერკვეოდე იმ ცხოვრებისეულ ინტრიგებში, რომლებიც სერიალშია ნაჩვენები...

— ქართული თეატრის ისტორია კარგად მაქვს ნასწავლი. ვინც ეს იცის, მას კარგად მოეხსენება, თუ როგორი რთული გზა განვლო ქართულმა თეატრმა: თავიდან, ერეკლეს კარის თეატრი შეიქმნა, რომლის დასის წევრებიც 1795 წელს, კრწანისის ბრძოლისას გმირულად დაეცნენ. შემდეგ, გიორგი ერისთავის თეატრი დაარსდა და 6 წელიწადში დაიშალა; მოგვიანებით ილიამ აღადგინა, მაგრამ — უშედეგოდ... შიდა კონფლიქტების მსხვერპლად არაერთი ქართველი რეჟისორი (ახმეტელი, მარჯანიშვილი, ჩხარტიშვილი, ყუშიტაშვილი, თუმანიშვილი, ალექსიძე) იქცა — უმრავლესობა მისივე შექმნილი თეატრიდან გააგდეს... ამ ყველაფრის ცოდნა სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ გარკვეული იყო ინტრიგების სამყაროში...

ზინა კვერენჩხილაძესთან და მედეა ჩახავასთან ერთად

— ნიკა, სერიალში მოქმედება ტელეკომპანიაში ვითარდება. რატომ?

— ეს ამბავი ტელევიზიაში განვითარდება თუ მატყლის გადამამუშავებელ ფაბრიკაში, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ მაყურებელს ყოველთვის ტელევიზიის კულუარული ამბები აინტერესებს: უფროსობა, პირველობა, დიდი ფული, კონკურენტის მოშორება ბევრს უნდა...

— ერთი სერიის სცენარი რამდენ ხანში იწერება?

— ერთ კვირაში. ის 100-ზე მეტი გვერდისგან შედგება. მოკლედ, ძალიან შრომატევადი საქმეა.

— რას გვეტყვი მთავარ პერსონაჟზე — თამუნა ჭელიძეზე?

— თამუნა ზნეკეთილი ადამიანია...

— პირადად შენ რომელი პერსონაჟი მოგწონს?

— ვენერა დეიდა, რომლის როლსაც მსახიობი ნანული სარაჯიშვილი ასრულებს. ზუსტად იმას ვთამაშობ, რაც ცხოვრებაში ვარო, — ამბობს ნანული. ვენერა დეიდა კეთილშობილი ქალია, გადაყოლილია თავის მეზობელ ოჯახზე, მათ გარდა არავინ უნდა. ბევრი ვეცადეთ, რომ ვენერა ისეთი ყოფილიყო, როგორიც არის.

— მაყურებელს ნიკა კეკელიძის პერსონაჟიც მოსწონს.

— მართალია. ამ როლის შემსრულებელი — თორნიკე გოგრიჭიანი ნიჭიერი მსახიობია. მან გენიალურად ითამაშა მაკბეტის როლი დათო დოიაშვილის სპექტაკლში. საერთოდ, სერიალის ყველა მსახიობი ნიჭიერია და როლზე კარგად არის შერჩეული...


ნიკა და
ქეთა ლორთქიფანიძე

— ახალ პროექტში ბევრი სახასიათო პერონაჟია, მათ შორის — ანჩო და მაკუნა...

— ანჩოსა და მაკუნასნაირი გოგონები თბილისში საკმაოდ არიან. მაგალითად, ერთ-ერთ სერიაში ამბობენ, — მოდი, აუზზე წავიდეთ, კარტი ვითამაშოთ, გავირუჯოთ, საცურაო კოსტიუმებით თავი მოვიწონოთ და თუ დრო დაგვრჩა, წყალშიც ჩავიდეთო... მოკლედ, მათ ფუნქცია არა აქვთ. უფუნქციობა კი საშინელებაა...

— მარინა კახიანს გაიძვერა ქალბატონის განსახიერება უწევს, იმისთვის არსებობს, რომ კოლეგებს ძირი გამოუთხაროს...

— კი, მაგრამ როცა საქმეს სჭირდება, როგორი კეთილშობილია... ქალბატონი მარინას პროფესიონალიზმის წყალობით, არაფრისგან საოცარი სახე შეიქმნა.

— თამუნა ჭელიძის მამა გამუდმებით რაღაც სერიალს უყურებს, რომელსაც, როგორც ჩანს, სპეციალურად, ცალკე იღებენ, არა?

— კი, ასეა. მასში მონაწილე მსახიობები — ნანული კელაპტრიშვილი და გოგი ვასაძე არიან...

— მომდევნო სერიებში მაყურებელი ალბათ ახალი ინტრიგების მომსწრე გახდება, არა?

— კი, სერიოზული ინტრიგების მომსწრე გახდება. ისეთი რაღაცები ირკვევა!..

— თამუნას პერსონაჟი თუ გალამაზდება?

— მაყურებელში არის მოლოდინი იმისა, რომ უნდა გალამაზდეს და შემდეგ ის ნიკას შეუყვარდეს, მაგრამ... რა ვიცი, რა ვიცი...

— მართლა არ იცი, რა მოხდება?

— კაკაბას რომ ვეკითხები, — ესა თუ ის ეპიზოდი ასე ხომ არ გავაკეთოთ-მეთქი? — ჩვენი ნება არ არისო (*იცინის*)?! — მპასუხობს. ამიტომ, რა როგორ იქნება, წინასწარ არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ არაჩვეულებრივი ამბები უნდა განვითარდეს...

— სერიალის პირველი სეზონი როდის მთავრდება?

— 10 სერია გავა ეთერში და ამით პირველი სეზონი დასრულდება. სექტემბრიდან კი ამ 10 სერიას გავიმეორებთ...

■

მკაცრი შენიშვნის მოლოდინში მყოფი ხელმარჯვე რეპორტიორი

„რუსთავი 2“-ის დილის გადაცემის რეპორტიორი — ეკა ამირეჯიბი მაღვიძარას „ჯიბრში უდგას“ და საწოლიდან დანიშნულ დროზე ადრეც კი დგება. დილაადრიან ან ხინკალს ახვევს, ან პურს აცხობს, ან რაიმე ხელსაქმითაა დაკავებული, ზოგჯერ კი კარატეს ილეთებსაც სწავლობს... დაუზარელი, ხელმარჯვე რეპორტიორი რადიოწამყვანიცაა, საკუთარი მუსიკალური ბენდიც ჰყავს და ამ ყველაფერთან ერთად, საერთაშორისო ურთიერთობების რთულ ხელოვნებასაც დაეუფლა.

ეთო ყორღანაშვილი

— ტელევიზიაში ძალზე საინტერესო სამსახური მაქვს, რადგან სამუშაო სფეროს მხრივ შეზღუდული არ ვარ — სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან ურთიერთობა მიხდება. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ ჩემთვის უფრო საინტერესო არაფერი არსებობს და მხოლოდ ამ საქმიანობას ვჯერდები. არ მინდა, სამსახურმა ისე „გადამძლიოს“, რომ განათლების მისაღებად, დრო არ დამრჩეს: უცხოეთში სწავლის გაგრძელებას ვაპირებ.

— ამჟამად დილის ტელეპროგრამის რეპორტიორი ხარ. ამ რუბრიკას ნატა ნიჟარაძემ საკუთარი სურვილით დაანება თავი?

— ამ თემაზე ნატასთან არ მისაუბრია, მაგრამ როგორც ვიცი, გადაწყვეტილება თავად მიიღო.

— ამ ამპლუაში მის მუშაობას როგორ შეაფასებ?

— ნატას ტელევიზიაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ბუნებრივია, წლების განმავლობაში მან თავისი სახე წარმოაჩინა — ენერგიული, მხიარული... ისიც დასაფასებელია, რომ ამდენი წელი იმ რეჟიმს გაუძლო, რომელსაც ახლა მე ვუძლებ. თან, ნატაც მთელი დატვირთვით — კვირაში 3 დღე მუშაობდა.

— ტელევიზიაში როგორ მოხვდი?

— „ვარსკვლავების აკადემიაში“ ყოფნისას, „კურიერის“ „სპეციალური გამოშვების“ წაყვანა მომიხდა. ძალიან სასაცილო იყო (*იცინის*)... არხის ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა, რომ ეს საქმე არც ისე ცუდად გამომდის. შემდეგ გეგა ფალავანდიშვილმა კასტინგის შესახებ მითხრა. ბედი ვცადე და მიმიღეს. ძალზე მნიშვნელოვანია (მით უმეტეს — სატელევიზიო სფეროში), როცა ვინმე გაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სადღაც ვიღაც სჭირდებათ.

— სამუშაო გრაფიკს როგორ შეეგუე?

— საშინელი გრაფიკი მაქვს: სულ დატვირთული, დაძაბული ვარ. სიმართლე გითხრათ, მოცლილი არასოდეს ვყოფილვარ, ყოველთვის დატვირთული რეჟიმი მქონდა, მაგრამ საზღვარი ხომ აქვს ყველაფერს?! სხვა თუ არაფერი, ახლა, დილის 10 საათზე ჩემი ნახევარი დღე უკვე გასულია. თუკი წინათ ჩემთვის დილა 9, 10 ან 11 საათზე იწყებოდა, ახლა 6-ის ნახევარზე იწყება.

— ეთერის დასრულების შემდეგ იძინებ ხოლმე?

— არა, მეორე სამსახურში (რადიოშიც ვმუშაობ) გავრბივარ, საღამოს კი — რეპეტიციაზე... ძალიან დატვირთული ვარ.

— მუსიკალური განათლება გაქვს?

— მუსიკალური შვიდწლედიც და ათწლედიც (ფორტეპიანოს განხრით) მაქვს დამთავრებული. ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების მცოდნეც გახლავართ, მაგრამ ისე მოხდა, რომ დღეს რადიოში წამყვანი ვარ, ტელევიზიაში კი — რეპორტიორი.

— ამჟამად მუსიკალურ სფეროში აქტიურად საქმიანობ?

— სამწუხაროდ, დაკვრას თავი დავანებე. ამ გადაწყვეტილების მიღება იოლი ნამდვილად, არ იყო. დღემდე ძალიან განვიცდი. მთელი ჩემი ცხოვრება ფორტეპიანოსთან იყო დაკავშირებული... დღეს მუსიკალური ბენდი მყავს. უკვე საკუთარი „კლავიში“ მაქვს, რომელიც შემიძლია, აქეთ-იქით ვატარო... მგონია, ადრე თუ გვიან, ისევ კლასიკას დავუბრუნდები.

— ანუ მუსიკალურ ასპარეზზე მაინც აქტიურობ, ხომ?

— კი. ვფიქრობ, თუ ადამიანი ძალიან მოინდომებს, ყველაფერს შეათავსებ — ბოლოს და ბოლოს, ღამეს გაათენებ. მართალია, ტელევიზიისა და მუსიკის შეთავსება თითქოს წარმოუდგენელია, მაგრამ ჯერჯერობით ვახერხებ.

— ბენდთან ერთად სად გამოდიხარ ხოლმე?

— იყო პერიოდი, როცა კლუბებში, ბარში ვმღეროდი, კონცერტებში ვმონაწილეობდი... შემოთავაზებას გააჩნია. საქართველოში ხშირი შემოთავაზებით განებივრებული არ ვართ.

— უცხოეთთან დაკავშირებული გეგმები თუ გაქვთ?

— ჯერჯერობით — არა, მაგრამ როცა ისეთ შედეგს მივაღწევთ, როგორიც გვინდა (*იღიმის*)...

— ბენდს რა ჰქვია?

— ბევრჯერ დაწერეს, რომ „ეკა ამირეჯიბი“ ან ჩემი მეგობრის — ქეთრინის სახელი ჰქვია (*იცინის*)...

— სინამდვილეში რაა?

— Ketrine&Me — ბენდს ასე ჰქვია. წინათ, როცა რადიოში ვმუშაობდი, ეთერში „ქეთრინის“ სახელით გამოვ-

სწრაფად უნდა აუღო ალღო იმას, თუ რას ითხოვენ შენგან

დიოდი და დღემდე ასე მომმართავენ. ჩვენი სიმღერების უმეტესობის ავტორი ირაკლი კახიშვილი გახლავთ, ზურა ლანჩავა ელექტროგიტარაზე უკრავს, დიმიტრი ოღანესიანი — დასარტყამ ინსტრუმენტებზე, მე — „კლავიშზე“. ასევე, ვოკალისტი ვარ.

— **როგორი მუსიკალური გემოვნება გაქვს?**

— ჩემთვის, პირველ ადგილზე ყოველთვის კლასიკური მუსიკა დგას. ისე კი გუნება-განწყობილებას გააჩნია: შეიძლება, ჯაზსაც მოვუსმინო... კლასიკურ როკს საერთოდ არ ვუსმენ. ძირითადად, უცნობი შემსრულებლების „აღმოჩენა“ მიყვარს. მომწონს: ტონი რამოსი, „რედიოჰედი“, ნორა ჯონსი, „ქოლდფლეი“... ყველა ჟანრში არის ისეთი შემსრულებელი ან ჯგუფი, რომელსაც შეიძლება მოვუსმინო.

— **რადიოში მიღებული გამოცდილება ტელევიზიაში თავის დამკვიდრებაში დაგეხმარა?**

— რადიოში მუშაობა ყოველთვის მეხმარება. როცა რადიოში მიღებული გაქვს გადაცემის წაყვანის, მსმენელთან ურთიერთობის გამოცდილება, ტელეეთერში პირდაპირი ჩართვის დროს, კამერის წინ იმაზე აღარ ნერვიულობ — ვაი, აზრი როგორ ჩამოვაყალიბოო?!. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სატელევიზიო სპეციფიკა ასათვისებელი არა გაქვს: ტელევიზიაში ისეთი დეტალები გვხვდება, რომელიც რადიოში არ არსებობს, მაგრამ რადიოში მუშაობა წინგადადგმული ნაბიჯია მათთვის, ვისაც ტელევიზიაში მუშაობის დაწყება სურთ.

— **როგორ ფიქრობ — ჟურნალისტური განათლება აუცილებელი არ არის იმისთვის, რომ ჟურნალისტად იმუშაო? მაგალითად, ჟურნალისტიკაში სპეციალური კურსები ხომ არ გაგივლია?**

— როცა შესაბამისი განათლებაც გაქვს და ნიჭიც, ეს საუკეთესო შემთხვევაა, მაგრამ მინახავს ადამიანები, რომლებსაც ჟურნალისტიკის ფაკულტეტი აქვთ დამთავრებული და (*იცინის*)... რა თქმა უნდა, პრაქტიკა მნიშვნელოვანია და აგრეთვე, სწრაფად უნდა აუღო ალღო იმას, თუ რას ითხოვენ შენგან.

— **შენი „ჩართვები“ მრავალნაირი რესპონდენტით გამოირჩევა. მათ თავად არჩევ?**

— თუ თემა „ჩავარდა“, ამაზე პასუხს სხვას ვერ მოვთხოვ — ძირითადად, მე ვარ პასუხისმგებელი. მაგრამ ჩვენ ერთი გუნდი ვართ და თუ საჭიროა, პროდიუსერს, თანამშრომლებს დავურეკავ... თემასაც ვარჩევ, რესპონდენტებთანაც მივდივარ და ოპერატორის წინაშეც პასუხისმგებელი ვარ ანუ გადაღების ადგილას წინასწარ უნდა მივიდე და ვნახო — როგორი განათებაა, დეკორაცია ხომ არ მჭირდება და ა.შ.

— **დილის პროგრამაში მუშაობისას სერიოზული „ჩავარდნა“ თუ გქონია?**

— ასეთი შემთხვევაც ყოფილა, მაგრამ ძალიან სერიოზული — არა, რომ მაგალითად, დილით მივსულიყავი და „ჩართვა“ არ მქონოდა. იმედია, ასეთი რამ არც შემდგომში მოხდება. ისე კი, რა თქმა უნდა, ყველა ეთერი ერთნაირად კარგი არ გამოდის, მაგრამ უნდა ეცადო, რომ მაყურებელმა ეს ნაკლებად იგრძნოს.

— **ნინო არაზაშვილი როგორი შეფია? შენშვნას ხშირად გაძლევს?**

— ნინოს ძალიან კარგი თვისება აქვს: როცა რაღაცას კარგად გააკეთებ, არ დაიზარებს — დაგირეკავს ან მესიჯს მოგწერს და შეგაქებს, რაც ყოველთვის სტიმულის მომცემია. ნინოსთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. შეგვიძლია, ნებისმიერ თემაზე ვისაუბროთ. თუკი რაიმე შენიშვნა ექნება, აუცილებლად მეტყვის. არც საქებარ სიტყვებს დაიშურებს, თუ დავიმსახურებ. ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია შენიშვნები, რომლებსაც ჩემი თანამშრომლები მომცემენ, რადგან უპირველეს ყოვლისა, მათი რჩევებია გასათვალისწინებელი. უკეთესი რომ გახდე, სამართლიანი კრიტიკა აუცილებელია. მკაცრი, რადიკალური შენიშვნა ჯერჯერობით არ მიმიღია, მაგრამ ველოდები (*იცინის*)...

— **ეკა, დილით ადრე გაღვიძება არ გიჭირს?**

— ოღონდ მაღვიძარამ არ დარეკოს და თავად ვიღვიძებ: მის ხმას ვერ ვიტანს, ცხოვრება გამიმწარა (*იცინის*)!

— **არასოდეს ჩაგძინებია?**

— ეთერამდე — კი, ოღონდ, — რადიოში; ტელევიზიაში — ჯერჯერობით არა (*იცინის*)...

— **რესპონდენტებთან ურთიერთობისას საინტერესო, უცნაური არაფერი გადაგხდენია?**

— მათთან ურთიერთობისას ბევრი კურიოზი ხდება! რესპონდენტებს „ჩართვაზე“ რომ ვითანხმებ, ხანდახან ისეთ კითხვებს მისვამენ (*იცინის*)!.. თუკი სხვა ჟურნალისტები სტუმარს საღამოს 8 საათზე ან დღის 3 საათზე იბარებენ, მე დილის 7-ის ნახევარზე ვხვდები კარატისტებს, მომღერლებს (რომლებსაც „ხმა არა აქვთ“) და ისეთ პრობლემებს მიზიარებენ, ვერ ვხვდები, მე რა უნდა ვიღონო...

— **როგორი მეოჯახე ხარ? პირდაპირ ეთერში ხან პურს აცხობ, ხან — ხინკალს აკეთებ...**

— კარატეს ილეთებსაც ვფლობ, ხინკალსაც ვახვევ, პურის ცხობაც ვიცი... აბა, როგორ?! დილის გადაცემა ისეთი ფორმატისაა, რომ ყოველთვის მხიარული გამოდის. მეც მაქსიმალურად ვერთობი, ნებისმიერ ამპლუაში! მეოჯახეობას რაც შეეხება, ვერ ვიტყვი, რომ დილიდან საღამომდე სამზარეულოში ვტრიალებ. საერთოდ, რეცეპტებით იშვიათად ვსარგებლობ, მაგრამ უგემური კერძი ჯერ არ მომიმზადებია. ყველაფრის გაკეთება შემიძლია.

— **მოკლედ, ხელმარჯვე, საჯურველი საპატარძლო ხარ...**

— შესაშური! ჩვენი ინტერვიუს შემდეგ გამოხმაურებას ველოდები (*იცინის*)!

— **პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

— მშვიდობა და სოლიდარობა (*ღიმის*).

— **მაინც?..**

— თაყვანისმცემლები მყავს, მაგრამ სერიოზული არაფერია. მე ვმუშაობ (*იცინის*)! ■

რადიოში მუშაობა ყოველთვის მეხმარება

ნიკოლ რიჩი: „ქორწილი არ იქნება“

მას შემდეგ, რაც მსახიობი ნიკოლ რიჩი და მუსიკოსი ჯოელ მედენი დაინიშნნენ, მათი დაქორწინების შესახებ ჭორები არა და არ ცხრებოდა. ბოლო ცნობების თანახმად, წყვილს 2010 წლის ივნისში უნდა მოეწყო ქორწილი, მაგრამ შეყვარებულებმა ოფიციალური განცხადება გააკეთეს და სიმართლე გაამჟღავნეს: „ივნისში ქორწინებას საერთოდ არ ვაპირებდით, ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ჯერჯერობით არც დაგვიგეგმავს“, — განაცხადა ჯოელ მედენმა ჟურნალისთვის People მიცემულ ინტერვიუში. წყვილს თურმე სულ სხვა გეგმები ჰქონია — მათ საკუთარი ოჯახის კიდევ უფრო გაზრდა სურთ. ამჟამად 31 წლის მედენი და 28 წლის ნიკოლი ორ შვილს — 9 თვის ბიჭუნას, სპეროუსა და 2 წლის გოგონას, ჰარლოუს ზრდიან. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ბედნიერებისთვის დაქორწინება სავალდებულო სულაც არ არის. ■

ლეონა ლუისის არჩევანი

დამწყები და წარმატებული მომღერლის, ლეონა ლუისისა და მისი ბოიფრენდის, ლუ ალ-ჩამის რომანი 10 წლის წინ დაიწყო, ახლა კი მათი ურთიერთობა მოულოდნელად დასრულდა. როგორც ამბობენ, ლუმ შეყვარებული მიატოვა და ახლა, ათწლიანი რომანტიკული ურთიერთობის შემდეგ, ლეონა მარტო დარჩა. აღმოჩნდა, რომ მათი ურთიერთობა ბოლო წლებში საკმაოდ დაძაბული იყო, მაგრამ წყვილი სიყვარულის შენარჩუნებას ყველანაირად ცდილობდა. საბოლოოდ ლუმ ვერ გაუძლო... სიტუაცია 25 წლის ლეონას მეტისმეტად დატვირთულმა სამუშაო რეჟიმმა დაძაბა, რომელსაც თავისუფალი დრო თითქმის არ ჰქონდა და მეგობართან ერთად ყოფნას ვერ ახერხებდა. გოგონას მოთმინების ფიალა ალ-ჩამის საქციელმა აუვსო, რომელიც ლონდონში გამართულ ლეონას კონცერტზე არ მივიდა, თუმცა იქვე ახლოს ცხოვრობს. ■

ანჯელინა ჯოლიმ ქათმების მოშენება დაიწყო

ჰოლივუდის ვარსკვლავს ახალი ჰობი აქვს — მან ქათმების მოშენება დაიწყო. რა გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მსახიობის ამ გატაცების მიზეზი?.. თურმე ნუ იტყვით, ანჯელინას სურს, რომ მისმა მეუღლემ და მრავალრიცხოვანმა შვილებმა მხოლოდ ნატურალური პროდუქტები მიირთვან! ამჟამად ბრედ პიტი და 6 ბავშვი დილაობით მხოლოდ ახალდადებული კვერცხისგან მომზადებულ ერბოკვერცხს მიირთმევენ. ბრედი ენჯის ყველა წამოწყებას მხარს უჭერს, ამიტომ შინაური ფრინველის მოშენების იდეასაც სიხარულით შეხვდა.

მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ჯოლი-პიტის ოჯახში 6 ბავშვი — 3 ნაშვილები და 3 ღვიძლი შვილი იზრდება. ამ ცოტა ხნის წინ ანჯელინა ეკვადორში, კოლუმბიელ ლტოლვილთა სოფელს ეწვია. მსახიობის საქველმოქმედო მოგზაურობის მიზანი — მსოფლიო საზოგადოების სამსჯავროზე იმ გაჭირვებისა და პრობლემების გამოტანაა, რომელსაც ქალები და ბავშვები აწყდებიან. ■

ორლანდო ბლუმი ცოლს ირთავს

მოდელ მირანდა კერთან სამწლიანი ურთიერთობის შემდეგ, ორლანდო ბლუმმა ოფიციალურად განაცხადა, რომ საყვარელ ქალზე დაინიშნა და ახლა 27 წლის კერი და 33 წლის ბლუმი ქორწილისთვის ემზადებიან. მოდელის ოფიციალური წარმომადგენელი ამბობს, რომ მომავალი მეუღლეების ნათესავები ძალზე გახარებული არიან. ქორწილის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით უცნობია. მკითხველს შევახსენებთ, რომ ორლანდოსა და მირანდას რომანი 2007 წელს დაიწყო. ისინი თავიდანვე ჰოლივუდის ერთ-ერთ ულამაზეს წყვილად შერაცხეს. 3 წლის განმავლობაში მრავალჯერ გავრცელდა ჭორი იმის შესახებ, რომ შეყვარებულები ქორწილისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ ამ ინფორმაციას ვარსკვლავები ყოველთვის პირადად უარყოფდნენ. ■

სექსუალური კელი ბრუკი მარტო დარჩა

ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი წყვილის — 30 წლის კელი ბრუკისა და მისი ბოიფრენდის, 22 წლის მორაგბე დენი სიპრიანის რომანი დასრულდა. კელის თავი არ დაუზოგავს ურთიერთობის შესანარჩუნებლად, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. გადაწყვეტილებაც თავად მიიღო და ამისთვის რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი, დანიელმა ავსტრალიურ კლუბთან გააფორმა კონტრაქტი და მალე სხვა კონტინენტზე გადაბარგება მოუწევს, კელის კი იქ საცხოვრებლად გადასვლა კარგს არაფერს მოუტანს, — იგი დარწმუნებულია, რომ ამ ქვეყანაში მისი, როგორც მსახიობისა და მოდელის კარიერა სამუდამოდ დასრულდება. გარდა ამისა, კელი ძალზე დაღალა ბოიფრენდის რომანებმა. დენის ხშირად ხედავენ სხვადასხვა გოგონასთან ერთად და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ კელი ეჭვიანობს. ამბობენ, რომ ბრუკი საყვარელ ადამიანთან განშორებით ძალზე დათრგუნვილია. დენი სიპრიანი კი ერთ-ერთ წვეულებაზე უკვე ახალ სატრფოსთან — მსახიობ ჯესიკა ლოუნდსთან ერთად გამოჩნდა...

მარად მშვენიერი მონიკა ბელუჩი

ამ ცოტა ხნის წინ, მილანში სამოდელო სახლის — Dolce and Gabbana — 20 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ წვეულებაზე ახალგაზრდა დედა — მონიკა ბელუჩიც მივიდა და, რა გასაკვირია, რომ მაშინვე საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა?! მან ხომ მშობიარობიდან ერთი თვის შემდეგ საყვარელი კაბის ჩაცმა შეძლო! „დოლჩე და გაბანას“ დიზაინერების მიერ შექმნილ, მაქმანის სახელოებით დამშვენებულ, მდიდრულ გრძელ შავ კაბაში გამოწყობილი მონიკა წითელ ხალიჩაზე თვალისმომჭრელად გამოიყურებოდა. მსახიობს ეს მშვენიერი კაბა პირველად 2008 წელს, რომის საერთაშორისო კინოფესტივალზე ემოსა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ 45 წლის მონიკა ბელუჩიმ 2010 წლის მაისის დამლევს იმშობიარა. მსახიობს გოგონა — ლეონი შეეძინა. მონიკასა და ვენსან კასელის უფროსი ქალიშვილი — დევა 5 წლისაა.

ჯონი დეპი „ჯეკი ბეღურას“ დაუბრუნდა

„კარიბის ზღვის მეკობრეების“ ახალი სერიის გადაღებების პირველი ფოტოკადრები ინტერნეტით გავრცელდა. ფოტოებზე ჯონი დეპი კაპიტან ჯეკი ბეღურას განასახიერებს. ფილმის ახალ სერიას, რომლის სახელწოდებაც იქნება „კარიბის ზღვის მეკობრეები: უცნაურ სანაპიროებზე“ — მაყურებელი 2011 წელს იხილავს. ფილმის რეჟისორი რობ მარშალია, სცენარის ავტორები კი — ტედ ელიოტი და ტერი როსიო. სწორედ ისინი არიან ფილმის წინა სერიების ავტორებიც. სურათის გადაღებები რამდენიმე კვირის წინ დიწყო. მეკობრული საგას ახალი სერიის სიუჟეტი ვითარდება ჯეკი ბეღურას გარშემო, რომელიც მოულოდნელად თავის ძველ სიყვარულს გადააწყდება. ჯეკის საყვარელ ქალს პენელოპა კრუსი განასახიერებს. გოგონა მეკობრეს ხვდება ხომალდზე, რომლის სახელწოდებაცაა „დედოფალ ანას შურისძიება“. ხომალდის კაპიტნის როლს იენ მაკშეინი ასრულებს.

აღსანიშნავია, რომ კირა ნაიტლი და ორლანდო ბლუმი ფილმის ახალ სერიაში არ მონაწილეობენ. მათი გმირების თავგადასავალი 2007 წელს გამოშვებულ ფილმში („კარიბის ზღვის მეკობრეები: სამყაროს დასასრული“) ამოიწურა. ჯეფრი რაშის გმირი — კაპიტანი ჰექტორ ბარბოსა ფილმის ახალ სერიაშიც გამოჩნდება.

ჯეიმს ბონდის გადაღებები შეწყდა

აგენტ 007-ის — ჯეიმს ბონდის შესახებ 23-ე ფილმის გადაღებები კინოკომპანია „მეტრო გოლდვინ მაიერის“ წინაშე წამოჭრილი პრობლემების გამო შეწყდა, — წერს გაზეთი „დეილი მირორი“. ფილმი 2012 წელს უნდა გამოსულიყო კინოეკრანებზე.

შეგახსენებთ — ბონდიანის პროდიუსერები ადრე აცხადებდნენ, რომ კინოსტუდია ბურუსით მოცული მომავლის გამო, ახალი ფილმის გადაღებები განუსაზღვრელი ვადით შეწყდა. კინოსერიალის მსოფლიო გაქირავებით სწორედ ეს კომპანია იყო დაკავებული. ახლა კი მისი გადაღების გაგრძელებაზე საბოლოოდ თქვა უარი.

ბონდიანის მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას — შესაძლოა, მსოფლიოში ყველაზე პოპულარული საიდუმლო აგენტის შესახებ ფილმები საერთოდ აღარ გადაიღონ.

შეგახსენებთ, რომ ბრიტანელი აგენტი ახალ ფილმში დენიელ კრეიგს უნდა განესახიერებინა, ფილმის დამდგმელი რეჟისორი კი სემ მენდესი იყო ყოფილიყო.

რუბრიკა მოამზადა **ნატო მანჯავიძემ**

ბავშვთა სახლში აღზრდილის წარმატება

„თბილი ხმა მაქვს და მსმენელების მოხიბვლას ვახერხებ...“

ელენე ბასილიძე

25 წლის ჯიმი პაპკიაური ბავშვთა სახლში გაიზარდა, დღეს კი ამ დაწესებულების აღსაზრდელებს ცხოვრებისეულ გამოცდილებას თავად უზიარებს. მიუხედავად მძიმე ბავშვობისა, ის ოპტიმისტურადაა განწყობილი და ცდილობს, საკუთარი მრავალმხრივი ნიჭის რეალიზება მოახერხოს.

— დედაჩემი ავადმყოფი ქალი იყო, ეპილეფსია სჭირდა, ბებოს კი პატარების აღზრდა არ შეეძლო და ამიტომაც, მე და ჩემი ძმა კოჯრის ბავშვთა სახლში მიგვიყვანეს — იქ აღვიზარდეთ. ბავშვთა სახლში დალხენილი და ბედნიერი ცხოვრება ვის ჰქონია, ჩვენ რომ გვქონოდა?!. აღმზრდელები კარგად გვექცეოდნენ, მაგრამ მშობლის ყურადღება და სითბო ძალიან გვაკლდა. უფლის წყალობით, წესიერი და დამჯერი ვიყავი, აღმზრდელებს ჩემ გამო პრობლემა არასოდეს შექმნიათ. ბავშვთა სახლში 9 წელი გავატარე, 9 კლასის დამთავრების შემდეგ კი მე და ჩემი ძმა თბილისში ჩამოვედით. სწორედ მაშინ შევიტყვეთ, რომ დედა ძალიან ცუდად ყოფილა, დეპრესია ჰქონია და ჩვენი ბინაც გაყიდული დაგვხვდა. დავრჩით ქუჩაში მე, ბებია და ჩემი ძმა, რაც შეეხება დედას, მას ვერსად მივაგენით. ბებო ქუჩაში სანთლებს ყიდდა, მე ლექსებს ვწერდი, სხვადასხვა ჟურნალში ვაქვეყნებდი და აღებული ჰონორარით ოჯახს ვეხმარებოდი.

— ბავშვთა სახლიდან რომ წამოხვედით, ბებო როგორ იპოვეთ?

— ვიცოდით, სადაც მუშაობდა და მისი მოძებნა არ გაგვჭირვებია. ბებო ქირით ცხოვრობდა და ჩვენც მასთან დავბინავდით. ვცდილობდი, რამე მომეფიქრებინა და ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა — უბინაობა მომეგვარებინა. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა სახლში გავიზარდე და ხშირად, ქუჩაშიც მიწევდა „ბირჟაზე“ დგომა, „ქუჩის ბიჭი“ არ ვიყავი. ხშირად მივდიოდი მერიაში, ვწერდი განცხადებებს, რომ 2 მცირეწლოვანი ბავშვი, ბებოსთან ერთად, უბინაოდ ვცხოვრობდით... 17 წლის ვიყავი, როცა ჩვენ შესახებ გადაცემა „60 წუთში“ მომზადდა სიუჟეტი, რის შემდეგაც ბინა მოგვცეს. იმ პერიოდში სკოლის გამოცდები ექსტერნად ჩავაბარე, ატესტატი ავიღე და ვინაიდან საკმაოდ კარგად ვხატავდი, საბუთები თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შევიტანე. სამწუხაროდ, ბებია მალე გარდაიცვალა და იძულებული გავხდი, სასწავლებლიდან წამოვსულიყავი, რათა არა მარტო საკუთარი თავი, არამედ ძმაც მერჩინა... გადავწყვიტე რესტორანში, მიმტანად მემუშავა, მაგრამ მენეჯერს მოვეწონე და მირჩია, — თუ ხახვის გაფცქვნა მაინც გეხერხება, ჯობია, სამზარეულოში იმუშავოო. აბა, რა იცოდა მენეჯერმა, რომ ახალ წელსაც მარტო ვშლიდი სუფრას?! დავიწყე სამზარეულოში მუშაობა და სულ მალე, ყველაფერი ავითვისე. მერე სამზარეულოში გაუგებრობა მოხდა, ძველი შეფ-მზარეული სამსახურიდან წავიდა და მის ადგილას მე დამნიშნეს — მაშინ 17 წლის ვიყავი. რაღაც პერიოდის შემდეგ თურქეთში წავედი, სადაც ერთ-ერთ სასტუმროში, ასევე შეფ-მზარეულად ვმუშაობდი... მიუხედავად იმისა, რომ სამზარეულოში თავს ისე ვგრძნობდი, როგორც თევზი წყალში, ეს საქმე ლამის მივატოვე — ჩემი მოწოდება სიმღერა იყო და მსურდა, ბავშვობის ოცნება ამესრულებინა... თუმცა, სამზარეულოსთან შეხება დღესაც მაქვს, პერიოდულად რესტორანში ვმუშაობ ხოლმე.

— მადლიერი კლიენტებისგან სამადლობელ სიტყვებს ხშირად ისმენ?

— კი, ძალიან ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა აღფრთოვანებული კლიენტი სამზარეულოშიც შემოვარდნილა და ჩემთვის უკოცნია (*იცინის*). „სტეიკ ბარში“ მუშაობისას, ჩემ გამო ერთი არგენტინელი მზარეული გაუშვეს — მასზე უკეთ ვამზადებდი და იმიტომ! რამდენიმე ხნის შემდეგ ის არგენტინელი „ნანუკას შოუში“ მიიწვიეს, სადაც ჩემგან ნასწავლი სტეიკი მოამზადა (*იცინის*). სხვათა შორის, კულინარიული წიგნიც მაქვს გამოშვებული, სადაც ჩემ მიერ გამოგონილი კერძებია შესული.

— ჯიმი, დღესაც ხატავ?

— სამწუხაროდ, ამის საშუალება არა მაქვს, ხოლო ფურცელზე პატარ-პატარა კომპოზიციებისა და ჩანახატების ფანქრით ხატვის ასაკში აღარ ვარ. სხვათა შორის, მოზაიკაზეც ვმუშაობ, ვძერწავ და რაც მთავარია — ვმღერი... ბავშვობაში ერთი კომპლექსი მქონდა: გუნდში კარგად ვმღეროდი, მარტოს კი ძალიან მიჭირდა. მეშინოდა, ვაითუ მსმენელს არ მოვეწონომეთქი. ცოტა ასაკში რომ შევედი, თანდათანობით გამბედაობა მომემატა და სიმღერა დავიწყე. ცხოვრებაში ბევრი დაბრკოლება შემექმნა, მაგრამ ყველაფერს მარტო გავუმკლავდი. მერწმუნეთ, გვერდით არასოდეს მყოლია ისეთი ადამიანი, რომელიც რჩევას მომცემდა, დამარიგებდა და მხარში ამომიდგებოდა... თავხედი ვიქნები, რომ ვთქვა, — არაჩვეულებრივი ვოკალი მაქვს-მეთქი, მაგრამ რაღაცნაირი, თბილი ხმა მაქვს და მსმენელების მოხიბვლას ვახერხებ (*იღიმის*)...

— როგორც ვიცი, შენი სიმღერები ერთ-ერთი რადიოს

ეთერში ტრიალებს...

— კი, ჩემი სიმღერები რადიო „საქართველოს ხმაზე“ ტრიალებს. ადამიანმა საკუთარი შემოქმედება მსმენელის სამსჯავროზე რომ გაიტანო, ამისათვის საკმაოდ დიდი თანხაა საჭირო, მაგრამ საბედნიეროდ, მე ამაში ფულს არ ვიხდი — ადრე ამავე ტალღაზე რუბრიკა „დილის კერძები“ მიმყავდა და ასე თუ ისე, მიცნობენ. სხვათა შორის, ამას წინათ აღმოვაჩინე, რომ მსმენელები ჩემს სიმღერებს ითხოვენ, რამაც ძალიან გამახარა (*იღიმის*).

— მუსიკალური განათლება თუ გაქვს?

— არა. მიუხედავად ამისა, საკუთარი სიმღერის მელოდიაცა და ტექსტიც მე მეკუთვნის. ვცდილობ, შინაარსობრივად დატვირთული ლექსი დავწერო, რომელიც არ იქნება ნისლზე, თოვლჭყაპსა და წვიმაზე (*იღიმის*). პირველ რიგში, საკუთარი სიამოვნებისთვის და ბავშვთა სახლის პატარებისთვის ვმღერი. იქ ძალიან ბევრი ნიჭიერი ბავშვი იზრდება, რომლებმაც არ იციან, როგორ მოიქცნენ. მე მათ შორის გამორჩეული არა ვარ, მაგრამ შევძელი, კომპლექსები დამეძლია... დღეს ვამაყობ იმით, რომ ბავშვთა სახლში ვიზრდებოდი. ძალიან მინდა, ყველა პატარამ დაიჯეროს, რომ ოცნებები ხდება, მთავარია, სურვილის ასასრულებლად ყველაფერი გააკეთო... მინდა, ფართო საზოგადოებისთვის ერთი რაღაც აღვნიშნო: ბავშვთა სახლში ცუდი ადამიანები არ იზრდებიან!..

— მრავალმხრივი ნიჭით ხარ დაჯილდოებული...

— უამრავ ისეთ ადამიანს ვიცნობ, რომელიც ჩემზე ნიჭიერია, მაგრამ არ ყოფნის უნარი, რომ საკუთარი ნიჭი წარმოაჩინოს, მიზანსწრაფულობა აკლია და ამბობს, — საწადელს იმიტომ ვერ ვაღწევ, რომ გვერდით არ მყავს ადამიანი, რომელიც დახმარების ხელს გამომიწვდიდაო. მერწმუნეთ, ასეთი ადამიანი არც მე მყავს და ვცდილობ, ყველაფერს დამოუკიდებლად მივაღწიო. ჯერჯერობით, ეს გამომდის კიდეც (*იღიმის*).

— სულ რამდენი სიმღერა გაქვს ჩაწერილი?

— სულ 5 სიმღერა მაქვს ჩაწერილი. დაახლოებით 15 სიმღერის ტექსტი და მუსიკა მაქვს მზად, მაგრამ მათ ჩაწერას ფინანსები სჭირდება. ხშირად ვფიქრობ, ცნობილი მომღერალი რომ ვიყო, ერთ ნიჭიერ ბავშვთა სახლის აღსაზრდელს გამოვარჩევდი და მასთან ერთად დუეტს ჩავწერდი-მეთქი — ეს იქნებოდა ძალიან დიდი სტიმული არა მარტო იმ პატარისთვის, არამედ ბავშვთა სახლის ყველა აღსაზრდელისთვის.

— ჯიმი, დედა იპოვე?

— დედა ვიპოვე და ის ბინა, რომელიც სახელმწიფომ გვაჩუქა — მას გადავეცი, მე და ჩემი მეუღლე კი ქირით ვცხოვრობთ. სამწუხაროდ, დედას ხშირად ვერ ვნახულობ, მაგრამ ვცდილობ, მატერიალურად დავეხმარო. ■

ფეხბურთელი, რომელიც ბენიტო მუსოლინის „წისლით ულებდა კარს“

„ინტერის“ უჩვეულო მარცხი და დავით ყიფიანის „ოქროს დარტყმა“

ზვიად გურული

როდესაც ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში ახალი რუბრიკის დაწყების შესახებ გაუწყეთ, იქვე ისიც აღვნიშნეთ, რომ სტატიის „ობიექტები“ ერთადერთი კრიტერიუმით შეირჩეოდა — მათი დაბადების ან გარდაცვალების, დიდი გამარჯვების ან მარცხის თარიღის მიხედვით ანუ ამ რუბრიკაში „პერსონაჟების სიჭრელეა“ მოსალოდნელი.

მართლაც, რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ სიკვდილის შემდეგ წმინდანად შერაცხულ დედა ტერეზასა და ფაშისტური იტალიის სპორტული დიდების მედროშეს, დუჩე მუსოლინის ფავორიტსა და თავადაც ფაშისტური პარტიის წევრ ჯუზეპე მეაცას?! — ცხადია, არაფერი, გარდა იმისა, რომ 2010 წელს ორივეს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა; თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ „სიგიჟით“ ცნობილ იტალიელ ტიფოზებს ისევე სჭირდებოდათ ჯუზეპე მეაცას გოლები, როგორც უამრავ გაჭირვებულს — დედა ტერეზას დახმარება.

დებიუტი „ინტერში“

1910 წლის 23 აგვისტოს, მილანში, პორტო რომანოს უბანში, ვია სან-ლუიჯიზე, ანიბალე მეაცას ოჯახში ბიჭი დაიბადა. ბედნიერმა მამამ, რომელიც „მილანის“ თავგადაკლული გულშემატკივარი გახლდათ, მაშინვე გადაწყვიტა, რომ მისი შვილი ფეხბურთელი უნდა გამხდარიყო და როგორც კი 6 წლის გახდებოდა, ბავშვთა გუნდში შეიყვანდა. თუმცა, არ დასცალდა: 1914 წელს, I მსოფლიო ომის ფრონტზე გაწვეული, შინ მძიმე ჭრილობებით დაბრუნდა და მალევე გარდაიცვალა. ობლად დარჩენილმა პატარა ჯუზეპემ, დედისთვის ოჯახის ტვირთის სიმძიმე რომ შეემსუბუქებინა, 11 წლის ასაკში პურის საცხობში დაიწყო მუშაობა და როგორც შემდგომში ღიმილით იგონებდა, — ბიზნესის წვრილმანებში ისე კარგად გაერკვა, რომ ცამეტი წლისამ საკუთარი „საქმის“ წამოწყება გადაწყვიტა: მან ფეხბურთის პროფესიული კლუბი ჩამოაყალიბა, რომელსაც „კონსტანცა“ (მუდმივი, მარადიული) უწოდა და იქ პრეზიდენტიც თვითონ იყო, მწვრთნელიც, ბუღალტერიც და ცენტრალური თავდამსხმელიც. ეს ახლა შესაძლოა, მართლაც ღიმილის მომგვრელი იყოს, მაგრამ როგორც ირკვევა, 20-იანი წლების დასაწყისში, იტალიაში წელიწადში დაახლოებით 250-300(!) ახალი კლუბი რეგისტრირდებოდა.

როგორც ბევრი სხვა, „კონსტანცაც“, მიუხედავად თავისი სახელწოდებისა, „მარადიული“ ვერ აღმოჩნდა და მალევე დაიშალა. 14

(1938 ემბლემა) 1934 წლის ჩემპიონატის ოფიციალური პლაკატი

წლის ჯუზეპემ ამჯერად, უფრო სოლიდური ისტორიის მქონე „მაესტრი კამპეონეზის“ მიაკითხა. ორი წლის განმავლობაში ამ ახალგაზრდულ გუნდში, მეკარის გარდა, ყველა პოზიციაზე მოასწრო თამაში და არცთუ ურიგოდ — 15 წლის პეპინო, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 33 კილოგრამს იწონიდა, თავს ჩამოყალიბებულ ფორვარდად მიიჩნევდა და თამამად მიადგა მისი სათაყვანებელი „მილანის“ მწვრთნელის კაბინეტის კარს, მაგრამ... „მილანში“ გაუღიმეს, მხარზე ხელი მოუთათუნეს და უთხრეს, — შენი წონით, იპოდრომზე ჟოკეიდ თუ გამოდგებიო! და სწორედ აქ შეცდნენ „მილანის“ მესვეურები — მეაცას შურისძიება სასტიკი აღმოჩნდა: იმავე დღეს მივიდა „მილანის“ მოსისხლე მტრის, „ინტერის“ ახალგაზრდული გუნდის შტაბში და მათ საკუთარი სამსახური უფასოდ შესთავაზა. პირობა ასეთი იყო: თუკი ის გუნდის ბომბარდირთა სიის სამეულში ვერ მოხვდებოდა, კიდევ ერთი წელი უფასოდ ითამაშებდა, თუ არადა, „სტიპენდია“ (სინამდვილეში, მხოლოდ კვებისა და მგზავრობის ფული) უნდა მიეცათ. 1925/26 და 1926/27 წლების სეზონში „ინტერის“ ჭაბუკთა გუნდმა ზედიზედ ორჯერ მოიგო იტალიის ახალგაზრდული პირველობა და პირველ წელს ნახევარფინალში, ხოლო 1927 წელს უკვე ფინალში დაამარცხა „მილანი“ (3:2). ალბათ მიხვდებით, ვინ გაიტანა სამივე გოლი!..

1934 წელი, მსოფლიოს ჩემპიონი იტალიის ნაკრები

სწორედ ამ ტურნირის პირველსავე მატჩში შეარქვეს მეაცას მეტსახელი, რომელიც მთელი ცხოვრება გაჰყვა — „ბალილა“ იტალიურად ტყვიას ნიშნავს და პირველსავე შეხვედრაში შესრულებული დუბლის შემდეგ ახალგაზრდული „ინტერის“ უნგრელი მწვრთნელის, არპად ვაისის მიერ ნათქვამი: „ამიერიდან ეს ბალილა ყველა მატჩს ითამაშებს“, თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე აქტუალური იყო.

ისიც უნდა ითქვას, რომ მეაცას „ბალილა“ თიკუნად საოცარი სისწრაფის გამო, მთელი კარიერის მანძილზე შერჩა, მაგრამ მაშინ უნგრელ მწვრთნელს მისი ეს თვისება სულაც არ უგულისხმია. საქმე ისაა, რომ როგორც საბჭოთა კავშირში არსებობდა „პიონერული ორგანიზაცია“, ხოლო ნაცისტურ გერმანიაში — „ჰიტლერიუგენდი“, ასევე იტალიაში იყო ჭაბუკთა კავშირი, რომელსაც „ოპერა ნაციონალე ბალილა“ ერქვა — XIX საუკუნეში ავსტრიის წინააღმდეგ იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალგაზრდა გმირის, მეტსახელად ბალილას პატივსაცემად. ასე რომ, უნგრელი მწვრთნელის ნათქვამი მხოლოდ მეაცას წევრობას აღნიშნავდა იტალიურ „კამსამოლში“, მაგრამ საბედნიეროდ, პეპინომ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობითაც ივარგა. საინტერესო ისაა, რომ შვილის „ოპერა ნაციონალე ბალილას“ წევრობით დედამისი დიდად ამაყობდა, ხოლო რაც შეეხება ფეხბურთელობას, მომავალი ვარსკვლავი ამას კარგა ხანს, დიდი მონდომებით უმალავდა...

მეაცამ ცხადია, „სტიპენდია“ მიიღო და მიუხედავად იმისა, რომ 17 წლისაც ისევ დისტროფიკს ჰგავდა, პირველსავე სეზონში (1927/28) ძირითადი გუნდის ბომბარდირი გახდა და „ინტერს“ ჩემპიონობის მოპოვებაშიც დაეხმარა — უფრო სწორად, შეიძლება ითქვას, რომ პირადად მოუპოვა „სკუდეტო“ ბოლო ტურში: „ჯენოასთან“ პირველი წაგებული ტაიმის (0:3) შემდეგ, მეორე ნახევარში მეაცამ სამი უპასუხო გოლი გაიტანა.

სხვათა შორის, იმ სადებიუტო სეზონში მეაცამ გენუის გუნდები („ჯენოა“ იტალიურად გენუაა) კარგად „დაცადა“: თამაშის გახსნისას ამ ქალაქის მეორე გუნდი, „დომინანტე“ „ინტერმა“ დაამარცხა — 6:2 და ძირითადი გუნდის ახალბედამ მაშინ დუბლი მიითვალა.

ის სეზონი იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ სწორედ მაშინ შეიქმნა „სერია A“, სადაც დღემდე 18 გუნდითა და იგივე პრინციპით მიმდინარეობს გათამაშება (მოდი და ნუ გაგახსენდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რომელიც იტალიელებზე „მაგარია“ და ამიტომაც, ყოველ ორ წელიწადში ცვლის ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობასაც და გათამაშების სისტემასაც).

ერთი სიტყვით, 17 წლის ბალილა მილანელთა კერპი გახდა — ცხადია, „ინტერის“ ფანების, ხოლო „მილანის“ ტიფოზები ვერ იტანდნენ. სხვათა შორის, ისინი არც საყვარელი გუნდის შეფებს აკლებდნენ ლანძღვა-გინებას, რომლებმაც მეაცაში ვარსკვლავი ვერ ამოიცნეს.

მაინც, რით ახერხებდა მეაცა პროფესიული კარიერის პირველ წლებში ფიზიკური სისუსტის კომპენსირებას? სამწუხაროდ, მაშინდელი კი-

ნოქრონიკა არ შემორჩენილა, მაგრამ როგორც თვითმხილველები ყვებოდნენ და პრესაც ამტკიცებდა, მას შეეძლო, ადგილიდან 1,2 მეტრზე ამხტარიყო, ხოლო 100 მეტრს 12 წამში გარბოდა! დაგვეთანხმებით, ასეთი შედეგით დღევანდელი მეცნიერული მეთოდებით „დამუშავებული“ მსოფლიო ვარსკვლავებიც ვერ დაიკვეხნიან. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ 2 სეზონს გაგრძელდა, შემდეგ კი ბალილა „ჯანზე მოვიდა“ — ახლა, როდესაც 30-იანი წლების იტალიის ნაკრების კადრებს ვუყურებთ ან მსოფლიოს ჩემპიონატებზე გადაღებულ მეაცას ფოტოებს ვათვალიერებთ, ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს დაკუნთული, სქელკისერა ათლეტი ორიოდე წლით ადრე ბუმბულივით დაფარფატებდა. შეიძლება ითქვას, რომ 1930 წლისთვის, მსუბუქი ბალილა (ტყვია) მძიმე ყუმბარად იქცა.

1938 წელი, ბრაზილიის გუნდთან თამაშისას

ცხადია, ცალკე საუბრის თემაა ჯუზეპე მეაცას სანაკრებო კარიერა, რამაც იგი ეროვნულ გმირად და მუსოლინის უსაყვარლეს სპორტსმენად აქცია.

იტალიის ნაკრებში მისი დებიუტი 1930 წლის 9 თებერვალს, შვეიცარიასთან თამაშისას შედგა: 2:2-ზე შეცვლაზე შესულმა მეაცამ დუბლი გაახერხა და თავის გუნდს მოაგებინა. მეორე თამაში იტალიელებს მაინის ფრანკფურტში, მომავალ მოკავშირესთან — გერმანიასთან ჰქონდათ. იტალიამ აქაც იმარჯვა 2:0. მართალია, მეაცას გოლი არ გაუტანია, მაგრამ ყველა გაზეთი აღნიშნავდა, რომ ნაკრებს ახლა უკვე რეალური შანსი ჰქონდა, ნებისმიერი მეტოქე დაემარცხებინა — დღევანდელისგან განსხვავებით, მაშინ მიიჩნევდნენ, რომ კარგი ფორვარდი გუნდის წარმატების 80%-ს ნიშნავდა.

მესამე თამაშისას ანუ 1930 წლის 11 მაისს მეაცამ დაამტკიცა, რომ დებიუტისას გატანილი 2 გოლი შემთხვევითობა არ იყო: მანამდე იშვიათად დამარცხებული უნგრეთის ნაკრები იტალიელებმა 5:0 გაანადგურეს, თანაც — ბუდაპეშტში და 3 გოლი მეაცას ანგარიშზე ჩაიწერა!

„ფიფას“ პრეზიდენტი ჟიულ რიმე მსოფლიოს ჩემპიონის თასს გადასცემს გამარჯვებული გუნდის კაპიტანს, მეაცას

უნდა აღინიშნოს, რომ ეს სამივე თამაში ე.წ. „ცენტრალური ევროპის თასის“ ეგიდით ჩატარდა და იტალიელებმა ეს ჯილდო პირველად მოიპოვეს.

როგორც ვთქვით, იმდროინდელ ფეხბურთში ცენტრფორვარდი მართლაც ცენტრალური, მთავარი ფიგურა იყო, მაგრამ მეაცამ ეს სტერეოტიპიც შეარყია: 1932 წლიდან იტალიის ნაკრებში ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა — სკიავიო, მაგრამ მას ერთი ნაკლი ჰქონდა — ცენტრფორვარდის გარდა, სხვა პოზიციაზე ვერ თამაშობდა, ამიტომ ნაკრების მწვრთნელმა, პოციმ მეაცა მარჯვენა ფლანგზე გადაანაცვლა, ამ დუეტს „გაიტალიელებული“ სამი არგენტინელი დაუმატა და 1934 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მეტოქეებს ხუთი თავდამსხმელით „დაერია“. მეაცამ ფლანგზე თამაში ჩემპიონატამდე ორი წლით ადრე დაიწყო, მაგრამ ამით მის სნაიპერულ თვისებებს არაფერი მოჰკლებია. თავად განსაჯეთ: ვიდრე 60-იან წლებში კიდევ ერთი იტალიელი დიდოსტატი, ლუიჯი რივა არ გამოჩნდა, ბალილა 53 თამაშში 33 გოლით იტალიის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო გოლეადორი იყო.

მილანის „სან-სირო“, ამჟამად უკვე მეაცას სახელობის სტადიონი

იტალია ჩემპიონი გახდა, მუსოლინიმ ამბიცია დაიკმაყოფილა — მეგობარსა და მეტოქე ჰიტლერს ფეხბურთში მაინც აჯობა, ხოლო მეაცა აპენინებს გმირად დაუბრუნდა! სანაკრებო დონეზე ამ წოდების ამდენ ხანს შენარჩუნების პრეცედენტი მსოფლიოში ერთადერთია.

რაც შეეხება გარემარბობას, მეაცას ეს ფუნქცია ისე „გაუტკბა“, რომ კლუბშიც ფრთაზე გადაინაცვლა და თანაც — მარცხნივ! ფეხბურთის მცოდნეები დაგვეთანხმებიან, რომ მოქმედების ასეთი ფართო დიაპაზონი დღეს წარმოუდგენელი ამბავია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კლუბის საქმეები არცთუ კარგად მიდიოდა. 1930 წლის სკუდეტოს შემდეგ, ზედიზედ სამჯერ, ზუსტად სეზონის ბოლოს, „იუვენტუსმა“ ჩემპიონობა ცხვირწინ ააცალა და „ინტერი“ მეორე ადგილზე დატოვა.

თუმცა მეაცამ სრულიად სხვა ასპარეზზე მოიპოვა წარმატება: ვერ გეტყვით, რამდენად გამოადგა მას ბავშვობისას „ნასწავლი“ „პურის ბიზნესი“ და „კლუბის პრეზიდენტობა“, მაგრამ 1934 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, ის დღეისათვის

უკვე მართლაც, უზარმაზარ ბიზნესად ქცეული სფეროს პიონერი გახდა: ბალილა პირველი იყო, ვინც რეკლამა გაუკეთა რომელიღაც იტალიური ფირმის პარფიუმერიულ პროდუქციას. ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფის მთავარ შემოქმედად გულშემატკივრებიც და საქმიანი ხალხიც სწორედ ჯუზეპე მეაცას მიიჩნევდა და არა მწვრთნელს ან როგორც უკვე აღვნიშნეთ, „გუნდის 80%-ად“ შერაცხულ ცენტრფორვარდს.

მსოფლიოს ჩემპიონატებს შორის (1934-1938 წლები) „სკუადრა აძურამ“ რამდენიმე ამხანაგური მატჩი, მეტნაკლები წარმატებით ითამაშა (მაშინ ევროპის ჩემპიონატი ჯერ კიდევ არ ტარდებოდა). მეტოქეებთან მისი უპირატესობა არცთუ თვალშისაცემი იყო და ამიტომაც, რიგით მესამე „მუნდიალს“ შიშით ელოდნენ როგორც ტიფოზები, ისე ქვეყნის ხელისუფალნიც, მაგრამ არა ბალილა — მეაცას მიერ ნახევარფინალში გატანილმა გოლმა ყველა „დაამშვიდა“, ფინალი კი იტალიელებმა უფრო ადვილად მოიგეს (სხვათა შორის, ინტერნეტგვერდ youtube-ზე ამ ტურნირის ნახევარფინალებისა და ფინალის ამსახველი უნიკალური კადრებია და მათ ნახვას ყველას გირჩევთ).

მეაცა, ცხადია, კვლავ ტრიუმფატორთა წინამძღოლი იყო, თანაც წინა ჩემპიონატისაგან განსხვავებით, უკვე კაპიტნის რანგში. მიუხედავად იმისა, რომ სპორტულმა ოლიმპმა მას მთავრობის კულუარებში გაუკაფა გზა და დღევანდელი ჟარგონით რომ ვთქვათ, თვით ბენიტო მუსოლინის „წიხლით უღებდა კარს“, ეს წარმატება მისთვის ფაქტობრივად, ბოლო აღმოჩნდა: უიღბლობათა სერია ჩემპიონატის დასრულებისთანავე დაიწყო — სამშობლოში დაბრუნებიდან რამდენიმე დღეში სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს ბრმა ნაწლავზე, რამაც გართულებები გამოიწვია და 1939 წლის მარტამდე იგი მწვანე მინდორს არ გაჰკარებია. მაგრამ არც ეს „საგაზაფხულო დაბრუნება“ აღმოჩნდა ხანგრძლივი — იმავე 1939 წლის 20 ივლისს ჯუზეპე მეაცამ იტალიის ნაკრებში (ფინეთის გუნდის წინააღმდეგ) უკანასკნელი მატჩი ჩაატარა, ხოლო ამ გამოსათხოვარი თამაშიდან ცხრა დღის შემდეგ ცოლი მოიყვანა (მოდი და ნუ გაგახსენდება კაცს ცნობილი ქართველი მწვრთნელის, რევაზ ძოძუაშვილის განთქმული „ახირება“ — ცოლის მოყვანისათვის ფეხბურთელებს გუნდიდან რომ უშვებდა ხოლმე. ალბათ, მეაცაც ასე ფიქრობდა: სანამ ფეხბურთს თამაშობ, მხოლოდ მას უნდა ეკუთვნოდეო).

არავინ იცის, ცოლის მოყვანის ბრალი იყო თუ სხვა რამისა, მაგრამ ფეხბურთში დაბრუნებულ ბალილას (ნაკრებში არა, მაგრამ კლუბში იგი კვლავ მთელი ძალით თამაშობდა) ისევ ჯანმრთელობამ უმტყუნა — მას სისხლძარღვის შევიწროება დაუდგინეს და ექიმებმა მხოლოდ ქირურგიული ჩარევის შემდეგ შეძლეს მისი გადარჩენა.

იძულებითი „შესვენება“ კვლავ ხანგრძლივი აღმოჩნდა (1940 წლის ბოლომდე), ხოლო დაბრუნება — სენსაციური და სკანდალური: იგი არა მშობლიურ „ინტერში“, არამედ „ბავშვობის სიყვარულში“, „მილანში“ წავიდა, მაგრამ ძველი ფანებისაგან იმდენად დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლა მიიღო, რომ იძულებული გახდა, დაეტოვებინა „მილანიც“, ქალაქი მილანიც და ტურინის „იუვენტუსში“ გადავიდა.

ვერც ტურინში მოასწრო დიდხანს თამაში — 1943-1944 წლების სეზონი ომის გამო შეწყდა. ომის დასრულებამდე დიდ ქალაქს ვარეზეში გარიდებული (ამ დროისათვის მეაცას ცოლი და ორი ქალიშვილი ჰყავდა) მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, იქაურ სამოყვარულო გუნდს ადგილობრივ პირველობაზე კონსულტაციებს უწევდა და ფორმის შესანარჩუნებლად ცოტ-ცოტას თამაშობდა კიდეც.

როდესაც „სერია A“ განახლდა (1945/46), იგი „ატალანტამ“ მიიწვია და კვლავ ძველებურად გაიბრწყინა, ხოლო შემდეგ სეზონში ისევ „ინტერში“ გადავიდა და 17 მატჩი მოთამაშე-მწვრთნელად ჩაატარა.

ამით დასრულდა მისი ბრწყინვალე კარიერა — ნაკრების სტატისტიკაზე ზემოთაც ვთქვით, ხოლო „ინტერში“ ჩატარებულ 361 მატჩში მეაცამ 247-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი.

სამწუხაროდ, მისი შემდგომი თავგადასავალი სულაც არ ჰგავს ფეხბურთელობისდროინდელ ტრიუმფებს: ჯერ „ინტერშივე“ დაჰყო ორიოდე წელი, შემდეგ სპორტულ ჟურნალ „სპორტ ილუსტრიტოს“ ექსპერტადაც იმუშავა, 1952/53 წლებში ნაკრების მწვრთნელ კარლო ბერეტის თანაშემწე გახლდათ, მაგრამ მათ მიერ დამოძღვრილმა ნაკრებმა რვიდან მხოლოდ ორი შეხვედრა მოიგო და ამიტომაც, ბოდიშის მოხდით, კარისკენ მიუთითეს.

დიღების მწვერვალზე ყოფნისას

მის სამწვრთნელო კარიერაში ყველაზე საინტერესო და კურიოზული 1954/55 წლები იყო: „ინტერს“ ცუდი დროება დაუდგა და ზედიზედ ოთხი მწვრთნელი გამოიცვალა, ხოლო ალფრედო ფონის, ალდო კამპატელის, ანიბალე ფროსისა და ლუიჯი ფერეროს შორის შუალედებში (2-3 ან 5 თვით, ერთხელ კი სამი კვირითაც) „მწვრთნელად“ კვლავ მეაცას უხმობდნენ.

ერთადერთი, რაც სამწვრთნელო ასპარეზზე მეაცას კარგად გამოუვიდა, ბავშვთა ფეხბურთი იყო: სწორედ მის სკოლაში და უშუალოდ მისი მეთვალყურეობით აღიზარდნენ იტალიური ფეხბურთის ისეთი კაშკაშა ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ: სანდრო მაცოლა, ჯაცინტო ფაკეტი და ა.შ.

ფაკეტისა და მეაცას ხსენებაზე შეუძლებელია არ გაგახსენდეს 1977 წელი, როდესაც „სან-სიროზე“ (ამ სტადიონს ჯერ კიდევ არ ერქვა ჯუზეპე მეაცას სახელი) სწორედ იტალიის ყველა დროის საუკეთესო მცველად აღიარებულ ფაკეტის (მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ ბარეზი და მალდინი) თბილისის „დინამოს“ მეათე ნომერმა, საჯარიმოს სიახლოვეს ბურთი აართვა და მეკარისაგან შორეულ კუთხეში დაარტყა! დავით ყიფიანის ამ გოლმა „ინტერს“ მისთვის უჩვეულო საშინაო მარცხი და ევროთასების ადრეულ ეტაპზე დატოვება არგუნა. ამ თამაშის მსვლელობისას მეაცა ტრიბუნაზე იჯდა და გაოცებული უყურებდა, თუ როგორ აგებდა მრისხანე „ინტერი“ უცნობ გუნდთან.

სხვათა შორის, ჯუზეპე მეაცა ამ მატჩიდან ძალიან მალე, 69 წლის ასაკში გარდაიცვალა და „სან-სიროს“, რომელიც „მილანისა“ და „ინტერის“ საერთო საკუთრებად მიიჩნევა, დიდი ფეხბურთელის სახელი ეწოდა.

ეს იყო და ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება პირველი და ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ორი მილანული გრანდის ტიფოზები ერთი აზრისანი იყვნენ: ეს კაცი ნამდვილად იმსახურებდა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს და უმშვენიერეს საფეხბურთო სარბიელს მისი სახელი ერქვას!

■

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

„ᲐᲦᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲕᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝ...“

რამდენიმე დღის წინ რედაქციაში ახალგაზრდა მამაკაცი გვესტუმრა, რომელმაც აღნიშნა, — „გზის“ აქტიური მკითხველი ვარო და დახმარება გვთხოვა. ვალერი ნასაკინი ეროვნებით რუსია, მაგრამ ქართულად გამართულად ლაპარაკობს. ის ქურდობისთვის 2-ჯერ გახლავთ ნასამართლევი და სულ რამდენიმე თვეა, რაც პატიმრობიდან გათავისუფლდა. მართალია, ინტერვიუს დროს ვალერი ცდილობდა, ემოციები მოეთოკა, მაგრამ მაინც, საკუთარ ცხოვრებაზე საუბრისას თვალები რამდენჯერმე აუწყლიანდა.

ᲛᲐᲠᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

— არ იფიქროთ, თითქოს ვწუწუნებდე ან თავს გაცოდებდეთ, მაგრამ მერწმუნეთ, გაუსაძლის პირობებში ცხოვრებამ მაიძულა, მომეპარა. ალბათ მეტყვით, — ბევრს უჭირს, მაგრამ ამის გამო ქურდობა არ დაუწყიაო. ჰო, ასეა, მაგრამ ისიც ხომ სიმართლეა, რომ ყველა ადამიანს თავისი ცხოვრება აქვს და ამა თუ იმ სიტუაციაში ყველა ერთნაირად ვერ მოიქცევა?! პირველად წლების წინ დამაპატიმრეს. სასჯელი მოვიხადე და ციხიდან გამოსულმა სამსახურის ძებნა დავიწყე, თუმცა — უშედეგოდ. გლდანში ვცხოვრობ. ერთოთახიან ბინაში მე, ინვალიდი დედა, ჩემი უმცროსი ძმა და მისი ცოლ-შვილი როგორ ვეტევით, ამის თქმა, ცოტა არ იყოს, ძნელია. ოჯახში მხოლოდ ჩემი ძმა მუშაობს, მაგრამ მუდმივი ხელფასი არა აქვს — როცა საქმეზე გამოიძახებენ, მაშინ უხდიან „კაპიკებს“. ჰოდა, მთელი ოჯახი მის მწირ შემოსავალს შევყურებთ. დედას რა შეუძლია? — დადის, ბოთლებს აგროვებს, აბარებს და აღებული თანხით პურს ყიდულობს; მე კი, 38 წლის კაცი, მისი ხელის შემყურე ვარ... ცხოვრების ასე გაგრძელება აღარ შემიძლია! ადრე ვიღაცების სარდაფიც გამიტეხავს, იქიდან კომპოტითა და მურაბით სავსე ქილები წამომიღია, რათა მშივრები არ ვყოფილიყავით. ცუდად არ გამიგოთ, მაგრამ ზოგიერთებივით იმიტომ კი არ ვიპარავდი, რომ სასმელი მეყიდა ან ტოტალიზატორში მეთამაშა — თუმცა ვიცი, ეს ფაქტი არ მამართლებს.

— მეორედაც ქურდობის გამო დაგაკავეს?

— დიახ. მეგობრებთან ერთად კერძო სახლში შევიპარე და ფაქტზე დაგვიჭირეს — სახლიდან ტელევიზორი, მაგნიტოფონი და კიდევ უამრავი რამ გამოგვქონდა. 6 წელი მომისაჯეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში გეგმებს ვაწყობდი და ვფიქრობდი, — როცა აქედან გავალ, აუცილებლად, ახალ ცხოვრებას დავიწყებ-მეთქი. აღარ მინდა, ისევ ვიქურდო. მერწმუნეთ, წარსულის გახსენებისას სინდისი მქენჯნის და... ამაზე

მზად ვარ, შრომაში დღე და ღამე გავასწორო, ოღონდაც ძველ ცხოვრებას არ დავუბრუნდე

ლაპარაკის მრცხვენია (*ტირის*). ვიდრე დამიჭერდნენ, შეყვარებულიც მყავდა. ის გოგო წლების მანძილზე მელოდა. მისი გამოგზავნილი წერილები რომ წაგაკითხოთ, ერთ მაგარ რომანს დაწერთ...

„ზონაში“ ყაჩაღობისა და ქურდობისთვის ისეთი ხალხი იხდიდა სასჯელს, რომლებსაც ძალიან მაგარი პატრონი ჰყავთ: ყოველკვირა ანგარიშზე 100 ლარს და ხანდახან, მეტსაც კი ურიცხავდნენ, ძვირად ღირებული ტანისამოსი ეცვათ... სულ მიკვირდა, — ნეტავ, ეს ადამიანები რამ აიძულა, რომ ასეთ გზას დაადგნენ-მეთქი?! 6 წლის მანძილზე ჩემთვის სულ 3-ჯერ თუ ექნებათ ამანათი შემოგზავნილი, ისიც — ძალიან მწირი; ძირითადად, ლიმონს მიგზავნიდნენ. ღვთის წყალობით, ციხეში კარგი კვებაა... მერე პატარა ბიზნესიც წამოვიწყე — სიგარეტს თავი დავანებე. ჰოდა, თუ ვინმე შემომიგზავნიდა, ვაგროვებდი და მწეველ პატიმრებზე ვყიდდი.

— კი, მაგრამ პატიმრებს ფული რომ არა აქვთ?

— მერე რა? სიგარეტის საფასურს სხვანაირად მიხდიდნენ: პატიმარი, რომელსაც სიგარეტს ვაძლევდი, ჩემთვის საჭმელს ყიდულობდა ან მისიანები ფულს ჩემს ანგარიშზე რიცხავდნენ. ჰოდა, ასე მოვაგროვე 400 ლარი. როცა ციხიდან გამოვედი, ამ თანხით ტანისამოსი ვიყიდე, კბილი გავიკეთე. ისე, იქ უფრო ვინახავდი საკუთარ თავს, ვიდრე გარეთ. ახლა ცოლის მოყვანაც მინდა, მაგრამ იმ ერთოთახიან ბინაში ხომ ვერ ვაცხოვრებ? ძმისა და დედის კისერზე ან მე როგორ უნდა ვიცხოვრო, ან ჩემმა ცოლმა? რაც ციხიდან გამოვედი, იმის შემდეგ სამსახურს ვეძებ, მაგრამ უშედეგოდ. კაცო, დიდ თანამდებობას ხომ არ ვითხოვ, სულ უბრალო სამუშაო მინდა. დასუფთავების სამსახურსაც მივაკითხე, სადაც ერთ-ერთ თანამდებობის პირს დაველაპარაკე. იმ კაცმა განცხადებების „მთა“ მიჩვენა და მითხრა: — აი, რამდენი ადამიანია რიგში და აბა, შენ როგორ დაგეხმაროო? ავტოსამრეცხაოებიც ჩამოვიარე, რესტორნებიც, მაგრამ ყველა იმას მეკითხება, — გამოცდილება თუ გაქვსო?.. რად უნდა მანქანის რეცხვას გამოცდილება? 1-2 დღე რომ მაყურებინონ, მაშინვე ვისწავლი. რესტორნებში ოფიციანტად რომ ვიმუშაო, თურმე, სერტიფიკატი მჭირდება... არავის ვუმალავ, რომ ნასამართლევი ვარ. მართალია, მეუბნებიან, — მერე რა, ციხეში მოხვედრისგან არავინაა დაზღვეული, შეცდომა ყველას მოსდისო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ცდილობენ, თავი ამარიდონ. ერთმა შემომთავაზა: ბაზრობაზე აუდიოკასეტები გაყიდე და დღეში 5 ლარი მაინც დაგრჩებაო. ეს ხომ დროებითი სამუშაოა? მე კი მუდმივი სამსახური მინდა, რათა ცოტაოდენი ფული მოვაგროვო და ახალი ცხოვრება დავიწყო. ალბათ, არავინ გამამტყუნებს, თუ ვიტყვი, რომ მსურს ვიშოვო სტაბილური სამსახური, სახელმწიფო სტრუქტურაში — როცა მოვხუცდები, პენსია ხომ მინდა?..

— როგორ ფიქრობ, მართლა გამოსწორდი?..

— გამოსწორებულიც ვარ და „გადასწორებულიც“. მერწმუნეთ, უკან გახედვა არ მინდა. ზუსტად ვიცი, რომ ძველებურად აღარ ვიცხოვრებ! ჩემი მომავალი იმ ადამიანებზეა დამოკიდებული, ვისაც ჩემი დახმარება შეუძლიათ. თქვენთან იმიტომ მოვედი, რომ ჩემი საწუხარი ყველას გააგებინოთ და ვინ იცის, იქნებ ამის შემდეგ მაინც გამოჩნდეს ისეთი ღვთისნიერი ადამიანი, რომელიც სამსახურს შემომთავაზებს. დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი მაშველადაც — ფიზიკურად კარგად ვარ მომზადებული, არ ვსვამ, სიგარეტს არ ვეწევი, სირბილი და ღობეზე გადაძრომა-გადმოძრომაც კარგად მეხერხება (*იცინის*); მზად ვარ, შრომაში დღე და ღამე გავასწორო, ოღონდაც ძველ ცხოვრებას არ დავუბრუნდე. დამეხმარეთ, გთხოვთ! ■

ამაზრზენი დანაშაულის გაუხმაურებელი დეტალები

13 წლის გოგონამ საკუთარი მამა და ძმა გაუპატიურებაში ამხილა

თბილისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე ნინო სანდოძე) შემზარავი საქმის განხილვას რამდენიმე თვე მოანდომა. დაზარალებული — 13 წლის გოგონა საკუთარ მამასა და ძმას გაუპატიურებაში ამხელდა. ვინაიდან ეს უმძიმესი საქმე ინტიმურ დეტალებს შეეხებოდა, პროკურატურის მოთხოვნით, სასამართლო სხდომები დაიხურა. დაზარალებული გოგონა სასამართლო პროცესზე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლების თანხლებით მოდიოდა. ის დღემდე, თავშესაფარში ცხოვრობს.

თეა ხურცილავა

როცა საქმე გახმაურდა, დაზარალებული უკვე ფეხმძიმედ იყო, მოგვიანებით კი დადგინდა, რომ ის შვილს საკუთარი ძმისგან ელოდა. გოგონასთან გასაუბრება საქმის სასამართლო განხილვის დროს ვცადეთ, მაგრამ ფონდის წარმომადგენელმა — ლევან ხმალაძემ განგვიმარტა, რომ ამის უფლება არ გვქონდა და არც დაზარალებულს სურდა დეტალებზე ლაპარაკი. საბრალდებო დასკვნით და სასამართლო გამოძიებით დადგინდა, რომ 2009 წლის ივნისის დასაწყისში მამამ — რ.შ-მ 13 წლის ქალიშვილთან მარტო ყოფნით ისარგებლა, გოგონა ლოგინზე დააგდო, ტანსაცმელი გახადა და წინააღმდეგობის მიუხედავად, მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა. მამას შვილზე ძალადობა არც ამის შემდეგ შეუწყვეტია — ამ ფაქტიდან რამდენიმე დღეში, ისევ სახლში, კვლავ ძალის გამოყენებით, შვილს შარვალი გახადა და მასთან სქესობრივი კავშირი ამჯერად გაუკუღმართებული ფორმით დაამყარა. წინასწარი გამოძიების მასალებში მამის აღიარებითი ჩვენებაც მოიპოვება. როგორც შევიტყვეთ, სასამართლოზე მან დუმილის უფლება გამოიყენა და პროცესი ისე დასრულდა, ჩვენება არ მიუცია. ამასთანავე, წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენების გამოქვეყნებაზეც უარი თქვა და ცხადია, ეს დეტალები პროცესზე არ გახმაურებულა.

აღსანიშნავია, რომ წინასწარი ძიებისას მიცემული მამის აღიარებითი ჩვენება სასამართლოს მტკიცებულებად არ გამოუყენებია, მაგრამ მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მოსამართლემ ბრალი დადასტურებულად ცნო. განსასჯელის სკამზე, მამის გვერდით მისი 18 წლის ვაჟიც იჯდა — ზ.შ-ს, რომელიც დაკავებისას არასრულწლოვანი გახლდათ, საკუთარი დის გაუპატიურებაში ამხელდნენ. გამოძიების მასალებით, 2009 წლის ზაფხულში (ზუსტი თვე და რიცხვი დაუდგენელია), ზ.შ. 13 წლის დასთან ერთად, შინ მარტო იყო. ძმამ ამით ისარგებლა, საწოლთან მყოფ გოგონასთან მივიდა, ხელი ჰკრა, საწოლზე დააგდო და გოგონას ნების საწინააღმდეგოდ, მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა. როგორც დაზარალებული ამბობს, — ძმას წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. სასამართლომ ორივე განსასჯელი დამნაშავედ ცნო: მამას, 14 წელს მიუღწეველი შვილის გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედებისთვის, სასჯელის სახით 30-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, ხოლო მის ვაჟს, ზ.შ-ს დის გაუპატიურებისთვის 13 წლითა და 6 თვით აღუკვეთეს თავისუფლება.

როგორც შევიტყეთ, პოლიციას ეს ამბავი გოგონას ბებიამ აცნობა და დეტალების გასარკვევად, ამ ოჯახს შინ ვესტუმრეთ. ბუნებრივია, ჟურნალისტის გამოჩენა არ ესიამოვნათ და ყოველგვარ კომენტარზე უარი თქვეს: *„ისედაც განადგურებულები ვართ, ქუჩაში ვერ გამოვსულვართ, რადგან მთელმა ქვეყანამ გაიგო, რაც მოხდა და ბავშვებს სკოლაში წასვლაც აღარ უნდათ... აბა, რა უნდა გითხრათ, ჩვენი ტკივილი გვყოფნის, თავი დაგვანებეთ“.*

მიუხედავად მათი პროტესტისა, არ შემიძლია, იქ ნანახს გვერდი ავუარო: როცა რკინის კარი შევაღე და კიბის რამდენიმე საფეხური ავიარე, პატარა, 2-ოთახიან ბინაში აღმოვჩნდი, სადაც მართალია, ოთახის კარი და სარკმელი ღია იყო, მაგრამ მაინც, საშინელი ნესტის სუნი იდგა. კედლები და ჭერი ჩაობებული, გაშავებული გახლდათ. ამ დაბალჭერიან ბინაში, სადაც ცოლ-ქმარი 5 შვილთან ერთად ცხოვრობდა, სულ ორი ოთახია. ერთ-ერთ მათგანში მაგიდა, რამდენიმე სკამი, ძველი კარადა, ერთი საწოლი და ტელევიზორი დგას — ეს მათი მისაღები ოთახიცაა და მშობლების საძინებელიც... მეორე ოთახში, რომელსაც პირველისგან ფარდა ჰყოფს, ფანჯარაც კი არაა გამოჭრილი — იქაც ერთი ძველი კარადა და ოთხი საწოლი დგას. როგორც მივხვდი, იმ 4 საწოლში 5 ბავშვი გაიზარდა ანუ და-ძმებს — 3 ბიჭსა და 2 გოგონას ერთ პატარა ოთახში ეძინათ, რომლის კედლებიც ნესტისგანაა გაშავებული. მოკლედ, ოჯახი უკიდურესად გაჭირვებულია და შესაბამისად, სოციალურად დაუცველთა სიაში ირიცხება.

ჩვენი ინფორმაციით, დაზარალებული გოგონას მშობლები 21 წლის წინ დაქორწინდნენ. მათ საცხოვრებელი სახლიც არ ჰქონდათ და ამიტომაც, რამდენიმე წელი ქალის დედის სახლში ცხოვრობდნენ. 1992 წელს ბავშვების ბებიას და რამდენიმე მეზობელს სახლი დაეწვა, ჰოდა, ყველანი ქუჩაში აღმოჩნდნენ. მსჯავრდადებული რ.შ. მეუღლესთან და 2 შვილთან ერთად იქვე მცხოვრებმა ოსების ოჯახმა შეიფარა. მოგვიანებით, ოსები საქართველოდან წავიდნენ და სახლი მათ დაუტოვეს.

ამ ოჯახში ჩვენი სტუმრობისას ბავშვების ბებიას არ დაუმალავს, რომ ხშირად, მის შვილიშვილებს პურიც ენატრებოდათ. *„ზოგჯერ, როცა მეზობლები პურს ჩუქნიდნენ, შინ გახარებულები მორბოდნენ“*, — თქვა ტირილით... როგორც ამბობენ, ბავშვების დედა დამლაგებლად მუშაობს და შვილები ძირითადად, მამასთან იყვნენ. თურმე, თავის დროზე ოჯახის უფროსი არასაუწყებო დაცვის პოლიციაში მუშაობდა, შემდეგ კი სამსახურიდან წამოვიდა და ალკოჰოლის მიღებაც დაიწყო. როგორც ამბობენ, მას ცუდი სიმთვრალე ჰქონდა და შვილებს ხშირად ეჩხუბებოდა, სცემდა... მსჯავრდადებულმა ზ.შ-მ სკოლა 13 წლის ასაკში მიატოვა და ფიზიკურად მუშაობდა, დედის დახმარებას ცდილობდა. ის ბოთლებს, ჯართსაც აგროვებდა, აბარებდა და აღებული ფულით ოჯახისთვის საკვებ პროდუქტებს ყიდულობდა. ახლობლების თქმით, დაზარალებული გოგონა სახლიდან ხშირად, დაუკითხავად მიდიოდა. იმასაც ამბობენ, რომ

ის ცუდ წრეში ტრიალებდა და სწორედ ამის გამო ეჩხუბებოდნენ. როცა დედამ და ბებიამ შეამჩნიეს, რომ 13 წლის გოგოს მუცელი გაეზარდა, ჰკითხეს: ფეხმძიმედ ხომ არა ხარო? — მაგრამ მისგან კატეგორიული უარი მიიღეს. ის ამბობდა, — სადაც გინდათ, იქ წამიყვანეთ. საჭმელი ახლახან ვჭამე და ალბათ, მუცელი ამიტომაც მაქვს გაბერილიო. ორსულობა თვალშისაცემი რომ გახდა, ახლობლებმა ძალდატანებით, ორსულობის ტესტი ჩაუტარეს და მათი ეჭვიც დადასტურდა. გოგონას სთხოვდნენ, დაესახელებინა ის პირი, ვისგანაც შვილს ელოდა (ამ დროს ის უკვე 6 თვის ფეხმძიმე იყო), მაგრამ ვერაფერი დააცდენინეს. ბოლოს სთხოვეს, დამდგარიყო იმ ადამიანის სახლის კართან, ვისგანაც დაფეხმძიმდა — გოგონა საკუთარ სახლთან გაჩერდა. როცა დაჟინებით მოსთხოვეს, სიმართლე ეთქვა, აღიარა, რომ შვილს საკუთარი მამისგან ელოდა. ამ შოკისმომგვრელი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ ნათესავებმა მამამისზე შურისძიება გადაწყვიტეს, მაგრამ იმ მომენტში რ.შ. შინ არ იყო.

იმის შიშით, რომ მკვლელობა არ მომხდარიყო, ბავშვის ბებიამ სასწრაფოდ, პოლიციის ქვეგანყოფილებაში მიირბინა და ძალოვნებს მომხდართან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდა. პოლიციელებმა გოგონას მამა მანამ დააკავეს, ვიდრე ის ნათესავებს ჩაუვარდებოდა ხელში... მართალია, დაზარალებული მშობელს ამხელდა და ამტკიცებდა, რომ მისგან იყო ფეხმძიმედ, მაგრამ მამის დაკავებიდან ერთი თვის შემდეგ, მოულოდნელად, პოლიციამ ხელბორკილები 17 წლის ზ.შ-საც დაადო. როცა გოგონას მუცლადმყოფ შვილს ანალიზი აუღეს, დნმ-ის ექსპერტიზის შედეგი არანაკლებ შოკისმომგვრელი აღმოჩნდა — გაირკვა, რომ დაზარალებული შვილს საკუთარი ძმისგან ელოდა; ამის შემდეგ გოგონამ ძმასთან სექსუალური კავშირიც დაადასტურა და გაუპატიურებაში ისიც ამხილა...

პოლიციამ 13 წლის ფეხმძიმე გოგონა თავშესაფარში წაიყვანა, 2 თებერვალს კი თავშესაფრიდან (რომლის ადგილსამყოფელი დღემდე, არა მარტო დაზარალებულის ახლობლებისთვის, არამედ დედისთვისაც გასაიდუმლოებულია) „გაგუას კლინიკაში“ გადაიყვანეს, სადაც გოგონას მშობიარობას, მისივე თხოვნით, დედაც დაესწრო. როგორც ამბობენ, ახალშობილს ყველანაირი გამოკვლევა ჩაუტარდა — ჩვილს არანაირი პათოლოგია არ აღენიშნება. დედამ ახალშობილზე უარი თქვა, ხელწერილი დაწერა და ბავშვი თავშესაფარში დატოვა. წესით, როცა მშობელი შვილზე უარს ამბობს, ჩვილი მეურვეობას ან გაშვილებას ექვემდებარება, მაგრამ საეჭვოა, ამ ბავშვის აყვანის სურვილი ვინმეს გაუჩნდეს, რადგანაც კანონით, თავშესაფრის ხელმძღვანელობა ვალდებულია, მშვილებელ ოჯახს ბავშვის მშობლებზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს; თუ ამ ბავშვის აყვანას არავინ მოისურვებს, მასზე მზრუნველობა სახელმწიფოს მოუწევს.

როცა მშობელი შვილზე უარს ამბობს, ჩვილი მეურვეობას ან გაშვილებას ექვემდებარება, მაგრამ საეჭვოა, ამ ბავშვის აყვანის სურვილი ვინმეს გაუჩნდეს

ჩვენ კომენტარისთვის დაზარალებული გოგონას ადვოკატს, მაია ტალახაძესაც მივმართეთ, მაგრამ მან განგვიცხადა, რომ დაზარალებულს ამ თემაზე ლაპარაკი არ სურს. ადვოკატმა არ იცის, რამდენ ხანს დარჩება დაზარალებული ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში. მართალია, არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომ მან ბავშვი ძმისგან გააჩინა, მაგრამ ოჯახის წევრებს ამის დაჯერება მაინც უჭირთ, დნმ-ის ანალიზის ხელახლა ჩატარება სურთ — ეს ყველაფერი კი 900 ლარი ჯდება და მათ ამის საშუალება არა აქვთ. მომხდარის გამო ქუჩაში გასვლის რცხვენიათ გოგონას და-ძმებს; ისინი სკოლაში სიარულზეც კი უარს ამბობენ. სასამართლოზე მამამ დუმილის უფლება გამოიყენა, თუმცა ის შვილმა კიდევ ერთხელ ამხილა; რაც შეეხება გოგონას ძმას, ის მომხდარს არ უარყოფს. ზ.შ-ს სახაზინო წესით, ადვოკატი **ლამარა ბარკალაია** იცავს, რომელმაც სასამართლოზე საქმის კვალიფიკაციის შეცვლა მოითხოვა:

— ჩემი დასაცავი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს. ის აცხადებს, რომ ძალადობას, ძალადობის მუქარას დის მიმართ ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ფაქტს ადასტურებს. ამბობს, რომ დაზარალებულთან ერთხელ ჰქონდა ურთიერთობა — იმ დღეს ნასვამი იყო და ეს ქმედება თავად დაზარალებულის მხრიდან იქნა პროვოცირებული. განსასჯელი სიმთვრალის გამო ვერ აცნობიერებდა, რას აკეთებდა. მთელი სასამართლოს მიმდინარეობისას მას თავი არ აუწევია, ჩადენილს ნანობს. დამ იგი ამხილა და წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება სასამართლოზეც დაადასტურა. საქმის მასალების მიხედვით, პირველად ის მამას ამხელდა, მაგრამ ექსპერტიზის შემდეგ, ძმაც ამხილა. თავიდანვე რატომ არ დაასახელა ძმა? — ამ კითხვაზე პასუხი არ გაუცია...

— ქალბატონო ლამარა, ოჯახს დნმ-ის ანალიზის სისწორეში ეჭვი ეპარება. არსებობს თუ არა იმის ალბათობა, რომ ექსპერტიზის დასკვნა მცდარია?

— ამ თემაზე სპეციალისტებს უკვე ველაპარაკე. როგორც წესი, შეცდომა არ ხდება. გოგონას ორსულობის პერიოდშივე ჩაუტარდა დნმ-ს ანალიზი და ექიმების თქმით, ერთი და იგივე დნმ-ი შეიძლება, 12 მილიონ ადამიანში ერთხელ განმეორდეს. ალტერნატიული ექსპერტიზა სასამართლოსთვის არ შეგვითავაზებია, რადგან ოჯახს ამის ჩატარების საშუალება არა აქვს... კვალიფიკაციის შეცვლას ვითხოვდით იმიტომ, რომ ძალადობასა და უმწეო მდგომარეობის გამოყენებას ადგილი არ ჰქონდა. დეტალებზე ვერ ვილაპარაკებ, რადგან სასამართლო დახურული იყო და ამის უფლება არა მაქვს. ■



სამყარო

„პლასტიკური ქირურგი“, რომელიც მაკა ასათიანთან მუშაობდა

პროფესიით მხატვარი-მოდელიერია, თუმცა თბილისში ერთ-ერთი ცნობილ ვიზაჟისტადაა ცნობილი — უამრავი კლიპისა თუ რეკლამის გადაღებაზე იწვევენ. გარდა ამ ყველაფრისა, ეკა ჩანჩიბაძე ხელოვნების დიდი სიყვარულითაც გამოირჩევა და უამრავ საინტერესო ნივთს ქმნის. მისით სწორედ მაშინ დავინტერესდი, როცა ერთ-ერთი ცნობილი ქალბატონის ხელზე ულამაზესი და ორიგინალური ხელით ნაკეთი ბეჭედი შევნიშნე. სწორედ მან გამაცნო ეკა, რომელიც ინტერვიუზე სიამოვნებით დამთანხმდა.

ნათია ჟივიძე

— სამხატვრო აკადემიის მხატვარ-მოდელიერის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ვარ. მოგვიანებით, სწავლა მოსკოვის სტილისტისა და ვიზაჟისტის კურსებზე განვაგრძე. იქიდან დაბრუნებულმა კი სასულიერო აკადემიაში, ხელოვნებათმცოდნეობაზე, ხატწერის განხრით ჩავაბარე.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ვიზაჟისტი ხარ.

— სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, სულაც არ ვაპირებდი, რომ სხვა პროფესიასაც დავუფლებოდი. მაშინ მაკა ასათიანი საქართველოში მოღვაწეობდა და მასთან ჯერ სტაჟიორად დავიწყე მუშაობა, მოგვიანებით კი შტატშიც ამიყვანეს. მალევე მოსკოვის „ფეშენ-ვიკზე“ მოგვიხდა წასვლა. მაკა საკუთარი კოლექციის ჩვენებას აწყობდა, მე კი მისი დამხმარე ვიყავი. იქ აბსოლუტურად შემთხვევით, მომღერალმა თეონა კონტრიძემ სტილისტთა და ვიზაჟისტთა სკოლის დირექტორი გაგვაცნო. მერე თვითონ მაკამ შემომთავაზა, შენ თუ გინდა, დარჩი მოსკოვში და შენი სწავლის ფულს მე დავფარავო. ადამიანს რაღაც რომ გაინტერესებს და მისი შესწავლის შანსი გეძლევა, რა თქმა უნდა, ამაზე უარს არ იტყვი. ამიტომ, მაკას წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი. 6 თვის განმავლობაში ვსწავლობდი ამ სკოლაში. თბილისში დაბრუნების შემდეგ კი სამუშაოდ კვლავ მაკასთან დავბრუნდი — ჩვენებების დროს, მოდელებს უკვე მე ვუკეთებდი მაკიაჟსა და ვარცხნილობას.

— მაკა რომ საქართველოდან გაემგზავრა, შენი მუშაობა დასრულდა?

— მაკას წასვლამ ყველას ძალიან დაგვწყვიტა გული. ვერ წარმოიდგენთ, ისეთი კარგი ადამიანია. თანაც, მაშინ კარგი პერიოდი იყო — მოდის ბიზნესი ყვაოდა და შესაბამისად, საქმეც ბევრი გვქონდა. მოკლედ, ის დრო, ყველა მაშინდელ თანამშრომელს კარგად გვახსენდება. მისი წასვლის შემდეგ, უმუშევრად ნამდვილად არ დავრჩენილვარ. კერძო შეკვეთით ვაკეთებდი მაკიაჟსა და ვარცხნილობას.

— ანუ, მაკას ბიზნესი თეონა თავართქილაძემ რომ გადაიბარა, მასთან მუშაობა აღარ გაგიგრძელებია?

— თეონამ მერე გახსნა ის სალონი და მათთან შტატში არ ვყოფილვარ, თორემ მაშინაც ვთანამშრომლობდით და ახლაც მეძახიან ჩვენებებზე.

— მხოლოდ მოდელებს უკეთებ ვიზაჟს?

— არა. კლიპის გადაღებაზეც ხშირად დავდივარ, რეკლამებზეც. ერთადერთი, ფილმებზე არ ვმუშაობ, რადგან გამოცდილება თითქმის არ მაქვს. ერთხელ მომიხდა ფილმზე მუშაობა და ძალიან ცუდი პირობები გვქონდა. ჩვენთვის არც დღე არსებობდა და არც — ღამე. სულ ვმუშაობდით და ძალიან დავიღალეთ. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ეს ფილმი ეკრანებზე არ გამოსულა. არც ჰონორარი გადამიხადეს და მას შემდეგ ფილმის გადაღებებზე აღარ მივდივარ. ამას წინათ შემომთავაზეს, რომ „ჯაყოს ხიზნების“ გადაღებაზე მემუშავა, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან გადაღებები კახეთში მიმდინარეობდა და იქ ორი თვე უნდა ვყოფილიყავი. ეს კი, ჩემი გრაფიკიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო. ვფიქრობ, ადამიანს კინო ძალიან უნდა უყვარდეს, რომ ამ ყველაფერს გაუძლოს.

— ვიზაჟისტობა ალბათ საკმაოდ რთული პროფესიაა. ვიღაც რომ მოდის შენთან და მაკიაჟის გაკეთებას გთხოვს, რის მიხედვით

ურჩევ ამა თუ იმ ტიპის მაკიაჟს?

— ძალიან ბევრ რამეს ექცევა ყურადღება. მაგალითად, პირველ რიგში, მნიშვნელოვანი ის ფაქტორია, თუ ის ადამიანი სად მიდის, რათა გავიგო, მკვეთრი მაკიაჟი უნდა გაუკეთდეს, თუ — სადა. გარდა ამისა, საყურადღებოა მისი ჩაცმულობაც, რომ მაკიაჟი ტანსაცმელს შეეუხამო. საბოლოოდ კი, მისი სახის ნაკვთების ფორმას ექცევა ყველაზე დიდი ყურადღება. საერთოდ, მაკიაჟით შესაძლებელია, რომ ადამიანს ნაკვთები შეუცვალო. მაგალითად, თვალი დაუგრძელო, ან დაუპატარავო, ცხვირი და ლოყები დაუპატარავო. მოკლედ, ძალიან ბევრი ნიუანსია. შესაძლოა, მინიმალური მაკიაჟი გავაკეთო, მაგრამ ადამიანი საგრძნობლად შევცვალო. მეგობრები ხშირად მეხუმრებიან, პლასტიკური ქირურგი ხარო.

— უამრავ ცნობილ ადამიანთან გქონია პროფესიული შეხება. რამდენად პრეტენზიულები არიან საზოგადოებისთვის საინტერესო ქალბატონები?

— ეს ადამიანზეა დამოკიდებული. ამას წინათ, ერთ-ერთი პროექტისთვის მაკა ასათიანი გადავიღეთ. გადაღება ლისის ტბაზე მიმდინარეობდა. მაკა ტბაში ჩავაყენეთ და ეს გადაღება 2 საათი გაგვიგრძელდა. ამის გამო, თავს ძალზე უხერხულად ვგრძნობდით და სულ მადლობას და ბოდიშს ვუხდიდით. გიჟდებოდა, რისთვის მებოდიშებით, რა მოხდა მერეო. ეს რომ სხვა რომელიმე ცნობილი ადამიანისთვის გაგვეკეთებინა, ხომ შეგვჭამდა. ერთხელ, ერთ-ერთ ცნობილ ადამიანთან რამდენიმე წუთით მისვლა დამაგვიანდა. ვერ წარმოიდგენ, ისეთი სიტყვებით გამომლანძღა. კორექტულობას შევინარჩუნებ და მის ვინაობას არ დავასახელებ.

— მაკაზე იმდენ კარგს ამბობ, ვფიქრობ, რომ თქვენ საქმიანი ურთიერთობის გარდა, მეგობრობაც გაკავშირებთ.

— მართლა ძალიან კარგი ადამიანია და ასე იმიტომაც ვლაპარაკობ. თაკო ჩხეიძის სამოდელო სააგენტოში ლექციებს ვკითხულობ. მოდელ ბავშვებს ვიზაჟის კურსს ვუკითხავ. ისინი პატარა ბავშვები არიან და რადგან მოდელობენ, ცოტა ამბიციებიც აწუხებთ. მათ სულ ვეუბნები ხოლმე, რომ მაკა მისაბაძი ადამიანია. ის ლამაზიც არის, ფულიც აქვს, სახელიც და არანაირი ამბიცია არ აწუხებს. გარდა ამისა, ძალზე კეთილია და ნებისმიერს გვერდში დაუდგება...

— მოდი, თემა შევცალოთ. სრულიად შემთხვევით შევიტყვე, რომ ხელით ბეჭდებს, ბროშებსა და გვირგვინებს აკეთებ. განსაკუთრებით იმით დავინტერესდი, ყველა ბროში და ბეჭედი „გოგო თოჯინა“ რომ არის. რატომ მხოლოდ გოგონები?

— სამი „ბიჭიც“ გავაკეთე, მაგრამ ძირითადად, „გოგონებს“ ვაკეთებ, რადგან თოჯინა მაინც გოგოს სათამაშოა და ასე გამომდის. ისე კი ყოველთვის რაღაცას ვაკეთებ. სასულიერო აკადემიაშიც იმიტომ ჩავაბარე, რომ ქარგვა და ხატწერა შემესწავლა. ადრე სამკაულებსაც ვაკეთებდი, მაგრამ მერე მომბეზრდა. სამკაულებისთვის ნაყიდი მასალა საკმაოდ ბევრი შემომრჩა. სამკაულების კეთებას თავი რომ დავანებე, ჭაღების კეთება დავიწყე (*იცინის*). ჩემი სახლის დერეფანში ჩემ მიერ ბისერებით გაკეთებული ჭაღი და ბრა არის განთავსებული. სხვათა შორის, კლუბ „თუსაიდის“ დიდი ჭაღიც მე და ჩემმა მეგობარმა გავაკეთეთ. თან ერთი უცნაური ჩვევა მაქვს — ბავშვობიდან პატარა ნივთები მიყვარს და შემონახული მაქვს პატარა მონეტები, გასაღებები და ა.შ. ერთხელ, ჩემს მეგობართან ვიყავი და ანგარიშმიუცემლად, რაღაცას ვკერავდი. საბოლოოდ გამოვიდა, რომ სახე შევკერე. ავდექი და ტანიც გავუკეთე. მომეწონა ძალიან და ასეთი თოჯინების კეთება სისტემატურად დავიწყე. მერე ზოგს ბროშის ფორმა მივეცი, ზოგს კი — ბეჭდის. ირმა შარიქაძეს მოსკოვში გამოფენა „ფრიდა“ ჰქონდა და ჩემ მიერ შექმნილი, პატარა „ფრიდები“ წაიღო. თურმე ისე მოსწონებიათ ეს თოჯინები, რომ გალერეამ შეისყიდა და მერე ბევრ ცნობილ ადამიანს უსახსოვრა. ჩემს თოჯინებს თავიანთი პაწაწუნა „შვილებიც“ ჰყავთ.

— როგორც ვიცი, შენი ნამუშევრები „თბილისი ფეშენ ვიკშიც“ მოხვდა.

— მართალია. მანამდე პატარა გამოფენა მქონდა, სადაც ფრანგი ჟურნალისტი ქალი მოვიდა და ჩემი თოჯინა ისე მოეწონა, რომ თავისი უძვირფასესი ბროში მოიხსნა და ჩემი გაიკეთა. კიდევ ერთი უცხოელი კაცი იყო, რომელსაც საკმაოდ სოლიდურად ეცვა. მას ჩემ მიერ გაკეთებული „ალისა“ მოსწონებია და ყიდვას აპირებდა, მაგრამ ვუსახსოვრეთ. ჰოდა, კოსტიუმის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ჯიბეზე ჩემი ბროში დაიმაგრა. რაც შეეხება „ფეშენ ვიკს“, ერთ-ერთი დიზაინერის, იკა რუსაძის ჩვენებაზე მოდელებს თავზე ჩემ მიერ გაკეთებული სავარძლები ეკეთათ (მანამდე მისი ჩვენებისთვის გვირგვინებიც გავაკეთე). ჩვენების ბოლოს კი შავ ჟილეტში გამოწყობილი ერთ-ერთი მოდელი გამოვიდა. ჟილეტი მთლიანად ჩემი თოჯინებით იყო გაწყობილი. ახლა უკვე „ფეშენ ვიკის“ მაღაზიაშიც იყიდება ჩემი თოჯინები და პირადადაც ვილებ შეკვეთებს. გარდა იმისა, რომ თოჯინები გულზე შეგიძლიათ დაიმაგროთ, ფარდასაც ძალიან უხდება. პირადად მე, ჩემი სახლის ფარდა ორი თოჯინით მაქვს გაფორმებული.

მაკას წასვლამ ყველას ძალიან დაგვწყვიტა გული. ვერ წარმოიდგენთ, ისეთი კარგი ადამიანია

— კიდევ რამეს ხომ არ აპირებ?

— ახლა ვმუშაობ „შვიდგზის ლოცვების“ მინიატიურულ დასურათებაზე. ეს ჩემი სადიპლომო ნამუშევარი იქნება. დამუშავებულ ტყავზე დავწერე ლოცვანი და მასში არსებული ხატებიც ჩემი დაწერილია. ხოლო გარეკანს ხავერდში ჩავსვამ და თვლებით მოვქარგავ. როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ წიგნს პატრიარქს აჩუქებენ. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ᲫᲛᲔᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲘᲕᲐᲜᲘᲫᲔ

1. მარიხუანას სიხარულის მცენარეს ეძახიან.

2. რუსეთში დაახლოებით ექვსი მილიონი ნარკომანია.

3. XV საუკუნეში კასტილიას პედრო სასტიკი მართავდა.

4. ორმოცი ერთფუნტიანი მონეტებიდან დიდ ბიტანეთში ერთი ყალბია.

5. სიმღერა „გელინოს“ ავტორი ბაიარ შაჰინი გვარად გუნდარიძე გახლავთ.

6. სტომატოლოგები ბეჰემოთის ეშვებისგან ხელოვნურ კბილებს ამზადებდნენ.

7. თანამედროვე სუპერლაინერები თავიანთი გაბარიტების გამო პანამის არხით ვერ სარგებლობენ.

8. არითმეტიკული თვალსაზრისით 37037 საინტერესო ციფრია. გაამრავლეთ იგი ერთიდან ცხრის ჩათვლით ნებისმიერ რიცხვზე და მიღებული რიცხვი სამზე გადაამრავლეთ.

9. „ნიჩევო ნე სტოიტ ტაკ დიოშევო, კაკ ვეულივოსტ ი ნიჩივო ნე აბხოდიტსა ტაკ დოროგო, კაკ იეო ატსუტსვიე“, — ამბობენ რუსები.

10. ფეხბურთელებს აქვთ გამონათქვამი: „საგაზაფხულო ფეხბურთი“. იგულისხმება სეზონის დასაწყისი, როცა დიდია ენერგია და სურვილი თამაშისა, მაგრამ ზამთრის შემდეგ ოსტატობის ძველი ხარისხი ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი.

11. მოშინაურებული ენოტის სახლში ყოლა ნამდვილი თავის ტკივილია. ეს ცხოველი იპარავს ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდება, ძვრება უჯრებში, აღებს მაცივარს, აქოთებს კარადას. გადამღები ჯგუფი რეპორტაჟს აკეთებდა ოჯახში, სადაც ეს ცხოველი ჰყავდათ. ენოტმა საქმიანად მოუჩხრიკა სტუმრებს ყველა ჯიბე, ყველა ჩანთა და როცა ვერაფერი აღმოაჩინა, უკმაყოფილო ბუზღუნით გაშორდა ოპერატორებს.

12. მექსიკელი მილიონერები უბრალო, სერიულ ავტომობილებს უკეთებენ ჯავშანს, რათა ზედმეტი ყურადღება არ მიიქციონ. ისეთ ქალაქებში კი, როგორიც დუბაია, ნავთობის მაგნატები დაჯავშნული „მერსედესებით“ ან „რეინჯროვერებით“ ამჯობინებენ გადაადგილებას, რადგან აქ ძვირფასი და გამორჩეული ავტომობილის გამო ადამიანი ავტომატურად არ იქცევა არაკეთილისმსურველთა სამიზნედ, რაც მექსიკაში ჩვეულებრივი ამბავია.

„ᲢᲔᲡᲚᲐᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲝᲓᲡᲢᲔᲠᲘ

ორიოდე დღის წინ ამერიკულმა კომპანიამ, — Tesla Motors, — „როდსტერის“ განახლებული მოდელის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა. ამ ავტომობილის სახელწოდებაში დამატებითი ინდექსი — „2,5“ ფიგურირებს. მისი პრემიერა გუდვუდში გამართულ სიჩქარის ფესტივალზე შედგა. ეს ღონისძიება დიდ ბრიტანეთში, 2-4 ივლისს მიმდინარეობდა. როდსტერ „ტესლას“ გვერდებზე დამატებითი სავენტილაციო ჭრილების მქონე, ახალი წინა ბამპერი და განსხვავებული რადიატორის ცხაური; ინტეგრირებული დიფუზორით დაკომპლექტებული, უკანა ბამპერი აქვს. ავტომობილის სალონში თვალში საცემია სხვა სავარძლები, რომლებიც კომპანიის წარმომადგენელთა მოსაზრებით, უფრო კომფორტულია, ვიდრე წინამორბედ მოდელში იყო.

გარდა ამისა, შეიცვალა ინტერიერის სხვა დეტალებიც — ოპციის სახით ამჟამად ხელმისაწვდომია უკანა ხედვის კამერა და ნავიგაციის სისტემის მქონე, 7-დუიმიანი დისპლეი. განახლებული მანქანა კვლავაც 2 ვერსიად გაიყიდება „როდსტერი“ და „როდსტერ სპორტი“. თითოეული მოდიფიკაცია 288 ცხ. ძალის სიმძლავრის ელექტრომოტორითაა აღჭურვილი, თუმცა „სპორტში“ მას ბრუნვის მომენტის უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს, რაც 100 კმ/სთ სიჩქარის 3,7 წამში განვითარების საშუალებას აძლევს (საბაზო „ტესლაზე“ 2/10 წამით ადრე). როდსტერთა მაქსიმალური სიჩქარე კი 200 კმ/სთ-ია. ამ მოდელთა სვლის თადარიგი 390 კმ-ზე მეტია, ხოლო ლითიუმ-იონური ბატარეების 240 ვოლტიან დენის წყაროში სრულად დატენას 3,5 საათი ესაჭიროება. „ტესლას“ მესვეურები აღნიშნავენ, რომ კლიენტებს უკვე შეუძლიათ განახლებული როდსტერის შეძენა. ამ მომენტისთვის კომპანიის ავტომობილებს მსოფლიოს 23 ქვეყანაში, დაახლოებით 1200 კაცი ფლობს. ■

„ᲑᲔᲔᲛᲕᲔᲡ“ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲐᲕᲢᲝ

კომპანია BMW-მ ქალაქის ელექტრომობილის პირველი ესკიზები გაავრცელა, რომელსაც ჯერჯერობით MCV-Mega City Vehicle ჰქვია. როგორც ბრიტანული ჟურნალი „ავტოკარი“ იუწყება, სიახლე 4-ადგილიანია და ბაზარზე 2013 წელს „ბეემვეს“ „სუბ-ბრენდის“ სახით გამოჩნდება. სავარუდოდ, ეს მოდელი უკანა აძვრისა იქნება და დაახლოებით 100 კილოვატის სიმძლავრის ელექტრომოტორით აღიჭურვება. გარდა ამისა, მომავალში გამოჩნდება MCL-ის ჰიბრიდული ვერსიაც, რომელიც აკუმულატორების დასატვირთად განკუთვნილი შიგაწვის კომპაქტური ძრავათი აღიჭურვება. MCV-ის ძარას დამზადება კარბონის მასალით იგეგმება, რომელიც იმავე გამძლეობით, ალუმინისაზე 50%-ით ნაკლები მასისაა. ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც კარბონის დეტალები გერმანული კომპანიისა და ფირმის, — SGL Group, — ერთობლივი ძალისხმევით უნდა ეწარმოებინათ. „ბეემვე“ ამ მანქანისთვის ლითიუმ-იონური აკუმულატორების წარმოებას „ბოშისა“ და „სამსუნგის“ ქარხნებთან ერთად აპირებს. აღვნიშნავთ, რომ მომავალში „ბეემვე“ ჩინურ კომპანიასთან, — Brilliance Automotive Holdings (BCAUY), — ერთად კიდევ ერთი ელექტროავტოს გამოშვებას გეგმავს. ■

Mercedes-Benz CL-Class-ის განახლებული კუპე

ინტერნეტით განახლებული კუპეს, — Mercedes-Benz CL-Class, — შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გავრცელდა. რესტაილირებული ავტომობილის წინამორბედისაგან განსხვავება მოდერნიზებული შუქდიოდური სექციების მქონე ფარებით, 3-ის მაგივრად 2 ჰორიზონტალური თამასის მქონე რადიატორის ახალი ცხაურითა და ოდნავ შეცვლილი წინა ბამპერით შეიძლება, რომელზეც შუქდიოდური ნისლის საწინააღმდეგო ფარები აყენია. უკანა მხარეს შეიცვალა ფარები და საბარგულის სახურავი, ხოლო უკანა ხედვის ფარებმა სანომრე ნიშნისთვის განკუთვნილ ბლოკზე გადაინაცვლეს. ამასთან, გამომშვები მილები ამჯერად სწორკუთხიანი გახდა. განახლებული კუპეს საბაზო ძრავად 4,6-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი, 429 ცხ. ძალის სიმძლავრის მქონე ბენზინის აგრეგატს აიღებენ. მიუხედავად იმისა, რომ იგი 5,5-ლიტრიან V8-ს შეცვლის (რომელიც 10-15 %-ით მეტ საწვავს მოიხმარდა და ატმოსფეროში 23%-ით მეტ მავნე ნივთიერებებს გამოყოფდა), ამ ავტომობილის მოდიფიკაციაში დარჩება რიცხვი „550“. აგრეთვე კუპე წარმოდგენილი იქნება 510 ცხ. ძალის სიმძლავრის, V12-ით და 5,5-ლიტრიანი ტურბო „რვიანით“, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ვერსიისთვის – CL 63 AMG (მოტორის ცვლილების მიუხედავად, სახელწოდება იგივე დარჩება). ეს უკანასკნელი 536 ცხ. ძალის სიმძლავრეს განავითარებს. კუპე CL 65 AMG, 621 ცხ. ძალის, 6-ლიტრიანი V12-ით აღიჭურვება (სხვა მონაცემებით 604 ცხ. ძალიანით). სავარაუდოდ, მსოფლიოში სიახლის გაყიდვა მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაიწყება. ■

ვიქტორია ბექჰემი „რენჯ როვერის“ დიზაინერი გახდა

პოპჯგუფ „სპაის გირლზის“ ყოფილი წევრი, მოდელიერი, ვიქტორია ბექჰემი „რენჯ როვერის“ ავტომობილების (რომლებიც შეზღუდული სერიით გამოდის) კრეატიული დიზაინერი გახდა. ამის შესახებ მარკის მთავარმა დიზაინერმა, ჯერი მაკგოვერნმა, ბრენდის 40 წლის იუბილეს ზეიმზე განაცხადა. საღამოზე მოწვეული სტუმრების წინაშე გამოსვლისას, ბექჰემმა თავისი თანხმობა ასეთი მოტივაციით ახსნა: „რენჯ როვერის“ კლასიკური ბრიტანული სული და ლაკონიური სტილი, ხარისხი და სილამაზე ეს ისაა, რაც მე მიყვარს და რისი მიღწევაც საკუთარ ბიზნესში მსურს“. თავის მხრივ, მაკგოვერნმა ვიქტორიას შესახებ აღნიშნა, რომ კომპანიამ შეარჩია ადამიანი, „რომელიც კარგად ერკვევა ძვირფას ნივთებში“. უკვე მესამე წელიწადია, რაც დევიდ ბექჰემის მეუღლე წარმატებულად ქმნის საკუთარ კოლექციას, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელი მსოფლიოს ქალბატონებში და ფეშენ-ინდუსტრიის კრიტიკოსებისაგან უმაღლეს შეფასებას იღებს. ბრიტანულ ბრენდთან თანამშრომლობის ფარგლებში ვიქტორია ბექჰემის პირველ პროექტად არასაგზაო Range Rover Evoque-ს სპეციალური სერია იქცევა, რომელიც ამავე ღონისძიებაზე წარადგინეს. როგორც ადრე იუწყებოდნენ, ეს ავტომობილი „ლენდ როვერ ფრილენდერის“ პლატფორმაზეა აგებული. სიახლეს მიმდინარე წლის შემოდგომაზე, პარიზის ავტოსალონზე წარადგენენ, ხოლო ბაზარზე იგი 2011 წელს გამოჩნდება. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქემდგენელი ოქმაო ივანიძე

13. ინგლისში ხის ნახშირის დამამზადებლები მერქანს მიწაში ფლავდნენ და ისე წვავდნენ. ცეცხლის მოკიდების წუთიდან მერქანი 100 საათის განმავლობაში იწვოდა და მისი მიტოვება წუთითაც არ შეიძლებოდა, რომ არ აალებულიყო. ხის ნახშირის დამამზადებლებმა ერთფეხა ტაბურეტიც კი გამოიგონეს, რათა მუშაობის დროს არ ჩასძინებოდათ.

14. უბალნო ვირთხებზე დიდი მოთხოვნილებაა პლასტიკური ქირურგიის კლინიკებში. უბედური შემთხვევის შედეგად ადამიანის მოგლეჯილ ყურს ან რომელიმე სხვა ორგანოს ქირურგები ვირთხის ტიტველ ზურგზე აკერებენ, რათა ცხოველმა სისხლის მიმოქცევით უზრუნველყოს იგი. პლასტიკური ოპერაციის დროს კი ორგანოს კვლავ ადამიანს უნერგავენ. ოპერაციის შედეგად ცხოველი არ იღუპება.

15. 14 წლის შოტლანდიელმა გოგონამ კონკურსზე 125 დეციბელი სიმძლავრით დაყვირება შეძლო, რითაც აფრენილი ბოინგის მიერ გამოცემულ ხმაურს გადააჭარბა.

16. „გსურთ საკუთარი ხელით ყელი გამოიჭრათ?!. მაშინ ჩემთან ნულარ მოხვალთ ჭრილობების შესახვევად“, — ამბობდა მარგარეტ ტეტჩერი.

17. ინგლისში მონეტების მოჭრის ცუდ ოსტატს ხელს სჭრიდნენ და ზარაფხანის კარზე კიდებდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ იგი საკუთარი დაუდევრობით მეფის გამოსახულებას ამახინჯებდა. თუკი ოსტატი მონეტას ზედმეტ ვერცხლს ჩამოაჭრიდა და მოიპარავდა, მას ასაჭურისებდნენ.

18. ბეთჰოვენმა სიმფონია ნაპოლეონს მიუძღვნა. კომპოზიტორი აღმერთებდა ბონაპარტს. მას საკუთარ ძმად, მამად მიიჩნევდა. ეგონა, რომ იგი ევროპას უტოპიის მსგავს ქვეყნად აქცევდა, მაგრამ როცა ნაპოლეონმა თავი იმპერატორად გამოაცხადა, ბეთჰოვენმა ეს ღალატად ჩათვალა და სიმფონიის პარტიტურიდან მისი სახელი ამოშალა. სიტყვები „ეძღვნება ბონაპარტს“ — იმდენად გულმოდგინედ არის გადაშლილი პარტიტურაში, რომ მათ ადგილას ნახვრეტიც კი შეიმჩნევა.

19. ჩიკაგოში ახალჩასულმა ალ კაპონემ ჯონი ტორიოს განთქმულ კლუბ „ოთხ ორიანში“ დაიწყო მუშაობა, სადაც სწრაფად დაიმკვიდრა ყველაზე სასტიკი მეთვალყურის რეპუტაცია. მის მიერ კლუბიდან გამოყრილი დებოშიორები ხშირად ტვინის შერყევის, გატეხილი ნეკნებისა და მოტეხილი ხელ-ფეხის გამო ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში ხვდებოდნენ. ერთ მათგანს სისხლის მოწამვლაც კი დაემართა მას შემდეგ, რაც გაცოფებულმა კაპონემ ჩხუბის დროს კისერში ჩაასო კბილები და კინაღამ არტერია გადაუკვნიტა.

სპარსეთში გადასახლებულ ქართველთა გამუსლიმანება

მიხეილ ლაბაძე

XVII საუკუნის 10-იანი წლების შუახანებში სპარსეთის შაჰმა, აბას I-მა აღმოსავლეთ საქართველოდან ათასობით ქართველი აყარა და სპარსეთში ძალდატანებით გადაასახლა. როგორც ცნობილია, გადასახლებულთა შთამომავლები ირანში დღესაც ცხოვრობენ და მშობლიური ენა, ტრადიციები და თვითშეგნება შენარჩუნებული აქვთ, ოღონდ რელიგიით შიიტი მუსლიმანები არიან. სპარსეთში გადასახლებულ ქართველთა გამუსლიმანება ის თემაა, რომლის შესახებ ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი. ევროპულ თუ სპარსულ ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობების თანახმად მტკიცდება, რომ ისინი იძულებით გაამუსლიმანეს და თანაც — გადასახლებიდან კარგა ხნის შემდეგ.

XVII საუკუნის სპარსეთისა და იქ მცხოვრები ქრისტიანული თემების (მათ შორის, რასაკვირველია — ქართველების) შესახებ საინტერესო ცნობები მოიპოვება ავგუსტინელთა ორდენის გოას კოლეგიის მისიონერთა ანგარიშებში, რომლებიც პორტუგალიურ ენაზეა შედგენილი და ამჟამად ვატიკანის არქივებში ინახება. ეს კოლეგია მაშინ დაფუძნებული იყო ინდოეთის ქალაქ გოაში, რომელიც პორტუგალიის აღმოსავლეთი სამფლობელოების ცენტრს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ შაჰ აბასის მიერ სპარსეთში ქართველების გადასახლებას დაემთხვა ერთი მეტად საინტერესო ფაქტი — 1616 წელს პორტუგალიისა და ინგლისის სავაჭრო კომპანიებმა სპარსეთის ყურეში, კუნძულ ყეშმზე (პორტუგალიურად — კეიშომი) დააარსეს ფაქტორია, რამაც ბუნებრივია, სპარსეთი გააღიზიანა. 1619 წელს კი პორტუგალიისა და ესპანეთის მეფე ფილიპე III-მ (ესპანეთში — ფილიპე IV) პრეტენზიები წამოაყენა არა მარტო ყეშმზე, არამედ მთლიანად ჰორმუზდის არქიპელაგზე, სადაც ჯერ კიდევ 1507 წლიდან არსებობდა კომანდორ აფონსუ დი ალბუკერკეს მიერ აგებული „ნოსა სენიორა და კონსეისანის“ სახელით ცნობილი, პორტუგალიური ციხესიმაგრე. ამგვარად, ლისაბონიდან ჰორმუზდისკენ გამოემართა პორტუგალიელი გუბერნატორიც — გენერალი რუი ფრეირე დი ანდრადა, რომელსაც „ჰორმუზდის ზღვისა და სპარსეთ-არაბეთის გამგებელის“ ტიტული ჰქონდა. რასაკვირველია, ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ ფილიპე III-ს დაგეგმილი ჰქონდა არა მარტო ჰორმუზდის ისევ დაკავება, არამედ მთელი სპარსეთის დამონებაც.

აქედან გამომდინარე, რუი ფრეირე დი ანდრადას პირადად მეფისაგან საიდუმლო დავალება ჰქონდა მიცემული — მას სპარსეთში არსებული სიტუაციის შესახებ ცნობები უნდა შეეგროვებინა და სათანადოდ დამუშავების შემდგომ, ფილიპე III-ს კარზე გადაეგზავნა. იმდროინდელი ტრადიციისამებრ, ინფორმაციის მთავარი მომპოვებლები კათოლიკე მისიონერები იყვნენ, რომლებსაც შაჰ აბასი, როგორც წესი, არ ზღუდავდა. უნდა ითქვას ისიც, რომ ბუნებრივია, ფილიპე III-ის კარზე განსაკუთრებით სპარსეთის ქრისტიანთა მდგომარეობა აინტერესებდათ, რადგანაც ამ ქვეყანაში შეჭრისას, ისინი მოკავშირეებად უნდა ჰყოლოდათ.

ამავდროულად, ფილიპე III-მ სპარსეთში ინფორმაციის შესაგროვებლად ცნობილი ესპანელი დიპლომატი გარსია დე სილვა ფიგეროაც მიავლინა, რომელსაც ანდრადასთან შეთანხმებულად უნდა ემოქმედა. ცნობები სპარსეთში გადასახლებული ქართველების გამუსლიმანების შესახებ სწორედ ესპანელი დიპლომატის ანგარიშებში მოიპოვება. მათ გარსია დე სილვა ფიგეროა რეგულარულად გზავნიდა ჰორმუზდის ციხესიმაგრეში, რუი ფრეირე დი ანდრადას ადმინისტრაციაში. ერთ-ერთ წერილში ესპანელი ელჩი წერს, რომ იგი თავად გახდა ისფაჰანის მთავარ მოედანზე ქართველ ქრისტიან გოგონათა სახალხოდ დასჯის მოწმე: „როგორც გამოვარკვიე, ეს უმშვენიერესი გოგონები დასაჯეს იმის გამო, რომ ისლამის მიღებაზე უარი განაცხადეს... ისინი სწორედ იმ ქრისტიანთაგან იყვნენ, რომლებიც შაჰ აბასმა ამ ათიოდე წლის წინათ, ძალდატანებით ჩამოასახლა სპარსეთში, რათა ისლამზე მოექცია ისინი და თავის გვარდიაში ჩაერიცხა“, — ატყობინებს გარსია დე სილვა ფიგეროა გუბერნატორ რუი ფრეირე დი ანდრადას. ამავე წერილიდან ირკვევა ისიც, რომ შაჰ აბასს ქართველები კომპაქტურად ჩაუსახლებია არა მარტო ისფაჰანთან ახლოს, არამედ სხვა ადგილებშიც — შირაზში, მაზანდარანში, გილანსა და ჰერათში. ქართველთა შორის რჯულის დაცვას ხელს უწყობდნენ სამღვდელო პირები, რომლებიც სპარსელებმა სხვებთან ერთად დაატყვევეს და სპარსეთში გაგზავნეს. „დღესდღეობით მღვდლები ღვთისმსახურებას მალულად აღასრულებენ, რადგანაც ცხადია, რომ შაჰისაგან მათ ამის უფლება არ აქვთ... კათოლიკეთა და სომეხთაგან განსხვავებით, ქართველებს სპარსეთში ორთოდოქსული რწმენის საჯაროდ აღიარებას უკრძალავენ“, — წერს გარსია დე სილვა ფიგეროა. იგი რუი ფრეირე დი ანდრადას ურჩევს, რომ სპარსეთში კათოლიკურ მისიებს ქართველი ფარული ღვთისმსახურების მიმხრობა დაავალოს: „მხოლოდ ასე შეძლებს მათი მრევლი რწმენის შენარჩუნებას“, — ნათქვამია წერილში.

შაჰ აბას I; XVII საუკუნის პორტუგალიური მინიატურა

იმამ-ყული-ხან უნდილაძის ძეგლი ყეშმში (ირანი)

აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეთა აყრის (1614-1620 წწ.) პარალელურად, 1620 წელს, როგორც ცნობილია, შაჰ აბასმა სპარსეთში მძევლად წაიყვანა კახეთის მეფის, თეიმურაზ I-ის შვილები და დედა — ქეთევან დედოფალი; თეიმურაზ I-მა მძევლების დახსნა რუსეთის დახმარებით სცადა, რამაც შაჰ აბასი დიდად

განარისხა და ქეთევან დედოფალს ისლამის მიღება მოსთხოვა. ამავდროულად, შაჰმა სპარსეთში ჩასახლებულ ქართველებზეც გააძლიერა ზეწოლა — ამიერიდან ყოველი მათგანი ვალდებული იყო, ისლამი მიეღო და შაჰის ერთგული ქვეშევრდომი გამხდარიყო. ბუნებრივია, ქართველებში შაჰის ამ ბრძანებამ უკმაყოფილება გამოიწვია, რაც ქეთევან დედოფლის მოწამებრივმა აღსასრულმა (1624 წ.) კიდევ უფრო გაამძაფრა; უკმაყოფილება ზოგან აშკარა წინააღმდეგობაში გადაიზარდა — ინგლისელი მოგზაური, თომას ჰერბერტი, რომელმაც სპარსეთში სწორედ XVII საუკუნის 20-იან წლებში იმოგზაურა, წერს, რომ მაზანდარანში ჩასახლებულმა ქართველებმა, რომელთაც გამუსლიმანება არ სურდათ, შაჰის მოხელეები ამოწყვიტეს და ისფაჰანზე გალაშქრებითაც კი დაიმუქრნენ, რის გამოც შაჰ აბასმა გზებზე ჯარი ჩააყენა.

გარდა ამისა, თომას ჰერბერტმა 1627 წელს საკუთარი თვალით იხილა შირაზიდან ისფაჰანისკენ მიმავალ გზაზე მდებარე ასუპასის ქართული დასახლება, სადაც 40 ათასი კაცი ცხოვრობდა. „ისინი ქრისტიანები არიან და თავიანთ მფარველად წმინდა გიორგის მიიჩნევენ. როდესაც შეიტყვეს, რომ ჩვენც ქრისტიანები ვიყავით, ძალიან გაუხარდათ და თავი ჩვენ გარშემო მოიყარეს“, — წერს ინგლისელი მოგზაური. მისივე ცნობით, ამ ხალხს ჰყავს მღვდლები, რომლებიც დღისით ჩვეულებრივი, შაჰის კანონმორჩილი ქვეშევრდომები არიან, ღამით კი ღვთისმსახურებას მალულად აღასრულებენ: „ისევე, როგორც თავიანთ ძველ სამშობლოში, აქაც ეს მღვდლები ორთოდოქსულ წესებს იცავენ, რაც სპარსეთში აკრძალულია“, — გვამცნობს თომას ჰერბერტი. აღსანიშნავია, რომ როგორც ესპანელი გარსია დე სილვა ფიგეროა, ისე ჰერბერტიც „ორთოდოქსული“, ანუ მართლმადიდებლური წესების აკრძალვაზე ხაზგასმით იმიტომ საუბრობენ, რომ შაჰ აბასი კათოლიკურ მისიებს და სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიას არ ზღუდავდა; შესაბამისად, ევროპაში მიაჩნდათ, რომ იგი ქრისტიანთა მიმართ კეთილად იყო განწყობილი და სხვათა შორის, ამავე მიზეზით კრძალავდა მართლმადიდებლობასაც, რომელსაც ვატიკანში მაშინ „ბერძნულ სქიზმად“ იხსენიებდნენ.

აქედან გამომდინარე, ცხადია, სპარსეთში გადასახლებულ ქართველებს, როგორც მართლმადიდებლებს, ევროპის სახელმწიფოთა თანადგომის იმედი არ უნდა ჰქონოდათ. ეს კარგად იცოდნენ შაჰის კარზეც, სადაც გამუსლიმანებული ქართველები იმხანად ბევრნი იყვნენ. უნდა ითქვას ისიც, რომ სპარსეთში ქართველ დიდგვაროვანთა გამუსლიმანების პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა ქეთევან დედოფლის მოწამებრივი აღსასრულის შემდეგ, თუმცა ქართლ-კახეთიდან აყრილი ქართველობა რჯულს უწინდებურად მტკიცედ იცავდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ შაჰმა ქართველებს ერთად დასახლების ნება მისცა — როგორც ჩანს, ისფაჰანში ამას ნაკლები ყურადღება მიაქციეს, რადგან საფრთხე რეალურად ვერ აღიქვეს. ამიტომაც, ქართველთა გამუსლიმანების დასაჩქარებლად, შაჰმა XVII საუკუნის 20-იანი წწ. შუახანებში ახალი ბრძანება გამოსცა: ისინი სპარსეთის ყველა მხარეში გაფანტულად უნდა დაესახლებინათ, ხოლო ფარული ღვთისმსახურები კი უნდა გამოეაშკარავებინათ და სამაგალითოდ დაესაჯათ.

ავგუსტინელთა კოლეგიის წევრის, მისიონერ ფრე ბერნარდუ დაშ მარინიაშის მიერ ისფაჰანიდან გოაში გაგზავნილ საგანგებო კორესპონდენციაში, რომელიც 1625-1626 წლებით თარიღდება, ნათქვამია, რომ შაჰ აბასი საკუთარი შეიარაღებული ძალების გაძლიერებას და ქვეყნის საზღვრების დაცვას ფრიად ორიგინალური ხერხით აპირებდა: „მან გადაწყვიტა, საქართველოდან გადმოსახლებული ქრისტიანები წელში გატეხოს, გაამაჰმადიანოს და მერე თავის გვარდიაში ჩარიცხოს, ან საზღვარზე დააყენოს...

ფერეიდნელი ქართველები; XX საუკუნის I ნახევრის ფოგო

ამ საქმეში მას გვერდით უდგას სპარსეთის ჯარების გენერალისიმუსი იმამ-ყული-ხანი, რომელიც წარმოშობით ქართველი გახლავთ“, — წერს ავგუსტინელი მისიონერი. აღსანიშნავია, რომ სწორედ იმამ-ყული-ხანის დამსახურებაა ქართველთა კომპაქტურად დასახლება ისფაჰანთან ახლოს, ფერეიდანში. შაჰ აბასის ჯარების უმამაცესმა სარდალმა, ცნობილი ალავერდი-ხან უნდილაძის შვილმა თანამემამულეთა მნიშვნელოვანი ნაწილის გადარჩენა იმით მოახერხა, რომ შაჰ აბასთან უშუამდგომლა და გამონაკლისი დააშვებინა. ამიერიდან ქართველებს ერთად ცხოვრება მხოლოდ ფერეიდანის მიწაზეღა შეეძლოთ, რადგან ისფაჰანი მომთაბარე ბახტიარებისაგან დაცვას საჭიროებდა.

1629 წლიდან — შაჰ აბასის სიკვდილის შემდგომ — სპარსეთში არეულობა დაიწყო. შაჰის სიკვდილით ისარგებლეს იმ ფეოდალებმაც, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ე.წ. „ახალი არისტოკრატიის“ (გამუსლიმანებული ქართველების) აღზევებით და ინტრიგების ხლართვას შეუდგნენ. უნდილაძეების საგვარეულოს ძლიერება შეირყა, რამაც სპარსეთის ქართველობა მძიმე დღეში ჩააყენა — შაჰ აბასის მემკვიდრე შაჰ სეფიმ იმამ-ყული-ხანი და მისი ძმა, დაუდ-ხანი აითვალწუნა. ეს უკანასკნელი 1631 წელს მეჯლისიდანაც გააძევა. ამავდროულად, ფერეიდანსა და სხვა ადგილებში დასახლებულ ქართველთა შევიწროებაც დაიწყო — ახალი შაჰი მათ ისლამის მიღებას მკაცრად სთხოვდა, უარის შემთხვევაში კი რეპრესიებით იმუქრებოდა.

თანამედროვე ფერეიდნელ ქართველთა ფოლკლორში შემონახულია გადმოცემები იმის თაობაზე, თუ როგორ გმირულად იცავდნენ თავს ქართველები შაჰ სეფის ჯარისაგან. 1633 წლიდან 1642 წლამდე (როდესაც შაჰ სეფი გარდაიცვალა) ფერეიდანი სპარსებმა თორმეტჯერ აიკლეს. რასაკვირველია, ამის მიზეზი ის იყო, რომ ქართველთა შორის ისევ მოიძებნებოდნენ ფარული ქრისტიანები, რომლებიც მამაპაპისეული რჯულის დაცვით სხვებს მაგალითს აძლევდნენ და საქართველოსგან მოწყვეტილნი, ქართველობას წუთითაც კი არ ივიწყებდნენ. სხვათა შორის, ქართველთა შევიწროება შაჰ სეფის მემკვიდრემ, შაჰ აბას II-მაც განაგრძო, რომელმაც სისასტიკეში თავის სეხ-

ნიასაც კი გადააჭარბა. სწორედ მაშინ, 1654 წელს, უკმაყოფილო ქართველებმა გადაწყვიტეს, რომ სამშობლოსაკენ გზა ბრძოლით გაეკაფათ და დასავლეთის მიმართულებით დაიძრნენ. რასაკვირველია, მათ უკან დაედევნა შაჰის არმია, ასევე — მომთაბარე ბახტიარები, რომლებიც მეამბოხე ქართველთა შეპყრობას მათი მონებად გაყიდვის მიზნით აპირებდნენ. აჯანყებულებსა და სპარსელებს შორის დიდი შეტაკება ყუმის უდაბნოში მოხდა; ქართველთაგან ცოცხალი არავინ გადარჩენილა — მათ ტყვედ ჩავარდნას ბრძოლაში სიკვდილი არჩიეს. რაღა თქმა უნდა, სამშობლოში მომავალი ეს ქართველები ქრისტიანები იყვნენ. გადმოცემით, მათ შორის ყველაზე უმცროსი, 12 წლის ბიჭი ყოფილა, რომელიც სამშობლოში მამას მიჰყვებოდა. სპარსელი მეომრები მის მოკვლას არ აპირებდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებულნი გახდნენ, აღარ დაენდოთ. 12 წლის ქართველი საომარ ხელოვნებაში უაღრესად გაწაფული აღმოჩნდა და მტრის საუკეთესო მებრძოლებს მარტო გაუმკლავდა. ბიჭს თოფი ზურგიდან ესროლეს სწორედ მაშინ, როცა ბახტიარების ბელადი გრძელი შუბით ჩამოაგდო ცხენიდან.

ამდენად, XVII საუკუნის ბოლოს, სპარსეთის ქართველობაში ქრისტიანთა რიცხვი თანდათანობით შემცირდა. მღვდლები, რომლებიც მათ შორის იყვნენ, გარდაიცვალნენ ან რეპრესიებს შეეწირნენ, მათი ადგილი კი ვერავინ დაიკავა. 1677 წელს ასუპასის დაბლობი ინგლისელმა მოგზაურმა, ფრიერმა მოინახულა: „ასუპასი დასახლებულია ქრისტიანული წარმოშობის ქართველებით, რომელთა უმეტესობა მიწათმოქმედი და მევენახეა... აქ ვაზი ძალიან კარგად ხარობს და მას სწორედ ქართველები აშენებენ. ქართველების კანის ფერი უფრო ჯანსაღია, ვიდრე სპარსელებისა... სამწუხაროდ, ამჟამად ბევრი ქრისტიანი ქართველი მაჰმადიანდება“, — წერს იგი. სხვათა შორის, დღეს ასუპასის დაბლობზე ქართველები აღარ ცხოვრობენ, თუმცაღა იქ, დასახლებულ პუნქტთა სახელწოდებებში ძალზე ხშირია სიტყვა „გორჯი“ — ქართული, რაც ქართველთა კვალზე მიანიშნებს. აშკარაა, რომ ქართველებმა, რომლებიც აქ სახლობდნენ, სარწმუნოების დაკარგვის შემდეგ ენაც დაკარგეს და სხვა ერის ნაწილად იქცნენ...

სპარსეთში ქართული ენა და ტრადიციები მხოლოდ ფერეიდანში იმიტომ შემორჩა, რომ იქ ჩვენი თანამემამულენი ერთიანობას მტკიცედ იცავდნენ — ეს რეგიონი მომთაბარე ბახტიარების სათარეშო ზონა იყო და თუკი ერთიანობას დაკარგავდნენ, ქართველებს, სულ-ერთან ერთად, ფიზიკური განადგურებაც ელოდათ. არადა, სპარსეთის ხელისუფლება სწორედ იმით იყო დაინტერესებული, რომ ფერეიდანში ბახტიარებს ვერ შეეღწიათ. მერე ისინი ისფაჰანის აღებასაც იოლად შეძლებდნენ. აქედან გამომდინარე, ქართველებისა და შაჰთა კარის ინტერესები ფერეიდანში ერთმანეთს ემთხვეოდა; ქართველებს აქ ისფაჰანელი ემისრები ვერ და არ ავიწროებდნენ და ამიტომაც, ფარული ქრისტიანები ფერეიდანის სოფლებში XVIII საუკუნის დასაწყისამდე შემორჩნენ — ფოლკლორული გადმოცემების თანახმად, მათი უმეტესობა 1722 წელს სპარსეთში შემოჭრილ ავღანელებს გაუწყვეტიათ და მთელ ფერეიდანში ქრისტიანული წეს-ჩვეულებების მცოდნე აღარავინ დარჩენილა. ამ მიზეზის გამო, შემდგომში ყველა ქართველი იძულებული გამხდარა, გამუსლიმანებულიყო და შარიათის კანონებიც ეღიარებინა.



ევროპელი და ქართველი ელჩები ირანის შაჰი სულეიმან I-ის კარზე; სპარსეთში მოღვაწე ქართველი მხატვრის, ალი ყული ხან ჯაბადარის ნახატი (XVII საუკუნის II ნახევარი)

ასე რომ, XVII საუკუნის დასაწყისში სპარსეთში ძალით გადასახლებულ ქართველთა უმრავლესობამ ქრისტიანობა მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში — XVIII საუკუნის 20-იან წლებამდე შეინარჩუნა. სწორედ ამის გამო შეძლეს მათ ეროვნული თვითაღქმისა და მშობლიური ენის შენარჩუნება. სხვათა შორის, ისლამის მიღების შემდგომ სწორედ ენა აღმოჩნდა ფერეიდნელ ქართველთა თვითმყოფადობის მთავარი გადამრჩენელი: „ქართული ენა ერთადერთი ძაფია, რომელიც ფერეიდნელ ქართველობას აკავშირებს ქართულ კულტურასთან. გადაგვარებას ვერ ასცდება იგი, თუ მას არ შეენახა ეს კავშირი... მალე დაეკარგება მას შეგნება იმისა, რომ „გურჯია“, როგორც კი გამოესალმება ამ შეგნების ბურჯს, ენას. ვერ უშველის ამ მხრივ ვერც მაღალი ქართული ურემი, ვერც ბანიანი სახლი, რომელიც მას დღემდე შერჩენია“ — წერდა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, არნოლდ ჩიქობავა. ფერეიდნელ ქართველთა შორის ქართული ენის შემონახვა კი სწორედ იმან გამოიწვია, რომ მათმა წინაპრებმა მამაპაპისეული რჯული ასი წლის განმავლობაში დაიცვეს და ამით ახალ საცხოვრის ტერიტორიაზე, უცხოენოვან გარემოში თავის გატანა და დამკვიდრება შეძლეს.

ფერეიდნელ ქართველთა შორის ქრისტიანულ წეს-ჩვეულებათა გადმონაშთები ახლაც მტკიცედაა დაცული — შემორჩენილია დალოცვის, დაწყევლის, მისალმების, დამშვიდობების ისეთი ფორმები, რომელიც მხოლოდ ქრისტიანულ ნიადაგზე აიხსნება. განსაკუთრებით კი უნდა აღინიშნოს მჭადზე ჯვრის დასმის ჩვევა (რაც ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მუსლიმან ქართველებშიც შემორჩენილია) და „ყურძნის ალალის“ (ბადაგის ფერეიდნული სახეობაა) დამზადების წესი, რომელიც ნელ-ნელა უკვე დავიწყებას ეძლევა. აღსანიშნავია, რომ ისლამური კანონებით, ყურძნისაგან ბადაგის გაკეთება დაშვებული არ არის, მაგრამ როგორც ჩანს, ფერეიდნელ ქართველებში ეს კანონი არ მოქმედებდა — ისინი, როგორც ქრისტიანთა შთამომავლები, წინაპართა ტრადიციებს მტკიცედ იცავდნენ.

P.S. იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე, რომელმაც სპარსეთში სწორედ XVII საუკუნის 20-იან წლებში იმოგზაურა და იქ გადასახლებული ქართველებიც ნახა, წერდა: *„შაჰი თავის მიზანს ვერ მიაღწევს და ქართველებს გამუსლიმანებას ვერ აიძულებს — მათ ხომ ქრისტეს რწმენის გამო ამდენი გაჭირვება გადაიტანეს და დღესაც იტანენ... სწორედ ეს გამოარჩევს ამ ხალხს მთელ მსოფლიოში... მათ სპარსეთშიაც კი წაიღეს თავიანთი წილი საქართველო და ქართველობას იცავენ იმ ქვეყანაშიც, რომელიც საქართველოს ყველაზე დიდი მტერია“.* ■

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ II-ᲛᲓᲔ

საქართველოს ეკლესიამ ყველაზე დიდი აღმავლობა ოქროს ხანად წოდებულ პერიოდში — დავით აღმაშენებლის და თამარის მეფობის დროს განიცადა. დავით აღმაშენებელმა ქვეყნის გაერთიანებასა და გაძლიერებაზე ზრუნვა საეკლესიო რეფორმების გატარებით დაიწყო...

ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ

— რა მდგომარეობაში იყო დავითის მეფობის დასაწყისში საქართველოს ეკლესია? რატომ გახდა საჭირო რუის-ურბნისის კრების მოწვევა და საეკლესიო რეფორმების გატარება?

ᲐᲠᲥᲘᲛᲐᲜᲓᲠᲘᲢᲘ ᲛᲐᲙᲐᲠᲘ *(აბესაძე)*

— ჯერ არაბთა, შემდეგ თურქსელჩუკთა ბატონობამ განაპირობა, რომ საქართველოს მმართველ ელიტაში აღმოჩნდნენ პიროვნებები, რომლებიც ანგარების გამო დამპყრობლებთან იყვნენ დაახლოებულნი. ეკლესიის იერარქიებისა და ღვთისმსახურების ამორჩევაც, რომელთა უმეტესობა დიდგვაროვანი ფეოდალები და აზნაურები იყვნენ, ამგვარი საზოგადოებიდან ხდებოდა. ამის გამო ეკლესიაში აღმოჩნდნენ ის პიროვნებები, რომელთაც ანგარება ამოძრავებდათ და მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის ზრუნავდნენ. ეკლესიაში გამეფებული იყო სიმონია — საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა. სამღვდელო იერარქთა უმეტესობა არად დაგიდევდათ საეკლესიო წესჩვეულებათა აღსრულებას... მაშინ საქართველოს ეკლესია უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყო. თუმცა ეკლესიაში იყვნენ ისეთი პიროვნებებიც, რომელთაც ღვთის სიყვარული ამოძრავებდათ და გული შესტკიოდათ მართლმორწმუნე ქართველთა ბედზე. სწორედ ამგვარ პიროვნებათა ინიციატივა იყო, რომ ახალგაზრდა გვირგვინოსანს — დავით აღმაშენებელს საეკლესიო რეფორმები გაეტარებინა. როდესაც საერო ხელისუფლება კეთილად ერეოდა ეკლესიის საქმეებში, მდგომარეობა უმჯობესდებოდა. სწორედ ამგვარი შედეგი გამოიღო თავისი მეფობის დასაწყისში საეკლესიო საქმეებში დავით მეფის კეთილად ჩარევამ, რომელიც კეთილმორწმუნე ქრისტიანის, ჭყონდიდის ეპისკოპოსის — გიორგი ჭყონდიდელის აღზრდილი გახლდათ... 1103 წელს, დავით აღმაშენებლის ბრძანებით მოწვეული იქნა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელზეც 15 საკითხი განიხილეს. ამ კრებამ ეკლესია განწმინდა უღირსი მღვდელმსახურებისგან; აკრძალა სამღვდლო ხარისხის მიღებისთვის ქრთამის აღება; ეკლესიაში ვაჭრობა და სხვა უწესობანი. დაადგინა საეკლესიო საკუთრების ხელშეუხებლობა, ეპისკოპოსთა და ქორეპისკოპოსთა მოვალეობანი საეკლესიო წესების უბიწოდ შესრულების საქმეში და სხვა...

კრების მიერ გატარებული რეფორმები და მიღებული დადგენილებები მცხეთის საპატრიარქო და რუისის საკათედრო ტაძრების სვეტებზე გააკრეს. ამიტომაც ეწოდა მას „ძეგლის წერა“, რომელიც შემდეგ რჯულის კანონში ჩაურთეს. რუის-ურბნისის კრების შემდეგ საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტი გაიზარდა და გაძლიერდა. დავითის პერიოდში საქართველოში 100 ათასი ბერმონაზონი მოღვაწეობდა; ერში მცხოვრები ქრისტიანებიც სარწმუნოების მტკიცე დაცვით გამოირჩეოდნენ. აქედან იწყება საქართველოს ეკლესიის აღმავლობის ყველაზე აქტიური ხანა, ამის მიზეზი თავად საერო ხელისუფლების ღვთის რწმენითა და მოშიშებით ცხოვრება გახლდათ. ის ადამიანებიც კი, რომლებიც სამეფო ხელისუფლებას უპირისპირდებოდნენ — ლიპარიტ ბაღვაში და სხვები, როდესაც საქმე ქრისტიანობას ეხებოდა, სარწმუნოების მტკიცე დამცველნი ხდებოდნენ. ამ პერიოდში გამოკვეთილად ჩანს, რომ უსჯულოთა ძალა არც ერთ, ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ ფრთას არ გამოუყენებია. საქართველოს და ქართული ეკლესიის ავტორიტეტი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. განსაკუთრებით — წმინდა მიწაზე. ეს ის პერიოდია, როდესაც ბიზანტიის იმპერიის გავლენა უკიდურესად იყო დაცემული; ყოველდღიურად კარგავდა კუთვნილ ტერიტორიებს. საქართველო კი აღმავლობას იწყებს როგორც მიწიერი, ასევე სულიერი თვალსაზრისით. საქართველოს ეკლესია მსოფლიოში მართლმადიდებლობის ყველაზე მტკიცე დამცველად იქცა. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ქართველ მოღვაწეთა და საერთოდ, ქართველების გავლენა იერუსალიმში. ამგვარი პატივი ერთის მხრივ ქართველ მოღვაწეთა კეთილმსახურებით იყო განპირობებული. ამასთანავე, ქართველები იარაღითაც იცავდნენ იერუსალიმს. თავად მუსლიმანებიც კი აფასებდნენ ქართველთა სარწმუნოებას, რადგან ხედავდნენ, რომ წმინდა მიწაზე მხოლოდ სულიერ სარგებელს ეძიებდნენ და არანაირი მიწიერი ინტერესი არ ამოძრავებდათ. იმ პერიოდისთვის მაცხოვრის საფლავის მცველები ქართველი ბერები იყვნენ. ერთ-ერთი ევროპელი პილიგრიმი წერს: „იერუსალიმში ქართველებს აქვთ ქრისტეს წმინდა ეკლესიის გასაღები. ეს ისეთი ხალხია, მთელი ქვეყნის სიმდიდრეც რომ მისცე, წმინდა ადგილებიდან ქვის უმცირეს ნატეხსაც კი არ შეელევიან“. ქართველ ბერებს „ფეხშიშველ ბერებს“ უწოდებდნენ, რადგან უდიდესი კრძალვის გამო, იმ მიწას, სადაც განკაცებული უფალი მიმოდიოდა, არც ერთი ქართველი ბერი ფეხსაცმლით არ ეხებოდა... მონღოლების ხანაში ქართველთა გავლენა წმინდა ადგილებში კიდევ უფრო გაიზარდა: ქართული არმიები არაბების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობდნენ. არაბები ცდილობდნენ, რომ ქართველებთან მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინათ.

ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 100 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲑᲔᲠᲛᲝᲜᲐᲖᲝᲜᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲓᲐ

არსებობს კვლევები, რომელთა თანახმადაც მონღოლები იერუსალიმის აღებას იმის გამო ცდილობდნენ, რომ შემდეგ ქართველებისთვის გადაეცათ და ამით მეტად მოეპოვებინათ ქართველების ერთგულება. საქართველოს ეკლესიამ წმინდა მიწაზე გავლენა ოსმალთა იმპერიის მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგაც შეინარჩუნა. ქართული ეკლესია და საქართველოს კათალიკოსი ავტოკეფალიის დაკარგვამდე აქტიურად მონაწილეობდა წმინდა ადგილების მართვაში.

— თამარის მეფობის შემდგომ პერიოდში რა მდგომარეობაშია საქართველოს ეკლესია, და რა მდგომარეობაა ერში, სარწმუნოებრივი თვალსაზრისით?

— საქართველომ და შესაბამისად — საქართველოს ეკლესიამ, დავითისა და თამარის დროინდელი სიმტკიცე და ძლიერება ლაშა-გიორგის მეფობის ხანაშიც შეინარჩუნა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვეყანამ მიწიერი სიმდიდრისა და კეთილდღეობის მწვერვალს მიაღწია, ერში ნელ-ნელა სარწმუნოებრივი სიმტკიცის შესუსტება დაიწყო, რასაც ჯერ ხვარაზმელთა, შემდეგ მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის ხანა მოჰყვა. ამ პერიოდშიც უამრავი მოწამე შეიძინა საქართველოს ეკლესიამ — ხვარაზმელთა შემოსევის დროს, მარტო ერთ დღეს, 100000 ქართველი აღესრულა მოწამებრივად ქრისტიანობისთვის. თავად უდიდეს გვირგვინოსანს, დემეტრე თავდადებულს, 3 ცოლი ჰყავდა. ეს არ ყოფილა მხოლოდ მეფის დანაშაული. „დემეტრე მეფე შფოთით, კაეშნითა და სულიერი ზადიერებით აღსავსე დროის შვილი იყო“... სწორედ ამ პერიოდში დაატყდა უდიდესი განსაცდელი საქართველოს — აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე მოხდა საშინელი მიწისძვრა, რამაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეინირა. იმდროინდელი კათალიკოსი ნიკოლოზი ამხელდა მეფესაც და ერსაც იმ ცოდვების გამო, რომელსაც იმხანად სჩადიოდნენ. შემდეგ დატოვა კათალიკოსის ტახტი და გარეჯის უდაბნოში წავიდა. თუმცა, გადამწყვეტ ჟამს, დემეტრე მეფემ თავი გაწირა ქვეყნისა და სარწმუნოების დასაცავად. მისმა თავდადებამ ქართველები გამოაფხიზლა. ამას მოჰყვა გიორგი ბრწყინვალეს პერიოდი, როდესაც საქართველომ ფაქტობრივად, დავითისა და თამარის დროინდელი დიდება დაიბრუნა, რაც თავისთავად, ეკლესიაზეც აისახა. რაოდენ შესუსტებულიც უნდა იყოს ერში სარწმუნოებრივი სიმტკიცე, სულიერი თვალსაზრისით ეკლესია საზოგადოებაზე ყოველთვის გაცილებით მაღლა დგას. გიორგი ბრწყინვალეს პერიოდში, მტრების შემოსევის შედეგად დანგრეული ეკლესია-მონასტრები განახლდა. მეფე გიორგიმ ქართველებს „რწმენა საკუთარი რწმენისა და რწმენა საკუთარი სამშობლოსი“ დაუბრუნა... მისი მეფობის შემდგომ საქართველოს ეკლესიას, დრო-ჟამის შესაბამისად, მძიმე პერიოდი დაუდგა. ყველაზე მძიმე დარტყმა ქართულმა ეკლესიამ XVII საუკუნეში, თეიმურაზ I-ის მეფობის დროს მიიღო, როდესაც შაჰ-აბასის ლაშქრობისას, აღდგომის ღამეს, გარეჯის უდაბნოში 6000 ბერი ამოხოცეს. იმ დროს არსებული ტრადიციით, საქართველოში მოღვაწე ბერმონაზვნები დავითგარეჯში იკრიბებოდნენ, სადაც დავით გარეჯელის მიერ იერუსალიმიდან ჩამობრძანებული მადლის ქვა ინახებოდა. მაშინ საღვთისმეტყველო განსწავლულობით გამორჩეული ბერმონაზვნების უდიდესი ნაწილი განადგურდა. ამის შემდეგ საქართველოში სარწმუნოებრივი სიმტკიცის შესუსტება დაიწყო. თეიმურაზ I-ის შემდეგ, მთელი 100 წლის განმავლობაში საქართველოს ხელდასხმული მეფე არ ჰყოლია. ქართველი მეფეები იმ მდგომარეობამდეც კი მივიდნენ, რომ მუსლიმანობის მიღება დაიწყეს. თუმცა, ისინი შინაგანად არ იყვნენ მუსლიმანობის მტკიცედ აღმსარებლები ან საერთოდაც, ინდიფერენტულნი იყვნენ სარწმუნოების მიმართ. ერთ-ერთი პირველი მეფე, რომელმაც მუსლიმანობა მიიღო, იყო ვახტანგ V — შაჰნავაზი. არსებობს ერთ-ერთი ხელნაწერი სახარება, რომელიც მისი შეკვეთითაა გადაწერილი და მის ანდერძში წერია: ეს სახარება მე, მეფემან შაჰნავაზმან, ჩემი და ჩემი ოჯახის სულის საოხად გადავაწერინეო. მეფეს თავისი ქრისტიანული სახელიც კი არ აქვს მოხსენიებული და ამ დროს, სულის საოხად ზრუნავს. ე.ი. ამ პერიოდში ელიტის დიდ ნაწილში იმდენად იყო სარწმუნეობა დაკნინებული, რომ „გარეგნულად“ უსჯულოების მიღებას არად დაგიდევდნენ. ეს არ ნიშნავს, რომ იმ პერიოდში ქართველებს ღვთის რწმენა არ ჰქონდათ. უბრალოდ, ღვთისმეტყველების პრობლემა იდგა. ერეკლე II-სა და თეიმურაზ II-ის მეფობისას ქვეყანაში მდგომარეობა გამოკეთდა. ■

ქალბატონი ლია ბარნაბიშვილი უკვე 12 წელია, რაც ბუმბულების საშუალებით ხელოვნების ნიმუშებს ქმნის. მისი სახლი პატარა საგამოფენო დარბაზს ჰგავს და შესვლისთანავე საოცარ სამყაროში ამოყოფთ თავს. ბუმბულით შექმნილი ხელოვნების ნიმუშები ნახვისთანავე მოგხიბლავთ და ისეთი განცდა დაგეუფლებათ, თითქოს ნამუშევრებში წარმოდგენილი ჩიტები, თევზები, მოცეკვავე გოგონები, სადაცაა გაცოცხლდებიან... მათ ავტორთან, 74 წლის ქალბატონთან საუბრის შემდეგ კი შთაბეჭდილებები დიდი ხნის განმავლობაში გაგყვებათ.

ელენე გასილიძე

— პროფესიით მხატვარი ვარ, ჩემს ოჯახში თითქმის ყველა მხატვარია — მეუღლე, და, უფროსი ვაჟი და შვილიშვილიც... ჯერ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი დავამთავრე ფერწერის განხრით; შემდეგ — სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე და კერამიკაზე მუშაობას დავეუფლე. აკადემიის დამთავრების შემდეგ, ტრიკოტაჟის კომბინატში დავიწყე მუშაობა, სადაც დაჩითვაზე ვმუშაობდი... სწორედ იქ შევისწავლე ქსოვილების დაჩითვა და მათზე მხატვრული ნამუშევრების შექმნა. შემდეგ აპლიკაციებზე მუშაობა დავიწყე; ყვავილებს ვახმობდი და მათი მეშვეობით ვქმნიდი ტილოებს. შეიძლება ითქვას, რომ უამრავ ჟანრში მოვსინჯე ძალები. ვმუშაობდი აკვარელით, ზეთით, ქსოვილებზე, კერამიკაზე... ახლა კი, ჩემს გამოცდილებასა და პროფესიონალიზმს „ბუმბულში მოვუყარე თავი“. ჩემი ნამუშევრები უდიდეს ფერთა გამას მოიცავს. ამას ხშირად მხატვრებიც აღნიშნავენ...

— შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნებაში თქვენი სიტყვა ბუმბულების მეშვეობით თქვით...

— კი, ამის საშუალება ბუმბულებმა მომცა... მთელი ცხოვრების განმავლობაში იმ მასალას ვეძებდი, რომლის საშუალებითაც, საკუთარი თავის რეალიზებას შევძლებდი... უკვე დიდი ხანია, ბუმბულზე ვმუშაობ და მისი უამრავი ფერი საშუალებას მაძლევს, კიდევ უფრო მეტი შევქმნა.

— პატრიარქის კურთხევით წმინდანების ხატებსაც ქმნით...

— კი, ამის უფლება უფალმა მიბოძა. წმინდანების გამოსახვა დიდი მადლია და მეც მეღირსა ამ მადლის მიღება. ჩემი შექმნილი თამარ მეფის ხატი პატრიარქს აქვს. იგი ჩემს ერთ-ერთ გამოფენაზეც ბრძანდებოდა, რაც ჩემთვის დიდი სტიმული იყო.

— ბუმბულზე მუშაობა საკმაოდ გვიან დაგიწყიათ...

— კი, აღარ ვიყავი პატარა (*იცინის*). თავად ბუმბულს ძალიან საინტერესო ფერი აქვს. მხატვრები ხშირად აღვნიშნავთ, რომ ფანქრით ხატვა შეიძლება ყველამ ისწავლოს; ფერთან მუშაობის ნიჭი კი უფლისაგან ბოძებულია. ხშირად, ბუმბულში გა-

ბუმბულში გაცოცხლებული სამყარო

მოსახული პორტრეტი დამინახავს და სწორედ ამ პორტრეტისათვის ამიწყვია ფიგურა. ბუმბული მაძლევს იდეას, თუ რა უნდა გავაკეთო მისგან. როდესაც პეიზაჟს ვაკეთებ, არასოდეს ვხატავ მის კონტურებს... მუშაობას ზემოდან, ციდან ვიწყებ და თავად მასალა მკარნახობს, როგორი უნდა გამოვიდეს დასრულებული პეიზაჟი. იდეები ბუმბულების გადარჩევისას მომდის.

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ ბუმბულებისაგან რამე შეგექმნათ?

— ლამაზი ბუმბულები სახლში მქონდა შენახული და ლარნაკში მეწყო... ერთ საღამოს, შევხედე და აღმოვაჩინე, რომ ხის ფორმა ჰქონდათ. ამოვიღე ლარნაკიდან, გავუკეთე ფონი, დავაწყე ეს „ხეები“ ზედ, მაღლა ცა, ქვემოთ — სივრცე გავუკეთე და ასე შევქმენი პირველი ნამუშევარი. ბუმბულს საკუთარი შუქჩრდილებიც აქვს, რაც კომპოზიციას აცოცხლებს და საინტერესოს ხდის. გამოფენაზე ხშირად აღნიშნავენ, რომ ჩემი ნამუშევრების ნახვისას, ხეების შრიალიც კი ესმით (*იღიმის*). როგორც ჩანს, ჩანაფიქრი გამომდის და ნამუშევარის „გაცოცხლება“ შემიძლია.

— თუ აქვს მნიშვნელობა, რომელ ბუმბულს გამოიყენებთ ამა თუ იმ კომპოზიციისთვის?

— კომპოზიციისათვის ყოველთვის სხვადასხვა ფრინველის ბუმბულს ვიყენებ. სახეს ქათმის ბუმბულით გამოვსახავ, ტანსაცმლის შესაქმნელად, ძირითადად, გარეული იხვისა და ციცრის ბუმბულს ვიყენებ... ფონად არწივის ბუმბულია უკეთესი, რადგან უფრო მასიური და სქელია. საჭირო ბუმბულის ძებნაში, შეიძლება 500 ბუმბული გადავარჩიო და საბოლოოდ ვიპოვო ის, რომელსაც ვეძებ.

— ბუმბულებს როგორ შოულობთ?

— ხოხბის ბუმბულებს მონადირეები მაწვდიან, ფერად ბუმბულებს კი ზოოპარკში მიგროვებენ.

— როგორც ვხვდები, თქვენი ნამუშევრების შექმნა საკმაოდ შრომატევადი პროცესია. რა დრო სჭირდება ერთი ნამუშევრის დასრულებას?

— განსაკუთრებით რთული დიდი ნამუშევრის შექმნაა... მას 20 დღე მაინც სჭირდება, რომ დასრულდეს. ნამუშევარი პატარა-პატარა ბუმბულებით იკინძება. ამას დიდი ნებისყოფა სჭირდება. მუყაოს, წებოსა და ბუმბულის მოძიებასაც დრო უნდა. ნამუშევარი დასრულებული არაა, თუ მას ჩარჩო არ აქვს. ხშირად პურის ფულს ვიკლებ და ვცდილობ, ჩემს ყველა ნამუშევარს ჩარჩო ჰქონდეს. მუშაობის დროს არც შიმშილი მაწუხებს და არც სიცივე. ვინაცვლებ იმ სამყაროში, სადაც მხოლოდ მე და ჩემი ნამუშევრები ვართ... ხშირად, ღამით ლოგინიდან წამოვმდგარვარ და მუშაობა დამიწყია. არაფერია იმაზე დიდი ბედნიერება, როცა რაღაცას ქმნი და შეგიძლია, საზოგადოებას შენი სითბო და სიყვარული გაუზიარო. როცა ნამუშევრით აღფრთოვანებულ საზოგადოებას შევცქერი, მათი ემოცია სიცოცხლისა და ბედნიერების საშუალებას მაძლევს.

— ნამუშევრების გაყიდვა ალბათ ძალიან გიჭირთ...

— მაგრამ ამის გარეშე ცხოვრება არ გამოდის. ხან გაზი არ მაქვს გადაუხდელობის გამო, ხანაც — ტელეფონი ითიშება... უფულო მილიარდერი ვარ. მიუხედავად გაჭირვებისა, ვცდილობ, რომ ამაღლებული განწყობილება შევინარჩუნო და ამაში თავად ქართველი ადამიანები მეხმარებიან. დღე არ გავა, ვინმემ არ დამირეკოს და არ მომეფეროს. ეს ჩემთვის დიდი სტიმულია. ჩემი ნამუშევრები ძირითადად საზღვარგარეთ მიაქვთ, საჩუქრად. ამას წინათ, ერთმა ჟურნალისტმა დამირეკა და მკითხა, ქალბატონო ლია, მართალია, რომ ალა პუგაჩოვას თქვენი ნამუშევარი აჩუქეთო? გამიკვირდა, მე მისთვის არაფერი მიჩუქებია, მაგრამ შეიძლება ვინმემ ჩემგან ნაყიდი ნამუშევარი უსახსოვრა.

— ქალბატონო ლია, საქართველოში კიდევ ერთი ხელოვანი, ნუკრი ლეკვეიშვილია, რომელიც თქვენსავით ბუმბულებისგან ქმნის ნამუშევრებს. მას თუ იცნობთ?

— კი, ერთხელ მითხრეს მის შესახებ, ძალიან დავინტერესდი და გასაცნობად მივედი. ნუკრი ფიზიკოსია და არა მხატვარი, მაგრამ მისი ნამუშევრები ძალიან მომეწონა. დღეს მხოლოდ ჩვენ ორნი ვმუშაობთ „ბუმბულში“...

— მეტსახელი, „ბუმბულა“ ვინ შეგარქვათ?

— ირაკლი ახალაიამ, რომელიც სკოლის დირექტორი იყო და სკოლის შენობაში სახელოსნო მომცა, სადაც მთელი

9 წლის განმავლობაში ვმუშაობდი. მან შემარქვა ეს მეტსახელი, რომლითაც ხშირად მომიხსენიებენ მეგობრები.

— თქვენში სიცოცხლის სიყვარული იგრძნობა.

— აბა, როგორ?! რა ფასი აქვს სიცოცხლეს მაშინ, თუ 25 წლის ხარ და დაჩაჩანაკებული მოხუცის ცხოვრებით ცხოვრობ? ჩემი საქართველო ძალიან მიყვარს, სადაც წავალ, ყველგან ჩემს ქვეყანასა და ახალგაზრდებს ვეფერები. პატრიარქი ხშირად ქადაგებს, რომ უფალი თავად სიყვარულია და ჩვენი სიცოცხლეც, სიყვარულის გარეშე ჩირად არ ღირს! ხშირად ვამბობ: — მინდა, ყველაფერი მოვასწრო და გავაკეთო, რომ გარდაცვალების შემდეგ, არაფერი დამრჩეს გასაკეთებელი-მეთქი.

— ქალბატონო ლია, რას ურჩევთ ახალგაზრდებს?

— სიყვარული აკეთებს ყველაფერს! შეყვარებულ წყვილებს რომ ვხედავ, ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს. მე რომ შენ გეფერები და მიყვარხარ, შეუძლებელია, რომ შენც იგივე გრძნობით არ მიპასუხო. როცა პესიმისტური განწყობილება მოეძალებათ, გავიდნენ გარეთ, დაათვალიერონ თბილისი, მტკვრის სანაპიროზე გაისეირნონ, შეიგრძნონ ჩვენი ქალაქის სილამაზე და საკუთარი თავი გაახალისონ. მე რომ ჩემს ნამუშევრებს სიყვარულით ვქმნი და შენ კი მას ათვალიერებ, ჩემს ნამუშევარში ჩაქსოვილი სიყვარული გადმოგეცემა და მერე ისევ უკან მიბრუნებ მას. ვინც გასცემს, ის იღებს კიდეც! ამიტომ, გაეცით სიყვარული და ბედნიერები იქნებით. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი **ნინო ჩარგეიშვილი**

კვება ორსულობის დროს

ორსულობის ნორმალური მიმდინარეობის, ნაყოფის სრულყოფილი ზრდა-განვითარებისა და მშობიარობის ნორმალური წარმართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს რაციონალური კვება წარმოადგენს. სწორი კვება უდიდეს როლს თამაშობს ანემიის, ორსულთა ტოქსიკოზის, ნაყოფის ჰიპოქსიის, სამშობიარო ქმედებების ანომალიებისა და სხვა გართულებების პროფილაქტიკაში.

ქალი ორსულობის განმავლობაში წონაში დაახლოებით 8-11 კგ-ით იმატებს. ორსულობის პირველი და ბოლო სამი თვის განმავლობაში წონის დიდმა მატებამ შეიძლება ცუდად იმოქმედოს ნაყოფის მდგომაროებაზე. ორსულობის მეორე ნახევარში ქალი კვირაში საშუალოდ 300-350 გ უნდა იმატებდეს. გასათვალისწინებელია, რომ ორსულის წონის მატება ნაყოფის (დაახლოებთ 3,5 კგ), საშვილოსნოს და სანაყოფე წყლების (650-900 გ), სარძევე ჯირკვლებს გადიდების (400 გ), მოცირკულირე სისხლის და უჯრედშორისი სითხის მოცულობის ზრდის (1,2-1,8 კგ) და მხოლოდ 1,6 კგ დედის ცხიმოვანი ქსოვილის ზრდის ხარჯზე უნდა ხდებოდეს.

რაციონალური კვებისთვის უმნიშვნელოვანეს პირობას განსაზღვრული კვების რეჟიმის დაცვა წარმოადგენს, რომლის დარღვევა ზიანს აყენებს დედას და არაკეთილსაიმედოდ მოქმედებს ნაყოფის განვითარებაზე.

ორსულობის პირველ ნახევარში ქალის კვება მნიშვნელოვნად არ უნდა განსხვავდებოდეს ორსულობამდე კვებისგან, მაგრამ საგულისხმოა, რომ ორსულობის I ტრიმესტრში ფორმირებას იწყებს ნაყოფის ორგანოები (ორგანოგენეზის პერიოდი). ამიტომ ამ პერიოდში ორსულის ორგანიზმისთვის სრულფასოვანი ცილის, ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების საკმაო რაოდენობით მიწოდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ორსულობის ადრეული ვადიდან დაწყებული, ორსულობის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში, დაბალი სიმაღლისა (150 სმ) და წონის (50 კგ) ქალისთვის დღიური რაციონის კალორიულობა უნდა შეადგენდეს 2100-2300 კკალ. ამასთან, ცილები უნდა იყოს 90-100 გ, ცხიმები — 55-65 გ, ნახშირწყლები — 290-320 გ.

საშუალო სიმაღლის (155-165 სმ) და წონის (55-60 კგ) ქალისთვის დღიური კალორიულობა — 2400-2700 კკალ, ცილები — 110 გ, ცხიმები — 75 გ, ნახშირწყლები — 3350 გ.

მაღალი (170-175 სმ) ორსულებისთვის კი კალორიულობა — 2700-2900 კკალ, ცილები — 120-125 გ, ცხიმები — 75-85 გ, ნახშირწყლები — 360-400 გ.

ორსულობის პირველ ნახევარში მისაღებია ოთხჯერადი კვება შემდეგ საათებში:

საუზმე — 8.00-9.00 სთ;

სამხარი— 11.00-12.00 სთ;

სადილი— 14.00-15.99 სთ;

ვახშამი— 18.00-19.00 სთ და 21.00 — ერთი ჭიქა მაწონი ან კეფირი. საუზმე უნდა შეადგენდეს დღიური რაციონის 30%-ს, სამხარი — 20%-ს; სადილი — 40%-ს; ვახშამი კი — 19%-ს.

საკვების მიღების შემდეგ აუცილებელია აქტიური დასვენება. ორსულმა ვახშამი უნდა მიიღოს დაძინებამდე 2-3 საათის ადრე მაინც.

ორსულობის II ნახევარში ცილაზე მოთხოვნილება კიდევ უფრო იმატებს. ამიტომ დაბალი სიმაღლის ორსულის დღიური რაციონის კალორიულობა უნდა შეადგენდეს 2400-2600 კკალ, ცილები უნდა იყოს 100-110 გ, ცხიმები — 70-74 გ, ნახშირწყლები — 330-360 გ.

საშუალო სიმაღლის ორსულის შემთხვევაში კალურიულობა — 2800-3000 კკალ. ცილები — 120 გ, ცხიმები — 85გ, ნახშირწყლები — 400 გ.

მაღალ ორსულებში კი კალორიულობა — 3000-3300 კკალ, ცილები — 120-140 გ, ცხიმები — 85-100 გ, ნახშირწყლები — 410-440 გ.

ორსულობის მეორე ნახევარში მიზანშეწონილია 5-6-ჯერადი კვება. თანაც, ორსულმა დღის განმავლობაში მისაღები საკვების მაქსიმალური რაოდენობა უნდა ჭამოს დღის პირველ ნახევარში. საუზმე უნდა შეადგენდეს — 30%-ს, სამხარი — 15%-ს; სადილი — 40%-ს, ღანჩი — 5%-ს, ვახშამი — 10%-ს.

ორსულმა უნდა დაიცვას „პირამიდას“ პრინციპი. ყველაზე მეტად ორსული ქალის ორგანიზმს ესაჭიროება პური, მარცვლეული კულტურები, ფაფეული და მაკარონის ნაწარმი. ეს არის პირამიდის საფუძველი. პირამიდაში შედარებით მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი რძის პროდუქტები, აგრეთვე ხორცი და პარკოსნები, კვერცხი და კაკალი. პირამიდის მწვერვალშია ცხიმები, ზეთი, ტკბილეული. მათი მიღება რეკომენდებულია მცირე რაოდენობით.

ორსულთათვის სასარგებლო პროდუქტებია:

მარცვლეული: ხორბალი, წიწიბურა, ქერი, შვრია, სიმინდი, ჭვავი;

ყველანაირი ხილი და ბოსტნეული, პარკოსნები: სოია, ლობიო, ბარდა;

ხორცი, თევზი, კვერცხი;

ნაკლებცხიმიანი რძის პროდუქტები: რძე, მაწონი (იოგურტი, კეფირი), ნაკლებად მარილიანი ყველი, ხაჭო.

ორსული უნდა მოერიდოს:

კოფეინის შემცველ სასმელს: ყავა, მაგარი ჩაი, „პეპსი“, „კოლა“ და „კოკა-კოლა“; თუ ორსულს ძალიან სურს ამ სასმელების მიღება, მაშინ დღის განმავლობაში მაქსიმუმ 2 ჭიქა შეუძლია დალიოს.

ალკოჰოლს — დედის მიერ მიღებული მცირე რაოდენობით (1 ჭიქა) ალკოჰოლიც კი დიდი დოზაა ნაყოფისათვის. ის შეუფერხებლად გადის პლაცენტარულ ბარიერს და შესაძლოა სერიოზული ზიანი მიაყენოს მას;

თამბაქოს მოწევას და მწეველებთან ერთ ოთახში ყოფნას;

ჭარბი რაოდენობით შაქარს და ტკბილ საკვებ პროდუქტებს: კანფეტი, შოკოლადი, ნამცხვრები;

საკვებში ჭარბი რაოდენობით მარილის მოხმარებას და მარილიან პროდუქტს: მარინადები, მწნილები, საწებლები;

ცხოველური ცხიმის დიდი რაოდენობით მიღებას: კარაქი, არაჟანი, ხორცის ნახარში;

კონსერვირებულ (მათ შორის სახლის პირობებშიც) პროდუქტებს, რომლებიც დიდი რაოდენობით კონსერვანტებს შეიცავენ და შესაძლოა, ისეთი საშიში ინფექციის წყარო გახდნენ, როგორიცაა ბოტულიზმი.

არაპასტერიზებულ, აუდუღარ რძეს და შეუმოწმებელი რძისაგან დამზადებულ პროდუქტებს.

ნახევრად შემწვარ და მოხარშულ ხორცს ან თევზს;

თოხლო და უმ კვერცხს.

ღვიძლისა და შიგნეულობისგან დამზადებულ საკვებს;

სითხეები ორსულობის დროს

ორსულმა დღეში უნდა დალიოს სულ მცირე, 8 ჭიქა სითხე. თანამედროვე გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ორსულობის ნორმალური მიმდინარეობისთვის სითხის შეზღუდვა არ შეიძლება შეშუპებების დროსაც კი. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ორსულმა დღეში არ მიიღოს სამ ჭიქაზე მეტი კოფეინის შემცველი სითხე: ჩაი, ყავა, გაზირებული წყალი (არამინერალური).

მეორე მხრივ, ორსულობის ბოლო თვეებში, როდესაც შარდის ბუშტი ქალს აიძულებს ტუალეტში არანაკლებ 45 წუთში ერთხელ იაროს, ზოგიერთი მეცნიერი შედარებით ნაკლები სითხის მიღებას ურჩევს.

ვიტამინები ორსულობის დროს

ორსულ ქალს დიდი რაოდენობით რკინა, კალციუმი და ფოლიუმის მჟავა ესაჭიროება.

რკინით მდიდარია პარკოსნები, ფოთლოვანი ბოსტნეული, რძე, კვერცხი, ხორცი, თევზი, შინაური ფრინველი;

ფოლიუმის მჟავით მდიდარია საფუვრიანი პური, პარკოსნები, კვერცხი, ჭარხალი, კომბოსტო, ბარდა და პომიდორი.

კალციუმის საუკეთესო წყაროა რძე და რძის პროდუქტები, ლობიო, კომბოსტო, მწვანილი (ოხრახუში, კამა) და კვერცხის გული.

თუ ორსული ამ ნივთიერებებს საკვებთან ერთად საკმარისი რაოდენობით არ იღებს, მაშინ ექიმმა უნდა გამოუწეროს ორსულებისთვის განკუთვნილი, ვიტამინური პრეპარატები. ■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

ინდოეთის წმინდა გველები

ინდოეთში გველს ყველგან შეხვდებით — ურნაშიც და მდიდრული სასტუმროს ნომერშიც, მაგრამ მისი მოკვლა აკრძალულია, რადგან წმინდა არსებად მიიჩნევა. ლეგენდის თანახმად, დემონ მარამ ქარი და წვიმა მოუვლინა ბუდას, რათა მას ნეტარებისთვის ვერ მიეღწია. კობრა შვიდჯერ შემოეხვია ბუდას ტანზე და დაიცვა იგი. გველებისადმის პატივისცემის ნიშნად, ინდოელები ღმერთებს გველის სამკაულით (ყელზე, ფეხზე, მაჯაზე), გამოსახავენ. მათ მიაჩნიათ, რომ ქალღმერთი მანა ადამიანებს გველის ნაკბენისგან იცავს. ძველად, მის პატივსაცემად მოწყობილ დღესასწაულებზე, მანას მსხვერპლს სწირავდნენ; ზოგჯერ — ადამიანებსაც.

გველის მოკვლა დიდ ცოდვად მიიჩნევა. ბრახმანი მოკლულ ცხოველს სამგლოვიარო მანტრებს უკითხავს და მის სხეულს სარიტუალო ცეცხლზე წვავენ. გველს ტაძრებს უგებენ, მათზე ლოცულობენ. ოჯახის მფარველად და გარდაცვლილთა სულებად მიიჩნევენ. ინდოეთის ზოგიერთ სოფელში, კარის ორივე მხარეს გველის გამოსახულებას დებენ, რათა ცხოველმა ოჯახი უბედურებებისგან დაიცვას. ზოგიერთებს, ეზოებშიც კი ჰყავთ წმინდა კობრები. თუ ოჯახი საცხოვრებელ ადგილს იცვლის, გველებიც თან უნდა წაიყვანოს. საოცარია, მაგრამ გველები პატრონებს არასდროს კბენენ.

ინდოეთში მიაჩნიათ, რომ თუ ქალს შვილი არ უჩნდება, მან წინა ცხოვრებაში გველი მოკლა. მადრასის მახლობლად, რაჯახმანდში, ერთ-ერთ სოროში ბებერი კობრა ბინადრობდა. დროდადრო გველი მზეზე გასათბობად გამოდიოდა. ადგილობრივებისთვის მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. უშვილო ქალები ხვრელთან ბრინჯს, კვერცხებსა და ხორცის ნაჭრებს უტოვებდნენ. ვინც ხვრელიდან გამოსულ კობრას დაინახავდა, დედობა ეღირსებოდა.

ინდოელისთვის დიდი ბედნიერებაა გველის ტყავის პოვნა. თუ საფულეში შეინახავს, სიმდიდრეს მოუტანს. ინდოელების აზრით, გველებმა ბალახის სამკურნალო თვისებების შესახებ იციან და საიდუმლოს მხოლოდ ბერებს უმხელენ.

ყოველწლიურად, შრავანის (ივლისის თვე) მეხუთე დღეს ინდოეთში გველების დღესასწაულს — ნაგაპანჩამს აღნიშნავენ. ამ დღეს ყველა ისვენებს. გველები ტყეებიდან მოჰყავთ და ეზოებსა და ქუჩებში უშვებენ. თაფლით, რძითა და ერბოთი უმასპინძლდებიან. ხვრელებთან ჟასმინისა და წითელი ლოტოსის თაიგულებს უდებენ, გვიანობამდე ლოცულობენ. ყველაზე მამაცები გველებს სხეულზე იხვევენ. ეს დღესასწაული საუკუნეების მანძილზე ტარდება და ამ დღეს გველები ადამიანებს არ კბენენ. სხვათა შორის, ინდოეთში გველის ნაკბენისგან ყოველწლიურად 75 ათას ადამიანი იღუპება. ყველაზე შხამიან გველად კობრა მიიჩნევა. კბენის შემდეგ ადამიანი რამდენიმე წუთში კვდება. კობრა მთელ ინდოეთშია გავრცელებული (ინდოეთში 216 სახეობის გველი ბინადრობს. აქედან 52 — შხამიანია. არსებობს შხამის საწინააღმდეგო ვაქცინა, მაგრამ ინდოელები მას არ ცნობენ). ჩვეულებრივი კობრა სიგრძით 2 მეტრია, სამეფო — ხუთ მეტრამდე იზრდება. გველის თავზე გამოსახულ ნიშანს ინდოელები მზისა და ცეცხლის მამოძრავებელ ძალად მიიჩნევენ. ■

12 ლამაზი ადგილი

დედამიწაზე უამრავი ლამაზი ადგილია, მაგრამ ჟურნალმა „ფორბსმა“ განსაკუთრებით 12 მათგანი გამოარჩია:

* ბოლო ადგილზეა ტოკიოს (იაპონია) იმპერატორის სასახლე და კოშკი.

* კემბრიჯის (ბრიტანეთი) King's College Chapel-ი, აგრეთვე, კემბრიჯის უნივერსიტეტთან არსებული, მათემატიკის თანამედროვე ცენტრი.

* ლონდონის ბიგ ბენი, ტაუერის ხიდი და ტრაფალგარის მოედანი;

* ნიუ-იორკის ცენტრალური პარკი და ემპაიერ სტეიტ ბილდინგი;

* ჩიკაგოს (აშშ) მილენიუმის პარკი, Magnificent Mile-ს რაიონი და ტბა მიჩიგანის შემოგარენი.

* სან-ფრანცისკოს ხიდი — „ოქროს ქარიბჭე“ და Fisherman's Wharf-ს რაიონი.

* კეიპტაუნის (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) ბოტანიკური ბაღი და ვიქტორიასა და ალფრედის პორტი.

* ვენეციის (იტალია) არხები და სან-მარკოს ბაზილიკური ტაძარი.

* ფლორენციის (იტალია) ბაზილიკური ტაძარი სანტა-მარია დელ ფიორე, პონ ვეკიოს ხიდი და ფლორენციის სინიორიას მოედანი.

* სიდნეის (ავსტრალია) ხიდი და ჰარბორის ნავსაყუდელი, ოპერის თეატრი და ბონდის სანაპირო.

* ვანკუვერის (კანადა) სანაპირო ზოლი და ყველა პარკი.

* პირველ ადგილზეა პარიზის (საფრანგეთი) ეიფელის კოშკი, ელისეის მინდვრები და ლუვრი. ■

სასახლეები და ციხე-კოშკები

პოტალა

ტიბეტის ყველაზე მაღალი სასახლის მშენებლობა 637 წელს, იმპერატორ სონგტსენ გამპოს ბრძანებით ააგეს. XVII საუკუნეში სასახლე გაამაგრეს და ახალი დარბაზები მიუმატეს. 1645 წელს, მეხუთე დალაი-ლამას დროს, სასახლეს თეთრი უწოდეს. 1690-1694 წლებში სასახლეს კიდევ ერთი ნაწილი — წითელი მიუმატეს. მთლიანობაში, სასახლის მშენებლობასა და მოწყობაში 7 ათასი მუშა და 1500 მხატვარი მონაწილეობდა. 1959 წელს, ჩინეთის არმიის შემოტევისას, სასახლე უმნიშვნელოდ დაზიანდა.

ფრანგული სასახლე მონ სენ-მიშელი

ნორმანდიის მახლობლად, ხელოვნურ კუნძულზეა აშენებული ფრანგული სასახლე, მონ სენ-მიშელი. სხვა სასახლეებისგან განსხვავებით, რომლებსაც თავდაცვისა და თავდასხმის ფუნქცია ჰქონდათ, მონ სენ-მიშელი მონასტერია. იგი 966 წელს, ბერ-ბენედიქტელებმა ააგეს. მათ ნორმანდიელი ჰერცოგები აფინანსებდნენ. დღესაც მონასტერში 50 ბერი ცხოვრობს. ყოველწლიურად კი 4 მლნ ტურისტი ნახულობს. სასახლე მატერიკთან ვიწრო გზითაა დაკავშირებული, მაგრამ მოქცევის დროს იგი მიუვალი ხდება. სასახლე-მონასტერი უამრავ ფრანგულ ფილმში, მულტფილმსა და ვიდეოთამაშშია გამოყენებული.

ციხე-კოშკი კლდეში

სლოვენიის პრედიამსკი სასახლე კლდეშია აგებული. მისი სახელიც ასე ითარგმნება — „სასახლე კლდეში“. მშენებლობა 12 საუკუნეში დაიწყეს და 1570 წელს დაასრულეს. 1990 წელს მას სრული რესტავრაცია ჩაუტარდა.

ნოიშვანშტაინის სასახლე

ზღაპრული სილამაზის სასახლე გერმანიაში, ქალაქ ფუსენის მახლობლად მდებარეობს. მისი მშენებლობა 1869 წელს

დაიწყო და 1891 წელს დასრულდა. მას უამრავი მხატვარი და არქიტექტორი ქმნიდა. მუშები დღე და ღამე მუშაობდნენ. სხვა სასახლეებისგან განსხვავებით, სასახლე კეთილმოწყობილია, ყველა სართულზე გაყვანილია წყალი, ოთახები თბება.

მაცუმოტო

იაპონის სასახლე წყალზეა აგებული. მტრის შემოსევისგან მას ორი კოშკი იცავს. მესამე 1635 წელს ააგეს, როცა თავდასხმები შეწყდა, მას ვარსკვლავებზე დასაკვირვებლად იყენებდნენ.

პოლონეთის მშვენება

მარიენბურგის სასახლე მსოფლიოში ყველაზე დიდი აგურის სასახლეა. მეორე მსოფლიო ომის დროს სერიოზულად დაზიანდა და თითქმის თავიდან ააგეს.

ჰუნიადების სასახლე

სილამაზის გარდა, რუმინეთის სასახლე იმითაცაა განთქმული, რომ მასში 7 წელი გრაფი დრაკულა ჰყავდათ გამომწყვდეული. სასახლე ჰუნიადის დინასტიას ეკუთვნის. სასახლის მშენებლობისას გამოყენებულია გოტიკური სტილი და ბაროკოს ელემენტები. მას უამრავი აივანი და ფანჯარა ამშვენებს.

პალასიო დე პენა

ყველაზე ძველი სასახლე პორტუგალიაში, ქალაქ სინტრას მახლობლად, კლდის წვერზე მდებარეობს. მისი ნახვა კარგ ამინდ-

ში ლისაბონიდანაც შეიძლება. სასახლე 1755 წელს მიწისძვრას ემსხვერპლა, მაგრამ 1838 წელს აღადგინეს. პალასიო დე პენას მშენებლობაში რომანტიკული, ბავარიული და მავრიტანული სტილია გამოყენებული.

„ლომის სასახლე“

კასელის (გერმანია) ლევენბურგი („ლომის სასახლე“) ძველებურ დისნეილენდს მოგაგონებთ. იგი სამეფო არქიტექტორის, Heinrich Christoph Jussow-ის მიერაა დაპროექტებული, რომელიც სპეციალურად მოგზაურობდა ინგლისში, რათა სასახლეების მშენებლობა შეესწავლა. ლევენბურგი ნეოგოტიკური სტილის პირველი სასახლეა, გერმანიაში.

პრაღის სასახლე

არქიტექტურული, სამხატვრო და ისტორიული სიმდიდრითაა განთქმული პრაღის სასახლე, რომელიც სხვადასხვა დროს პრეზიდენტის, მეფის, იმპერატორის რეზიდენციას წარმოადგენდა. სასახლის გარშემო გაშენებულია ბაღები, საცხოვრებელი სახლები, აქვეა ოქროს უბანი — პრაღის ყველაზე ძველი ქუჩა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩაშენებული თაღები და ორსართულიანი, ჯუჯა სახლები. ■

როგორი ტიპის მამაკაცი მოგწონთ?

მამაკაცები შეიძლება პირობითად შემდეგ ტიპებად დავყოთ: დიდი ბავშვები, მამაკაცურები, მონადირეები, კავალრები, მუდამ თინეიჯერები და დედიკოს ბიჭები.

დიდი ბავშვები — ასეთი ტიპის მამაკაცს ხშირად შეხვდებით საფინანსო დაწესებულებებსა და ბანკებში. მას ყოველთვის უზადოდ აცვია, დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე და ილუზიებით ცხოვრობს. ბედნიერია, თუკი მისი თანამეცხედრე ოჯახში, სხვა ყველაფერთან ერთად, „მისი მასწავლებლის“ ფუნქციებსაც ითავსებს.

მამაკაცური ტიპი — ასეთები ლუდის ბარებში, პაბებში, ასევე საზოგადოებრივი თავშეყრის ნებისმიერ ადგილას შეგხვდებიან. ამ ტიპის მამაკაცი თავდაჯერებულია და მიიჩნევს, რომ მისი ხიბლის წინაშე ნებისმიერი ქალი უძლურია. მოქეიფეა, უყვარს ფეხბურთი და ეძებს კარგ მეოჯახე ცოლს.

დედიკოს ბიჭი — ამ ტიპის მამაკაცი დედის შერჩეული ტანსაცმლით დადის და ყოველთვის საგულდაგულოდ გაპრიალებული ფეხსაცმელი აცვია. უყვარს ბაზარსა და სუპერმარკეტებში საყიდლებზე სიარული. ვერასოდეს იქნება ბედნიერი ქალთან, რომელსაც ხელსაქმე არ ეხერხება.

მონადირე — ის თვითონ მოგძებნით. „მონადირე“ უმეტესწილად მხარბეჭიანი, მოხდენილი აღნაგობისაა; უყვარს თავისუფალი ზედატანისა და ვიწრო შარვლების ჩაცმა. ოჯახურ ცხოვრებაში ერთგულებით არ გამოირჩევა და სხვა ქალებზე ნადირობის დაუცხრომელი ჟინი კლავს.

კავალერი — ყველაზე გავრცელებული ტიპია. შეიძლება სულაც სასურსათო მაღაზიაში ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში გაიცნოთ, სადაც ადგილს მაშინვე დაგითმობთ. ცოტა არ იყოს, მორცხვია და თუკი ქალისგან ინტერესი ვერ იგრძნო, მალევე გაეცლება.

მუდამ თინეიჯერი — ამ ტიპის მამაკაცის ნახვა ყველგან შეიძლება — დისკოთეკებზე, ბარებში, რესტორნებში... ყოველთვის ახალგაზრდულად იცვამს და ასაკთან შედარებით, დაახლოებით 10 წლით უმცროსად გამოიყურება. ასეთი მამაკაცისგან სერიოზული ნაბიჯის გადადგმას იშვიათად უნდა ელოდეთ. ■

სასიყვარულო ურთიერთობაში ჰარმონიას რომ მიაღწიოთ...

1. უნდა გჯეროდეთ თქვენი პარტნიორის;
2. პატივი ეცით მის სურვილებს, მაგრამ არც საკუთარი დაივიწყოთ;
3. უნდა შეგეძლოთ მისი ყურადღებით მოსმენა.
4. გამოავლინეთ მის მიმართ მზრუნველობა.
5. გამოიჩინეთ ინტერესი მისი გატაცებების მიმართ, იქნებ ეს თქვენთვისაც საინტერესო აღმოჩნდეს.
6. სიყვარული არა მხოლოდ სიტყვებით, საქციელითაც გამოხატეთ.
7. ისწავლეთ არა მხოლოდ მიღება, არამედ გაცემაც.
8. არასდროს გამოცადოთ მისი ერთგულება, თორემ შემდეგ სანანებელი გაგიხდებათ.
9. არ მოუწყოთ ნებისმიერ წვრილმანზე სკანდალი.
10. არ დაუსვათ სულელური შეკითხვები და არც ისეთი — რომლებზე პასუხის მოსმენაც თავადვე არ გსურთ.
11. არ მოუყვეთ თქვენს ყოფილ რომანებზე.
12. არ ესაუბროთ საკუთარ ნაკლოვანებებზე.
13. შეეცადეთ დაუთმოთ ბევრი დრო, თუკი ეს შესაძლებელია.
14. არასდროს უსაყვედუროთ, თუკი გარკვეული მიზეზების გამო, თვითონ სათანადო დროს ვერ გითმობთ.
15. იყავით გულწრფელი მასთან.
16. არ გამოამჟღავნოთ ეჭვიანობის გრძნობა (ის ძირითადად უმნიშვნელო ფაქტორებითაა გამოწვეული).
17. გამოიჩინეთ მოთმინება. ■

გარგარის კოქტეილი

მასალად საჭიროა: 1/2 ჩ/ჭ გარგარის წვენი, 100 გ ნაღების ნაყინი, 1 ლიმონი.

მომზადების წესი: წვენი და ნაყინი მიქსერით ათქვიფეთ. შემდეგ მაღალ ჭიქებში ჩამოსახით და ლიმონის წვენი მოასხით. ■

როგორ შევარჩიოთ საცურაო კოსტიუმი

ზაფხულია — შვებულებების და არდადეგების პერიოდი და დამსვენებელთა უმეტესობა ზღვისკენ მიისწრაფვის. როგორ შევარჩიოთ ჩვენთვის მისაღები საცურაო კოსტიუმი? იდეალური სხეული იშვიათობაა, თუმცა სრულყოფილებისკენ ქალი მუდამ უნდა მიილტვოდეს. როგორ მოვიქცეთ, თუ ჩვენს ნაკლს დიეტა არ შველის? ერთადერთი სწორი გამოსავალი — საცურაო კოსტიუმის სწორად შერჩევაა.

საცურაო კოსტიუმს, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ტანსაცმელს, შეუძლია თქვენი გარეგნობის მომგებიანად წარმოჩენა, ანდა პირიქით — ნაკლის გამომზეურება...

განიერი მხრები

არც იმდენად დიდი პრობლემაა, თქვენ რომ გგონიათ: ეს ნაკლი საცურაო კოსტიუმში თითქმის შეუმჩნეველია. და მაინც, თუკი გეჩვენებათ, რომ ზედმეტად განიერი მხრები გაქვთ, გირჩევთ ატაროთ V-ს ფორმის ან მრგვლად გულამოჭრილი საცურაო კოსტიუმი, რომელიც თქვენს მხრებს გაცილებით ვიწროს წარმოაჩენს. ასეთივე საცურაო კოსტიუმი უპრიანია ტანსრული ქალებისთვისაც. განიერმხრებიან ქალებს არ ვურჩევთ ფართობრეტელებიან საცურაო კოსტიუმს.

მოკლე კისერი და ღაბაბი

იდეალური ვარიანტია V-ს მსგავსი გულამოღებული საცურაო კოსტიუმი. თუ თქვენ ზედმეტად დიდი მკერდი არ გაქვთ, შეგიძლიათ შეიძინოთ უბრეტელო საცურაო კოსტიუმიც.

ვიწრო მხრები

ამ პრობლემის მოგვარებას მარტივად შეძლებთ, თუ ფართობრეტელებიან საცურაო კოსტიუმს ჩაიცვამთ. მით უმეტეს, თუ კოსტიუმის ზედა ნაწილი უფრო ბაცი ფერის იქნება, ვიდრე ქვედა; ხოლო ნახატები ან დეტალები — დიაგონალური.

მსუქანი ხელები

რა თქმა უნდა, ამ ნაკლის შენიღბვა საკმაოდ რთულია, მაგრამ ყურადღების გადატანა კი შესაძლებელია. ამიტომ გირჩევთ, ჩაიცვათ საცურაო კოსტიუმი, რომელსაც მკერდზე უხვად ექნება ნაქარგი ან სხვადასხვა დეტალი. ასევე ურიგო არ იქნება, თუკი მაჯებზე მომსხო სამკაულს წამოიცვამთ, ყელს კი ღიად დაიტოვებთ.

დიდი მკერდი

მართალია, დიდი მკერდი ნაკლი არ არის, მაგრამ თუკი თქვენ მინიატიურული და ზომაზე მეტად წელწვრილი მანდილოსანი ბრძანდებით, დაგეხმარებათ ფართობრეტელებიანი, ოდნავ ზემოთ აწეული ფორმის ბიუსტჰალტერი. კოსტიუმის ზედა ნაწილი ქვედაზე მუქი

უნდა იყოს და სასურველია, ჰორიზონტალური ხაზები ჰქონდეს.

მოკლე წელი

კატეგორიული უარი თქვით ბიკინიზე. აქცენტი გააკეთეთ თეძოებთან ღრმად ამოჭრილ, მთლიან საცურაო კოსტიუმზე. გირჩევთ ვერტიკალური ხაზებითა და დეტალებით დამშვენებულ საცურაო კოსტიუმს — ეს გარეგნულად დაამშვენებს ტორსს, მკერდსაც მაღლა „ასწევს“ და პროპორციულობის შთაბეჭდილებას შექმნის.

განიერი თეძოები და დიდი მუცელი

ქალბატონებს, ყველაზე ხშირად ეს ნაკლი აწუხებს, მაგრამ არც ამის „გამოსწორებაა“ ძნელი. პროპორციული ფიგურის შექმნის საიდუმლო უმარტივესია: აქცენტი უნდა გადაიტანოთ საცურაო კოსტიუმის ზედა ნაწილზე, მაგალითად, იგი უნდა იყოს მკვეთრი ფერის და ნახატიანი, ხოლო ქვედა ნაწილი — ვერტიკალური და მონოქრომული დეტალებით შემკული.

კარგია ასევე დიაგონალური ხაზები, რომელიც მუცელსა ან თეძოებზე შეერთება. გირჩევთ, უპირატესობა მიანიჭოთ „ლიკრის“ საცურაო კოსტიუმს, რომელიც „შეისრუტავს“ მუცელს. არ შეიძინოთ რბილი და ბაცი ფერის ქსოვილისგან შეკერილი საცურაო კოსტიუმი, ერთიც და მეორეც თქვენს ნაკლს ხაზს გაუსვამს.

სიმაღლე

თუ ტანდაბალი ხართ და მოკლე ფეხები გაქვთ, ნურასდროს ჩაიცვამთ თეძოებზე ამოჭრილ საცურაო კოსტიუმს.

თქვენთვის შესანიშნავი ვარიანტია კოსტიუმი ვერტიკალური ხაზებითა და ღრმად ამოჭრილი ტრუსით.

მაღალი და გამხდარი ხართ? მაშინ თქვენთვის ბიკინია ზედგამოჭრილი — იგი თქვენს ფიგურას ორად „გაყოფს“. ბიუსტჰალტერი შეიძლება ბრტყელბრეტელებიანიც იყოს და უბრეტელოც, ტრუსი კი — შორტის სტილში, ანდა ერთმანეთზე გადადებული კალთებით.

სიმსუქნე

მსუქან ქალებს არ ვურჩევთ ტანზე მჭიდროდ შემოტმასნილი კოსტიუმის შეძენას. ასეთი სამოსი თქვენს სიმსუქნეს მეტად წარმოაჩენს. ნურც ბიკინის დაადგამთ თვალს. უმჯობესია, „ლიკრის“, ფართობრეტელებიანი, ბაცი ქსოვილისგან შეკერილი მთლიანი საცურაო კოსტიუმი ჩაიცვათ. კარგი იქნება, თუკი კოსტიუმი ვერტიკალური დეტალებით იქნება დამშვენებული.

ზღვაზე წასვლის წინ, საცურაო კოსტიუმთან ერთად შეიძინეთ მისი შესაფერისი საპლაჟე აქსესუარებიც — შლაპი, შარფი, ჩანთა, სათვალე და სანდლები. ■



ადამიანი

ეპიზოდური როლების უბადლო შემსრულებელი

ანუ ვიქტორ ნინიძის შექმნილი დაუვიწყარი სახეები

მინდა გაგახსენოთ ერთი ეპიზოდი პირველი ქართული მრავალსერიიანი ფილმიდან — „დათა თუთაშხია“: გზაზე ორი კაცი მიდის. ერთი დინჯად მიაბიჯებს და მშვიდად ესაუბრება თანამგზავრს, მეორე კი თვალებს აცეცებს, ავი განზრახვა აქვს გულში — სასურველ ადგილს ეძებს, რათა თანმხლებს დანა ჩასცეს. მგზავრები ხიდზე შედგნენ. მკვლელმა გარემოს მოავლო მზერა და ჩანაფიქრი აასრულა, შემდეგ კი მოკლული ხიდიდან გადააგდო. მკვლელს დათა თუთაშხია მიუახლოვდება და ცხედრის ამოტანას უბრძანებს. კაცი შეძრწუნებული ყვირის: „მეშინია მე, მეშინია მე“ და მართლაც, ეშინია. იგი სიხარბემ აიძულა, დანაშაული ჩაედინა.

სპექტაკლის მემდეგ ეროსისთან რომ არ წასულიყვნენ, გამორიცხული იყო

ნანული ზოტიკიშვილი

თუ ვიქტორ ნინიძის შექმნილი ზვამბას სახე ერთხელ მაინც გინახავთ, არა მგონია, ოდესმე დაგავიწყდეთ. მსახიობს **გიგა ლორთქიფანიძე** *იხსენებს:*

— ჩემი აზრით, შეუძლებელია, ამ სახემ მაყურებელზე შთაბეჭდილება არ მოახდინოს. ფილმის გამოსვლის შემდეგ სოხუმში ვლადისლავ არძინბას შევხვდი, მაშინ რაღაც თანამდებობა ეკავა. მის კაბინეტში შევედი თუ არა, პატივისცემით მომიკითხა და ჩვენ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— უდიდესი შთაბეჭდილება დამრჩა თქვენი ფილმისგან, ოღონდ ჩვენ, აფხაზები თქვენზე ნაწყენი ვართ (*გაიღიმა*).

— რატომ?

— აი, ზვამბა, უარყოფითი პერსონაჟი მაინცდამაინც აფხაზია...

— კი, მაგრამ ფილმში უარყოფითი თვისების მქონე უამრავი ქართველია და ამაზე რატომ არ დაფიქრდით? როდესაც კარგ ადამიანს ვხვდები, ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, ის კაცი ქართველია თუ აფხაზი.

ვიქტორ ნინიძემ წარუშლელი კვალი დატოვა „დათა თუთაშხიაში“. მას მსახიობური ოსტატობა მამისგან მოსდევდა. ქართული თეატრის დიდებული მოღვაწე, უფროსი ვიქტორ ნინიძე სანკულტურის თეატრს ხელმძღვანელობდა. ეს ჩვენთვის საყვარელი თეატრი იყო, სადაც ნუცა ჩხეიძეც კი თამაშობდა. უმცროსი ვიქტორ ნინიძე ფილიგრანულად ამუშავებდა თითოეულ როლს, დიდსაც და პატარასაც. ჩვენ თეატრში ერთად არ გვიმუშავია, მაგრამ ფილმი არ გადამიღია ისე, რომ ვიქტორს არ ეთამაშა. მაგალითად, მან „თეთრ ბაირაღებში“ კბილის ექიმის შესანიშნავი სახასიათო სახე შექმნა, საინტერესოდ ითამაშა ვერაგი და ეშმაკი სპარსეთის ელჩი — „წიგნი ფიცისაში“. ჩემთვის ძალიან ახლობელი იყო მისი პროფესიული თვისებები. მას კარგად ესმოდა რეჟისორის ჩანაფიქრი და იმპროვიზაციულ ნიჭსაც ყოველთვის სწორად იყენებდა.

სოხუმის თეატრში მოღვაწეობისას ვიქტორმა აფხაზ მაყურებელსა და მსახიობებს თავი შეაყვარა, ყველანი პატივს სცემდნენ. მაღალი ზნეობისა და ეროვნული თვითშეგნების კაცი იყო, ჰოდა, აფხაზი და ქართველი ხალხების მეგობრობისათვის ყველაფერს აკეთებდა. მას უნდოდა, ისეთი ურთიერთობა გვქონოდა, როგორიც უახლოეს ადამიანებს აქვთ, მაგრამ როდესაც კავშირებმა რღვევა დაიწყო, თეატრი აფხაზურ და ქართულ დასებად გაიყო, სოხუმი დატოვა. იგი საოცრად განიცდიდა აფხაზურ-ქართული ურთიერთობების გართულებას. ბოლო პერიოდში ვიქტორი ჩემთან, თეატრალურ საზოგადოებაში მუშაობდა, მას საორგანიზაციო განყოფილება ჩავაბარე. აქაც, როგორც თეატრში, საქმის ერთგულებითა და პრინციპულებით გამოირჩეოდა, თეატრალური საზოგადოების ერთ-ერთი ბურჯი გახდა.

სტანისლავსკის ბრწყინვალე გამოთქმა აქვს: „არ არსებობს დიდი და პატარა როლები, არსებობენ დიდი და პატარა მსახიობები“. ვიქტორ ნინიძე სოხუმის თეატრში დიდ როლებსაც თამაშობდა, მაგრამ მისი სახე მაინც, საოცარ ეპიზოდურ როლებში უფრო დაგვამახსოვრდა, სადაც ის განუმეორებელი იყო. ვიქტორ ნინიძე იყო მაღალი რანგის მსახიობი, ნამდვილი დიდოსტატი, თეატრისა და ქართული კულტურისთვის თავდადებული ადამიანი...

უფროსმა ვიქტორ ნინიძემ გასული საუკუნის 20-იან წლებში, თბილისში სანკულტურის თეატრი შექმნა. მისი ვაჟი — უმცროსი ვიქტორი ბავშვობიდანვე ამ თეატრის ხშირი სტუმარი იყო. ნინიძის დებიუტი სცენაზე 1934 წელს შედგა, როდესაც შალვა დადიანის პიესაში — „აჯილღა“ — ახალგაზრდა გიმნაზისტის როლის შემსრულებელი დასჭირდათ და ბატონი ვიქტორის მოგონებაც ამ პერიოდს ეხება:

„14 წლის ვიყავი, როცა პირველი როლი ვითამაშე. პიესას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ნიკო გოძიაშვილი დგამდა. პირობის თანახმად, თუ სწავლაში ჩამოვრჩებოდი, თეატრიდან გამათავისუფლებდნენ. ერთხელ სკოლაში დაბალი ნიშანი მივიღე, ამიტომაც მამამ რეჟისორი გამოიძახა და გიმნაზისტის როლის ახალი შემსრულებლის მოძებნა დაავალა, არადა, ათ დღეში პრემიერა უნდა შემდგარიყო. მე თეატრის დირექტორის ანუ მამაჩემის განკარგულებას დავემორჩილე. რეჟისორ ნიკო გოძიაშვილის დიპლომატიურმა მოლაპარაკებამ არ გაჭრა, მამა პრინციპული აღმოჩნდა. გოძიაშვილი უკან გამომყვა და მითხრა, — გარეთ დამელოდეო. თეატრის პარტერის ფანჯრები ქსენიევის ქუჩაზე (ახლანდელი შეროზიას ქუჩა) გამოდიოდა. უცებ, ფანჯარა გაიღო, ბატონმა ნიკომ ხელები გადმოსწია, ჰაერში ამწია და თეატრში აღმოვჩნდი. იმ დღეს რეპეტიცია გავიარე; ასე გაგრძელდა მეორე დღეს და შემდეგაც. მამა რეპეტიციებზე არ მოსულა. პრემიერის დღეც დადგა. სპექტაკლის ჩაბარებაზე სამხატვრო საბჭო შეიკრიბა. როცა სცენაზე გავედი, მამა ძალიან გაბრაზდა. მას შალვა დადიანმა სთხოვა, — თუ ჩემი ხათრი გაქვს, აპატიეო. მამამ ბატონ შალვას დაუთმო და აი, ასე დავრჩი ამ სპექტაკლში.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე განვაგრძე, პარალელურად კი სანკულტურის თეატრში ვმუშაობდი. ამ პერიოდში გავრცელდა ცნობა, რომ ჩვენს თეატრში მუშაობას იწყებდა ისეთი ბუმბერაზი მსახიობი, როგორიც ნუცა ჩხეიძე იყო. 15 წლის შემდეგ ქართულ თეატრში თავისი სიტყვა უნდა ეთქვა ქართული სცენის სინდისსა და ნამუსს, მის მშვენებას — ნუცა ჩხეიძეს. სპექტაკლი „მოჩვენებანი“ სანდრო ახმეტელის მოწაფემ, საქართველოს სახალხო არტისტმა, შოთა აღსაბაძემ დადგა, მთავარი როლი კი ნუცა ჩხეიძემ შეასრულა. ბედნიერი ვიყავი, როცა მას შევხვდი. უკვე ხანდაზმული გახლდათ და სცენიდან გამოსვლის შემდეგ მისი საგრიმიორო ოთახამდე მიცილება მე დამავალეს...

სანკულტურის თეატრში ორი სპექტაკლი ვასო ყუშიტაშვილმაც დადგა. სხვათა შორის, როცა ის საქართველოში ჩამოვიდა, ამერიკასა და საფრანგეთში მუშაობის შემდეგ, ზუგდიდის თეატრში დაიწყო სპექტაკლების დადგმა. ერთხელ ვკითხე: პარიზსა და ნიუ-იორკში მუშაობდით და საინტერესოა, ზუგდიდში რამ მიგიყვანათ-მეთქი? — შე „დურაკო“, პარიზისა და ნიუ-იორკის შემდეგ სად იმუშავებ, სულერთი არ არისო? — დიდი იუმორი ჰქონდა.

მამაჩემის არქივში ინახება ნუცა ჩხეიძის სურათი, რომელზეც მხცოვანი მსახიობის მინაწერია: „ხელოვნების გულწრფელ, ენერგიულ და ნიჭიერ მუშაკს, ჩემს მეორე ნათლიას, პატივცემულ ვიქტორს! ნათლიას გიწოდებ იმიტომ, რომ 15 წელიწადი ჩამოშორებული ვიყავი ჩემს საყვარელ საქმეს, თქვენ კი დამბრუნეთ თეატრში და თქვენი გულთბილობით, გულისხმიერებით დამავიწყეთ წარსული სიმწარე. 1937-38 წ. სეზონის მოსაგონებლად, ნუცა ჩხეიძე“. მე კი რატომღაც მგონია, რომ მადლიერების გამომხატველი ამ სიტყვების პატარა მარცვალი მეც მეკუთვნის და გული სიამაყით მევსება...“

ვიქტორ ნინიძე სანკულტურისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თეატრიდან სოხუმის თეატრში გადავიდა, სადაც 23 სეზონის განმავლობაში 50-ზე მეტი როლი შეასრულა. მსახიობ დიმა ჯაიანსა და ვიქტორ ნინიძეს სოხუმის თეატრის სცენაზე ერთად არ უთამაშიათ, მაგრამ დიდი მეგობრობა აკავშირებდათ.

ᲓᲘᲛᲐ ᲯᲐᲘᲐᲜᲘ:

— სოხუმში რომ ჩავედი, ბატონი ვიქტორი თეატრიდან უკვე წამოსული იყო, მაგრამ ჩვენ ვმეგობრობდით. მისი მეუღლე — ნორა ყიფიანი უძვირფასესი ქალბატონი იყო და მე მას „დედას“ ვეძახდი. სოხუმში ბატონ ვიქტორზე ლეგენდები დადიოდა, მასზე ყოველთვის ღაპარაკობდნენ და ამა თუ იმ როლს იხსენებდნენ. „აბანოში“, „ბახტრიონში“, „სასტუმროს დიასახლისში“, „ხარატიანთ კერაში“ და კიდევ ბევრ სხვა სპექტაკლში ვიქტორ ნინიძემ საოცარი სახეები შექმნა. სოხუმის თეატრი ხშირად ჩამოდიოდა თბილისში, გასტროლებზე. მე თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობდი, როცა ვნახე „მთანი მაღალნი“ და „გულადი ჯარისკაცი შვეიკი“, სადაც სამ როლს თამაშობდა. ეს გახმაურებული როლები და სპექტაკლები იყო. რუსთაველის თეატრში „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნში“ გამცილებლის როლი ჰქონდა. სცენაზე იდგნენ ეროსი მანჯგალაძე, მარინე თბილელი, გოგი ხარაბაძე, ჯემალ ღაღანიძე, იზა გიგოშვილი, ვიქტორ ნინიძე და საოცარ ფეიერვერკებს აწყობდნენ. ვიქტორ ნინიძის როლის ყველა ნიუანსი, თითოეულ რეპლიკაზე მისი რეაქციები — ყველაფერი მახსოვს. მან „საბრალდებო დასკვნაში“ გამომძიებლის ზუსტი სახე გამოძერწა.

ვიქტორ ნინიძე რუსთაველის თეატრში მოღვაწეობდა, როდესაც სოხუმის თეატრი დევნილი გახდა. მე ბატონი ვიქტორი ჩვენთან მოვიწვიე და ის ორივე სცენაზე თამაშობდა. „ღალატში“ ბრწყინვალედ ითამაშა ანანიას როლი, „ემიგრანტებში“ კი არაჩვეულებრივი ბაბუა იყო. მას რეპეტიციებზე სითბო შემოჰქონდა და როლზე მუშაობის დიდი ალღოთი გამოირჩეოდა. კინოში ყველა მისი როლი დასამახსოვრებელი და ხაზგასასმელია. „დათა თუთაშხიას“ სოხუმში იღებდნენ და იმ ეპიზოდის გადაღებას ვესწრებოდი, სადაც ბატონმა ვიქტორმა ზვამბას უკვდავი სახე შექმნა. ყოველ საღამოს, მე, ბატონი გიგა ლორთქიფანიძე და ბატონი ვიქტორი სასტუმრო „აფხაზეთის“ რესტორანში ვვახშმობდით. მახსოვს, მსახიობმა რეჟისორს თავისი როლის შესახებ ჰკითხა: როგორი გამოვიდაო? — მაგარო ხარ, — უპასუხა ბატონმა გიგამ. ვიქტორ ნინიძე აკლია ჩვენს საზოგადოებას. მას ყველა ქალაქში ცნობდნენ და ყველგან უყვარდათ, ის ხომ საქართველოს ჭეშმარიტად სახალხო არტისტი იყო.

გოგი გეგეჭკორთან მეგობრობდა, ოჯახებით ახლობლობდნენ

70-იანი წლების დასაწყისში ვიქტორ ნინიძე რუსთაველის თეატრში გადმოვიდა და აქაც დაიმკვიდრა ადგილი. იგი სიცოცხლის ბოლომდე ამ თეატრში მოღვაწეობდა.

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲦᲐᲦᲐᲜᲘᲫᲔ:

— რუსთაველის თეატრში მას ბევრი ნაცნობი დახვდა — ისინი, ვინც ადრე სოხუმის თეატრში მუშაობდნენ. მათ შორის იყვნენ: ბუხუტი ზაქარიაძე, სალომე ყანჩელი, ბორის



ბატონმა ვიქტორმა ზვამბას უკვდავი სახე შექმნა

წიფურია და სხვები. ასე რომ, იგი უცხო გარემოში არ მოხვედრილა, თითქმის ყველა სპექტაკლში თამაშობდა. ვიქტორი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ე.წ. პატარა როლებს — ამ დროს მსახიობი დროში შეზღუდულია და ისე უნდა ითამაშოს, რომ მაყურებელს თავი დაამახსოვროს. ბატონი ვიქტორი თავისი პროფესიონალიზმისა და შრომისმოყვარეობის წყალობით ყოველთვის აღწევდა სასურველ შედეგს. თეატრში მის მოსვლას რეფორმის პერიოდი დაემთხვა — ბევრ მსახიობს ახალ რელსებზე გადასვლა გაუჭირდა, ბატონ ვიქტორს კი აღმოაჩნდა უნარი, რომ ახალ წესებსაც და ახლა თეატრსაც კარგად შეჰგუებოდა. ის ყოველთვის სრული დატვირთვით მუშაობდა. „ექიმ ტოკმანში“ ჩინოვნიკის სახასიათო სახემ დიდი წარმატება მოუტანა, მატარებლის გამცილებელს კი ისეთი ცხოვრებისეული და ზუსტი შტრიხებით თამაშობდა, იფიქრებდი, — ეს კაცი მართლა რკინიგზიდან არის მოსულიო. მას როლის მორგების საოცარი უნარი ჰქონდა.

ეროსი მანჯგალაძესთან და გოგი გეგეჭკორთან მეგობრობდა, ოჯახებით ახლობლობდნენ. სპექტაკლის შემდეგ ეროსისთან რომ არ წასულიყვნენ, გამორიცხული იყო. სხვათა შორის, ეროსი და ვიქტორი ბევრ სპექტაკლში ერთად თამაშობდნენ. ბატონი ვიქტორი წყნარი კაცი იყო, კარგად აღზრდილი, ზედმეტს არავისზე იტყოდა. ხშირად, მსახიობები მის სახლში (კამოს ქუჩაზე ცხოვრობდა) ვიკრიბებოდით, მასთან ყოფნა გვიხაროდა; გასტროლებზეც ხშირად ვიყავით ერთად. მოგზაურობისას თუ ეროსიც მოდიოდა, ვიქტორი და ეროსი „დაწყვილდებოდნენ“, თუ

სოხუმში ბატონ ვიქტორზე ლეგენდები დადიოდა, მასზე ყოველთვის ლაპარაკობდნენ და ამა თუ იმ როლს იხსენებდნენ

არა და — ვიქტორი და გოგი გეგეჭკორი. სამივე მეგობარი ერთმანეთის მიმართ ძალიან ყურადღებიანი და მზრუნველი იყო. ვიქტორ ნინიძემ დიდი სიყვარული დატოვა რუსთაველის თეატრში. ის ძალიან თბილი კაცი იყო და ჩვენც უზომოდ გვიყვარდა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ამ ქვეყნიდან წასვლით გული ყველას დასწყვიტა...

ვიქტორ ნინიძე გარდაიცვალა 2001 წელს. წელს, 10 მარტს მას 90 წელი შეუსრულდებოდა.

მანანა ნინიძე, *ვიქტორ ნინიძის ქალიშვილი:*

— მამას ერთ-ერთი ბოლო როლი ბაბუ იყო, სპექტაკლიდან — „ემიგრანტები“. სოხუმის თეატრში ეს სპექტაკლი ჭოლამ დადგა და რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე თამაშობდნენ. მამას ეს როლი ძალიან უყვარდა და მისი საუკეთესო შესრულებისათვის პრემიითაც დააჯილდოეს. ბოლო კინოროლი „უძინართა მზეში“ შეასრულა. თემურ ბაბლუანის მადლიერი იყო. ამ ფილმში მდიდარ კაცს, ბაბუას თამაშობდა. მიყვებოდა ხოლმე, — მაფიოზს ვგავდი, ძვირად ღირებული პალტო ჩამაცვესო. მე პატარა ვიყავი, როცა დედა და მამა დაშორდნენ, მაგრამ მამასთან ყოველთვის თბილი და მეგობრული ურთიერთობა მქონდა. ბებია — დედაჩემის დედა მეუბნებოდა ხოლმე, მამას წერილი მისწერეო და მეც, ვწერდი. მამის გარდაცვალების შემდეგ ეს ბარათები ვიპოვე — პირველი კლასის რვეულში ჩაწერილი ჩემი წერილები შენახული ჰქონია და ამ ფაქტით დღემდე გულაჩუყებული ვარ... მის ნივთებში გალაკტიონის ფოტო ვნახე, რომელიც მამას განსაკუთრებით უყვარდა. ფოტო მუდმივად საწერ მაგიდაზე, მინის ქვეშ იდო. მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ ვნახე ფოტოზე წარწერა — „ვიქტორ ვიქტორის ძე ნინიძეს, გალაკტიონისგან“. 1946 წელს უჩუქებია და გული მწყდება, რომ არ ვიცი, ეს რა ვითარებაში მოხდა. სოხუმში პირველად 11 წლის ასაკში ჩავედი და ამ ქალაქში გამართული სპექტაკლებით აღფრთოვანებული დავრჩი. მახსოვს „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, სადაც ულამაზესი სალომე ყანჩელი ეკატერინე ჭავჭავაძეს თამაშობდა, „მკაცრი ქალიშვილები“, „ჯარისკაცი შვეიკი“. თბილისსა თუ სოხუმში, მამას ყველა მეგობარი თბილად მხვდებოდა და მეფერებოდა. ეროსი მანჯგალაძე და მამა ძმებივით იყვნენ. სხვათა შორის, ეროსი დედას მეგობარიც გახლდათ. მამა ბადრი კობახიძესთან, გოგი გეგეჭკორთან, ედიშერ მაღალაშვილთანაც მეგობრობდა. ეროსი რომ გარდაიცვალა, მამა „ფრთამოტეხილი“ დარჩა. ბადრიმ უთხრა, — არა გრცხვენია, ჩვენ ხომ აქ ვართო?! სამწუხაროდ, ბადრიც ადრე წავიდა იმ ქვეყნად...

მამა რობიკოს ყველა სპექტაკლში თამაშობდა, „კავკასიური ცარცის წრის“ გარდა. აქაც შეუთავაზებია როლი, მაგრამ რატომღაც, მამას უარი უთქვამს, რასაც შემდეგ ნანობდა და ეს რობიკოსაც უთხრა. მამას ნათლია სანდრო ახმეტელი იყო — ის ბაბუაჩემთან მეგობრობდა. გურამ შარაძის წყალობით ერთ საინტერესო ფაქტს მივაკვლიეთ: რამდენიმე წლის წინ გურამ შარაძემ შვეიცარიაში საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი აქტი მოიძია, რომელზეც ბაბუაჩემის — უფროსი ვიქტორ ნინიძის და სანდრო ახმეტელის ხელმოწერებიც აღმოჩნდა. მამას ძალიან ეამაყებოდა, რომ სანდროს ნათლული იყო. წელს, 10 მარტს ანუ მამას დაბადების დღეზე ისე მოხდა, რომ ტელევიზიებმა ის ქართული ფილმები უჩვენეს, სადაც მამა თამაშობდა. ეს ალბათ, დამთხვევა იყო, მაგრამ რა თქმა უნდა, მესიამოვნა...

ვიქტორ ნინიძემ თავისი გამორჩეული სიტყვა თქვა ქართული თეატრისა და კინოს ისტორიაში. მისი ღვაწლი დაფასების ღირსია. თავის დროზე ბატონ ვიქტორისადმი სიყვარული და სითბო არ დაიშურა გუჯა ბუბუტეიშვილმა (ბიზნესმენი) — ეს მოხდა 2000 წელს, როცა მსახიობის 80 წლის იუბილე ისე ხელგაშლილად და ბატონი ვიქტორისთვის ისეთი სიურპრიზებით დასრულდა, რომ მისი ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და იმ ზეიმის მონაწილე მსახიობებს ეს დღე ახლაც ახსოვთ. როგორც არტისტი და როგორც პიროვნება, ვიქტორ ნინიძე იმსახურებს იმას, რომ არა მხოლოდ საიუბილეოდ, არამედ სხვა დროსაც ხშირად გაიხსენოს ქართველმა ერმა. ■

მუსიკოსი, რომელმაც როკერები გოგი დოლიძის სიმღერაზე აცეკვა

ელენე გასილიძე

„გიორგი ძამუკაშვილის ბენდის“ მიერ შექმნილი მუსიკა ძირითადად, მოზარდებისთვისაა ხელმისაწვდომი — პირადად მე, მათი შემოქმედება მობილური ტელეფონის მეშვეობით მოვისმინე და სიმღერით ისე მოვიხიბლე, რომ ბენდის შემადგენლობით დავინტერესდი. როგორც აღმოჩნდა, მათ მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვთ და სულ მალე, საკუთარ შემოქმედებას ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გაიტანენ.

„შევეცდებით, მუსიკის საშუალებით სიკეთეს ვემსახუროთ“

გიორგი ძამუკაშვილი:

— 3 წლის წინ თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებმა ბენდი — „არტ შემოდგომა“ ჩამოვაყალიბეთ, რომელიც სამწუხაროდ, მალევე დაიშალა. მოგვიანებით, მე და ჩემმა მეგობარმა, გეგა ჩხაიძემ გადავწყვიტეთ, ახალი ბენდი შეგვექმნა და მიზანსაც მივაღწიეთ — ახლა თაკო საკანდელიძესთან და ლაშა მჭედლიძესთან ერთად ვცდილობთ, ხარისხიანი და გემოვნებიანი მუსიკა შევქმნათ.

— თქვენს ბენდს რა ჰქვია?

— ჯერჯერობით, ბენდს სახელი ვერ შევურჩიეთ (*იღიმის*), ამიტომ პირობითად, „გიორგი ძამუკაშვილის ბენდს“ გვეძახიან. ისე, მთავარია, ხარისხიანი მუსიკა შევქმნათ, თორემ სახელს რა მნიშვნელობა აქვს?!

ლაშა მჭედლიძე:

— მე მუსიკალური სკოლა დავამთავრე. ჩემი მასწავლებელი გიორგის მეგობარი იყო და ვიცოდი, რომ ის ძალიან კარგად უკრავდა. ჰოდა, როდესაც გიოსგან ბენდში გაწევრების შემოთავაზება მივიღე, არც კი დავფიქრებულვარ, ისე დავეთანხმე...

თაკო:

— ადრე მეგი გოგიტიძის ბენდში ვუკრავდი. გიო ახალი ბენდისთვის ფლეიტისტს რომ ეძებდა, მეგიმ მე გამიწია რეკომენდაცია (*იღიმის*). დიდი სურვილი გვაქვს, ჩვენი შემოქმედება ფართო საზოგადოებას გავაცნოთ.

ლაშა:

— თითოეული ჩვენგანი ძალიან დაკავებულია — თაკო კონსერვატორიაში სწავლობს, გიო და გეგა — თეატრალურ უნივერსიტეტში, მე მომავალი იურისტი გახლავართ, — მაგრამ მიუხედავად ამისა, ვცდილობთ, ჩვენი საქმეებით ბენდი არ დავაზარალოთ, ერთად ბევრ დროს ვატარებთ, საკუთარ თავზე ვმუშაობთ... ჩვენ მიერ შექმნილი კომპოზიციები იოლი გასაგები ნამდვილად არ არის, მაგრამ მრავალფეროვანი რეპერტუარი გვაქვს და მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი გემოვნების ადამიანის მოთხოვნის დაკმაყოფილებას შევძლებთ.

გიორგი:

— ჩვენი კომპოზიციებიდან რამდენიმე „მოდერნ ფლამენკოს“ სტილშია, ზოგს კი ლექსი გასდევს ფონად... ვწერთ სიმღერებსაც... სექტემბრისთვის კონცერტის გამართვას ვაპირებთ — მსმენელს დაახლოებით, ერთსაათიან პროგრამას შევთავაზებთ...

თაკო:

— გული გვწყდება იმის გამო, რომ ბევრი ქართველი შემსრულებელი ისეთ მუსიკას კი არ ქმნის, რომელიც ღირებულია, არამედ ისეთს, რომელიც „ბაზარზე გავა“ და სარფიანად გაიყიდება. არ გვინდა, საზოგადოების გემოვნების დეგრადირებაში მუსიკოსებმაც შევიტანოთ წვლილი. იმედია, მალე სიტუაცია შეიცვლება და ასპარეზი მართლაც, ნიჭიერ ადამიანებს დაეთმობა.

— რომელიმე ბარშიც ხომ არ უკრავთ?

— ამჟამად — არა (*იცინის*), მაგრამ რამდენჯერმე დავუკარით „ვერე გარდენში“. ამას წინათ ლაშამ გვითხრა, — ერთერთ ბარში გვიწვევენო. მივედით, დავიწყეთ სიმღერა და... ბევრი რომ არ გავაგრძელო, მგონი, შენიღბულ ბორდელში მოვხვდით. დარბაზში ისეთი ხალხი იჯდა, „შიშის კანკალით“ ვუკრავდით (*იცინის*)...

გიორგი:

— მიკროფონს „კენჭის გავლა“ სჭირდა, სასწაულ ხმებს გამოსცემდა (*იცინის*)...

ლაშა:

— ამას წინათ როკერების კონცერტზე მიგვიწვიეს. ჩვენ სცენაზე ვუკრავდით, თვალებჩაშავებული როკერები კი ლობიანს მიირთმევდნენ (*იცინის*). 3 კომპოზიცია შევასრულეთ, ოვაციებიც დავიმსახურეთ და სცენიდან რომ უნდა ჩამოვსულიყავით, გიო არ გამოგვყვა. გვითხრა: — თქვენ წადით, მე კი ამათ ვუჩვენებ, რა არის ნამდვილი მუსიკაო... ის მართლაც, სცენაზე დარჩა და როკერები ბაღაშვილის, ოთარ რამიშვილის მუსიკაზე აცეკვა, ბოლოს კი გოგი დოლიძის სიმღერა შეასრულა და ხალხი აღაფრთოვანა (*იცინის*).

— თაკო, თქვენს ბენდში ვინაა ყველაზე მომთხოვნი და მკაცრი?

— გული გვაქვს გაწყალებული ამ ძამუკაშვილისგან (*იცინიან*).

ლაშა:

— დღეს, სანამ რეპეტიციაზე მოვიდოდი, ოთხჯერ მაინც დამირეკა: — ლაშა, რეპეტიცია გვაქვს და არ დააგვიანოო (*იცინის*). გეგა ქალაქგარეთაა, ვერ მოვიდა და გიო მასზე გაბრაზებულია, სულ „არაგარეწარს“ ეძახის (*იცინის*).

გიორგი:

— მინდა, ხშირად შევიკრიბოთ და რეპეტიცია გავიაროთ, რათა სულ ფორმაში ვიყოთ. პროფესიონალიზმის ასამაღლებლად ბევრი მუშაობაა საჭირო.

— გიო, როგორც მითხრეს, შენ და ბატონი ოთარ რამიშვილი დუეტს წერთ...

— ბატონი ოთარი ჩემი მასწავლებელია. იგი სიკეთის საკეთებლადაა დაბადებული, ძალიან თბილი ადამიანია. ჩვენს სიმღერას — „სილამაზის პატრონს“ სულ მალე ჩავწერთ. ბატონი ოთარი იმღერებს, ჩვენ კი მეგობრებთან ერთად დავუკრავთ.

— ისიც გავიგე, რომ გრემის ბავშვთა სახლის — „თემის“ პატარებს საქველმოქმედო კონცერტი ჩაუტარეთ...

ლაშა:

— გვინდოდა, პატარებისათვის ერთი ლამაზი საღამო გვეჩუქებინა, ჰოდა, გრემში სუფთა გულითა და ხელებით ჩავედით. საოცარი საღამო იყო — უკან დადებითი ენერგიით დამუხტულები დავბრუნდით, იმდღევანდელი ემოციები დღემდე არ გაგვნელებია...

გიორგი:

— კონცერტზე თბილი გარემო შეიქმნა, პატარებს ჩვენი შემოქმედება ძალიან მოეწონათ.

თაკო:

— პატარების გამო ყველაფრის გაკეთება ღირდა! დიდი ბედნიერებაა, როცა შენი შემოქმედებით ვიღაცას სულს უთბობ. ყოველთვის შევეცდებით, მუსიკის საშუალებით სიკეთეს ვემსახუროთ. ■

ანსამბლ „მართვეთი“ მოხიბლული ევროპელები

„ქართული სიმღერა იმდენად დიდი და უცხო აღმოჩნდა მათთვის, რომ ვინც ადრე არ იცნობდა ჩვენს ფოლკლორს, გვეკითხებოდა, — აქამდე სად იყავით, ვინ ხართ, საიდან მოხვედითო?!.“ — ასე იხსენებს სახელმწიფო ანსამბლ „მართვეს“ ხელმძღვანელი, ვალერი ქუტიძე ევროპაში გატარებულ დღეებს. სამ წელიწადში ერთხელ ევროპის უძველეს და ულამაზეს ქალაქ ბაზელში ევროპის ფოლკლორული ანსამბლების ფესტივალი იმართება. მისი მიზანი — ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავება და ერთმანეთის ხალხური შემოქმედების გაცნობაა. საქართველოდან წელს ამ ფესტივალში ვაჟთა სახელმწიფო ანსამბლი „მართვე“ მონაწილეობდა. ქართველ მუსიკოსებს 6 დღის განმავლობაში, შვეიცარიის ფოლკლორული ანსამბლის წევრთა ოჯახები მასპინძლობდნენ...



თურქეთში მცხოვრებმა გურჯმა, პაგივისცემის ნიშნად, ქყალი გვაჩუქა

„ხალხი არ იშლებოდა, ტაშს უკრავდა, ემოციას ვერ ფარავდა...“

სოფო მინაშვილი

— ანსამბლი „მართვე“ ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლეში მოღვაწეობს. ჩვენი ხელმძღვანელი ბატონი თამაზ ანდღულაძე გახლავთ. ანსამბლში სულ 55 ბავშვი მღერის, მათი ასაკი 10-დან 18 წლამდე მერყეობს. ფოლკლორის სასახლეში სპეციალური სტუდია გვაქვს, სადაც ქართული ხალხური სიმღერის შესასწავლად, ბავშვები 6 წლიდან მოდიან. სწავლა 5 წლის განმავლობაში გრძელდება, შემდეგ საუკეთესოები ანსამბლში გადაგვყავს. 11 წლის ბავშვები უკვე პროფესიონალი მომღერლები არიან.

თავისუფალი დრო თითქმის არ გვქონია, მხოლოდ ერთხელ მოვასწარით გასეირნება ევმით

— ფესტივალის შესახებ მიამბეთ...

— ფესტივალი, რომელშიც ვმონაწილეობდით, პირველად 1992 წელს ჩატარდა. ის 3 წელიწადში ერთხელ, ევროპის უძველეს და ულამაზეს ქალაქ ბაზელში ტარდება და იმითაა გამორჩეული, რომ მონაწილე გუნდებს თავად ორგანიზატორები არჩევენ. საორგანიზაციო საკითხების მოგვარება 2 წლის მანძილზე გრძელდება. ამ პერიოდში ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ფოლკლორული ანსამბლები თავიანთი კონცერტების ვიდეო თუ აუდიოჩანაწერებს გზავნიან, მათ ნამუშევრებს კი ათკაციანი ჟიური განიხილავს და საბოლოოდ, 16 საუკეთესო მონაწილე გუნდს არჩევენ... ამ ფესტივალში „მართვე“ უკვე მეორედ მონაწილეობდა. პირველად ჩვენი ანსამბლი 1992 წელს, ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობის დროს მიიწვიეს... ადამიანს, რომელსაც ანსამბლის მასპინძლობა დააკისრეს, ჩვენი საიუბილეო დისკი ვაჩუქეთ. მან ამ ალბომში, ძველი „მართვეს“ ფოტოებზე ანზორ ერქომაიშვილი ამოიცნო და გვითხრა, — ეს კაცი მახსოვსო. წარმოიდგინეთ, მას 18 წლის წინ მოსმენილი სიმღერები არ დავიწყნია.

— მსმენელების რეაქციიდან და პროფესიონალი მუსიკოსების შეფასებებიდან გამომდინარე, ყველაზე დიდი მოწონება რომელი ქვეყნის გუნდმა დაიმსახურა?

— ჩვენი ანსამბლი სხვებისგან გამორჩეული იყო. მაგალითად, ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ვიყავით და ფოლკლორულ სიმღერებს ვასრულებდით, სხვები კი ძირითადად, კლასიკურ სიმღერებს მღეროდნენ, მხოლოდ ერთი-ორი ნომერი ჰქონდათ ფოლკლორული და ისიც, დიდად არ განსხვავდება კლასიკურისგან. სხვებისგან ვიზუალურადაც გამოვირჩეოდით — ბავშვებს ჩოხა ეცვათ, რაც მაყურებელზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. პირველი კონცერტის შემდეგ, სცენაზე გამოსვლისთანავე, ტაშით გვეგებებოდნენ. ბუნებრივია, ეს „მართვეს“ დამსახურებაც იყო, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ქართული სიმღერის მადლია. ქართული სიმღერა იმდენად დიდი და უცხო აღმოჩნდა მათთვის, რომ ვინც ადრე არ იცნობდა ჩვენს ფოლკლორს, გვეკითხებოდა, — აქამდე სად იყავით, ვინ ხართ, საიდან მოხვედითო?!.

სულ სხვადასხვა ჟანრის 20 ქართული ხალხური სიმღერა და 8 საგალობელი გვქონდა წაღებული. ფესტივალის მესამე დღეს ბაზელის მუსიკის აკადემიაში ჩვენი ძირითადი კონცერტი ჩავატარეთ, რომელსაც „საქართველოს დღე“ ერქვა. დამსწრე საზოგადოებისთვის ქართული ფოლკლორის, საგალობლების შესახებ მოკლედ უნდა მომეთხრო და იქ შესრულებული თითოეული სიმღერის წინ ამეხსნა, თუ როგორ შეიქმნა ეს სიმღერა, რა შინაარსისაა და ა.შ. ბოლოს კი ერთი ქართული სიმღერა უნდა მესწავლებინა. ამ ყველაფრისთვის მხოლოდ ერთი საათი გვქონდა გამოყოფილი. კონცერტის შემდეგ გადაღებული მასალის ქრონომეტრაჟი შევამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ერთ საათსა და 38 წუთს გაგრძელდა. ხალხი არ იშლებოდა, ტაშს უკრავდა, ემოციას ვერ ფარავდა. მათ ერთ-ერთი მეგრული სიმღერა ვასწავლე და როცა თავადაც იმღერეს, პატარა ბავშვებივით იყვნენ გახარებულნი, თვალები უბრწყინავდათ.

— სულ რამდენი დღე გაგრძელდა ფესტივალი? ალბათ ძალიან დატვირთული პროგრამა გქონდათ, არა?

— ბაზელში 6 დღე ვიყავით. ამ 6

დღეში, წინასწარ შედგენილი პროგრამის შესაბამისად, 9 კონცერტი ჩავატარეთ. კონცერტები იმართებოდა როგორც დახურულ დარბაზებში, ასევე ღია ცის ქვეშ — მოედნებზე, სადაც უამრავი მსმენელი იყრიდა თავს. როდესაც დღეში რამდენიმე კონცერტი იმართებოდა და ერთი მოედნიდან მეორეზე გადასვლა გვიხდებოდა (მეორე მოედანზე უკვე დაწყებული იყო ხოლმე კონცერტი და იქ ჩვენი გამოსვლის დროისთვის მივდიოდით), მაყურებელიც მოგვყვებოდა... კონცერტების დასრულების შემდეგ ტრამვაით მივდიოდით იმ ადგილზე, სადაც ბავშვებს მასპინძელი ოჯახის წევრები აკითხავდნენ. ერთხელ კონცერტი პირდაპირ ტრამვაის გაჩერებაზე მოვაწყვეთ, იქაური სიმღერა ვიმღერეთ. უნდა გენახათ, როგორი გაოცებული და აღფრთოვანებული გვისმენდნენ... სხვათა შორის, ფესტივალში მონაწილე ანსამბლების მასპინძელ ოჯახებს, ამგვარი კეთილი ნების გამოჩენის გამო, სახელმწიფო საგადასახადო სფეროში შეღავათებს უწესებს. მასპინძელი ოჯახები ძირითადად, ბაზელში ცხოვრობდნენ, მაგრამ უკეთ რომ წარმოიდგინოთ სიტუაცია, უნდა გითხრათ: ეს ქალაქი 3 ქვეყნის — საფრანგეთის, გერმანიისა და შვეიცარიის საზღვარს აერთიანებს. თავისუფალი დრო თითქმის არ გვქონია, მხოლოდ ერთხელ მოვასწარით გასეირნება გემით და გვიჩვენეს ზუსტად ის ადგილი, სადაც მდინარის ერთ ნაპირზე გერმანიაა, მეორეზე საფრანგეთი, წინ კი შვეიცარიის ხედი იშლება. ამ ადგილას დგას ძეგლი, რომელსაც 3 ქვეყნის დროშა ამშვენებს... ანსამბლიდან სულ 32 ბავშვი გვყავდა წაყვანილი, რომელიც იმ დროისთვის საუკეთესოდ იყო მომზადებული. ავტობუსით მგზავრობისას მთელი შვეიცარია დავათვალიერეთ; კიდევ, მილანი — სახელგანთქმული ლა სკალას თეატრით — და ვენეცია... როცა საქართველოში ჩამოვედით, შთაბეჭდილების ქვეშ მყოფებს, დაღლა არც გვიხსენებია.

ევროპაში გატარებული დღეები ქართველი ბავშვებისთვის მართლაც, საინტერესო და დაუვიწყარი აღმოჩნდა.

ლუკა შარაშენიძე:

— იმ ოჯახში, რომელმაც მიმასპინძლა, მშობლებთან ერთად, ორი ჩემი თანატოლი ბიჭი ცხოვრობს. ერთ-ერთი მათგანი ბაზელის ადგილობრივ გუნდში მღერის. ბავშვებთან დაახლოება გაგვიჭირდა — ალბათ ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ მათ ინგლისური კარგად არ იცოდნენ. ამასთან დაკავშირებით, ერთხელ კურიოზიც შეგვემთხვა: პირველ რეპეტიციაზე რომ უნდა წავსულიყავით, ჩვენმა „დედობილმა“ გვითხრა, რომ „ვერქშოპზე“ მივდიოდით. გვეგონა, საყიდლებზე მივყავდით (ინგლისური „შოპინგიდან“ გამომდინარე) და ფულიც წავიღეთ, მაგრამ ჩვენი ანსამბლის სარეპეტიციო დარბაზში ამოვყავით თავი. ვინაიდან საკონცერტო ფორმა არ მქონდა, სცენაზე გამოსვლა ვერ შევძელი... ერთ-ერთი მასპინძელი ბიჭი გეოგრაფიით იყო დაინტერესებული. წამოსვლის წინადღეს მოვიდა და გვითხრა, — მაჩვენეთ, რუკაზე თქვენი სამშობლო სად არის? ენდემური ჯიშის ცხოველებისა და მცენარეების შესახებ მიამბეთ რამეო... მინდა, ერთი საინტერესო ამბავი გავიხსენო: მგზავრობის დროს, მორიგი შესვენებისას, თურქეთის ტერიტორიაზე ერთი ქალი მოგვიახლოვდა და გამოგვკითხა, ვინ ვიყავით. თავად თურქეთში მცხოვრები ქართველი — გურჯი აღმოჩნდა. მან ერთი ქართული სიმღერის შესრულება გვთხოვა. აჭარული ვუმღერეთ და ატირდა... იქვე ერთ ასევე გურჯს საკუთარი მაღაზია ჰქონია. როცა ამ კაცმა ჩვენი სიმღერა მოისმინა, პატივისცემის ნიშნად, წყალი გვაჩუქა.

ჩვენი კონცერტების შემდეგ საქართველოზე კარგი შთაბეჭდილება დარჩათ

სანდრო ჩიხლაძე:

— ჩემს მასპინძელ ოჯახში მშობლებთან ერთად ორი ბავშვი ცხოვრობს. ოჯახის დიასახლისი ბუღალტერია და სამსახური სახლის პირველსავე სართულზე აქვს (იტალიურ ეზოში ვცხოვრობდით), მისი მეუღლე კი მუსიკოსია, ვიოლონჩელოზე უკრავს. მას ყოველ დილით რეპეტიციაზე მივყავდით, საღამოს კი ისევ გვაკითხავდა. ჩვენთან, როგორც წესი, კერძებს დიასახლისი ამზადებს, იქ კი პირიქით იყო — ამ მოვალეობას უმეტესად, ოჯახის უფროსი ასრულებდა და სხვათა შორის, კარგადაც ამზადებდა... ჩვენთვის შინაურული გარემო რომ შეექმნათ, ინტერნეტში ქართული კერძების რეცეპტები მოიძიეს და პირველ დღეს ხინკალი, სოკო, ნიგვზიანი ბადრიჯანი, პომიდვრის სალათა დაგვახვედრეს... დატვირთული პროგრამის გამო ერთად ყოფნისთვის ცოტა დრო გვქონდა. „მშობლები“ მკაცრად არ გვექცეოდნენ, არაფერში გვზღუდავდნენ. ერთხელ მაღაზიაში წაგვიყვანეს და საჩუქრები გვიყიდეს, მშობლებთან ტკბილეული გამოგვატანეს...

გიორგი ხარებავა:

— მე ეროვნებით ჩინელის სახლში ამოვყავი თავი. მას შვეიცარიელი ცოლი და 3 ძალიან მხიარული შვილი ჰყავს. როცა მათთან პირველად მივედით, ბავშვებმა მაშინვე სათამაშოები გამოიტანეს და გვათამაშეს. საქართველოს შესახებ ნაკლებად გვისვამდნენ კითხვებს. თითქმის ყოველდღე ტრადიციულ კერძებს ამზადებდნენ — ყოველთვის ჰქონდათ ბრინჯი და სხვადასხვა სახის სოუსი. შვილები ბაზელის გუნდში მღერიან. მათ ინტერნეტით ახლაც ვეკონტაქტებით.

სანდრო ნათაძე:

— ჩვენი დედობილი და მამობილი ძალიან თბილი და კომუნიკაბელური ადამიანები არიან. მათი ერთი შვილი 13 წლისაა, მეორე — 19-ის. დაინტერესებულნი იყვნენ ქართული ენისა და სამზარეულოს შესწავლით. ერთმანეთს ინგლისურად ველაპარაკებოდით, მაგრამ ხშირად გვეკითხებოდნენ, ესა თუ ის სიტყვა ქართულად როგორ უნდა ვთქვათო? გვითხრეს, — ძალიან გრძელი სიტყვები გქონიათო. დაინტერესებულნი იყვნენ ქართული ფოლკლორითაც. ჩვენი ანსამბლის ვებგვერდი ვუჩვენეთ და ქართული ხალხური სიმღერები მოვასმენინეთ — აღფრთოვანდნენ. ჩვენი კონცერტების შემდეგ, ვფიქრობ, საქართველოზე კარგი შთაბეჭდილება დარჩათ. ერთმანეთთან ახლაც ვკონტაქტობთ.

■

ანსამბლიდან სულ 32 ბავშვი გვყავდა წაყვანილი, რომელიც იმ დროისთვის საუკეთესოდ იყო მომზადებული

მრავალშვილიანი ოჯახის ტკივილი და მოზარდები, რომლებიც დღიურ მუშად მუშაობენ

მაია და ვაჟა ერკოშვილები ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში ცხოვრობენ. მათ 6 შვილი ჰყავთ და ისევე, როგორც მრავალშვილიან ოჯახთა უმრავლესობას — მატერიალურად ძალიან უჭირთ. ახალგაზრდები სოფელში დღიურ მუშად მუშაობენ, რადგან სხვა სამსახურის შოვნის იმედი არა აქვთ. თერთმეტსულიანი ოჯახის შემოსავალს მოხუცების პენსია და სოციალურად დაუცველთათვის განკუთვნილი დახმარება წარმოადგენს.

„სოციალური დახმარება 5 თვით შეგვიწყვიტეს...“

ელენე გასილიძე

მაია ერკოშვილი:

— მე და ვაჟამ ოჯახი 25 წლის წინ შევქმენით. ის მაშინ გავიცანი, როცა ჩემს სოფელში მცხოვრებ დეიდას ესტუმრა, მერე ჩვენმა მშობლებმაც გაიცნეს ერთმანეთი და დავოჯახდით კიდეც... შეიძლება ითქვას, რომ გარიგებით შექმნილმა ოჯახმა გაამართლა. იმ ადამიანთან ცხოვრება, რომელსაც 6 შვილი ვაჩუქე — დიდი ბედნიერებაა, მაგრამ ძალიან ბევრი პრობლემის გადალახვა მოგვიხდა და ეს რა თქმა უნდა, იოლი არ იყო.

— თავადაც მრავალშვილიანი ოჯახიდან ხომ არ ხართ?

— მე ორი დედმამიშვილი, ჩემს მეუღლეს კი მხოლოდ ძმა ჰყავს. ბევრი შვილის ყოლაზე არასდროს მიფიქრია, ყველაფერი დაუგეგმავად მოხდა... სოფელში ყველას უჭირს თავის გატანა და ამ მხრივ, არც ჩვენ ვართ გამონაკლისები. ჩვენთან ერთად მოხუცი დედამთილ-მამამთილი ცხოვრობს, რომლებსაც მოძრაობაც კი უჭირთ. რაც შეეხებათ ბავშვებს, ღვთის მადლით, შრომისმოყვარეები არიან და ცდილობენ, რაიმე სამუშაო გამონახონ, მაგრამ სოფელში მხოლოდ დღიურ მუშად თუ იმუშავებენ... მთელი ზამთარი შინ ვზივართ, გაზაფხულზე კი, როცა მინდორში მუშაობა იწყება, პატარები ცდილობენ, ოჯახს დაეხმარონ და სამუშაოდ სხვის ვენახსა თუ ნაკვეთში მიდიან... სოციალურ დახმარებას ვიღებთ, მოხუცებსაც აქვთ პენსია და ამ თანხით ვცდილობთ, თვიდან თვემდე გავიტანოთ თავი. ამას წინათ, სოციალური დახმარება 5 თვით შეგვიწყვიტეს...

— რა მიზეზით?

— ჩემმა შვილმა ცოლი მოიყვანა და მას შემდეგ, ჩვენს ოჯახს დახმარება სრულიად შეუწყდა. თურმე რძლის ოჯახის წევრებს სოციალური დახმარების დანიშვნის შესახებ განცხადება ჰქონდათ შეტანილი და გვითხრეს: თუ გინდათ, დახმარება ისევ მიიღოთ, თქვენი რძალი ადრინდელი საცხოვრებელი ადგილიდან სასწრაფოდ უნდა ამოეწეროს და მისი პირადობის მოწმობაში თქვენი სახლის მისამართი დაფიქსირდესო. არ ვიცი, რამდენად შეიძლება ამას დახმარების შეწყვეტის მიზეზი ეწოდოს, მაგრამ ფაქტია,

ასე მოხდა — ვიდრე მის პირადობის მოწმობაში ჩვენი სახლის მისამართი არ დაფიქსირდა, დახმარება არ აგვიღია... ხშირად ისე გვიჭირს, პურის ფქვილსაც კი ვერ ვყიდულობთ. გასაყიდიც არაფერი გვაქვს, რომ ცოტა ხნით მაინც მოვითქვათ სული... ჩემი დედამთილი ასთმიანი ქალია. კომუნისტების დროს, კოლმეურნეობაში მუშაობისას, შხამქიმიკატებით მოიწამლა და დაავადდა. მოკლედ, მისი სიცოცხლისათვის პრეპარატებია აუცილებელი, მაგრამ ჩვენ ფული არათუ წამლის, არამედ პურის საყიდლადაც არა გვაქვს. ამას წინათ, ყვარლის გამგეობამ მრავალშვილიან დედებს პატარ-პატარა ამანათები დაურიგა. სამწუხაროდ, ჩვენს ოჯახს ეს მცირედი საჩუქარიც არ ერგო. — შენი შვილები უკვე სრულწლოვნები არიან და რაღა დახმარება უნდათ? კეთილი ინებონ, იმუშაონ და თავიც ირჩინონო, — მითხრეს. შეურაცხყოფილი დავრჩი... წლების წინ მრავალშვილიან დედებს 100-100 ლარი გადასცეს. მაშინ უფროსი ვაჟი 18 წლის იყო და ჯარში მსახურობდა. ჩემმა მამამთილმა გუბერნატორს ჰკითხა: — ჩემს რძალს ეს დახმარება ეკუთვნის თუ არაო? მან უპასუხა, — კიო! მიუხედავად ამისა, სოფლის გამგებელმა თანხა არ გადმოგვცა: — თქვენი შვილი ჯარშია, სახელმწიფო ინახავს და დახმარება არ გეკუთვნითო...

— თქვენი შვილები რა ასაკის არიან?

— უფროსი — ანზორი 24 წლისაა, მერი — 22-ის, ზაზა — 21-ის, ეკა — 15-ის, ბექა — 11-ის, ნაბოლარა ლაშა კი — 7-ის.

— მეურნეობა თუ გაქვთ, მიწას თუ ამუშავებთ?

— ერთი პატარა ბაღჩა გვაქვს და იქ ბოსტნეული მოგვყავს. სამწუხაროდ, არც საქონელი გვყავს, რომ გავყიდოთ და მთელი ზამთრის მარაგი პროდუქტი ვიყიდოთ.

— თქვენი შვილებიდან მხოლოდ ერთია დაოჯახებული?

— კი, სხვების დაოჯახებას ჯერ ვერაფრით მოვახერხებთ. ბინაც არ გვაქვს იმხელა, რომ ოჯახს ახალი წევრები შევმატოთ. უფროს შვილებს მხოლოდ საშუალო განათლება აქვთ და ალბათ, ვერც პატარებს შევუწყობთ სწავლაში ხელს. ხშირად, ეკა მასწავლებელს ეთხოვება ხოლმე და რთველში დღიურ მუშად დადის, რათა სკოლისთვის საჭირო წიგნები, ტანსაცმელი შეიძინოს; ბექას ჯარისკაცობა უნდა და ამბობს, — კარგი ჯარისკაცი უნდა გამოვიდეო... შვილების მომავალზე ძალიან ვნერვიულობ. იმედია, როგორმე მონახავენ საკუთარ გზას და ბედნიერი ადამიანები იქნებიან... ამას წინათ გავიგე, მრავალშვილიან და გაჭირვებულ ოჯახებს სახელმწიფო სამშენებლო მასალით ეხმარებაო. სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიხარდა, რადგან თუ ამ დახმარებას მივიღებდით, სახლს ცოტათი მაინც გავმართავდით. განცხადება დავწერე და გამგეობაში მივიტანე, მაგრამ ჩვენთვის პასუხი დღემდე არავის გაუცია. თუმცა, სამშენებლო მასალას ვინ ჩივის, პოლისი გვაქვს, რომელიც მხოლოდ გადაუდებელი ოპერაციის ხარჯებს ანაზღაურებს. მაინცდამაინც გადაუდებელი ოპერაცია უნდა დაგვჭირდეს, რომ ვინმემ ყურადღება მოგვაქციოს?! ამ პოლისის დანახვისას ექიმები გვეუბნებიან: — ეს პოლისი ექიმის კონსულტაციის საფასურს არ ითვალისწინებს, ფული უნდა გადაიხადოთო. ჰოდა, მითხარით, რა აზრი აქვს ასეთი პოლისის ქონას?..

ძალიან ბევრს ვფიქრობ ჩვენს მომავალზე, მაგრამ საიმედოს ვერაფერს ვხედავ, რაც შეგვიძლია — ვაკეთებთ, მაგრამ მაინც არაფერი გვშველის. ■

აქვთ თუ არა მშობლებს ხელახლა დაოჯახების უფლება

„დედა რომ გათხოვდეს ან თავს მოვიკლავ, ან მას მოვკლავ!“

რამდენიმე ხნის წინ ჩვენ გავაკეთეთ თემა იმასთან დაკავშირებით, აქვთ თუ არა ჩვენს მშობლებს ბედნიერების უფლება და რა ხდება მაშინ, როცა დედა ან მამა გადაწყვეტს, ბედი მეორედ სცადოს და საყვარელ ადამიანზე დაქორწინდეს?.. ამ ამბავს ზოგი შვილი დადებითად ხვდება, ზოგი კი აგრესიას ამჟღავნებს და მომავალი დედინაცვლისა თუ მამინაცვალის თავიდან მოშორებას ყველანაირი ხერხით ცდილობს.

ლიკა ქაჯაია

„გზის“ №26-ში, რუბრიკა — „ყველა ერთისათვის“ დაბეჭდილმა ნინიკოს მესიჯმა ეს თემა ისევ აქტუალური გახადა. ბევრმა მოზარდმა დამირეკა და მთხოვა, მისთვის საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების საშუალება მიმეცა. ერთ-ერთი მათგანი ჩემი ადრინდელი რესპონდენტი აღმოჩნდა, რომელიც წლების წინ დედის ქორწინებას აპროტესტებდა.

ნინო ჟელიძე:

— 15 წლის ვიყავი, დედამ რომ გამომიცხადა, — მე და მამაშენი ერთმანეთს უნდა დავშორდეთ, ურთიერთს ვერ ვეგუებითო. ამან ჩემზე ძალიან იმოქმედა, მაგრამ შოკი მაშინ მივიღე, როცა განქორწინებიდან ერთ თვეში მითხრა, რომ ვიღაც არაბზე თხოვდებოდა. მას შემდეგ კარგა ხანს არ ველაპარაკებოდი.

— ბევრი შეგედავება: არ მესმის, დედაზე რატომ ბრაზობდი? ბოლოს და ბოლოს, მასაც ხომ ჰქონდა ბედნიერების უფლებაო?!.

— მაშინ ვფიქრობდი, რომ შეეძლო, მამასთანაც ყოფილიყო ბედნიერი, მაგრამ ვიღაც არაბის „ფულებს“ დახამდა და ამიტომაც მიგვატოვა. ვამბობდი, — ჩემს შვილებს არაფრის და არავის გამო არ მივატოვებ, დედაჩემისნაირ ქალებს შვილები არ უნდა ჰყავდეთ! ის მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს-მეთქი!.. ისე, დედამ ისიც კი არ იცოდა, რა იყო ნამდვილი გაჭირვება — ჩვენ მატერიალურად ისე არასდროს გაგვჭირვებია, რომ სახლში საჭმელ-სასმელი არ გვქონოდა და არ მესმოდა, რის გამო გაეკიდა ვიღაც კაცს. ახლა კი ვხვდები, რომ მაშინ არასწორად ვაზროვნებდი — სიყვარული საოცარი რამ ყოფილა.

— ეი. შეყვარებული ხარ?

— კი. ჩემი რჩეულიც არაქართველია, მაგრამ ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს; მეტიც, მზად ვარ, მასთან ერთად საქართველოდან გადავიკარგო, ცხრა მთას იქით წავიდე.

— მამაშენმა ეს იცის?

— საწყალი მამაჩემი, წელზე ფეხებს იდგამდა, რათა მე და ჩემს ძმას არაფერი მოგვკლებოდა, მაგრამ ამაგი ვერ დავუფასე — ვლალატობ! მის თხოვნას, რომ ჩემს რჩეულს ცოლად არ გავყვე, არაფრად ვაგდებ... ძმაც ვერ მიგებს, მხოლოდ დედა მგულშემატკივრობს (*იღიმის*).

— მას როგორ შეურიგდი?

— თავიდან ცდილობდა, არ დავეკარგეთ, მაგრამ როცა მიხვდა, რომ ჩვენს გულებს ვერ მოიგებდა, ხელი ჩაიქნია, აღარ გვეკონტაქტებოდა, შვილების ამბავს მხოლოდ ნათესავის წყალობით იგებდა... როცა მეც შემიყვარდა, მაშინ მივხვდი, რატომაც გაჰყვა დედა სხვა რჯულის ადამიანს, და შემებრალა — შემებრალა იმიტომ, რომ შვილები დაუნდობლად მოვექეცით — და მასთან ლაპარაკის სურვილი გამიჩნდა. დავურეკე კიდეც (მისი ნომერი ოჯახის ახლობელმა იცოდა). ჩემი ხმის გაგონებისას ტელეფონი ხელიდან გაუვარდა, საცოდავი ქალი შოკში ჩავარდა; როცა გონს მოეგო, თავად დამირეკა. ბევრი ვილაპარაკეთ და მეც, გული გამითბა, შევურიგდი. სამწუხაროდ, ამ ამბავს მამას და ძმას ვერ ვუმჟღავნებ, მეშინია, რომ ვერ გამიგებენ. ჩვენს ოჯახში დედაზე ლაპარაკი, მისი ხსენებაც კი აკრძალულია.

— მამაშენს არ შეურთავს ცოლი?

— ის ყოველთვის მეუბნებოდა, მარწმუნებდა, — ცოლს აღარ შევირთავ, ჩემს ცხოვრებას თქვენ შემოგწირავთო და სიტყვა მართლაც, არ გაუტეხია. მართალია, ქალებში „დაძვრება“, მაგრამ კაცია და აბა, რა უნდა ქნას?!. ის ჩემსა და ჩემს ძმაზე ყოველთვის ზრუნავდა, უდედობას არ გვაგრძნობინებდა.

— და მაინც, დედის გარეშე ცხოვრება არ გიჭირდათ?

— არა, ნამდვილად არ გვიჭირდა, მაგრამ წლების მატებასთან ერთად მივხვდი, რომ ქალური რჩევები მჭირდებოდა და ერთი პერიოდი, მასთან დარეკვაც გადავწყვიტე, მაგრამ მერე თავი შევიკავე...

— საინტერესოა, დედაშენმა ის კაცი სად გაიცნო?

— თავისმა მეგობარმა გააცნო. ნინო დეიდა საბერძნეთში წავიდა სამუშაოდ. იქ გაიცნო არაბი კაცი და მასზე გათხოვდა. თბილისში რომ ჩამოვიდა, თან ვიღაც კაციც (თავისი ქმრის ნათესავი) ჩამოიყვანა. დედას სწორედ ამ კაცმა „დაუბრმავა თვალი“. ნინო დეიდა ცდილობდა, მეგობარი აზრზე მოეყვანა, მაგრამ მასაც არაფერი გამოუვიდა...

— ახლა სად ცხოვრობს დედაშენი?

— დედა თავის ქმართან ერთად, ესპანეთში ცხოვრობს... მე მყავს კიდევ ერთი ძმა — გიორგი, რომელიც სულ რაღაც 3 წლისაა და ერთი სული მაქვს, როდის ჩავიხუტებ გულში.

— დედასთან ჩასვლას ხომ არ აპირებ?

— მე და სერგომ (ჩემმა „ლოვემ“) გადავწყვიტეთ, დაქორწინების შემ-

დეგ დედაჩემს ჩავაკითხოთ, ესპანეთში. დედა მპირდება, ფულს და ვიზას მე გამოგიგზავნითო... ვნახოთ, იქნებ მომავალში მას ჩემი ძმაც შეურიგდეს, მერე კი მამასაც გავურიგებ ერთ კარგ დიასახლისს და ის იქნება (*იცინის*).

— ცხოვრება აგიწყვია და ეგაა. ჩვენ რატომლა დაგვიკავშირდი?

— ნინიკოს მესიჯმა გადამაწყვეტინა, თქვენთვის დამერეკა. მინდა, შვილებმა მშობლების გაგება სცადონ. წლების წინ საკუთარ დედაზე საშინელებებს ვამბობდი, რასაც ახლა ძალიან განვიცდი. ჩვენ არ გვაქვს უფლება, უფროსების საქციელი გავაკრიტიკოთ, პირიქით, მათ გაგებას უნდა შევეცადოთ. იცით, სიყვარულს თურმე, მართლაც, დიდი ძალა ჰქონია!

ელენე, *17 წლის:*

— ჩემი მშობლები დაახლოებით, 4 წლის წინ დაშორდნენ ერთმანეთს და მამამ სასწრაფოდ, ცოლი შეირთო, დედაჩემი კი ჭკნება უკაცოდ. ჰოდა, მე იმას ვჩივი, სადაა სამართალი-მეთქი?! სხვები კი თურმე, დედის გათხოვების ამბავს ძალიან მტკივნეულად განიცდიან. ჩემი აზრით, ყველას აქვს უფლება, ბედნიერი იყოს. დედაჩემს თაყვანისმცემლები ახლაც ჰყავს, მაგრამ გათხოვებისგან ჩვენ გამო იკავებს თავს და მე ეს არასწორად მიმაჩნია. მირჩევნია, გათხოვდეს, ბედნიერი იყოს, ვიდრე მე და ჩემს დას შეგვალიოს მთელი ცხოვრება.

— იმისთვის, რომ ქალი ბედნიერი იყოს, ქმრის ყოლა აუცილებელია?

— ქალს კაცი უნდა ჰყავდეს გვერდით, რათა გაჭირვებისას დაიცვას, მხარში ამოუდგეს, ცხოვრების სწორად წარმართვაში დაეხმაროს. მარტო ქალს ცხოვრებისეული ჭაპანის თრევა გაუჭირდება. ნუთუ არ სჯობია, დედა ხელმეორედ გათხოვდეს, ვიდრე საყვარელი ჰყავდეს ან კაცს კაცზე იცვლიდეს (თუნდაც, ამას მალულად აკეთებდეს)?! მყავს მეგობარი, რომელიც ამას წინათ, დედამისის საქციელის გამო მკაცრად დაისაჯა, სახლიდან არ გამოდიოდა. მამა არც მას ჰყავს, ჰოდა, დედამისი თურმე, ყოველ მეორე კაცს ლოგინში უგორდებოდა და ერთმა ჩვენმა სკოლელმა ჩხუბისას სწორედ ეს წამოაძახა... მირჩევნია, დედაჩემი ხელახლა გათხოვდეს, ვიდრე ჩუმად აკეთოს რაღაცები.

— მერე, მამინაცვლის ყოლას შეეგუები?

— დედინაცვალს შევეგუე და მამინაცვალმა ისეთი რა უნდა დამიშავოს, რომ ვერ შევეწყო? მოკლედ, მე და ჩემი და კონკურსს ვაცხადებთ: ვეძებთ მსოფლიოში საუკეთესო კაცს, რათა მას დედაჩვენის თავი ჩავაბაროთ. დაბლები, მელოტები, უხეშები და ქალური ტიპები ნუ გამოგვეხმაურებიან (*იღიმის*).

ლევანი, *18 წლის:*

— მოკლედ, ვერ ვხვდები, ეს ხალხი ასე რამ „ატეხა“? 18 წლის მოზარდს მშობელი რომ გეტყვის, — უნდა გავთხოვდეო, არა მგონია, ის სრულ ჭკუაზე იყოს.

— რატომ, მოზარდის მშობელს არა აქვს უფლება, ბედნიერი იყოს?

— აქვს, მაგრამ მან ბედნიერება სხვა რამეში უნდა პოვოს.

— როცა მამას მოჰყავს ცოლი და ამას არ აპროტესტებ, არ მესმის, დედის გათხოვებამ რატომლა უნდა დაგწყვიტოს გული?

— იმიტომ, რომ დედა დედაა, ქალია და არა აქვს უფლება, შვილები ღვთის ანაბარად მიატოვოს.

— ეი. კაცს თავისი სქესი უფლებას აძლევს, რაც უნდა ის აკეთოს?..

— არც კაცის მხრიდანაა კარგი საქციელი, როცა ის ცოლს მიატოვებს და ვიღაც სხვას შეირთავს, მაგრამ ქალი შვილს რომ დაასწრებს გათხოვებას, ეს ნამდვილი საშინელებაა! დედაჩემიც დაშორებულია მეუღლეს და ახლა რომ მითხრას, — ვთხოვდებიო ან თავს მოვიკლავ, ან მას მოვკლავ!

— მამაშენს ჰყავს ცოლი?

— არა, სამაგიეროდ ჰყავს საყვარელი...

— და დედაშენმა რომ გაიჩინოს საყვარელი?..

— (*მაწყვეტინებს*) თავს წავაცლი!.. ჩემი და ჩემზე 4 წლით უფროსია. 2 წლის წინ გათხოვდა, მერე ქმარს გარკვეული მიზეზების გამო დაშორდა (ჩემი ყოფილი სიძე ნარკომანია). ჰოდა, ახლა დედის კი არა, მის ხელახლა გათხოვებასაც ვერ ავიტან. როცა ვინმე ურეკავს, ეჭვიანობისგან ვკვდები, გამუდმებით ვუთვალთვალებ.

— მას ხომ მაინც არ ჰყავს შვილები...

— ჰო, მაგრამ რაც დაემართა, საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. რას თხოვდებოდა ვიღაც არამზადაზე?!

— შეცდომა ხომ ყველას მოსდის?..

— ჰოდა, ზიდოს ახლა საკუთარი ჯვარი. მე თუ ცოლს შევირთავ, მას არასდროს გავეყრები, მაგრამ თუ მოხდა ისე, რომ მაინც დავშორდი, ცოლს აღარ შევირთავ — აი, საყვარლის ყოლა კი კაცისთვის მიღებული პონტია...

მარიამი:

— ჩემი მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მაგრამ თავს სხვა ადამიანთან ურთიერთობასაც უკრძალავენ. მგონი, ეს უფრო ცუდია, ვიდრე ის, რომ ისინი ვიღაცებზე დაქორწინდნენ. დედ-მამას დღემდე ვუჩიჩინებ, — შერიგდით-მეთქი, მაგრამ ვიცი, გარკვეული მიზეზების გამო, ეს არ მოხდება. ამიტომაც, მზად ვარ, მათი საყვარელი ადამიანებიც მშობლებივით მივიღო.

— საქმე საქმეზე რომ მიდგება, შეიძლება, სხვანაირად ალაპარაკდე...

— არა მგონია, აზრი შემეცვალოს. მთავარია, მათ ჩემი შეყვარება შეძლონ. აი, ჩემი ძმა კი არ ვიცი, ამ შემთხვევაში რას იზამს. როცა დედას ვეუბნები, — გათხოვდი-მეთქი, — მეჩხუბება, — ნუ ტლიკინებ, თორემ ენას ძირში მოგაჭრიო.

— შენს სამეგობროში თუ მოიზდარა მსგავსი რამ?

— კი, ჩემი დაქალის მამამ ცოლი მოიყვანა და ის გოგონა დასაბმელ გიჟს დაემსგავსა. მამას დღემდე არ ელაპარაკება, დედინაცვალს კი დასანახავად ვერ იტანს, რადგან ჰგონია, რომ მისი მშობლები ერთმანეთს მან დააშორა. მერწმუნეთ, მის მშობლებს ურთიერთი რომ ჰყვარებოდათ, ოჯახს არ დაანგრევდნენ, უსიყვარულოდ ცხოვრება კი ძალიან ძნელია. დედმამა ერთად რომ ცხოვრობდეს, დარწმუნებული ვარ, სახლში სულ აყალმაყალი იქნება, ცალ-ცალკე რომ არიან, ერთმანეთს მეტად აფასებენ, პატივს სცემენ. ყველა იმას ამბობს, — მათ ერთმანეთი დღემდე უყვართო. ვიცი, დედას მამა არ სძულს, მაგრამ ერთად ცხოვრებას ვერ ეგუებიან. ამიტომაც, ჩემი აზრით, მათ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს და დაშორდნენ.

ლალო, *19 წლის:*

— მე დედინაცვალი მყავს და ისე მძულს, თავს ძლივს ვიკავებ, რომ არ ვეჩხუბო. სამაგიეროდ, ყველანაირად ვცდილობ, გავამწარო და ამისათვის ხან რას ვაკეთებ და ხან — რას.

— რატომ, ასეთი რა დაგიშავა?

— მამა წამართვა და ამაზე მეტი რა უნდა დამიშავოს?! მამა ჯერ კიდევ დედასთან ერთად ცხოვრობდა, როცა ეს ქალი „აეკიდა“ და საბოლოოდ, მშობელი „ამახია“. ჰოდა, ახლა ისე უნდა გავამწარო, რომ სიმწრისგან თითები დაიკვნიტოს და თქვას, ეს რა სისულელე გავაკეთეო!

— დედაშენმა გათხოვება რომ გადაწყვიტოს...

— (*მაწყვეტინებს*) იმედი მაქვს, ასეც მოხდება. აბა, რა დააშავა საწყალმა ქალმა საიმისო, რომ მთელი ცხოვრება მინდვრის თაგვივით, მარტო იყოს? დედა მშვენიერი ქალია და ვფიქრობ, ოდესმე თავის სწორსაც იპოვის. მისი ბედნიერება მართლა ძალიან გამახარებს... ის ვერაგი ადამიანების მსხვერპლია და ამიტომაც, უფლება აქვს, ბედნიერი იყოს!

ვერა, *16 წლის:*

— მე მტკივა ყველა იმ მოზარდის

გამო, ვისი მშობელიც ხელახლა გათხოვებას ან დაქორწინებას გადაწყვეტს, მე ვუსამძიმრებ ჩემს იმ თანატოლებს, რომლებსაც დედინაცვალი ან მამინაცვალი ჰყავთ და ახლა ახალ დაძმას უნდა შეეგუვნონ. აი, ამის სათქმელად დაგიკავშირდით...

— **შენი მშობლებიც გაყრილები არიან?**

— არა, და ღმერთმა დამიფაროს ამისგან.

— **მაშინ არ მესმის, ასე რატომ ლაპარაკობ? შენ ხომ არც დედინაცვალი გიშლის ნერვებს და არც — მამინაცვალი?**

— სამაგიეროდ, ჩემი ძმა მიშლის ნერვებს, რომელიც 2 თვის წინ მოევლინა ქვეყნიერებას. მართალია, ჩემი მშობლები არ გაყრილან, მაგრამ მაინც მოახერხეს, ჩემთვის მძიმე დარტყმა მოეყენებინათ.

— **შენი ძმის დაბადებას გულისხმობ?**

— ჰო, აბა, რა დროს მათი შვილი იყო? 16 წლის ვარ, სულ მალე გათხოვებას ვაპირებ და ნუთუ, ბიძა-დისშვილი ერთი ასაკისანი უნდა იყვნენ. აი, რატომ ვარ ჩემს მშობლებზე გაბრაზებული. მთელი 9 თვე იმაზე ვოცნებობდი, — იქნებ, დედას მუცელი მოეშალოს-მეთქი, მაგრამ ჩემს ჯიბრზე, კენჭივით ბავშვი გაჩნდა... ახლა ისეთ კაცს გავყვები ცოლად, რომელიც ჩემს მშობლებს ჭირის დღესავით სძულთ და ასე ვიძიებ მათზე შურს!

— **არა მგონია, ასეთმა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა გაგაბედნიეროს...**

— სამაგიეროდ, მშობლებსაც გავაუბედურებ!

— **და ამით რას მოიგებ?**

— ჩემი ძმიდან ყურადღებას ისევ ჩემზე ანუ დაზარალებულზე გადმოიტანენ!

— **არა მგონია, შენს მშობლებს შვილის გაჩენა ჩაფიქრებული ჰქონოდათ. ეს ღვთის ნება იყო...**

— როგორ არა, დაგიჯერე... წლებია, ბიჭზე ოცნებობენ და აჰა, აუხდათ საწადელი. ვაი, მაგათ პატრონს, ჰგონიათ, ბიჭი ააშენებთ... ისე, ასეთ ცხოვრებას სჯობდა, გაყრილიყვნენ და მერე ხომ არ გამომიჩნდებოდა მეტოქე?!.

— **შენს ძამიკოს მეტოქედ აღიქვამ? რატომ?**

— ძამიკო არა, კიტრი, ვერ ვიტან ამ სიტყვას. ჰო, მეტოქეა, აბა, რა — ყველა მას ეფერება, მე კი არავის ვახსოვარ; მისთვის ყიდულობენ ახალ-ახალ ტანსაცმელს, თავს ევლებიან და მეც მავალდებულებენ, მოვუარო, მივეფერო — ეს საშინელებაა! ოჯახს ჩემი ტანჯვისთვის სამაგიეროს აუცილებლად გადავუხდი!

— **იმედი მაქვს, ცოტა ხანში მოსაზრებას შეიცვლი, შენი ძამიკოც თავს შეგაყვარებს და ამქვეყნად მასზე უკეთესი არავინ გეყოლება.**

— სულ ტყუილად — მაგ კენჭს ვერასდროს შევიყვარებ და ვერც დედმამის უგუნურ საქციელს შევეგუები.

თაზო, *18 წლის:*

— კარგი, რა, ყველაფრის ასე წყალში ჩაყრაც არ შეიძლება. მამა წლების წინ გარდამეცვალა, ჰოდა, რა უნდა ექნა დედას, მთელი ცხოვრება უნდა ეგლოვა?.. როგორც იქნა, მის ცხოვრებაშიც გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც მთელი გულით შეიყვარა და ცოლადაც შეირთო, მაგრამ მე და ჩემს დას მისი ბედნიერებისთვის ხელი არ შეგვიშლია, პირიქით — ორივეს ბედნიერება ვუსურვეთ! ახლა საოცრად კარგად ვგრძნობთ თავს: ჩემი „ახალი მამა“ ცდილობს, ყველანი ხელისგულზე

გვაცხოვროს. ასე მგონია, ეს კაცი მამამ საიქიოდან გამოგვიგზავნა, რათა თავი მარტოდ არ გვეგრძნო. მე მადლობელი ვარ მამინაცვლის, რადგან მან დედას ხელახლა აგრძნობინა, თუ რა არის ბედნიერება და სწორედ ამიტომ, მას ამაგს არასდროს დავუკარგავ. თქვენც გირჩევთ, მშობლების გადაწყვეტილებას პატივი სცეთ — ისინი ისეთ გზას არასდროს აირჩევენ, რომელიც ჩვენ გვავნებს. წარმატებები!

ანა კორძაია, *ფსიქოლოგი:*

— კარგია, როცა ოჯახი ადამიანის სიცოცხლის ბოლომდე მყარია. მაგრამ ხდება ისეც, რომ წყვილები, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ერთმანეთს ვეღარ უგებენ და შორდებიან.

— **ეს რატომ ხდება?**

— ადამიანს, ასაკის მატებასთან ერთად, ეცვლება გემოვნება, შეხედულებები და შესაბამისად, მეუღლეები რაღაცებს, რაც მანამდე მოსწონდათ, ვეღარ ეგუებიან. ოჯახი, უმეტესწილად, ინგრევა მას შემდეგ, როცა ოჯახში ბავშვი ჩნდება... როცა მოსიყვარულე ცოლს მთელი ყურადღება შვილზე გადააქვს და მის გამო მეუღლეს ნაკლებ დროს უთმობს, მამაკაცს ეს არ მოსწონს და უკმაყოფილება იჩენს თავს. ზოგჯერ ამის გამო, მამაკაცებს სახლში მისვლა არ უნდათ, სითბოს სხვა „უბეში“ ეძებენ, მეუღლეს ღალატობენ და შინ მისულები, მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ წაართვან ცოლს შვილი — ის პატარა არსება, რომელმაც საყვარელ ადამიანს მისი თავი „დაავიწყა“. ზოგჯერ ასე თავად დედები იქცევიან ანუ როცა სამსახურიდან შინ დაბრუნებული მამაკაცი მაშინვე ბავშვის საწოლთან მივა, ქალები საოცრად ეჭვიანობენ და იწყება კონფლიქტი. ხშირ შემთხვევაში, შვილებიც არაფერ შუაში არიან. უბრალოდ, წყვილი ხვდება, რომ დაქორწინებით შეცდომა დაუშვა და ორივე ყველანაირ მიზეზს ეძებს იმისთვის, რომ მეუღლეს დაშორდეს, მაგრამ ამ გაყრის მიზეზს აუცილებლად მეორეს აბრალებს.

— **მშობლების დაშორება შვილების ფსიქიკაზე როგორ აისახება?**

— რა თქმა უნდა, ეს სასურველი არ არის, ამით შვილებს დარტყმას აყენებენ, მაგრამ ოჯახში არსებული ყოველდღიური კონფლიქტის ყურებას სჯობს, მშობლები დაშორდნენ. უბრალოდ, სასურველია, როცა გაყრას საბოლოოდ, მტკიცედ გადაწყვეტენ, ამის შესახებ შვილს დედაც დაელაპარაკოს და მამაც. ამ შემთხვევაში ბავშვი სიტუაციას შედარებით იოლად შეეგუება. მშობლებმა შვილებს ის მიზეზიც უნდა დაუსახელონ, თუ რატომ ვეღარ ეგუებიან ერთმანეთს და ბავშვებიც მათ გაგებას შეეცდებიან. ■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

შემომეყარა ყივჩალი

შემომეყარა ყივჩალი
საზღვარს მუხრანის გზისასა,
პური მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი თავთუხისასა.
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი ხოხობისასა,
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვურჩევდი ბადაგისასა.
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც,
მიმყვანდა სიდედრისასა.
ან ჯი ცოლს როგორ მივცემდი,
შვილსა გაზრდილსა სხვისასა.
ხელი მოჰხვია, აკოცა,
მოზიდა ნაწნავს თმისასა,
შესტირა საბრალო ქალმა:
„ვაი, ცოლს ცუდის ყმისასა!"
მეც გულმა ვეღარ გამიძლო,
მოვზიდე ვადას ხმლისასა,
უმალვე იმან დამასწრო,
ელვასა ჰგვანდა ცისასა.
მაგრამ დაუცდა მუხანათს,
ვენაცვლე მადლსა ღვთისასა,
ახლა მე შემოუქნივე,
ვენდე მადლს ლაშრის ჯვრისასა.
გავჭერი ცხენი და ჯაცი,
წვერიც მომიხვდა ქვიშასა,
არ იყო ღირსი, მოშორდა
ცქერას ნათელის მზისასა,
ცოლი სიდედრსა მივგვარე,
ის ჯი იქა სჭამს ქვიშასა.

ხალხური

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

ბ

დასაწყისი იხ. „გზა", №2-25

გრაკლა — დაბალი დეკორატიული ფოთლოვანი ბუჩქი.

გრუზა — ხშირი და ხუჭუჭა (თმა).

გრვეღლა — დიდ ხის ტანზე განშტოებული მსხვილი ტოტი.

გუდალი: გუდალი თვალები — თვალები, რომლებსაც ქუთუთოები გამობერილი აქვს.

გუდამშიერი — ლუკმაპურის მონატრული; ღარიბ-ღატაკი.

გუდურა — ერთი შეკვრა წვრილი შეშა, ფიჩხი.

გულბოყვი — გულმკერდის არე.

გულქანდა — მოვარაყებული ლითონის ან ფერადი ქვების ყელსაბამი.

გულქართლი — გულუხვი, პურადი, გულკეთილი, გულმართალი.

გულყრა — გულის შეღონება.

გუმბრინი — მონაცრისფრო თიხისებური მინერალი; მოიპოვება იმერეთში (სოფელ გუმბრის მახლობლად); იყენებენ ნავთობის, ზეთების და სხვათა გასაწმენდად (ადგილობრივი სახელწოდება — თავსაბანი მიწა).

გუნდა-ლახუსტაკი — შავი საღებავი; იხმარება წარბებისა და წამწამების შესაღებად.

გურზი სპ. — 1. ფოლადის ძველებური საომარი იარაღი კომბალივით; 2. ხელში სატრიალებელი სპორტული იარაღი ამავე მოყვანილობისა (თითებისა და მაჯის განსავითარებლად).

გუჯაბი — 1. სატენი, გული (ქადისა, კუპატისა და მისთ.); საკლავის შიგნეულობა, ფაშვ-ნაწლავები. 2. (ძვ.) ჯილაგი, ჯიში, მოდგმა.

გუჯარი (ისტ.) — ეკლესიისათვის მეფის ან მემამულის მიერ გაცემული საბუთი, რომელშიც განსაზღვრული იყო ეკლესიის მეურნეობისათვის სავალდებულო წესები.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ვასილ ბარნოვი (ბარნაველი)

„ცოდვათა ჩვენთა სიმრავლე დაჰფარავს მას ჟამითი-ჟამად თვალთაგან ჩვენთა, მაგრამ შევინანებთ და კვლავ გამობრწყინდება იგი ამა მწვერვალზედ. ჯვარიცა წმიდა ჟამითი-ჟამად განერთხმის მიწას ქართველთა ცოდვით შემძიმებული, მაგრამ კვლავ აღზდგება პატიოსანი, ნიშნად საქართველოს მკვდრეთით აღდგომისა“.

რომანი „ტრფობა წამებული“

დაიბადა 1856 წლის 3 ივნისს სოფელ კოდაში (ახლანდელი თეთრიწყაროს რაიონი), სასულიერო მოღვაწის, დეკანოზ ზაქარია ბარნაველის ოჯახში. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, იქვე მასწავლებლობდა. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა აგრეთვე სენაკსა და თელავშიც. 1882 წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემიის ისტორიის ფაკულტეტი... 1917 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი (კავშირის ერთ-ერთი ფუძემდებელი). 1880-იანი წლების დამლევს აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად და აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოების საქმიანობაში... ბარნოვი ქართული ისტორიული რომანის ფუძემდებელი გახლავთ. მისთვის ისტორიული მოვლენების ასახვა თვითმიზანი არ იყო, მწერლის ყურადღების ცენტრში ზოგადსაკაცობრიო პრობლემები ექცეოდა. ვასილ ბარნოვის კალამს ეკუთვნის რომანები: „ისნის ცისკარი“, „ტრფობა წამებული“, „არმაზის მსხვრევა“, „გიორგი სააკაძე“, „მიმქრალი შარავანდედი“, „დედოფალი ბიზანტიისა“, „ცოდვა სიჭაბუკისა“... მწერალი ავტორია მოთხრობებისა, რომლებიც მიძღვნილია ფილოსოფიური, სოციალური, პედაგოგიკური და სხვა პრობლემებისადმი. ბარნოვის პროზის რიტმულობა, ხელოვნური სინტაქსური წყობა, ძველი ქართული მწელობისა და ხალხური მეტყველების მარაგით გამდიდრებული ლექსიკა საოცარ ელფერს ანიჭებს მის სამწერლო სტილს. ვასილ ბარნოვმა ამაგი დასდო ქართულ ფოლკლორისტიკასაც; მის ნარკვევებსა და წერილებში გაშუქებულია ქართული მითოლოგიისა და საგმირო ეპოსის საყურადღებო საკითხები. საინტერესოა მისი დაკვირვებები — „ამირანიანზე“, „როსტომიანზე“, „ტარიელიანზე“, „არსენას ლექსზე“. მანვე ფოლკლორული და ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების საფუძველზე შეადგინა (1919 წელი) არსენა ოძელაშვილის სრული ბიოგრაფია. აღსანიშნავია, რომ მწერალი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში (1880-1910-იან წლებში), თუმცა არც ერთ პარტიას არ ეკუთვნოდა. იმავდროულად, იგი აქტიურად იყო ჩაბმული ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად ბრძოლაში (რაც წარმატებით 1917 წელს დაგვირგვინდა). ვასილ ბარნოვი გარდაიცვალა 1934 წელს. დაკრძალულია თბილისში, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. მისი სახელი მწერლის სიცოცხლეშივე მიენიჭა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას. ■

სხედან: ვასილ ბარნოვი, გიორგი ლეონიძე, იაკობ ნიკოლაძე; დგანან (მარჯვნიდან): ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №24

რუსუდან ბერიძე

თავად ნიკოლასს სახეზე სრული გულგრილობა ეწერა, თუმცა სინამდვილეში საკმაოდ დიდი ინტერესითაც კი აკვირდებოდა ერთმანეთს წაკიდებულ გაკაპასებულ ქალებს. ის პირველად როდი იყო ასეთი სცენის მოწმე და ყოველ ჯერზე კარგადაც ხალისობდა.

— აი, ისევ... — ლიზიმ უკმაყოფილო სახე მიიღო. — ავტოგრაფებზე ახალი მონადირეები გამოჩნდნენ. ნიკოლასმა უკან მიიხედა და პირდაპირ მათკენ მომავალი თითქმის ერთი სიმაღლის სამი მამაკაცი დაინახა. ბერტოლინის სახეზე ღიმილი შეეყინა და ისე დაიწყო თვალების აქეთ-იქით ცეცება, თითქოს დასამალ ადგილს ეძებსო.

— მოხდა რამე, მისტერ ბერტოლინი? — დაინტერესდა მერი.

— ჩემი წასვლის დრო მოვიდა, — სწრაფად წამოდგა ბერტოლინი და შარვალზე აყოლილი ქვიშა ნერვიულად ჩამოიფერთხა, — თორემ აქ მოსვენებას აღარ მომცემენ. სასტუმროში შევხვდებით, ქალბატონებო, როგორც მოვილაპარაკეთ...

ნიკოლასმა ქალებს კიდევ ერთხელ გაუღიმა და წასასვლელად შებრუნდა, მაგრამ ვიღაცამ ზუსტად იმ მომენტში დაუძახა:

— მისტერ ბერტოლინი!.. ასე სად მიგეჩქარებათ?

ნიკოლასი ტყვიანაკრავივით შედგა და მისკენ მიმავალ მამაკაცებს უხალისოდ გამოხედა:

— გისმენთ, ბატონებო, რა ხდება?

— გამოძიების ფედერალური ბიუროდან ვართ, — პირადობის მოწმობა აჩვენა ერთ-ერთმა, — დაპატიმრებული ხართ, მისტერ.

ნიკოლასი გაფითრდა და შეუპოვარი ლომის გამომეტყველება წამში განწირული კრავის საწყალობელ მზერად ექცა. მთელი ამ სცენით გაოგნებულმა ქალებმა კი ერთმანეთს უმწეოდ გადახედეს, თუმცა მერე ლიზიმ ძალები მაინც მოიკრიბა და საქმეში ჩარევა სცადა:

— მოითმინეთ, ბატონებო!.. ეტყობა, რაღაც გეშლებათ. ეს ხომ ძალზე ნიჭიერი, თუმცა ჯერაც ნაკლებად ცნობილი მსახიობი, მისტერ...

— მთლად ვერ დაგეთანხმებით, — აღარ დაამთავრებინა ქალს ერთ-ერთმა დეტექტივმა და, თან, ბერტოლინის ხელბორკილი დაადო, — ნიჭიერიცაა და ცნობილიც...

— მით უმეტეს... — გაიღიმა დაიმედებულმა ლიზიმ.

— ოღონდ ინტერპოლის ხაზითაა ძალიან ცნობილი.

— რაო? — ისევ ერთხმად წამოიძახეს თვალებგაფართოებულმა ქალებმა.

— და, თანაც, მისი ნამდვილი გვარი და სახელი ნიკოლას ბერტოლინი კი არა, ნიკა, იგივე ნიკოლოზ ბერდიაშვილია. მისტერ ბერდიაშვილი ჯორჯიიდან ბრძანდება. ოღონდ, ჩვენებურ ჯორჯიის შტატში არ აგერიოთ, ქვეყანაა ასეთი...

საბოლოოდ გაოგნებულმა ქალებმა სიტყვა ვეღარ დაძრეს. დეტექტივმა კი ისევ მშვიდად განაგრძო:

— არ ვიცი, თქვენ რა მოგიჩმახავთ, მაგრამ სინამდვილეში ეს ვაუბატონი ფრიად მასშტაბური თაღლითობისთვის იძებნება. თანაც, როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, მის ბადეში, ძირითადად, თქვენნაირი მიმნდობი და შეძლებული ქალბატონები ებმებიან. ასე რომ, პირდაპირ სულზე მოგისწარით...

ამის შემდეგ დეტექტივებმა თვითმარქვია მსახიობი ჩამუქებულმინებიან მანქანაში ჩასვეს და თვალს მიეფარნენ...

გისოსებიან ვიწრო და დახუთულ ოთახში გამომძიებელი მორიგ დაკითხვას აწარმოებდა:

— მაშ ასე, მისტერ ბერდიაშვილო, ისევ ჯიუტობას გააგრძელებთ თუ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს დაწვრილებით მოგვიყვებით?

გამომძიებლის წინ მჯდარ ნიკას უკვე დაჰკარგოდა ჩვეული პეწი და მიმზიდველობა: სიცხისა და ოფლისგან გაწებებული თმა თვალებზე უშნოდ ჩამოფხატოდა, სამი დღის გაუპარსავს სახე ჩაშავებოდა და საკნიდან გამოყოლილი ერთმანეთში არეული ოფლისა და სიგარეტის უსიამოვნო სუნი ასდიოდა.

— მოსაყოლი არაფერი მაქვს, — თავი ჩაქინდრა მან, — საქართველოს კონსულთან სასწრაფო შეხვედრას ვითხოვ.

— უკაცრავად, რომელ კონსულთან? — მოჩვენებითი გაკვირვებით ჩაეკითხა გამომძიებელი. — დოკუმენტების მიხედვით თქვენ მგონი, საბერძნეთის მოქალაქე უნდა იყოთ. ასე არ არის?

— ჯანდაბა! — ნიკამ ბრაზით სავსე, თუმცა ჯერ კიდევ ძველებურად ელვარე შავი თვალები წამით შეანათა გამომძიებელს. — თქვენ ხომ ჩემზე უკეთესადაც კი იცით, რომ ასე არ არის.

— აი, თურმე, რა ყოფილა... მაგრამ სანამ უცხო ქვეყანაში ჩაბრძანდებოდეთ, ბატონო ბერდიაშვილ-ბერტოლინი, ეგებ იმ კანონებისთვისაც გადაგეხედათ, რომელთა მიხედვითაც ის ცხოვრობს. ასე რომ, ახლა უკვე ვერც ერთი კონსული ვეღარაფერს გიშველით. თანაც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არც საქართველოს საკონსულოში ჩაგიკრავენ გულში.

— რა გინდათ, ჩემგან? — ბერდიაშვილი სკამზე ნერვიულად აწრიალდა, — მე ხომ არაფერი დამიშავებია. ეს ყველაფერი მხოლოდ პროვოკაციაა. იცოდეთ, ვიჩივლებ...

— რა გაეწყობა... რაკი კითხვებზე პასუხის გაცემა არ გსურთ, მაშინ მე თვითონ გიამბობთ ყველაფერს. — გამომძიებელმა მაგიდის უჯრიდან საკმაოდ სქელი საქაღალდე ამოიღო, გახსნა და პირველივე ფურცლის კითხვა დაიწყო:

„ნიკოლოზ ივანეს ძე ბერდიაშვილი, დაბადების წელი: 1964, იმსახურა საბჭოთა არმიაში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. სამსახურიდან გამოძალვისა და ქრთამის აღებისთვის გაათავისუფლეს. ამის შემდეგ მუშაობა სამძებრო სააგენტოში განაგრძო, საიდანაც უკვე შანტაჟისთვის დაითხოვეს. ამჟამად არსად მუშაობს და, არაოფიციალური მონაცემებით, ბიზნესმენების ცოლებზე ნადირობით არის დაკავებული. ბერდიაშვილი ჯერ ამ ქალების მხრიდან სრული ნდობის მიღწევას ახერხებს, შემდეგ კი ფულს სძალავს და უკვალოდ ქრება.

— მერედა ჩემი ბრალია, რომ ეს ქათმები ფულს თვითონ მატენიან? — ჩაიბურტყუნა ნიკამ.

— აბა-აბა... ჯერ მათი ქმრების სასიყვარულო თავგადასავლების ყველა ინტიმური დეტალის ამსახველ ფოტოებსა და ვიდეოკასეტებს მიუგდებთ ხოლმე და როცა საწყალი ქალები ეჭვიანობით უკვე გონზე აღარ არიან, მხსნელად ევლინებით

და მათ დამშვიდებასაც ყველა გზითა და ხერხით ცდილობთ, რაც, როგორც წესი, ოჯახური სარეცლის გაზიარებით სრულდება. მიზნის ადვილად მიღწევაში, სამართალდამცავ ორგანოებში სამსახურისას მიღებულ მავნე გამოცდილებასთან ერთად, ენების ცოდნა და მიმზიდველი გარეგნობაც ძალიან გიწყობთ ხელს.

— მე ხომ მათ უბრალოდ ვეხმარებოდი, რომ ღალატისთვის ოდნავ მაინც ეძიათ შური, — მხრები აიჩეჩა ბერდიაშვილმა, — ამისთვის არავის სჯიან.

— ცხადია... და ამ „უბრალო“ დახმარებისთვის ქმრებისგან მოტყუებული ცოლები თქვენთვის საერთოდ აღარაფერს იშურებდნენ, ხომ?

— ეს მათი უფლებაა, თანაც რა, გაწეული შრომისთვის პატარა ჯილდოც აღარ ამეღო?

— პატარაო? — თვალები გამომცდელად მოწკურა გამომძიებელმა, — ჩვენი ინფორმაციით, მოტყუების გზით თითქმის სამ მილიონამდე გაქვთ მითვისებული.

— ამას ვერ დამიმტკიცებთ.

— არც ვაპირებთ. ყველა თქვენი საბანკო ანგარიში უკვე გაყინულია. ორმა დაზარალებულმა კი სარჩელიც შეიტანა და ვფიქრობ, ამერიკულ სასამართლოს თაღლითობის ფაქტის დამტკიცება არ გაუჭირდება. თუ ამას სხვადასხვა ქვეყანაში ათეულობით დაზარალებულის საჩივარსაც დავუმატებთ, მაშინ ჩვენი კანონებით, ოცი წლის ციხე და ქონების კონფისკაციაც გარანტირებული გაქვთ. თუმცა ჩვენ მაინც ჰუმანური კანონები გვაქვს, აი, საქართველოში ექსტრადაციის შემთხვევაში კი...

გამომძიებელი მცირე ხნით გაჩუმდა და შემდეგ დაუმატა:

— ასე რომ, არჩევანი თქვენზეა.

— ნეტავ, რომელ არჩევანზე მელპარაკებით? — ფრჩხილების ნერვიული კვნეტა დაიწყო უწინდებურად თავჩაქინდრულმა ნიკამ. — საქართველოში, საუკეთესო შემთხვევაში, ციხემდე თუ მივაღწევ, ამერიკაში კი ოცი წელი უნდა ვხეხო... ამას ახლავე რომ ტყვია დავიხალო შუბლში, ის მირჩევნია.

— გეთანხმებით, არცთუ მთლად ლაჟვარდოვანი პერსპექტივაა, — ჩაეღიმა გამომძიებელს, — თუმცა არის კიდევ ერთი გამოსავალი...

— რა გამოსავალი?.. — თავიც კი აღარ აუწევია იმედგადაწურულ ნიკას.

-გამომძიებელმა მაგიდის ქვეშ რაღაც ღილაკს დააჭირა ხელი და ოთახში მაშინვე დაბალი მსუქანი მამაკაცი შემოვიდა.

— თქვენ აქ ცოტა ხნით უჩემოდ ისაუბრეთ და მერე ვნახოთ... — ფეხზე წამოდგა გამომძიებელი, სკამი ახალშემოსულს დაუთმო და თავად ოთახიდან გავიდა.

— თავს არ წარმოგიდგენთ... — მაშინვე სკამზე დასკუპდა მსუქანა. — ვფიქრობ, ეს საერთოდაც არ არის საჭირო... მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მთავრობისთვის ვმუშაობ. ვფიქრობ, ჩემმა წინამორბედმა თქვენი უახლოესი მომავლის დაახლოებითი სურათი უკვე დაგიხატათ? წინ ხანგრძლივი დროით ციხე გელით. თანაც, ეს ხომ თქვენი ცხოვრების საუკეთესო წლებიც იქნება. ოცი წლის შემდეგ, ციხიდან უკვე ხანში შესული გამოხვალთ: არც ოჯახი, არც ქერი, არც ფული...

ამ სიტყვებზე უცნობმა ისე სევდიანად ამოიოხრა, თითქოს ციხე ბერდიაშვილს კი არა, მას ემუქრებოდა.

— მაგრამ მთელ ამ ისტორიაში არის ერთი მომენტიც, — მამაკაცი პაუზის შემდეგ დაკავებულის რეაქციას ყურადღებით დააკვირდა, მაგრამ ბერდიაშვილი არც კი შერხეულა, — შეერთებული შტატების სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როცა დამნაშავე, მართლმსაჯულების აღსრულებაში დახმარების, ანდა სხვა დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, მათთან აქტიურ თანამშრომლობას იწყებდა, — განაგრძო უცნობმა, — ხელისუფლებაც ასეთი კანონის დამრღვევის მიმართ მაქსიმალურ გულმოწყალებას იჩენდა, ზოგჯერ კი დანაშაულს საერთოდაც აპატიებდა.

— პირდაპირ მითხარით, რას ითხოვთ ჩემგან? — როგორც იქნა, თავი ასწია ნიკამ და უცნობმა მის თვალებში იმედის ნაპერწკალი დაინახა.

— კარგი. გულახდილად გეტყვით, შეთანხმების შემთხვევაში თქვენი საქმისთვის სხვა კუთხით შეხედვაც შეიძლება.

— მაინც როგორ?

— დავუშვათ, რომ დაზარალებული ამერიკელი ქალბატონები უბრალოდ შეცდნენ და მხოლოდ მიგამსგავსეს იმ ადამიანს, რომელმაც ისინი გააბრიყვა.

— ინტერპოლი? — უნდობლად ჰკითხა ნიკამ.

— ჯერჯერობით ინტერპოლში თქვენზე ცნობები არ გადაგვიგზავნია, მაგრამ მხოლოდ ჯერჯერობით...

— გასაგებია...

— მაგრამ თუ ჩვენს პირობებს დათანხმდებით, გარეთ სრულიად „სუფთა“ დოკუმენტებითაც კი გახვალთ, რაც ნებისმიერ ქვეყანაში თავისუფლად ცხოვრების საშუალებას მოგცემთ. კიდევ ერთი არანაკლებად მნიშვნელოვანი დეტალი, — ხმას შეთქმულივით დაუწია უცნობმა, — მთელი თქვენი ფულიც თქვენვე დაგრჩებათ და ორმოცდაათი ათასი დოლარი ჩვენგანაც დეემატება. ცხადია, იმ თანხასთან შედარებით, რაც აქამდე გიშოვიათ, ჩვენი ჰონორარი ზღვაში წვეთია, მაგრამ მიმაჩნია, რომ გაწეული სამუშაო უნდა აგინაზღაუროთ. ეს ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის ურყევი პრინციპია!

— მაინც რა უნდა გავაკეთო? — მოთმინების ძაფი გაუწყდა ბერდიაშვილს, — პრეზიდენტი უნდა მოვკლა?

— აბა, რას ამბობთ? — მსუქანამ მოკლე ხელები გაასავსავა. — უბრალოდ ერთი ადამიანის მოძებნაში უნდა დაგვეხმაროთ.

— და როგორც კი ვიპოვი, უნდა მოვკლა, ხომ?

— ისევ ვერ გამოიცანით, — მოწყალედ გაეღიმა მამაკაცს, — უნდა იპოვოთ და მაშინვე მისი ადგილსამყოფლის შესახებ შეგვატყობინოთ. დანარჩენი კი უკვე ჩვენი პრობლემაა.

— უცნაურია.

— რა არის უცნაური?

— როდის იყო, რომ უბრალოდ ვიღაცის პოვნისთვის ჩემნაირ ეჭვმიტანილს თავისუფლებას ჩუქნიდნენ და ორმოცდაათი ათას დოლარსაც უმატებდნენ. თქვენ კი ეს ყველაფერი უცნაურად არ მოგეჩვენებოდათ?

— ორმოცდაათი ათასს კი არა, სამი მილიონ ორმოცდაათი ათას დოლარს გჩუქნით, — უცნობმა თანხას საგანგებოდ გაუსვა ხაზი, — ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ წუთში ერთი ცენტიც კი აღარ გაბადიათ.

— მით უფრო უცნაურია.

— კარგი, უფრო გასაგებად აგიხსნით. საქმე ისაა, რომ ეს ადამიანი წლების მანძილზე რუსეთში ცხოვრობდა, თუმცა წარმოშობით ქართველია და ამჟამადაც საქართველოში იმყოფება. ამდენად, თქვენ მისი მოძებნა ბევრად უფრო გაგიადვილდებათ, ვიდრე ამერიკელებს. ჩვენ ჩვენი ძალებით უკვე ვცადეთ მისი მოძებნა, მაგრამ ეს არცთუ იოლი საქმე აღმოჩნდა.

— გასაგებია... მაგრამ საკმარისია, საქართველოს მიწაზე ფეხი დავადგა, რომ მაშინვე დამიჭერენ. და, საერთოდაც... რაღა მაინცდამაინც მე ამირჩიეთ?

— ჯერ ერთი, ჩვენი კოსმეტოლოგები

თქვენს გარეგნობაზე ცოტა წაიმუშავებენ, ამას ახალი დოკუმეტებიც დაემატება და ძნელად თუ ვინმეღა გიცნობთ. და მეორეც, თქვენი კანდიდატურა გვაწყობს. ის, რომ ქართველი ხართ, უკვე წარმატების მისაღწევად ნახევარია. თანაც, შინაგან საქმეთა ორგანოებსა და სამძებრო სააგენტოში მუშაობის გამოცდილებაც გაქვთ. ასე რომ, თქვენთვის ასეთი სამუშაოს წარმოების სპეციფიკის სწავლებაც კი არ დაგჭირდება. ხოლო იმაში, რომ მსგავს სამუშაოს ჩინებულად ასრულებთ, ჩვენ უკვე არაერთგზის დავრწმუნდით.

ოთახში მცირე ხნით დაძაბული სიჩუმე ჩამოწვა.

— უნდა დავფიქრდე. — როგორც იქნა, ხმა ამოიღო შემდეგ ნიკამ, — დრო მჭირდება.

— ვშიშობ, რომ თქვენ ის საერთოდ აღარ დაგრჩათ. ახლავე უნდა გადაწყვიტოთ.

— თუ ასეა, რა გაეწყობა, — უხალისოდ ჩაილაპარაკა ბერდიაშვილმა, — თანახმა ვარ.

— შესანიშნავია, — გაიბადრა უცნობი, — ვფიქრობ, საქმეშიც კარგად შეეწყობით, მაგრამ მინდა, თავიდანვე გაგაფრთხილოთ, რომ ამიერიდან ჩვენთვის ყოველი თქვენი ნაბიჯი ცნობილი უნდა იყოს, რასაც, თქვენთან ერთად, ჩვენი აგენტებიც უზრუნველყოფენ, და თუ მიმალვას შეეცდებით... ვფიქრობ, არ გჭირდებათ იმის ახსნა, რომ მაშინვე ქართველი სამართალდამცავების ხელში აღმოჩნდებით...

უცნობის ბოლო სიტყვებზე ნიკას ცბიერად ჩაეღიმა, რადგან ამ აზრმა მას თავში მართლაც გაუელვა. თუმცა ხმამაღლა სულ სხვა რამით დაინტერესდა:

— მაგრამ რა გარანტია მაქვს, რომ ოპერაციის შემდეგ არ „გადამაგდებთ?“

— გარანტია მხოლოდ ჩემი პატიოსანი სიტყვაა.

— დიდი ვერაფერი შეღავათია.

— მაგრამ არც თქვენ გაქვთ სხვა გზა. ასე რომ, უნდა მენდოთ.

— თანახმა ვარ...

მეზობელ ოთახში კომპიუტერის მონიტორთან მჯდარი სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ორი მამაკაცი ბერდიაშვილის გადაბირებას თვალ-ყურს გულმოდგინედ ადევნებდა.

— ყველაფერი გათვალეთ? — ჰკითხა ერთმა მეორეს.

— ვფიქრობ, რომ კი. ეს ვიგინდარა, ყველა „სიკეთესთან“ ერთად, იმდენად ხარბიცაა, რომ თავისი ფულის დასაბრუნებლად ყველაფერს გააკეთებს.

— მაგრამ ჩვენს მოთვალთვალეებს რომ მართლაც დაუსხლტეს, მაშინ ხომ მთელ ოპერაციასაც ჩაგვშლის...

— ჩვენ ამაზეც ვიზრუნეთ. ჯერ ერთი, ბეჭედში, რომელსაც ხელიდან არასდროს იცილებს, მიკროჩიპს ჩავუმონტაჟებთ, რომელიც თანამგზავრიდან სიგნალს ყოველ სამ საათში ერთხელ მოგვაწვდის. ეს ობიექტის გამუდმებით თვალყურის დევნებისგანაც გაგვათავისუფლებს და მისი ადგილსამყოფელიც მუდმივად გვეცოდინება. და მეორე, ჩვენ ხომ, პარალელურად, ძებნას საკუთარი ძალებითაც ვაწარმოებთ.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ თქვენი კაცი რომელ 3 მილიონ დოლარზე ელაპარაკებოდა? თქვენ რა, მართლა აპირებთ ამ ავაზაკისთვის რაიმეს დაბრუნებას?

— რას ბრძანებთ, შეფ! როგორც კი დავალებას შეასრულებს ან თუ ვერ შეასრულებს, — ამას მნიშვნელობა არ აქვს... მოკლედ, ის ნებისმიერ შემთხვევაში ლიკვიდირებული იქნება.

— ძალიან კარგი. მაშინ დროს ნულარ დაკარგავთ.

— შეიგნეთ, ბოლოს და ბოლოს, რომ ჩვენ აქ მელოდრამას ან „ბოევიკს“ კი არა, რეკლამას ვიღებთ! — ვინ იცის, მერამდენედ უმეორებდა ლაშას სარეკლამო სააგენტოს დირექტორი, — შეიძლება, თქვენ მართლაც კარგი რეჟისორი ან დამდგმელი ხართ, მაგრამ მაშინ თქვენი ადგილი აქ ნამდვილად არ არის და რომელიმე კინოსტუდიას უნდა მიაკითხოთ.

— მაგრამ ასეთი რეკლამა ხომ მხოლოდ კრეტინებზე თუ მოქმედებს, ნორმალურ ადამიანებს ამ საქონლის ყიდვის სურვილი საერთოდ დაეკარგებათ.

— სანამ მე ვარ აქ დირექტორი, მევე გადავწყვეტ, როგორი უნდა იყოს რეკლამა. თქვენ კი, თუ არ მოგწონთ, შეგიძლიათ, სხვა სამსახური ეძებოთ. გასაგებია? — დირექტორმა ხმას აუწია.

— სავსებით.

— მაშინ გადაწყვიტეთ: ან იმას გააკეთებთ, რასაც მე გიბრძანებთ, ან არადა..

— კარგი.

— რა კარგი?

— ის, რომ სამსახურიდან მივდივარ.

— თავში ქვა გიხლია! — იღრიალა წონასწორობიდან საბოლოოდ გამოსულმა დირექტორმა, რომელიც კაბინეტიდან ლაშას გასვლის შემდეგაც კარგა ხანს ხმამაღლა გაყვიროდა:

— გამოჩნდა ახალი სპილბერგი! ნეტავ, თავი ვინ ჰგონია? კრეტინი!..

უეცრად მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა.

— ნეტავ, ეს ვინღა ოხერია? — ჩაიბურტყუნა დირექტორმა, თუმცა ყურმილში მაინც შეძლებისდაგვარად მშვიდად ჩასძახა: — გისმენთ!

— მოგესალმებით. კომპანია „საქინტერკოსმეტიქსიდან“ გაწუხებთ.

— დიახ, დიახ, — ყურადღებით გისმენთ.

— ბოლო სარეკლამო რგოლის თაობაზე გირეკავთ.

— კონკრეტულად რომლის თაობაზე? შემახსენეთ, თუ შეიძლება.

— ჩვენი ტუჩის საცხის რეკლამა რომ არის, იმაზე...

— გასაგებია. თუ ამ რგოლის მიმართ რაიმე პრეტენზია გაქვთ, შეგვიძლია, ხელახლა გადავიღოთ, — ხმა დაიტკბო დირექტორმა, — მესმის, რომ მთლად კარგი ვერ გამოვიდა, რაც თავიდან ბოლომდე ერთი ჩვენი თანამშრომლის ბრალია. სხვათა შორის, ჩვენ ის უკვე გავათავისუფლეთ.

— რას ამბობთ? სწორედ ამ არაჩვეულებრივი რეკლამისთვის მადლობის სათქმელად დაგირეკეთ. ყველაფერი შესანიშნავი იყო. ამ რგოლის ჩვენების შემდეგ ჩვენი პროდუქციის გაყიდვის მოცულობა თითქმის ორჯერ გაიზარდა.

— რაო? — გაოცებისგან პირი დააღო დირექტორმა.

— დიახ, დიახ... და კიდევ 3 ასეთი რგოლის შეკვეთას ვაპირებთ...

— რას მეუბნებით?...

— აი, წინა 2 კი სასწრაფოდ უნდა მოვხსნათ.

— როგორც ინებებთ... კლიენტის სურვილი ჩვენთვის კანონია!

— მაშინ დროებით.

— დროებით... — ყურმილი კინაღამ ყურზე მიეყინა სააგენტოს დირექტორს, თუმცა როგორც კი ის თავის ადგილზე დააბრუნა, ტელეფონი ისევ აწკრიალდა.

— ფირმა „ვოიაჟიდან“ გაწუხებთ. გილოცავთ! ეს სრულიად ახალი დონეა. უკვე აშკარად იგრძნობა პროფესონალის ხელი. რეკლამა კი არა, ნამდვილი ფანტასტიკაა!.. ერთ კვირაში იმაზე მეტი პროდუქცია გავყიდეთ, მანამდე მთელ თვეშიც რომ იშვიათად ვყიდდით. მაპატიეთ, მაგრამ თქვენი ადრინდელი რეკლამები ნამდვილი ნაგავ... მოკლედ, არაფრად ვარგოდა... თუ მომავალშიც ამ სტილში გააგრძელებთ მუშაობას, თქვენი მუდმივი კლიენტი გავხდებით...

— გგასაგებია... გგავაკეთებთ... — დირექტორმა ენა ძლივსღა მოაბრუნა.

როცა ტელეფონმა მესამედ დარეკა და ამჯერადაც ისევ ლაშას მიერ მომზადებული ვიდეორგოლის ქება დაიწყეს, დირექტორმა ყურმილს ხელი დააფარა და მთელი ხმით იღრიალა:

— ჩქარა!.. ლაფაური მოაბრუნეთ!

მაგრამ ლაშა აღარ მიბრუნდა...

უკვე მესამე დღე იყო, რაც ლაშა საკუთარ ბინაში ტახტზე იყო მიგდებული. სარეკლამო სააგენტოდან წამოსვლის შემდეგ მელანქოლია მოეძალა. ხვდებოდა, რომ უთუოდ რაღაც უნდა ეღონა და როგორმე ცხოვრებას დაჰბრუნებოდა, მაგრამ თავს ვეღარაფერს უხერხებდა. ერთადერთი, რაც გარე სამყაროსთან ასე თუ ისე, კიდევ აკავშირებდა, ტელეფონი იყო, რომელიც თავს ახსენებდა. ძირითადად მისი მდგომარეობით შეწუხებული მეგობრები და ყოფილი კოლეგები ურეკავდნენ. ახალ ამბებსა და ჭორებს უყვებოდნენ და ამ გზით მისთვის ყურადღების მიქცევასა და მორალური მხარდაჭერის გამოხატვას ცდილობდნენ. რამდენჯერმე ევროპიდან მაკა ლაღიძემაც დაურეკა და მისი მდგომარეობით დაინტერესდა. სრულიად ინდიფერენტული ლაშა ყველას ერთსა და იმავეს — „ყველაფერი კარგადაა... ყველაფერი ნორმალურადაა...“ — პასუხობდა.

თუმცა ერთმა ზარმა გახევებიდან მაინც გამოიყვანა. ერთმა ძველმა, „სპექტრელმა“ კოლეგამ, ანდრო კილაძემ ამერიკის

შეერთებული შტატებიდან დურეკა:

— ხედავ, ბიჭო, რაები ხდება დუნიაზე?

— რა იყო? — უხალისოდ ჰკითხა ლაშამ.

— როგორ, შენ ჯერ კიდევ არაფერი იცი? — გაუკვირდა ანდროს. — ნახევარი ამერიკა ჩალუსკუმდა.

— ეგ როგორ?

— რაღაც დიდი ავარიაა. ზოგი უკვე ტერაქტზეც კი ალაპარაკდა... ნამდვილი კოშმარია...

— ჰო, ამერიკელებისთვის შუქის გამორთვაც კი კოშმარი იქნება, აბა, რა...

მიუხედავად იმისა, რომ ეს საუბარი ძალიან შორეული და ლაშასთვის თითქოს არაფერი არსებითის მთქმელი არ იყო, ყოფილ კოლეგასთან გამომშვიდობების შემდეგ კიდევ უფრო მეტად გადაულახავმა სევდამ და უიმედობამ შეიპყრო. ლაშამ ბოლომდე გაისიგრძეგანა, რომ მას უბრალოდ სამსახური კი არ დააკარგვინეს, საყვარელი საქმის კეთების, მოვლენების შუაგულში ყოფნის, მათი განცდისა და ამ განცდის დანარჩენი სამყაროსთვის გაზიარების უფლებაც წაართვეს.

ამასობაში ტელეფონმა ისევ დარეკა.

— ალო, ლაშა, ტატა ვარ...

— ტატა?

— ჰო, გიგი ბურდულის ქვრივი. გახსოვარ?

— აა, როგორ არ მახსოვხართ, — ტრაგიკულად დაღუპული თავისი ოპერატორის ცოლის სახელი ძლივს გაიხსენა ლაშამ, — გამარჯობა, ტატა.

თავად ქალი ლაშას მართლაც კარგად ახსოვდა. ერთხელ გიგიმ ლაშა და კიდევ რამდენიმე კოლეგა სახლში დაპატიჟა. ლაშას ტატა გაცნობის პირველი წუთებიდანვე არ მოეწონა. ეს უზადო გარეგნობის ვნებიანი ახალგაზრა ქალი მამაკაცებს უცბად გაუშინაურდა, ლაშას კი თვალს საერთოდ აღარ აცილებდა. ხმები დადიოდა, რომ გიგის ხანგრძლივ მივლინებებში ყოფნისას ტატა არასდროს იწყენდა და არაერთ საეჭვო დაწესებულებას არანაკლებ საეჭვო რეპუტაციის მამაკაცების თანხლებითაც სტუმრობდა. ლაშას ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ ტატას ტიპის ქალები მარტოობით არც დაქვრივების შემდეგ იტანჯებიან. ბოლოს ერთმანეთი სწორედ გიგის დაკრძალვაზე ნახეს.

— ლაშა, საყვარელო, უნდა მიშველო! — ფიქრის ძაფი მალევე გაუწყვიტა მამაკაცს ტატამ.

— მოხდა, რამე? — ლაშამ გულს გარეთ ჰკითხა.

— მეტი რაღა უნდა მოხდეს! ერთადერთი შვილი მიკვდება. — ასლუკუნდა ყურმილში ტატა, — გულის იშვიათი დაავადება აღმოაჩნდა და სასწრაფო ოპერაცია სჭირდება. ექიმებმა მითხრეს, ოპერაციის გარეშე რამდენიმე თვესღა თუ გაატანსო...

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ აბა, რით შემიძლია, თქვენი დახმარება? — ჰკითხა ლაშამ და ახლა იმან გააკვირვა, გიგის შვილის არსებობა აქამდე საერთოდ რომ არ სმენოდა.

— ასეთ ოპერაციებს ისრაელში აკეთებენ, — სლუკუნს განაგრძობდა ტატა, — და ოცი ათასი დოლარი ჯდება. ჰოდა, მეც ვიფიქრე, რომ იქნებ შენ დამხმარებოდი, თორემ ვისაც კი კარზე მივადექი, ყველამ უარით გამომისტუმრა. ხომ იცი, ჩვენთან როგორცაა: სანამ ქალს ქმარი ჰყავს, გიყვარდეს, ქმრის ყველა ახლობელი და მეგობარი მისი ახლობელი და მეგობარიცაა, მაგრამ საკმარისია, დაქვრივდეს, რომ მაშინვე ყველას ავიწყდება.

— ახლა არც მთლად ასეა საქმე... — შეწუხდა ლაშა. — ქართველებს ჯერ ერთმანეთის გატანა ბოლომდე ნამდვილად არ დაგვიწყნია... მაგრამ ასეთი ფული ნამდვილად არ მაქვს. მე ახლა საერთოდაც უმუშევარი ვარ.

— მაგრამ შენ ხომ ცნობილი ჟურნალისტი ხარ, ბევრი გავლენიანი მეგობარი გყავს და სარფიანი კავშირებიც უნდა გქონდეს. — მაინც არ ცხრებოდა ტატა.

— ჰო, მაგრამ...

— გეხვეწები, გიგის ხსოვნის გამო მაინც დამეხმარე. თქვენ ხომ მარტო თანამშრომლები კი არა, მეგობრებიც იყავით...

ლაშამ აღარ იცოდა, წონასწორობიდან გამოსული ქალისთვის რა ეპასუხა. რა თქმა უნდა, კავშირებიანი მეგობრები და ნაცნობები მრავლად ჰყავდა, მაგრამ მათ მსგავსი თხოვნით არასდროს მისდგომია. თანაც, გიგისთან მის ურთიერთობასაც ვერ დაარქმევდი მეგობრობას. მხოლოდ საერთო საქმე თუ აკავშირებდათ. თუმცა ლაშა იმასაც მიხვდა, რომ ტატამ მას სრულიად გამოუვალი მდგომარეობისა და სასოწარკვეთილების გამო მომართა. ამიტომ, მცირეოდენი ფიქრის შემდეგ, გადაწყვეტილება მაინც მიიღო:

— კარგი, ვეცდები, როგორმე დაგეხმაროთ.

— შემოგევლე, ლაშიკო, ვიცოდი, რომ არ გამწირავდი. ახლა მხოლოდ შენზეა დამოკიდებული ჩემი ერთადერთი შვილის სიცოცხლე... ხომ იცი, გიგის შემდეგ ისღა დამრჩა ნუგეშად...

ტატასთან ლაპარაკის შემდეგ ლაშამ ისეთი სიმძიმე იგრძნო, თითქოს მხრებზე უსაშველო ტვირთი აჰკიდესო. მაგრამ გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა, სიტყვის გატეხა კი არ სჩვეოდა. ამიტომ ტელეფონის ყურმილი აიღო და უახლოესი მეგობრის ნომერი აკრიბა...

პირველმა სამმა დღემ რაღაც შედეგი ნამდვილად გამოიღო. მეგობრებმა და ნაცნობებმა, რომლებიც, ლაშას თავაზიანი უარის მიუხედავად, მატერიალურ დახმარებას კიდევ და კიდევ სთავაზობდნენ, მაშინვე ჯიბეზე გაიკრეს ხელი. ამ გზით ლაშამ სამი ათას დოლარამდე მოაგროვა და მაშინვე ტატას დაურეკა.

— ეს ხომ ძალიან ცოტაა! — შეიცხადა ქალმა, თუმცა ფულის წასაღებად ლაშასთან უსწრაფესად მიქანდა. — ლაშიკო, გემუდარები... ხომ იცი, რომ კიდევ ჩვიდმეტი ათასია საჭირო და გზის ფულიც, რაღა თქმა უნდა...

— რა ვქნა? — დამნაშავესავით აიწურა მხრები ლაშამ. — რაც შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებ.

შემდეგმა სამმა დღემ კიდევ უფრო ნაკლები შედეგი გამოიღო. ლაშამ მხოლოდ 1.000 დოლარის მოგროვებაღა მოახერხადა ისიც — დიდი გაჭირვებით. ტატა კი უკვე ისტერიკას ისტერიკაზე აწყობდა.

— ხომ იცი, რომ ყოველი დღე ძვირფასია. გეხვეწები, უფრო სწრაფად მოიფიქრე რამე!

— აბა, სხვას რას ვაკეთებ? — ოხრავდა ლაშა და მორიგი ტელეფონის ნომრის აკრეფას იწყებდა, თუმცა უკვე სრულიად უშედეგოდ.

კიდევ რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ კი დასარეკიც აღარსად დარჩა. თუმცა იყო კიდევ ერთი ტელეფონის ნომერი, რომელიც ლაშას ერთმა შორეულმა ნაცნობმა შეაჩეჩა. ის ძალზე საეჭვო ფირმა „ომეგას“ ეკუთვნოდა, რომელიც ცნობილ ადამიანებთან დაკავშირებულ სკანდალებზე სპეციალისტდებოდა. ფირმა საკმაოდ კარგ ფულს უხდიდა ყველას (პირველ რიგში კი ჟურნალისტებს), ვინც ცნობილი ადამიანების მაპროვოცირებელ რაიმე ინფორმაციას, ფოტოსა თუ ვიდეომასალას მიაწვდიდა. შემდეგ კი ამ მასალებს გავლენიან პრესასა და ტელევიზიებს მიუგდებდა ხოლმე და ხშირად გრანდიოზული სკანდალის პროვოცირებასაც კი ახერხებდა. ლაშამ იცოდა, რომ ფირმას ვიღაც დიდი მფარველი ჰყავდა და ათას უმსგავსობასაც დაუსჯელად სწორედ ამის გამო სჩადიოდა, თუმცა კონკრეტულად ვინ იყო ეს ადამიანი, თუ სულაც ადამიანთა ჯგუფი, ამის გარკვევა ვერაფრით მოახერხა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“, №14-26

„რა ლამაზია! ნეტავ, ეს არის თათა? როგორ მიყურებდა?!“ — გაიფიქრა აჭარხლებულმა სალომემ და უცნობი ქალის ცნობისმოყვარეობით დაძაბულმა გზა ფეხარეულმა გააგრძელა.

ბუფეტში სუფრა მართლა გაეშალათ. ქალებმა ინტერესითა და შურით სავსე მზერა სალის მიაპყრეს. მათ არც მამაკაცები ჩამორჩნენ, ხარბად ათვალიერებდნენ გოგონას თავით ფეხამდე და ვინ იცის, გულში როგორ შენატროდნენ თავიანთ უფროსს, ეს რა ქალი „დაუთრევიაო“.

მაგიდა სავსე იყო ნუგბარით. სხვადასხვა სახეობის ნამცხვარი, შოკოლადი, ხილი და წვენები გამომწვევად უღიმოდა სალის. ყველანი ისე თბილად შეხვდნენ, დაძაბულობა ცოტათი მოეხსნა.

ის იყო, დასხდნენ, რომ კარი გაიღო და ის ლამაზი გოგო შემოვიდა, წეღან დაჟინებით რომ მისჩერებოდა დერეფანში. სალიმ იგრძნო, როგორ აეწვა სახე, სიწითლისგან ღაწვები უარესად გაუხურდა.

— აი, ანიც მოვიდაააა! — შესძახა მიშამ და მოსულს ხელებგაშლილი მიეგება. — მოდი, სტუმარი გაგაცნო! ეს სალომეა, ვაკოს მეგობარი... ეს კი ანია, ჩემი სიცოცხლე და სიხარული! — მამაკაცმა ქალები ერთმანეთს წარუდგინა. — ამ შემოდგომას არ გადავაცილებთ, — ვითომ დიდი საიდუმლო გაანდო მამაკაცმა სალის, — აქედანვე იცოდეთ, რომ დაპატიჟებული ხართ ჩვენს ქორწილში.

სალომემ შვებით ამოისუნთქა. ის არ ყოფილა, ვინც ეგონა. რა ბედნიერებაა! რადგან ასეა, ჯობია, თვითონაც მოვიდეს ხასიათზე და საერთო მხიარულებას შეუერთდეს.

გოგონამ კმაყოფილი ღიმილით გადახედა სუფრის წევრებს და... იცოცხლე, მოულხინა და რა მოულხინა! წრუპა და წრუპა შამპანური.

მშვენიერი საღამო გამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ რესტორანში არ წასულან. რა კარგი კოლექტივი ყოფილა! ისე გაიშინაურეს სალი, თითქოს წლების განმავლობაში მათ გვერდით ემუშაოს. ყველა მასთან გადადიოდა ალავერდს, ვინც სადღეგრძელოს იტყოდა... ისიც სვამდა და სვამდა, ჭიქაში წვეთს არ ტოვებდა...

როცა ვაკოს შინ მოჰყავდა, მხოლოდ მაშინ გააცნობიერა, რომ ზედმეტი მოუვიდა და კარგა გვარიანად იყო შეზარხოშებული.

მთელი გზა ხმა არ ამოუღია იმის შიშით, ენის ბორძიკი არ დამეწყოს და საუბრისას სიმთვრალე არ შემეტყოსო. არც მამაკაცს მოუკლავს თავი ლაპარაკით. მთელი გზა მდუმარედ გაიარეს, ორივე თავის ფიქრებში იყო ჩაძირული.

შინ მისულს მარინა სახლში დახვდა. ძმისშვილს ისე გაჰბრწყინებოდა თვალები, მამიდა ადვილად მიხვდა, რომ კარგ ხასიათზე იყო. მაშინვე გამოკითხვა დაუწყო, — დრო როგორ გაატარე, რა გითხრეს, როგორ შეგხვდნენ, ვაკომ რა თქვა, იმან რა უპასუხა და ასე შემდეგ...

სალომემ მამიდის ცნობისმოყვარეობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა, მერე კი დაღლილობა მოიმიზეზა და დასაძინებლად დაწვა.

მეორე დილით თავის ტკივილმა გამოაღვიძა. წყალი გადაივლო, იქნებ შხაპმა ტკივილი მომიხსნასო, მაგრამ არ უშველა. საუზმეზე გულის რევის შეგრძნება არ მოშორებია. ორიოდე ლუკმა ძლივს გადაყლაპა.

— იმდენ შამპანურს რომ ყლურწავდი, აბა, რა გეგონა? მაგ მდგომარეობას კაცების ენაზე „პახმელია“ ჰქვია, — გაეხუმრა მარინა.

სალი ლამის აკვნესდა, ისე ცუდად გრძნობდა თავს.

— არა უშავს, სიხარულო, ხანდახან განტვირთვისთვის აუცილებელიც არის ზედმეტი ალკოჰოლის მიღება, — დაამშვიდა მამიდამ, — წადი, წაუძინე და შუადღემდე გაგივლის, ეგ არაფერია.

საწოლიდან მთელი დღე არ ამდგარა, შიგადაშიგ წათვლიმა კიდეც, მაგრამ ღებინების შეგრძნებამ მაინც არ გადაუარა. არც მეორე დღეს გამოუკეთდა გუნება-განწყობილება. ის კი არა, რაც დრო გადიოდა, მით უარესად ხდებოდა. თავბრუ ეხვეოდა, სისუსტე მოეძალა, ჭამის მადა დაკარგა... იფიქრა, ალბათ შამპანურმა მომწამლაო.

მესამე დღეს ვაკომ დარეკა და ქალები მოიკითხა. სალიმ დაუმალა, ცუდად რომ იყო, არ უნდოდა, მამაკაცი მის სანახავად მოსულიყო და ამ დღეში ენახა.

— მე ქალაქიდან რამდენიმე დღით გავდივარ, — აუწყა ვაკომ, — არ ვიცი, როდის დავბრუნდები. რაღაც-რაღაცები უნდა მოვაგვარო. თქვენ კი უჩემოდ არ მოიწყინოთ.

„რამდენ ხანსაც გაგიხარდება, იმდენ ხანს დარჩი იქ, სადაც მიდიხარ“, — გაიფიქრა გოგონამ, თუმცა კი ცნობისმოყვარეობა კლავდა, გაეგო, საით მიემგზავრებოდა მისი მტანჯველი და ვისთან ერთად. თუმცა, ამ ეტაპზე მისთვის უკეთესიც იყო, ვაკო არ გამოჩენილიყო. ერთგვარი შვებაც კი იგრძნო. მაგრამ რატომ აქამდე არ ახსენა, გამგზავრებას თუ აპირებდა? ნუთუ გუშინწინ არ იცოდა, წასვლა რომ მოუწევდა? სალის კი არა, მარინასაც გაუკვირდა, როცა ეს ამბავი გაიგო. „ალბათ ამ გზით უნდა, რომ უხერხული სიტუაციები ამარიდოს, რათა მამიდა არაფერს მიხვდეს“, — დაასკვნა გოგონამ.

სალომე იმედოვნებდა, რომ უგუნებობა მალე გაუვლიდა, მაგრამ მწარედ შეცდა...

მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მიხვდა, რა იყო მისი ცუდად ყოფნის მიზეზი...

ნუთუ ორსულად არის? არა, ოღონდ ეგ არა! ღმერთო, უშველე! ან კი როდის მოასწრო? შეიძლება, ერთხელ დაწვე მამაკაცთან და მაშინვე დაორსულდე? ნუთუ ასეც ხდება? არადა, ისე სპონ-

ტანურად მოხდა ყველაფერი... ჯერ ხომ ერთი თვეც არ გასულა იმ დღიდან? არა, როგორ არა, თვეზე მეტიც გავიდა... ამის გაფიქრებაზე ოფლმა დაასხა. რა ეშველება ახლა? იქნებ ცდება? მერე რა, რომ ციკლი დაერღვა, იქნებ ჯერ ტესტი ჩაიტაროს? წინასწარ რატომ ნერვიულობს?

სწრაფად გადაიცვა კაბა და აფთიაქში გავარდა ტესტის საყიდლად. სანამ პროცედურას ჩაიტარებდა, თავისი დაემართა...

ახლა კი იდგა ხაზგაწითლებული ჩხირით ხელში და თავბედს იწყევლიდა. მორჩა! ყველაფერი დამთავრებულია! სალომე ორსულადაა და ამის შესახებ ჯერჯერობით არავინ იცის. არც უნდა გაიგოს ვინმემ, განსაკუთრებით ვაკომ. არც მამიდამ! რა ქნას? მოიცილოს ეს ბავშვი? რა საშინელებაა! ამის გაფიქრებაც კი ზარავს! საკუთარი შვილი როგორ უნდა მოკლას? მან რა დააშავა, თუ თვითონ არის უთავბოლო და დაუფიქრებელი? სად იყო მაშინ, როცა მამაკაცს ყელზე ეკიდებოდა? უკვე გვიანაა თითზე კბენანი.

არა უშავს, ახლა უკვე დააჩქარებს მოსკოვში გამგზავრებას და მერე იქ იფიქრებს, როგორ მოიქცეს. არც არაფერია მოსაფიქრებელი. ბავშვს გააჩენს და მარტოხელა დედა გახდება. მარინა, რა თქმა უნდა, გაიგებს, ოღონდ მერე, მოგვიანებით და აუცილებლად დაეხმარება. ყველანაირად დაუდგება გვერდით. ახლავე რომ უთხრას? არა, ახლა არ ივარგებს. ის ვერ მოითმენს და ვაკოს „ახარებს“ ამ ამბავს. ის კი... ის კი იფიქრებს, რომ მის ჯინაზე აჩენს იგი ბავშვს, მის გასამწარებლად. იფიქრებს, რომ სპეციალურად მოუწყო ასეთი სიურპრიზი, რათა სალომ მის ცოლობას გამოჰკრას ხელი. და რა იქნება შედეგი? ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცევა. არ უნდა! აჯობებს, ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც ახლაა — არავინ არაფერი უნდა გაიგოს!

სალის განსაკუთრებით დილაობით უჭირდა. უზმოზე საშინლად ერეოდა გული, ხანდახან სააბაზანოს კარამდე მისვლასაც ვერ ასწრებდა. მერე რა, რომ კუჭი ცარიელი ჰქონდა? მაინც აზიდებდა. „ბორჯომი“ მოიმარაგა გოგონამ, თავთან დაიდგა და დილით, გაღვიძებისთანავე, გაზგასულ სასმელს მოწყურებული მიეძალებოდა ხოლმე. მერე უფრო უადვილდებოდა ღებინება, მწარე გემო არ რჩებოდა პირში.

ნეტავ, მალე გაიაროს ამ პერიოდმა. მთელი ორსულობა ხომ არ ექნება ტოქსიკოზი? ჯერჯერობით ახერხებდა იმას, რომ მარინას არ შეემჩნია მისი „მიზეზიანობა“. მხოლოდ ერთხელ შემოუსწრო ქალმა, როცა ნიჟარაში თავით იყო ჩაყუდებული, მაგრამ ადვილად შეძლო მისი დარწმუნება, რომ საჭმელმა მოწამლა.

ვაკო ხშირად რეკავდა, რათა მარინას არ ეფიქრა, რომ წყვილის სიყვარულმა „ჩაილურის წყალი“ დალია. ჯერ მარინას დაელაპარაკებოდა, მერე სალის და ათასგვარ უინტერესო თემაზე ესაუბრებოდა, რათა დამაჯერებელი ყოფილიყო მათი სასიყვარულო ურთიერთობა. საუბრის ბოლოს კი დაჟინებით სთხოვდა გოგონას, ეთქვა მისთვის, მიყვარხარო.

— ხმამაღლა თქვი, რომ მამიდაშენმა გაიგონოს, გესმის? — მოითხოვდა მამაკაცი. — მიანიჭე მას ეს ბედნიერება.

სალომეს სულაც არ ჰქონდა სიყვარულის ახსნის თავი. იმდენად ცუდად იყო, ასეთ წუთებში მისთვის სულერთი იყო, ვის რა ესიამოვნებოდა და ვისთვის რისი მოსმენა იქნებოდა სასიხარულო, მაგრამ თავს მაინც ძალას ატანდა. მისი ეს ტანჯვა ვაკოს აშკარად სიამოვნებას ანიჭებდა. საუბრის კილოზე ეტყობოდა, რომ ფრიად კმაყოფილი რჩებოდა სალის „ძალად აღიარებითი“ სიყვარულით. ერთი პერიოდი, სალიმ მტკიცედ გადაწყვიტა, მამიდასთვის სიმართლე ეთქვა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ვერ გაბედა. მაინც შეეშინდა. ახლა რომ ცუდად გამხდარიყო გამზრდელი, გოგონა ნამდვილად ვერ მოუვლიდა, ამის ძალა აღარ შესწევდა. ამიტომ გაჩუმება ამჯობინა.

ერთ საღამოსაც, ვაკომ დარეკა და ქალებს ახარა, ხვალ ჩამოვდივარო. სალის გული კინაღამ გაუჩერდა. რა მოხდება, რამე რომ შეატყოს? ის ხომ ბოლო ხანებში ძალიან შეიცვალა? გახდა, სახე გაუფითრდა, ტუჩებიც გაუუფერულდა და ჩაეტეტკა. ცხვირის გარშემო ჭორფლებივით ყავისფერი ლაქებიც კი გაუჩნდა... არა უშავს, მერე, რა? კარგად რატომ უნდა იყოს? ამხელა ნერვიულობა გადაიტანა მის გამო, რამ უნდა გაახაროს? ნერვიულობამ თავისი კვალი დაამჩნია, ეგ არის და ეგ. აი, ამით იმართლებს თავს. „მაგრად დადექი, პატარავ! ისე მოიქეცი, თითქოს არაფერიც არ მომხდარა! ეჭვის ოდნავი საბაბიც არ გაუჩინო მაგ საზიზღარს!“ — ამხნევებდა თავის თავს საღამოს განმავლობაში.

მთელი ღამე იწრიალა ლოგინში. „არ ვიცი, რომელ საათზე შემოგივლით, — ყურში ახლაც ჩაესმოდა მამაკაცის ხმა, — ალბათ უფრო გვიან საღამოს, მაგრამ ჩემს მოსვლამდე ნუ დაწვები. ხომ იცი, არ არის ღამაზი, შეყვარებულს არ დაელოდო. მამიდაშენს ეჭვი შეეპარება“. არადა, როგორ არ ადარდებდა სალის ახლა, დახვდებოდა თუ არა ფეხზე „ფსევდოშეყვარებულს“! ბოლო დღეებში ისეთ მდგომარეობაში იყო, არავის ნახვა არ უხაროდა, არც არავის ხმის გაგონება და, საერთოდ, აღარაფერი ახარებდა.

მეორე დღესაც უხასიათოდ გადიგამოდიოდა ოთახიდან აივანზე, ადგილს ვერ პოულობდა. მარინა დილით სადღაც გავიდა, შინ მხოლოდ შუადღისას მობრუნდა. ამით ისარგებლა სალიმ და როგორც კი ქალი დაბრუნდა, მაშინვე საძინებელში შევარდა, ცოტა ხნით წავუძინებო და საღამომდე ოთახიდან არ გამოსულა.

რაც უფრო ახლოვდებოდა ვაკოს მოსვლის დრო, მით უფრო იპყრობდა შიში, უფრო და უფრო იძაბებოდა. მისდა საბედნიეროდ, მამაკაცი იგვიანებდა. მარინამ მეტი ვეღარ გაძლო.

— ძალიან დავიღალე, — დაიწუწუნა, — ლოდინის ძალა აღარ შემწევს. გარდა ამისა, ის შენს სანახავად უფრო მოდის, ვიდრე ჩემს მოსაკითხად. აკოცე ჩემ მაგივრად და უთხარი, ხვალ შემოიაროს, კარგი? — და დასაძინებლად გაეშურა.

ამასობაში თორმეტი დაიწყო. სალიმაც გადაწყვიტა დაწოლა. წელან კიდევ ერთხელ აერია გული. ახლა მართლა არ უნდოდა, ვაკო მოსულიყო. სრულიად გაუქრა მამაკაცთან არათუ ინტიმური, უბრალო სიახლოვის სურვილიც კი. სწორედ ის დროა, მათი სამუდამო განშორების პროცესი დაიწყოს და ამ პროცესს თავად უნდა ჩაუყაროს საფუძველი.

გვიან, ძალიან გვიან მოვიდა ვაკო, საოცრად დაღლილი სახე ჰქონდა.

— მობრძანდი, — შემოიპატიჟა

გოგონამ, გაკვირვებულმა იმით, რომ ხმა გაჰბზაროდა.

უცნაურია, სულაც არ უნდოდა მისი ნახვა და რამ აუკანკალა მუხლები? ასე რატომ მოუდუნდა სხეული? გული



რატომ უცემს ასე გამალებით? ღამისაა, ბუდიდან ამოუხტეს.

— მამიდა უკვე დაწვა, — ძლივს ამოთქვა გოგონამ, — შენთან მოკითხვა დამაბარა და მოგიბოდიშა, ცოტა შეუძლოდ გრძნობდა თავს, ვეღარ დაგელოდა.

— ვიცი, რომ უკვე გვიანია, — თქვა მან, — მაგრამ...

— ჯობდა, ხვალ მოსულიყავი.

— არ დაგავიწყდეს, რომ ყურებამდე ვარ შეყვარებული, — ვაკოს დანისლული ნაცრისფერი თვალები ყურადღებით ათვალიერებდა მის სახეს, — რაღაც ყოჩაღად ვერ გამოიყურები. ასე დაგღალა მამიდაშენმა?

სალი ელოდა მისგან ასეთ რეაქციას, ამიტომ პასუხიც წინასწარ ჰქონდა მომზადებული. ნაზად გაიღიმა და თავი გადააქნია.

— უბრალოდ, ძალიან მეძინება, სხვა არაფერი, — უპასუხა და შეტრიალდა, რათა მამაკაცს სხვა „გამყიდველი ნიშნებიც“ არ აღმოეჩინა მის სახეზე, — დალევ რამეს?

ვაკომ ოფლით დაცვარული შუბლი ხელისგულით მოიწმინდა.

— მაგარ ყავას კი დავლევდი, თუ არ გეზარება მოდუღება. ვიცი, ღამით ყავა რომ მავნებელია, მაგრამ ახლა ცოტათი თუ არ გამოვცოცხლდი, შეიძლება, აქვე გავგორდე. ძლივს ვდგავარ ფეხზე, მაგრად დავიღალე.

ჰოდა, სალიც მაგას არ ამბობს? რას მოდიოდა? ხვალინდელი დღე არ გათენდებოდა, თუ რა? ვერაფერი გაუგია...

სალი თან ფიქრობდა, თან ყავას ადუღებდა. ვაკო აივანზე, სავარძელში უძრავად მოკალათებულიყო. გოგონამ ორი ფინჯანი ყავა გამოიტანა და რომ შეხედა, იფიქრა, ჩაეძინაო. მამაკაცს ფეხები წინ ჰქონდა წაწეული, ხელები გულზე დაეკრიფა, თავი სავარძლის საზურგეზე მიედო და თვალებდახუჭული თანაბრად სუნთქავდა. როცა იგი მიუახლოვდა, მხოლოდ მაშინ გაახილა თვალები და სალის გვერდულად გახედა. კიდევ კარგი, აივანზე მხოლოდ ერთი ნათურა ბჟუტავდა, თორემ მამაკაცი ადვილად შეამჩნევდა მის აჭარხლებულ ღაწვებს.

ბოლო დღეებში სალომე მთელი ძალისხმევით ცდილობდა, რაც შეიძლება, ნაკლები ეფიქრა მასზე, უნდოდა, როგორმე დაევიწყებინა იგი. არწმუნებდა თავის თავს, ამიერიდან ვაკო აღარაფერში მჭირდებაო, მაგრამ აი, დაინახა თუ არა, ყველაფერი თავიდან დაიწყო. როგორც კი ერთი ხელის გაწვდენაზე მიუახლოვდა, მიხვდა, რომ მთელი სულით და გულით მხოლოდ ამ მამაკაცს ეკუთვნოდა და სხვას არავის.

— ეს დასვენების პირველი წუთია, რომლის შესაძლებლობაც მომეცა მას შემდეგ, რაც გავემგზავრე, — თქვა ვაკომ.

— კარგად მოიარე? ყველაფერი მოაგვარე?

ვაკომ ოდნავ შეარხია ნესტოები.

— შენ ეს ძალიან გაინტერესებს?

სულაც არ არის აუცილებელი, შერლოკ ჰოლმსი იყო, რათა მის აზრებს ბოლომდე ჩასწვდე. მიხვდა სალი, საითკენაც უმიზნებდა მამაკაცი, მაგრამ აბა, რისი სალომე იქნებოდა, ამას ვერ მიმხვდარიყო.

— სულაც არა. ისე, ზრდილობის გულისთვის გკითხე.

— რა ხდება თქვენკენ ახალი?

— ისეთი არაფერი, ყველაფერი ძველებურად არის.

— იმ ბავშვმა რა ქნა?

— რომელმა ბავშვმა? — ვერ მიხვდა სალი.

— შენ რომ „გაგყიდა“.

— ა! ნინიზე მეკითხები? გამოცდები წარმატებით ჩააბარა და ჩაირიცხა კიდეც.

— ყოჩაღ! კოჭებზე ეტყობა, ეგ გოგო შორს წავა.

— ჰო.

— სხვათა შორის, შენ რომ არ ყოფილიყავი, აუცილებლად შებმას დამიწყებდა, მაგრამ შენი შიშით ვერ გაბედა.

— ჩემი შიშით? ჯერ ერთი, მას არავისი ეშინია და მეორეც, არა მგონია, ეგეთი საშიში ვიყო.

— ეგ არ მიგულისხმია. შენმა ფაქტორმა შეაკავა-მეთქი, უნდა მეთქვა, რათა ადვილად მიმხვდარიყავი, რისი თქმაც მინდოდა.

— როგორც ჩანს, შენც მოგეწონა, ისე დანანებით ლაპარაკობ მასზე... — ირონიულად შენიშნა გოგონამ.

— მე შენ ვინ გგონივარ? — წარბები შეკრა მამაკაცმა. — ვგავარ იმ ადამიანს, ლიფსიტებზე რომ ნადირობს?

— მაგრამ ეგეთი ლიფსიტების ნათქვამის ხომ ბოლომდე გჯერა? — მწარედ ჩაურტყა.

ვაკომ თავი გააქნია. მიხვდა, რომ სისულელე ჩაიდინა, ახლა აქ რომ მოვიდა, მაგრამ თავს ვეღარ მოერია. რა წარმოდგენაც არ უნდა ჰქონოდა სალომეზე და როგორი გაბრაზებულიც არ უნდა ყოფილიყო მასზე, მისი სხეული გონებას უკარგავდა. ყველგან, სადაც უნდა ყოფილიყო, თვალწინ მისი სახება ედგა... დღეც, ღამეც... განსაკუთრებით ღამით, როცა მარტო რჩებოდა თავის თავთან, ფანტაზიებს იშველიებდა და წარმოიდგენდა, რომ სალომე გვერდით ეწვა. ოცნებებში ეალერსებოდა. მის თავს წარმოუდგენელი რამ ხდებოდა. არასდროს არც ერთი ქალის გამო არ ჩავარდნილა ასეთ დღეში. ის ახლა ტყვეობაში იმყოფებოდა, ამ გასაგიჟებლად კარგი ქალის ტყვეობაში!

სწორედ ამ გრძნობამ მოიყვანა ამაღამაც აქ, მიუხედავად იმისა, რომ შუაღამე მოახლოვდა. სალის სიახლოვეს საოცარ სიმსუბუქეს განიცდიდა, სწორედ მაშინ ხვდებოდა, რა მშვენიერია სიცოცხლე, რა საამურია ცხოვრება! რა დიდი სიამოვნებით ჩაისვამდა ახლა კალთაში და მოეფერებოდა! სამწუხაროდ, მის ამ ნატვრას ასრულება არ ეწერა. ისინი მარტო არ იყვნენ სახლში, ამიტომაც მოუწევდა თავის შეკავება.

სალის ნათურის შუქი არ ეცემოდა, ამიტომ ვაკო მის სახეს ვერ ხედავდა. გოგონას ანთებულ თვალებს მხოლოდ მაშინ ხედავდა, როცა თავს მისკენ მოაბრუნებდა. რა მიმზიდველი ვინმე იყო! მამაკაცს კინაღამ სასულეში გადასცდა ნერწყვი!

ჯანდაბას! ნუთუ არ შეუძლია, გონებას მოუხმოს და გულგრილობა შეინარჩუნოს? სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მარტონი არ არიან. ეს ყველაზე დიდი ბარიერი იყო. არ ღირდა სურვილის გამომჟღავნება, ტყუილი მცდელობა გამოუვიდოდა მაინც.

ისე, რომ არა მარინა და მათი დიდი ხნის მეგობრობა, ვაკოს სალომე უკვე კარგა ხნის დავიწყებული ეყოლებოდა. მანამდე განდევნიდა თავისი ცხოვრებიდან ამ ლამაზ გოგონას. მაგრამ რადგანაც აუცილებლობა მოითხოვდა, ხშირად ენახა იგი, ეს უფრო უღვივებდა ისედაც გახურებულ გრძნობებს. სწორედ ეს გრძნობები ტანჯავდა, ნამდვილ ქაოსს ქმნიდა მის გონებაში, აზრებს უფანტავდა. რამდენჯერმე, საქმიანი შეხვედრის დროს, უეცრად დააფიქსირა, რომ მისდა უნებურად,

სალიზე ფიქრობდა. და იმდენად იტაცებდა ეს ფიქრი, იძულებული ხდებოდა, პარტნიორებისთვის ნათქვამის გამეორება ეთხოვა. ამის გამო ვიღაც-ვიღაცებმა უკვე უცნაურად დაუწყეს ყურება.

— ვაკო, მისმენ?

აი, ახლაც! ამჯერად კი სწორედ იმ ადამიანის საზოგადოებაში დაემართა იგივე, ვისაც ყველაზე დიდი წვლილი მიუძღოდა მისი გონების გაფანტვაში. სწორედ ეს ხმა იყო ყველაფერში დამნაშავე!

— მაპატიე... რა მითხარი? — ძლივს გამოერკვა მამაკაცი და შეირხა.

— ის გითხარი, რომ მოსკოვში ვაპირებ დაბრუნებას.

ვაკომ მსწრაფლ ასწია თავი და სავარძელში გასწორდა.

— ეს შეუძლებელია! — წამოიძახა და მაშინვე ინანა, რაც თქვა. სალის გამგზავრება ხომ საუკეთესო გამოსავალია მის დასავიწყებლად. ორივესთვის ასე აჯობებს და, პირველ რიგში, მისთვის.

— ვითომ რატომ? — ცივად შეხედა გოგონამ.

— მამიდაშენის გამო, რა თქმა უნდა! — მშვიდად მიუგო და გულში დაამატა, „იმიტომ, რომ სიგიჟემდე მინდიხარ! მიუხედავად ყველაფრისა, შენთან მინდა! აი, რა სისულელემდე შეიძლება, თურმე მივიდეს მამაკაცი“.

— მამიდას მოუწევს ამასთან შეგუება. უახლოეს დღეებში მასთან ამ თემაზე ვაპირებ დალაპარაკებას.

— რას ამბობ! გაგიჟდება, ეგ რომ გაიგოს. ამან შეიძლება, მორიგი შეტევა დამართოს. არ გეშინია, ინფარქტი კვლავ რომ გაუმეორდეს?

ამას ჰქვია წმინდა წყლის შანტაჟი! განა არ სჯობია, გაემგზავროს? მის ტანჯვასაც მოეღება ბოლო! კვლავ ძველებური ვაკო გახდება! ახლა თავის თავს არ ჰგავს! რა ემართება?

— ვეცდები, ფრთხილად ვიყო. ისე შევაპარებ, რომ მისთვის ეს მომენტი საწყენი არ გახდეს, — მისმა ულამაზესმა ლურჯმა თვალებმა ნახევრად სიბნელეში ჩასაფრებულივით გაიელვა, — და შენც მადლობელი დაგრჩებოდი, თუ ცოტათი მაინც მოადუნებდი ჩემდამი ყურადღებას, თორემ მის დასანახავად ისე მექცევი...

— როგორ გექცევი? — სმენად იქცა მამაკაცი.

— თითქოს თავს ვერ იკავებ და ერთი სული გაქვს, როდის მომეფერები... ახლაც კი ისე გააპროტესტე ჩემი წასვლის ამბავი, რომ...

აი, თურმე როგორს ხედავს გოგონა მას! — ღიმილი ვერ შეიკავა.

— სასაცილოს ვერაფერს ვხედავ! — წარბები შეკრა სალომემ.

— არ ვიცინი, — ვაკომ სერიოზული გამომეტყველება მიიღო, — მაგრამ შენი ჩანაფიქრიდან მაინც არაფერი გამოვა.

— რატომ გგონია?

— მარინა გამოცდილი და ჭკვიანი ქალია, ასე ადვილად ვერ გავაცურებთ, სხვა, უფრო საზრიანი რამე უნდა მოვიფიქროთ. ისეთი მიზეზი უნდა დავასახელოთ, რომ მას ეჭვი არ შეეპაროს ჩვენს გულახდილობაში.

სალიმ ყავა მოსვა და ღამეს გახედა... სადღაც, შორს, ცა ფეიერვერკებმა გაანათა.

— ვიღაცას ეზეიმება, — შეფიქრიანებულმა ჩაილაპარაკა ვაკომ.

— ჰო, ვიღაცას კი.

— ჩვენ კი არა, ხომ? — გაიცინა.

— ჩვენ არა, — დაუდასტურა.

მამაკაცმა შეატყო, რომ სალომე უცნაურად იყო დაძაბული. ალბათ იმის გამო, რომ ჩემთან განშორება მოუწევს, — გაიფიქრა. ან იქნებ, სულაც არ უმძიმს ამის გაკეთება? თვითონაც ხომ უნდა უხაროდეს, თუკი მალე დაშორდება მას? რაც უფრო შორს იქნებიან ერთმანეთისგან, მით უკეთესი ორივესთვის.

— ჩემი აზრით, მოიფიქრებ რამეს და არ გაგიჭირდება სათანადო მიზეზის მოგონება, — გულგრილად დაიწყო სალიმ, — იქნებ, მე თვითონ ვუთხრა მას შენზე ისეთი რამეები, რაც მის გულისწყრომას გამოიწვევს? როგორ გგონია, არ გაითვალისწინებს მამიდა ამას? თუ შენ მის თვალში უცოდველი და უნაკლო ხარ?

— მარინა ისევე კარგად მიცნობს მე, როგორც დედაჩემი.

— მაშინ, გამოდის, რომ უარყოფითი პარტნიორის როლის თამაში მე მომიწევს. უთხარი მას, რომ ბევრი ეცადე, მაგრამ ჩემს პატივმოყვარეობას ვერაფერი მოვუხერხე. შენ კი ასეთ ქალთან ოჯახს ვერ შექმნი. ამით ყველაფერი დამთავრდება.

— ამის თქმა კი შემიძლია, — მოიღუშა ვაკო, — მაგრამ არა ახლა. ის ჯერ კიდევ სუსტადაა, ცოტა უნდა ვაცადოთ. შენ თვითონ არ მეუბნებოდი, არ ვიჩქაროთო? — მან დარჩენილი ყავა ბოლომდე დალია. — დროა, წავიდე, უკვე ძალიან გვიანაა.

მამაკაცი შეფიქრიანებული წამოდგა. მას უკვირდა სალის აჩქარება. ასე მოულოდნელად რატომ გადაწყვიტა გამგზავრება? რითია ეს გამოწვეული? იქნებ რაღაც ისეთი მოხდა, რაც მან არ იცის ან არ ესმის? აქამდე კიდევ იმედოვნებდა, რომ სალი ყველანაირად ეცდებოდა, მისგან კიდევ ერთხელ მიეღო დაქორწინების წინადადება. ძნელი დასაჯერებელია, რომ მან ასე ადვილად დათმო პოზიციები.

მძიმედ გაემართა გასასვლელისკენ. სალიმ გააცილა. ამჯერად მამაკაცს არ უცდია, ეკოცნა მისთვის, მხოლოდ დაღლილი სახით გაუღიმა.

— ღამე მშვიდობისა, სალი. გადაეცი მარინას, რომ ხვალ დავურეკავ, — გაწელილად წარმოთქვა და კარი გაიხურა.

სალომემ იგრძნო, როგორ მოსწყდა გული საგულეს და სადღაც ქვემოთ, სიღრმეში ჩავარდა...

როგორ დამძიმებულა ეს გული... რამხელა გამხდარა... გოგონა ისე მოიკრუნჩხა, თითქოს მუცელში ლოდი ატაკესო... ტკივილისგან სახე გაუფითრდა... არ ახსოვს, როგორ მიაღწია საწოლამდე... ძლივს აბობღდა ლოგინზე და ოთხად მოკეცილმა თავი ბალიშში ჩარგო... ოღონდ მუცელი არ მოეშალოს... ოღონდ...

შემდეგ დღეებში სალი გამუდმებით გაურბოდა ტელეფონზე ვაკოსთან საუბარს. რაც შეიძლებოდა, ხშირად გადიოდა გარეთ, ქუჩაში დახეტიალებდა, პარკში სეირნობდა... ერთი სიტყვით, მამაკაცს მაქსიმალურად არიდებდა თავს. თავიდან მარინამ იფიქრა, ვაკო იმიტომ არ მოდის, რომ საქმეები თავზე აყრიაო, მაგრამ როცა იგი მთელი კვირა არ გამოჩნდა, ქალს შეკითხვები გაუჩნდა.

— შენ რა, ისევ ეჩხუბე ვაკოს? — ჰკითხა ერთ საღამოსაც, როცა სავახშმოდ დასხდნენ.

ამწუთას ყველაზე ადვილი იქნებოდა „ჰოს“ თქმა და ამით ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ მამიდას თვალებში ისეთი შეშფოთება წაიკითხა ძმისშვილმა, სიმართლის თქმა ვეღარ გარისკა და მხნედ გაიღიმა.

— როგორ უნდა მეჩხუბა მასთან, როცა საერთოდ ვერ ვხედავ? უბრალოდ, ძალიან დაკავებულია და ვერ იცლის. გამაფრთხილა, რაღაც პერიოდის განმავლობაში ვერ შევძლებ შენს ნახვასო.

— მაშინ ყველაფერი რიგზეა, — დაასკვნა მარინამ, — თუმცა... ბოლო ხანებში უცნაურად გაუცხოვდი, განმარტოებას არჩევ, ამიტომაც ვიფიქრე, რომ...

სალომემ დამამშვიდებელი ჟესტით შეაჩერა ქალი.

— აბსოლუტურად არ გაქვს არაფერი სანერვიულო, მამი. ცოტაც მოიცადე და თვითონ დარწმუნდები ამაში.

ორი დღის შემდეგ, როცა სალომეს კვლავ აერია გული და სააბაზანოდან თვალცრემლიანი გამოვიდა, პირდაპირ მამიდას შეეჩეხა.

— რაღაცა ისეთი ხდება, რაც მე არ ვიცი... იქნებ მითხრა, რა გემართება? — დოინჯი შემოიყარა ქალმა და მკაცრად გახედა ძმისშვილს.

— არაფერი, მამიდა, რა უნდა ხდებოდეს? — სალიმ თვალები დახარა, რომ თავი არ გაეცა, მაგრამ მარინამ ბოლომდე არ აცალა, საჩვენებელი თითი ნიკაპქვეშ ამოსდო, თავი აუწია, გულდასმით შეათვალიერა ფერწასული გოგონა და უეცრად წამოიძახა.

— შენ ორსულად ხარ!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარი ჯაფარიძე

— იქნებ თავს ვიტყუებთ და სულაც არ მიიღო კარგად? ბავშვი შოკში ჩავარდებოდა, როცა გაიგონებდა, რომ ჩემი შვილია. როგორ შეიკავა თავი, რომ არაფერი გკითხათ?

— შენ გგავს, ხასიათით, — ნინოს ჩაეცინა.

— არაფერი გკითხა? — რამაზი დაფიქრებული სახით იჯდა.

— მკითხა, დედაჩემი როგორ ხარ, დედა ხომ მოკვდაო?!

— რა უთხარი?

— ამ თემაზე საუბარი ხვალისთვის გადავდე. ხვალ სასეირნოდ წავალთ და ვეტყვი. თუმცა, თქვენი დახმარება მჭირდება. ერთად მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ.

— შენ რას ფიქრობ? — რამაზმა ამოიოხრა.

— მგონია, რომ სიმართლე უნდა ვუთხრა. ანა არც ისე პატარაა, 11 წლისაა უკვე და მგონი, გაიგებს.

— მაგრამ მაშინ იმის თქმაც მოგვიწევს, რომ მე არ ვარ მისი ნამდვილი მამა.

— ვფიქრობ, რომ ასე აჯობებს. ანა ჭკვიანი ბავშვია, არა მგონია, თქვენს ურთიერთობაში რამე შეიცვალოს და ძველებურად აღარ უყვარდე. შენ ხომ ამას შიშობ?

— ჰო, ყველაზე მეტად ეგ მაღელვებს, ანა, — რამაზმა უხერხულობისა თუ ნერვიულობისგან ჩაახველა.

— ალბათ ხვდები, რომ ბავშვისთვის ეს ძნელი „მოსახარში“ იქნება და სტრესის გადატანაც მოუწევს. ვფიქრობდით, რომ ფსიქოლოგისთვის მიგვენდო მისი მომზადება, მაგრამ არ დაგვცალდა...

— ანა, მე შენ გენდობი, ერთადერთი, რაც მინდა, გითხრა, ისაა, რომ მე ჩემი ანას გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია და არც მინდა. მისი დაკარგვა დიდ ტკივილს მომაყენებს. შესაძლოა, მე უფრო გამიჭირდეს, ვიდრე — მას... გთხოვ, ნუ დამაკარგვინებ შვილს... ჩვენ ხომ ერთნი ვართ... მისი დაკარგვა ჩემთვის სიკვდილის ტოლფასია.

— ვიცი რამაზ, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მთელი ეს ორომტრიალი კეთილად დასრულდეს. თქვენი ქორწილი როდისაა დანიშნული?

— 1 კვირის შემდეგ, — შაბათს, მაგრამ ალბათ ნინოს არ ეწყინება, თუ ვიტყვი, რომ ქორწილზე მეტად ანასა და ჩემი ურთიერთობა და მომავალი მაღელვებს.

უკვე გვიანი იყო, როდესაც ანა რამაზის სახლიდან წამოვიდა. ნინო ხმას არ იღებდა. მთელი გზა დუმდა, რაც გამაღიზიანებლად მოქმედებდა. „ახლა დუმილი არ შეიძლება, ალბათ ნინოს ერთი სული აქვს, როდის გამომლანძღავს; მის ცხოვრებაში ასეთი მნიშვნელოვანი მომენტი დადგა და ჩემმა უთავბოლო ცხოვრებამ უნდა გააუფერულოს ყველაფერი, — ფიქრობდა ქალი და ნინოს მალ-მალე გადახედავდა ხოლმე, — ყველაფერს ისე მოვაწყობ, რომ ჩემს დას ბედნიერების უფლება არ წავართვა“...

ციცო შვილებს შუბლშეკრული დახვდა. როგორც კი შინ შევიდნენ, დედა საძინებლისკენ წავიდა, რითაც აგრძნობინა, ამდენი ხანი გელოდეთ, ახლა გაბრაზებული ვარ, მაგრამ რადგან მშვიდობით დაბრუნდით, დასაძინებლად მივდივარ, თქვენთან ლაპარაკი წყლის ნაყვაო.

ანამ ბელას ოთახში შეიხედა. გოგონას მშვიდად ეძინა და სახეზე ღიმილი დასთამაშებდა.

თვითონ კი მთელი ღამე ვერ დაიძინა. შფოთავდა და გვერდს წარამარა იცვლიდა. მომავალი დღე აშინებდა... ანასთვის ბევრ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი და არ უნდოდა, რაიმე დაუფიქრებლად და გაუაზრებლად ეთქვა. ათასჯერ მაინც გაიმეორა ის ტექსტი, რომლის თქმასაც აპირებდა. გამთენიისას ნინო თავზე დაადგა.

— არ გძინავს? — ჰკითხა, როდესაც საწოლში წამომჯდარ ანას თვალი ჰკიდა.

— არა, — თავი გააქნია ქალმა და სახეზე ჩამოშლილი თმა უკან გადაიყარა.

— ვერც მე დავიძინე. იცი, ვფიქრობ და ვერ გამიგია, რატომ გაქვს ასეთი უცნაური ცხოვრება? — ნინო საწოლზე ჩამოჯდა.

— მაპატიე, ნინ, არაფერზე ინერვიულო, ნახავ, ყველაფერი ძალიან კარგად იქნება. თქვენი ქორწილი შედგება და ბედნიერიც იქნები. თუმცა, ჩემს შვილზე ზრუნვა ცოტა ხანს მოგიწევს.

— რას ამბობ, — ნინო საწოლზე მუხლებით დადგა და ანას თავი მკერდზე მიიხუტა, — ჩვენ ხომ ერთნი ვართ, შენი და ჩემი სანერვიულო ვინ გაყო? ვერც მე დავიძინე და იმიტომ შემოვედი, იქნებ ლაპარაკი გინდა...

— მოდი, ჩემთან დაწექი და დავიძინოთ, ახლა ძილი მირჩევნია, დილით კი დასვენებულ გონებაზე გაცილებით უკეთ ვიაზროვნებ...

ლევანს თან გაუკვირდა, თავის ტელეფონზე ანას ნომერი რომ აღმოაჩინა, თან — გაუხარდა.

— ლევან, საქმე მაქვს, 12 საათზე შევხვდეთ.

— ხომ მშვიდობაა? — შეშფოთდა მამაკაცი.

— მგონი — კი... ზუსტად 12 საათზე შენს სახლთან ვიქნები და არ მალოდინო.

ლევანი ანას მარტოს ელოდა და ძალიან გაუკვირდა, როცა მის მანქანაში პატარა ანაც შენიშნა. ორივეს მიესალმა და უკანა სავარძელზე მოთავსდა.

— გოგონებო, სად მივდივართ? — იკითხა სიცილით.

— სასეირნოდ მივდივართ და იმედია, შემოგვიერთდები, ხომ გცალია? მთაწმინდის პარკში ავიდეთ, შემდეგ სადმე ნამცხვარი ვჭამოთ... ანა საღამომდე ჩვენთან იქნება, — მამაკაცს სარკეში გახედა.

ლევანმა ხელი გაიქნია, რითაც ანიშნა, გამაგებინე, რა ხდებაო... მისი ჟესტი უპასუხოდ დარჩა. მანქანა სადგომზე დატოვეს. პატარა ანა დაელოდა, ვიდრე ანა მანქანიდან გადმოვიდოდა და ქალს ხელი ჩასჭიდა. ანამ იგრძნო, როგორ უჭერდა პატარა თითებს. ლევანი ბავშვს მეორე მხრიდან ამოუდგა და ხელი მხარზე დაადო.

ფეხით გაისეირნეს. შემდეგ

მერხზე ჩამოსხდნენ, რადგან ბავშვმა კარუსელებზე დაჯდომაზე უარი თქვა.

— ანა, ახლა ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან თემაზე უნდა ვილაპარაკოთ, — ქალმა ძლივს მოაბა თავი, რომ ლაპარაკი დაეწყო.

ბავშვმა თავი დაუქნია.

— ადრე, წლების წინ, მე და ბიძია ლევანს ერთმანეთი გვიყვარდა, — პირდაპირ ამბის მოყოლაზე გადავიდა. ლევანს კი თვალები გაოცებისგან ლამის შუბლზე აუვიდა. თუმცა უხმოდ იჯდა და ანას თვალებით ანიშნებდა, რას ლაპარაკობ, ხომ არ გაგიჟდიო.

— ხომ იცი, სიყვარული რა არის?

— კი, ვიცი, მე და მამას გვიყვარს ერთმანეთი, — გაიღიმა ბავშვმა.

— ეგეც სიყვარულია, ნაყინი რომ გიყვარს, ეგეც სიყვარულია, ძიძა რომ გიყვარს — ეგეც, მაგრამ კიდევ არსებობს სხვანაირი სიყვარული: დედაშვილური, დაძმური, ნათესაური, მეგობრული და კიდევ, ქალსა და მამაკაცს ერთმანეთი რომ შეუყვარდებათ, ისეთი.

— ეს „დიდური“ სიყვარულია, — დარწმუნებით თქვა გოგონამ.

— ჰო, სწორია და მე და ლევანსაც ასე, „დიდურად“ შეგვიყვარდა ერთმანეთი.

— რატომ არ დაქორწინდით? — ლოგიკური კითხვა დასვა ანამ.

— ისე მოხდა, რომ მე და ლევანმა ერთმანეთს ვერ გავუგეთ ამა თუ იმ საკითხში. ცოტა ვიკამათეთ, ცოტა ერთმანეთს გავებუტეთ და დავშორდით.

— მერე აღარ გიყვარდათ ერთმანეთი?

— ასე უეცრად არ შეიძლება, საყვარელი ადამიანის გადაყვარება. გვიყვარდა, მაგრამ მაინც დავშორდით. ჰოდა, ამ დაშორების შემდეგ გავიგე, რომ მე ფეხმძიმედ ვიყავი.

ლევანი წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. მიხვდა, რომ ქალი ანასთვის სიმართლის გამხელას აპირებდა... ეს უაზრო ნაბიჯად მოეჩვენა და ცდილობდა, ანა შეეჩერებინა. ხან სხვა თემაზე წამოიწყო ლაპარაკი, ხან ნაყინი შესთავაზა.

— ლევან ბიძია, ნუ აწყვეტინებთ, რა, — სთხოვა გოგონამ და ისიც გაჩერდა, ბედს დამორჩილდა და ისევ გვერდით მიუჯდა პატარა ანას.

— როცა ის დრო დადგა, რომ ბავშვი უნდა გამეჩინა, საავადმყოფოში დამაწვინეს. მალე გოგონა დაიბადა. მითხრეს, რომ ბავშვი მოკვდა.

— ინერვიულე? — ანას თვალზე ცრემლი მოადგა.

— ძალიან ვინერვიულე, ბევრი ვიტირე, მაგრამ ჩემს პატარას ვერ გავაცოცხლებდი. ამის შემდეგ, საცხოვრებლად ამერიკაში წავედი და ცოტა ხნის წინ დავბრუნდი. შემთხვევით გავიგე, რომ ჩემი შვილი ცოცხალი ყოფილა. გადავწყვიტე, ჩემი გოგონა მომეძებნა და ის ადამიანებიც, ვინც მომატყუა.

— რატომ მოგატყუეს? — ბავშვი საოცარ ნებისყოფას იჩენდა და ზედმეტ შეკითხვებს არ სვამდა.

— არსებობენ კეთილი და ბოროტი ადამიანები. ბოროტები ფულის გამო ყველაფერს აკეთებენ. ჰოდა, ასეთი ბოროტი აღმოჩნდა ის ექიმი, ვინც ბავშვის გაჩენაში დამეხმარა. გადაწყვიტა, რომ ჩემი შვილი, ჩემი ლამაზი გოგონა გაეყიდა და ამით ფული ეშოვა. ჰოდა, ჩემი გოგონა სხვას მიჰყიდა — ერთ უშვილო ცოლ-ქმარს, რომელსაც საკუთარი შვილი არ ჰყავდა, მაგრამ ძალიან უნდოდა, რომ ჰყოლოდა. ღმერთის წყალობით, ისინი კარგი ადამიანები აღმოჩნდნენ და ჩემი შვილი გაზარდეს. სამწუხაროდ, ქალი მალე გარდაიცვალა და გოგონა მამამ გაზარდა. ახლა კი, როცა დრო დადგა, იმ გოგონამ თავისი ნამდვილი მშობლების ვინაობა გაიგოს, მამა ძალიან ნერვიულობს, რომ ბავშვს ისე აღარ ეყვარება, როგორც აქამდე უყვარდა, — ანა გაჩუმდა. ბავშვს გადახედა და მის რეაქციას დააკვირდა.

— შენ ხომ თქვი, რომ საყვარელი ადამიანების იოლად გადაყვარება არ შეიძლება? — გოგონამ ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ იკითხა.

— კი, ასე ვთქვი და ასეცაა.

— ჰოდა, არც მე გადამიყვარდება მამა. გამოდის, რომ შენ ხარ ჩემი დედა, ლევანი კი — მამა?

— ასეა, პატარავ, ყველაფერს სწორად მიხვდი.

ბავშვმა ლევანს შეხედა. კარგა ხანს უყურა, შემდეგ შუბლი ნელ-ნელა გახსნა და ეშმაკურად გაუღიმა.

მამაკაცი დაიბნა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ანამ მისი ხელი აიღო და პატარა თითები თითებს შორის გახლართა.

ლევანმა გოგონა ხელში აიტაცა და გულში ჩაიკრა. ბავშვმა მკლავები შემოხვია.

ანა ცრემლებს ვერ იკავებდა. არც უცდია ემოციების დაფარვა და თავის შეკავება. ლევანის მკლავებისგან გათავისუფლებული ბავშვი ანასთან მივიდა და ცრემლი მოსწმინდა. ქალი უარესად ატირდა...

როგორც იქნა, პირველმა მღელვარებამ გაიარა და ყველა დამშვიდდა. ანა საღამომდე ასეირნეს, ყველა სურვილი და კაპრიზი შეუსრულეს. ლევანი ბედნიერი ჩანდა. ორივე ანასთან ყოფნით ტკბებოდა. რამაზს მთელი დღის განმავლობაში არ დაურეკავს... შინ წასვლა რომ გადაწყვიტეს, ქალმა თვითონ დარეკა, სად ხარ, ბავშვი უნდა მოგიყვანოო.

მანქანა რამაზის ეზოში გააჩერა. ლევანი გადავიდა და გოგონას წინ ჩაიმუხლა. ანა მხიარულად ელაპარაკებოდა და თან სადარბაზოსკენ იყურებოდა, საიდანაც რამაზი უნდა გამოჩენილიყო. როგორც კი მამა დაინახა, ლევანს აკოცა, მიახლოებულ ანას მოეხვია და რამაზისკენ გაიქცა. მამაკაცმა ხელები გაშალა, გოგონა კი კისერზე ჩამოეკიდა და ფეხები ფეხებზე შემოაჭდო. ასე, კისერზე ჩამოკონწიალებული წაიყვანა ბავშვი სადარბაზოსკენ და უკან არც მოუხედავს, თითქოს ეშინოდა, რომ თუ შეჩერდებოდა, შვილს წაართმევდნენ.

— აი, ახლა ყველაფერი თავის ადგილზეა და როგორც ჩანს, არც ისე ცუდად გამოვიდა, — უთხრა ანამ ლევანს და დაეშვიდობა.

უკვე მოსაღამოებული იყო და გადაწყვიტა, ჯერ ირაკლისთან

შეევლო, შემდეგ კი შინაც ადრიანად მისულიყო, რომ დედის გული მოეგო... ირაკლის სახლს რომ მიუახლოვდა, ვახომ დარეკა.

— გისმენ, საყვარელო, — ანა თბილად მიესალმა მამაკაცს და მანქანა შეაჩერა.

— ანა, კარგია, ასე ტკბილად და თბილად რომ მპასუხობ, მალო, ეს შესაძლოა, კარგი ამბის მომასწავებელი იყოს.

— შენ ფიქრობ, რომ ფეხმძიმედ ვარ? — ანამ ახლაღა გაიფიქრა, რომ შესაძლებელი იყო, ირაკლი მართალს ამბობდა.

— რატომაც არა? ბედნიერი ვიქნები, თუ ეს ასეა, — მამაკაცი მოეხვია და თვალებში ჩახედა.

— იკა, დღეს ჩემს ანას ნამდვილი მშობლების ვინაობა გავუმხილე.

გრამ იცოდე, რომ შენი პასუხის ვადა დღეს საღამოს იწურება. ხვალ ერთმანეთს უნდა შევხვდეთ და ყველაფერი გავარკვიოთ. უბრალოდ, მინდოდა, შენთვის შემეხსენებინა ამის შესახებ.

— მახსოვს, ისედაც მახსოვს, ხვალ შევხვდებით, — უპასუხა ანამ და თითები საჭეზე მოუთმენლად ააკაკუნა, რადგან მიხვდა, ვახო საუბრის დასრულებას არ აპირებდა.

— მაშინ ახლავე მოვილაპარაკოთ, — დაიწყო მამაკაცმა. ანა მისმა ტონმა გააღიზიანა და თავისი განწყობილება არც დაუმალავს.

— მომისმინე, შენს ულტიმატუმს არ მივიღებ. უკვე გითხარი, რომ მახსოვს, ხვალ რომ უნდა შევხვდეთ და მერე ვილაპარაკოთ.

— კარგი, ხვალამდე, კარგად, — მამაკაცმა ტელეფონი მოულოდნელად გათიშა.

როგორც ჩანს, ანას ნათქვამმა გააბრაზა, მაგრამ ამის მიუხედავად, კამათში აღარ ჩაერთო.

ანამ მისი გაბრაზება აინუნშიც არ ჩაუგდო.

„საკუთარ სიკვდილთან შეხვედრას ჩქარობ, არა? ხვალ და იყოს — ხვალ!“ — გაიფიქრა ქალმა და მანქანა ეზოში შეიყვანა.

— მშია, იკა, საჭმელი გაქვს? — მაშინვე სამზარეულოში გავიდა.

— არის რაღაცები. ძეხვი, კვერცხი, ყველი და პომიდორია მაცივარში. თუ გინდა, კარტოფილი შეწვი.

ანამ მაცივრის კარი გააღო და საჭმლის სუნი რომ ეცა, გულის რევის შეგრძნება დაეუფლა. კარი სასწრაფოდ მიხურა და უკან დაიხია.

— რა იყო? — სამზარეულოში ირაკლი შემოვიდა და სწორედ ისეთ დროს შეასწრო თვალი, ანა მაგიდას რომ ჩამოეყრდნო.

— არაფერი, თავბრუ დამეხვა, თითქოს.

— თავბრუ დაგეხვა? სიხარუ-

— არა, არა, — უცებ წამოსცდა ქალს.

— არა?! არ გინდა, რომ ფეხმძიმედ იყო? ანა, გამაგებინე, რას ნიშნავს შენი ასეთი რეაქცია?

— რა თქმა უნდა, გამიხარდა, — ნაძალადევი ღიმილი გამოესახა სახეზე, — მაგრამ ეს მოულოდნელი იყო და...

— მოულოდნელი რატომ უნდა ყოფილიყო, ჩვეულებრივი ამბავია მაშინ, როცა ქალსა და მამაკაცს სექსი აქვთ. მე გამუდმებით ვფიქრობდი ამაზე და ველოდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოხვიდოდი და მეტყოდი, რომ შვილს ველოდებით... ხშირად, სახეზეც კი დაგკვირვებივარ, ნეტავ, ხომ არაფერს მიმალავს-მეთქი?! თუ მართლაც ფეხმძიმედ ხარ, ეს ხომ ძალიან მაგარია, არა?

— ჰო, იკა, მაგარია, — ანამ ხელი გააშვებინა და ოთახში გავიდა.

— რაღაც, გახარებულს არ ჰგავხარ... — ირაკლიმ კბილები გააკრაჭუნა. — ყველაფერი უცნაური შენ როგორ უნდა იცოდე? სიხარულის გამოხატვაც კი უცნაური გაქვს.

— იკა, დღეს ჩემს ანას ნამდვილი მშობლების ვინაობა გავუმხილე.

— იმიტომ ხარ უხასიათოდ? ბავშვმა არ მიგიღო?

— პირიქით, ყველაფერი ძალიან კარგადაა. უბრალოდ, დავიღალე და კიდევ ერთი შვილის გაჩენაზე ამდენ პრობლემაში არ მიფიქრია...

— კარგი, დავუშვათ, არ გიფიქრია, მაგრამ... არა, ვერაფერი გავიგე... — ირაკლიმ მხრები აიჩეჩა.

— წავალ, თუ არ გეწყინება, — ანამ ჩანთას წამოავლო ხელი, ირაკლის ლოყაზე აკოცა, უხმოდ გავიდა და გაოგნებული მამაკაცი დატოვა.

„ოღონდ ეს არა, ოღონდ ახლა ფეხმძიმედ არ ვიყო, ახლა არ მინდა! ღმერთო, შენ გადამარჩინე“, — უფალს ღამის ხელებაპყრობილი შეჰღაღადებდა.

მანქანა აფთიაქთან გააჩერა.

— ტესტი გაქვთ? — ჰკითხა მოღიმარ გოგონას.

— რამდენი გნებავთ, ქალბატონო?

— ყველაზე უკეთესი რომელია?

— ოთხნაირი ტესტი გვაქვს, თქვენ რომელსაც მეტყვით, იმას მოგართმევთ.

— ყველანაირი მომეცით, ხუთხუთი ცალი, — გაღიმება უნდოდა, მაგრამ არ გამოუვიდა.

ტესტები ჩანთაში ჩაყარა და გამყიდველს მადლობა გადაუხადა.

— წარმატებას გისურვებთ, ქალბატონო, — ხმადაბლა უთხრა ახალგაზრდა გოგონამ.

— გმადლობ... არავინ იცის, ახლა რა იქნება წარმატება... — ჩაილაპარაკა თავისთვის და აფთიაქიდან გავიდა.

შინ ასე ადრე რომ მივიდა, ოჯახის წევრებს ძალიან გაუკვირდათ.

— უხასიათოდაა და იმიტომ მოვიდა შინ, — ჩაილაპარაკა ციცომ.

— დედა, თავი დაანებე, რა... ალბათ მიზეზი აქვს სამაგისოდ. ანა, როგორაა საქმე? — დას მიუბრუნდა.

— ის ამბავი, შენ რომ გაინტერესებს, კარგადაა, უკეთესად არც შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო. ბავშვი შინ მივიყვანე და მამას დავუტოვე.

— აბა, კიდევ მოხდა რამე? — წარბი ასწია ნინომ, — არაა შენგან გასაკვირი.

— ისეთი არაფერი, — ანამ პასუხს თავი აარიდა და თავის ოთახში განმარტოვდა. ჩანთიდან ტესტები ამოალაგა და ინსტრუქციას დახედა. გულდასმით რომ წაიკითხა, ყველა ერთად ჯიბეში ჩაიკუჭა და სააბაზანოსკენ წავიდა.

გამზადებული ტესტი სარკის წინ დადო. „როდის გავა ახლა 3 წუთი? — საათს დახედა, — ვახო საბლიანო, ახლა წყდება შენი ბედი... უფალს შესთხოვე, რომ ფეხმძიმედ ვიყო... თუ ასე აღმოჩნდება, გადარჩენილი ხარ, შე ნაგავო... ბავშვს, ჯერ არდაბადებულს და რამდენიმე კვირის ჩასახულს, ცოდვაში ფეხს ვერ ჩავადგმევინებ. ფეხმძიმე ქალი ამხელა ცოდვას ვერ ავიკიდებ... ღმერთო, შენ მიშველე“...

როგორც იქნა, 3 წუთი გავიდა. ანამ ტესტს გულის ფანცქალით დახედა...

დასასრული შემდეგ ნომერში

საკურორტო რომანი...

ინგა ჯაყელი

ზურამ ცოლი მისი ოჯახის „სიყვარულით“ რომ შეირთო, ეს პირველ რიგში მანანამ იცოდა და არასოდეს მოუტყუებია თავი, რომ აპოლონის გარეგნობის მქონე 5 წლით უმცროსმა ბიჭმა მუდამ დიეტაზე მჯდომი და მაინც 120-კილოიანი ქალის გულით შეყვარება შეძლო. ამიტომ ქმარი მკაცრად გააფრთხილა:

— არ გავიგო, რომ თუნდაც ფიქრში მიღალატე, თორემ დაემშვიდობე ფუფუნებაში ცხოვრებას. ისევ იმ სიღატაკეში მოგისვრი, საიდანაც მაშველი რგოლივით გამოგათრიე!..

ბიჭს ხუთი ძმა და ორი და ჰყავდა. შინ საწოლიც არ ჰქონდა საკუთარი და იქ დაბრუნებაზე ფიქრიც თავზარს სცემდა. ამიტომ ცოლის ერთგულებას ცდილობდა. არადა, იმდენი ლამაზმანი ტრიალებდა მის ირგვლივ და ისე უჟუჟუნებდა თვალებს, ისიც კი ავიწყდებოდა, რომ რაც ცოლმა ბოლო მოდაზე ჩააცვა და დაახურა, მას შემდეგ შეამჩნიეს ქალებმა, თორემ ცხვირგაქუცულ ფეხსაცმელებში და ძველი ჯინსის შარვალში გამოწყობილს ვერავინ ამჩნევდა...

ბიჭს ძალიან უყვარს ზღვა და არც ამაზე სწყვეტს მანანა გულს — ზღვისპირეთში ორი კვირით მაინც მიდიან დასასვენებლად და ცოლი იქაც ხუთვარსკვლავიან სასტუმროში აცხოვრებს. თანაც, თავისი წონის გამო, კომპლექსი აქვს და საბანაოდ არასოდეს გადის, ზღვას შორიდან, სასტუმროს აივნიდან თუ შეავლებს თვალს, მაგრამ როცა ქმარს პლაჟზე უშვებს, ყოველთვის ერთი ზღაპრის გმირივით უმეორებს:

— იცოდე, გვერდზე გახედვა არ გაბედო, თორემ 100 კილომეტრის იქიდანაც დავინახავ და მერე რაც მოხდება, შენს თავს დააბრალე!..

„ამაზე უარესი რაღა უნდა დამემართოსო!“ — გარისკა მაინც ერთ დღეს, როცა ნამდვილი მზეთუნახავი მიუწვა გვერდით ქვიშაზე წამოწოლილს და ისე გაუღიმა, ხერხემალი ატკინა:

— რა გქვია?! — ჰკითხა გოგოს.

— ანა.

— მე ზურა!...

— ვიცი. შენს ცოლსაც ვიცნობ შორიდან — მსუქან მანანას...

ისე შერცხვა ზურას მსუქანი ქალის ქმრობა, თითქოს დანაშაულში გამოეჭიროს ვინმეს. იგრძნო, გაწითლდა...

— ხდება ხოლმე, მაგრამ ცოლი — ცოლია და... შეიძლება, ბუნგალოში წვენზე, ან ნაყინზე დაგპატიჟოთ? — თავადაც გააკვირვა საკუთარმა სითამამემ...

ანა გაჰყვა. იმავე საღამოს დისკოთეკაზე დაპატიჟა. მეორე დღეს კატერით ასეირნა და რადგან ცოლს განსაკუთრებული ვერაფერი შეამჩნია, მთლად გათავხედდა: მესამე დღეს

გოგოს სიყვარულში გამოუტყდა და პაემანი სასტუმროში დაუნიშნა. ოღონდ არა იქ, რა თქმა უნდა, სადაც ცოლთან ერთად ცხოვრობდა...

იმ ღამეს ისეთი რამ განიცადა, მოეჩვენა, რომ ყურებამდე იყო შეყვარებული ქალზე, რომლის შემდეგაც ცოლი ნამდვილ მონსტრად ეჩვენებოდა, თავი კი ამ მონსტრის მსხვერპლად...

სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს დახურულ კარს მიღმა და მეოთხედ იმაზე ლაპარაკი რომ დაიწყო, რომ მის გარეშე ცხოვრების გაგრძელებას ვერ შეძლებდა, სწორედ მაშინ გაიღო კარი და ნომერში მანანა „შემოგოგმანდა“... ჯერ კოშმარულ სიზმარში ეგონა თავი, მაგრამ ჩქმეტა რომ ემწარა, მიხვდა, უბედურება დაატყდა... კიდევ კარგი, ლოგინში ვერ მოასწრეს ჩაწოლა და სავარძლებში ჩამსხდრები მოყვარული და-ძმასავით უცქერდნენ ტელევიზორს...

რომ ეგონა, თავადაც გული გაუსკდებოდა და ანაც ვერ გადაურჩებოდა მანანას რისხვას, მისმა მზეთუნახავმა წამოიწია და არ გადაკოცნა მისი ცოლი?!

— ყოჩაღ, ჩემო მანანა, ქალი ვარ და ქმარს ჩემს ჭკუაზე ვატარებო, შენ უნდა თქვა! — მეოთხედ შემოვიტყუე ზურა სასტუმროში და ერთხელაც ვერ ვაცდუნე, მეგობრობას მთავაზობს და შენი დაქირავებული რომ არ ვყოფილიყავი, შემომაკვდებოდა...

დაბნეული ზურა ხმას ვერ იღებდა. მანანამ ლამის თვალებით გაბურღა:

— სასტუმროში რომ გამოგყვა, ეგ უკვე ღალატია!..

— ახლა, მთლად ქალაჩუნა კაციც რად გინდა, ცოტა თავმოყვარეობა კი უნდა ჰქონდეს! — არ ცხრებოდა ანა. — რა ეთქვა, ცოლის მეშინია და ამიტომ ვერ შეგხვდებიო?!

მოკლედ, ანა ზურას გამოსაცდელად დაქირავებული „აგენტი“ ყოფილა და მანანამ ცბიერ ქალს მის თვალწინ ჩაუთვალა საკმაოდ სოლიდური თანხა. შემდეგ ქმარი წინ გაიგდო და გალახული ბავშვივით მიაჩანჩალა სასტუმროში:

— ბედი გქონია, რომ ცდუნებას გაუძელი და მართლა ჩემი ერთგული ყოფილხარ!..

ზურა ხმას ვერ იღებდა და ვერ გაეგო, ახლა იყო სიზმარში თუ მაშინ, ანას რომ ატრიალებდა წაღმა-უკუღმა საწოლში?!..

აღარც ზღვა აინტერესებდა და აღარც დროს ტარება. თავს მოწამლულივით გრძნობდა. მარტო მანანას დანახვაზე კი არა, საერთოდ, ქალის გახსენებაზე ერეოდა გული...

ლუდის დასალევად შესულს, ანა რამდენიმე დღის შემდეგ შეხვდა ბუნგალოში. ქალი სიცილით მიუახლოვდა:

— არ გეწყინოს, რაც გაგიკეთე... მე ასე ვირჩენ თავს, მაგრამ უნამუსოდ მაინც არ ვიქცევი, ხომ არ გაგამხილე ცოლთან, რა დღეშიც ვიყავით საწოლში?

— რატომ არ გამამხილე? — დაინტერესდა ზურა.

— ვერ ვიტან შენი ცოლის მსგავსებს და იმიტომ — რადგან ფული აქვთ, ყველაფრის უფლებას აძლევენ თავს...

მიხვდა ზურა, რომ ანას დახმარებით, ასე თუ ისე, მაინც იძია შური ცოლზე და ისევ გაუთბა გული:

— მართლა შემიყვარდი, მგონი! — ლოყაზე ხელი მოუთათუნა გოგოს.

— გაგივლის, — დასცინა ანამ — ეს ხომ მხოლოდ საკურორტო რომანი იყო?! — და სწრაფად გაეცალა მის მაგიდას...

■

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა ყველას, ვინც ახლა ამას კითხულობს. როგორ ბრძანდება მისი აღმატებულება, ჩვენი მკითხველი? ალბათ მეფურად არიან ისინი, ვინც ახლა ისვენებს და ზაფხულის ხვატს თავს სოფელს ან რომელიმე კურორტს აფარებს. ქალაქში დარჩენილები კი თავს თევზებივით ვგრძნობთ. არა, ისე კი არა, როგორც თევზი წყალში. უწყლოდ დარჩენილი თევზებივით ვართ. პირს ვაღებთ, რომ გრილი ჰაერი ჩავისუნთქოთ, მაგრამ... ჰო, მართალია ის, ვინც ახლა გაიფიქრა, წუწუნებს ჯაფარიძეო, მაგრამ ამას მხოლოდ ის იტყვის, ვინც თავს მეფურად გრძნობს. დანარჩენებს არ გაუკვირდებათ. ისე, ვინაიდან ჩვენი სინოპტიკოსები რეალურ ტემპერატურას მალავენ, მე შევითავსებ მათ ფუნქციას და გეტყვით, რომ ამას წინათ (კონკრეტულად — კვირას), ძალიან რომ ცხელოდა, ჩემს ფანჯარაზე მიმაგრებულ თერმომეტრს შევხედე — 46 გრადუსს აჩვენებდა. ჩემს ფანჯარაზე თერმომეტრი რატომ მაქვს? ეს მაშინდელია, ბავშვი რომ ვიყავი და ბუნების მასწავლებელმა ამინდზე დაკვირვება დამავალა. ყოველდღიურ ცხრილში ვწერდი ხოლმე, რა ტემპერატურა იყო დილის 9 საათზე. ჰოდა, მიღებული შედეგებით ვრწმუნდებოდი, რომ გაზაფხულზე ტემპერატურა იმატებდა, შემოდგომით კლებას იწყებდა (რა რთული ბავშვობა მქონდა, ხედავთ?)... ახლა კი ეს თერმომეტრი მშვენივრად გამომადგა და დიდი მადლობა ბაბულია მასწავლებელს, რომ იმის საშუალება მომეცა, თქვენთვის ჰაერის ტემპერატურის შესახებ რეალური ინფორმაცია მომეწოდებინა. ბევრი ვილაპარაკე, მაგრამ ეტყობა, სიცხის ბრალია. ჰოდა, საქმეზე გადავალ და თქვენს მესიჯებს გაგაცნობთ.

„პრიკოლი“ დედა – 2

„პრიკოლი“ დედა, არა? ჩემნაირი „პრიკოლი“ დედა არავის ეყოლება. ქართულის მასწავლებელია. ჰოდა, დილით რაც არ უნდა ადრე ადგეს, სკოლაში მაინც აგვიანდება. ერთხელაც მამას ღვინო მოჰპარა, მასწავლებლები ქეიფობდნენ. აქაოდა, არ დამინახოსო, პარკით გარეთ დადგა, მერე ჩანთა აიღო და სიჩქარეში ფეხსაცმლის ჩაცმა დაავიწყდა. ჩუსტებით ჩავიდა ეზოში. ის იყო, გზაზე უნდა გასულიყო, რომ მამაჩემმა დაინახა. ჯერ გულიანად იცინა და მხოლოდ შემდეგ უთხრა, რომ ასე ორიგინალურად მიდიოდა სკოლაში. ერთხელ, მატარებელში ქოლგით იჯდა. რომ ჰკითხოთ, წვიმდა და იმიტომ. ერთხელ, ფეხსაცმელი იყიდა იაფად და მთელი დღე ილაპარაკა, ძალიან კარგია, ეკონომიურია და თან — ხარისხიანიო. ჰოდა, რომ მოუჭირა, ხმას ვეღარ იღებდა. ქმარუკა დასცინოდა, მაგარი ეკონომიურიაო. ამას წინათ კიდევ, ჩემს შვილს ეფერებოდა: დიდი რომ გაიზრდები, ბებო პიანინოს გიყიდის, არაა, „იამახა“ ჯობია, მერე დაკვრას ისწავლი და რესტორანში დაუკრავ, ჰოო, ბებო, თან უფასოდ იქეიფებო. მოკლედ, თუ არ ვიაქტიურე, დედიკო ჩემს პატარას დამკვრელად გამიზრდის და ერთი-ორი მომხვდება, თუ ეს მესიჯი წაიკითხა. ლორელაი“.

მე მიყვარს სიდედრი

„დიდი ხანია, თვალს ვადევნებ „გზავნილებს“ და ძალიან მომწონს. გადავწყვიტე, მეც მომეწერა. როგორც იცით, დაიწყო ეროვნული გამოცდების „სერია“. მეც, შუადღის ცვლა ვიყავი და გავზქურე ქუთაისში. გულშემატკივრად კი ჩემი დაიკო და მისი ძმაკაცი წავიყვანე (დანარჩენები სულითა და გულით ჩემთან იყვნენ). ჰოდა, ვიდრე მე 4 საათი ვწერდი, ეკას და იკას მოუვლიათ მთელი ქუთაისი, ერთგან კი პატარა მანქანა უნახავთ, საქარე მინაზე ეტიკეტით — „მე მიყვარს სიდედრი!“ ჯერ გაჰკვირვებიათ, მერე კი ბევრი უცინიათ. ან კიდევ, ახვალ წრიულ „მარშრუტკაში“ და წაი-

დაუპატიჟებელი სტუმრები ანუ კახური სიყვარულის გამოხატულება

კითხავ: „მზესუმზირა, თხილი და ბანანი მიირთვით კანებიანა! აქანა და იქინა არ ვაჩერებთ!“ თუ გოგო მოეწონათ: „აუ რა გოგოა, დამაჯდა თვალები ბაზედოვის დაავადებასავით“. ასეა, ასეთი რამ მხოლოდ ქუთაისში შეიძლება მოხდეს. მიყვარხართ, ქუთაისელებო. მწარე“.

გაუმარჯოს ფეხბურთს!

„მე — გახარებუულ! გერმანიამ მოიგო დღეს არგენტინასთან და თან, რა ანგარიშით?! :) ییییფ! მაგარი იყო, რა! :) ახლა გაცინოთ: ჰوووووداა, :) გამოვიდნენ ფეხბურთელები სტადიონზე და ჩემთან გაჭედა პროგრამამ. გავიქეცი ბიძასთან საყურებლად. ბიძას სტუმრად ბიჭები ჰყავდა, უნდა დაელიათ. დაიწყო ჰიმნები და წამოვყარე სტუმრები ფეხზე: ადექით, გერმანიის ჰიმნია-მეთქი. :) დაიწყო თამაში კეიპტაუნში და პარალელურ რეჟიმში დაიწყო დალევაც, ახმეტაში. ამათმა, მოდი, დალიეო. როგორ ვიტყოდი უარს? :) ავიღე ჭიქა და: აბა, ბიჭებო, გუნდის თავკაცია და იოხიმ ლოვს გაუმარჯოს-მეთქი. აუუ, ამათმა დაიწყეს დალევა და რომ დათვრნენ ცოტა, ვიფიქრე, დროა-მეთქი და მეკარიდან დაწყებული, ყველა გერმანელი ფეხბურთელის სადღეგრძელო დავალევინე, შემდეგ „ზამენებზე“ გადავიდნენ. :) სიმართლე უნდა ითქვას, მესი და მარადონაც ადღეგრძელეს. :) მერე ერთ-ერთმა მკითხა: — ბიჭო, მიშკა, შვაინ ხოა გერმანულად ღორი? და აბა, შვაინშტაიგერი (მოთამაშეა გერმანიის) რა გამოდისო? ვიფიქრე და მოვიფიქრე: ჩვენებური დაბოლოება რომ მივცეთ, ღორიშვილი გამოდის-მეთქი. არც გაეცინათ, სრული ჭეშმარიტებაა მიშკა, შენ გაგიმარჯოსო. :) ეეჰ, კაი იყო, მარ... :) აბა, გილოცავთ, გერმანიის ფანებო, ჩვენია თასი. :) P.S. მარ, ანგელა მერკელიც იყო თამაშზე, მისი სადღეგრძელო გამორჩათ დღეს და ანგელაი წმინდა კერაი არ გაუმარჯოი? :) გაუმარჯოი! 9717“.

არ იდარდოთ

„მინდა, ჩემი ამბავი მოგიყვეთ: 17 წლის ვიყავი, როცა ერთმა ბიჭმა მომიტაცა. ჩემებმა უკან წამომიყვანეს. ჩვენ შორის არაფერი მომხდარა, მაგრამ ხალხს რას დააჯერებ? დრო რომ გავიდა, ერთი ბიჭი გავიცანი. მან თავიდანვე იცოდა, რომ მოტაცებული ვიყავი, მაგრამ ეს ფაქტი პრობლემად ექცა. ექიმთან წასვლა და იმის გაგება მოინდომა, ქალწული ვიყავი თუ არა. სიამოვნებით დავუმტკიცებდი ამას, მაგრამ მას ჩემი არ სჯეროდა და არც მომავალში დამიჯერებდა. ამიტომ დავშორდი და სამუდამოდ დავივიწყე. ახლა ვხვდები, რომ არც არასდროს მყვარებია. ბევრი ტანჯვა გამოვიარე ამ ამბებით, მაგრამ ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო და მეც, ერთ მშვენიერ დღეს ის ადამიანი გავიცანი, ვისაც ჩემი მართლა სჯეროდა და ახლა მისი ცოლი ვარ. პატარასაც ველოდებოდით, მაგრამ 2 თვის წინ დავკარგე. იმედი მაქვს, ღმერთი შვილს მაჩუქებს და მერე უფრო ბედნიერი ვიქნები. ასე რომ, იცოდეთ, არასდროს არავისზე იდარდოთ. მაო, 18 წლის“.

სვანი რომანტიკოსი

„არსებობს ერთი, არაჩვეულებრივად ჩვეულებრივი ბიჭი. მისი არაჩვეულებრივობა იმაში მდგომარეობს, რომ უკიდეგანოდ რომანტიკოსია (სხვათა შორის, სვანია). იპოვა ასევე რომანტიკული გოგო (თავისი ჭკუით) და აბრუებდა არაჩვეულებრივი სიტყვებით. ერთ, არცთუ ისე ჩვეულებრივ დღეს, რესტორანში, რომანტიკულ ვახშამზე დაპატიჟა. დარბაზი სანთლის შუქით იყო განათებული, წყნარი მუსიკა უკრავდა. ბიჭი გოგონას ნაზ ხელებს ეფერებოდა და ლამაზი სიტყვებით თავბრუს ახვევდა: წარმოიდგინე, ტყის ნაპირას, პატარა ქოხში ვართ ჩვენ ორნი, ბუხარში ცეცხლი ანთია, ჩახუტებულები ვართ და ჩვენს მომავალზე ვლაპარაკობთ. გოგომ კი ოცნებას უცებ დაამუხრუჭებინა: ამ დროს ნაპერწკალი რომ გადმოვარდეს და ცეცხლი წაგვეკიდოსო? :) საწყალი ბიჭი, გაშრა, გაფითრდა, ადგა და წავიდა. მაშ, გაუმარჯოს, ასეთ რომანტიკულ გოგონებს. ფიფქია“.

სკოლის დირექტორის გულისტკივილი

„მე სკოლის დირექტორი ვარ. ერთ მასწავლებელთან ვმეგობრობდი. როგორ წარმოვიდგენდი, ოდესმე ცუდს თუ მისურვებდა? ერთხელ „ჯეოკლასში“ ჩემი ფოტოები დადო და წააწერა, თითქოს მე ჰომოსექსუალი ვარ. როგორც გაირკვა, დირექტორობა მოსურვებია და გადაწყვიტა, მასწავლებლები ჩემ წინააღმდეგ აემხედრებინა. ისეთი სულელი იყო, ვერ მიხვდა, რომ კერძო სკოლაში დირექტორებს ასე ვერავინ ცვლის. ვერც ის გათვალა, რომ შავ დღეს დავაყრიდი ყველას. თუმცა, ის არ გამიგდია სამსახურიდან. ალბათ, მერე მიხვდა თავის დანაშაულს და პატიება მთხოვა... თუმცა, ამას მაინც ვერ ვივიწყებ“.

ბანკეტი

„ვაგრძელებ სტუდენტურ დღეებზე საუბარს და ამჯერად ბანკეტზე გიამბობთ. ამ საღამოსთვის მზადება, გამოცდების გამო, გვიან დავიწყე და ექსტრემალურ პირობებში დავრბოდი, აქეთ-იქით. წინა დღეს აღმოვაჩინე, რომ მოსკოვიდან გამოგზავნილი კაბა აგვიანებდა, კავალერი არ მყავდა შერჩეული (არა რა, ხომ ვამბობ, ერთი ქმარი უნდა „ეგდოს“ სახლში, რა იცი, რაში დაგჭირდება) და სალონში არ ვიყავი ჩაწერილი. ყველა სიკეთესთან ერთად, ჩემი და კახეთში იყო და სასწრაფოდ გამოვაქციე, გასწორებული თმა არ მიხდება და მიშველე-მეთქი. მოკლედ, ასე თუ ისე, ყველა პრობლემა მოვაგვარე, კომპანიონის გარდა და დათქმულ დროს რესტორანში გამოვცხადდი. ყველაფერი არაჩვეულებრივად მიდიოდა. ღვინის წყალობით იმ კონდიციამდე რომ მივედით, როცა მუსიკაზე მაგიდის ქვეშ ფეხის რიტმულად აყოლება აღარ გვაკმაყოფილებდა, წამოვიშალეთ და საცეკვაო მოედანზე ცეცხლი დავანთეთ. რადგან მე მარტო ვიყავი, გოგონებმა ერთ-ერთი მუსიკოსი შემირჩიეს და მასზე ვხუმრობდით. ის, რა თქმა უნდა, აზრზე არ იყო, რომ „მოტაცებას“ ვუპირებდით. წამოსვლისას, მენეჯერ ქალს ვთხოვე, „შემიხვიეთ“ ის ბიჭი და გამომიგზავნეთ-მეთქი. საბრალომ, გაოცებისგან სიგარეტი უკუღმა ჩაიდო პირში. მიუხედავად ულამაზესი დღისა, ფეხბურთის დარდი მქონდა და ტაქსიში რომ ჩავსხედით, მძღოლს ვკითხე, იმ დღის მატჩების შედეგი. „არგენტინამ“ მოიგოო, რომ თქვა. კინაღამ უკან მივბრუნდით, მაღარჩისთვის. :) მომენატრება, მარად რემონტში მყოფი I და სიგარეტის კვამლში გახვეული, V კორპუსები, ჩემი შინაბერები და ჯგუფელები. წარმატებები, მეგობრებო, წარმატებები! თქვენი პარიჟანკა“.

ცელქი ტყუპი

„გამარჯობა, მგზავნელებო. პირველად გწერთ, ვხალისობ ხოლმე თქვენი გზავნილებით. ერთი ამბავი გამახსენდა: პატარები ვიყავით, მე და ჩემი ტყუპისცალი დაიკო. სკოლაში ტროლეიბუსს დავყვებოდით ხოლმე (მაშინ მუშაობდა). მგზავრობა 5 კაპიკი ღირდა. დედამ მანეთიანი ჩაგვახუტა სამგზავროდ. პირველი მგზავრები ჩვენ ვიყავით, ბევრი ხალხი დილაუთენია არ დაჰყვებოდა ამ ჩვენს „ლიმუზინს“. :) ჩემმა დამ მძღოლს მანეთიანი გაუწოდა. სად მაქვს მაგის ხურდა ბიძია, ისე ჩადითო, გვითხრა მძღოლმა. ეს მე მახლავსო, — უთხრა ჩემმა დამ და უბილეთოდ ჩავედით. ჩემმა დაიკომ ეს მანეთიანი არ დახარჯა და მთელი კვირა, უხურდობის გამო უფასოდ ვმგზავრობდით. ერთხელაც მძღოლმა გვიცნო და ეტყობა, ჩვენს „გმირ“ მანეთიანს ელოდებოდა. :) მართლაც, რომ გავუწოდეთ, დაბღვერილმა გამოგვხედა და გვიღრიალა: ჩადით ახლა და ეს მანეთიანი დაახურდავეთ, თორემ აქ ამოსულები აღარ განახოთო. კუდამოძუებულები და შეშინებულები ჩავედით გაჩერებაზე და ჩემმა დაიკომაც იკადრა, „გმირი“ მანეთიანის დახურდავება. კიდევ, იცით, რა დამემართა? ბავშვობაში ფულს არ ვიხდიდით მგზავრობისას. ერთხელ ჩემმა დამ მოასწრო ტროლეიბუსიდან ჩარბენა. მე სანამ ჩავბორიალდი, გაბრაზებულმა მძღოლმა კარი დამიხურა. თავი გარეთ დამრჩა, ტანი — შიგნით და „ნუ პაგადის“ მგელივით დავრჩი, ასე კისერგაკვეხებული. საბედნიეროდ, გადავრჩი. ახლა კი ამ ამბავს ღიმილით ვიხსენებ. გაკოცეთ. სპლიყვენია“.

პრაქტიკანტი იეღოველი

„მამიდასთან მივდიოდი, ფიქრებში გართული სხვა სადარბაზოში ავედი. ზარი დავრეკე და კარი უცხო ქალბატონმა გამიღო. შემრცხვა, რომ მეთქვა, შემეშალა-მეთქი და ვკითხე: გინდა, გესაუბროთ ჭეშმარიტ ღმერთზე? სულელი ვარ, რა ჯანდაბად ვეკითხებოდი?

მობრძანდი შვილო, კარგად ამიხსენი მაგ სექტის შესახებ, მინდა გავწევრიანდე, ხელფასს თუ გადამიხდიანო? — მიპასუხა. მეორე შეცდომა თავიდან ავიცილე და ვუთხარი, დეიდა, მე პრაქტიკანტი იელოველი ვარ, ჯერ მაგდენ ინფორმაციას არ ვფლობ, კარგად ბრძანდებოდეთ-მეთქი. კნოპკა“.

ვეძებ

„მეტროს ამბები ისეთი აქტუალური გახდა, რომ არ მოგიყვეთ, საკუთარ თავს ვერ ვაპატიებ. ჰოდა, იმას გეუბნებოდით, რომ დამეწყო გამოცდები და ეს კახელი გოგო ვეფიცხებოდი ერთი კვირა ქალაქის მზეს და დავრბოდი მასწავლებლებთან. ჰოდა, ვარკეთილის მეტროში ჩასვლისას ძალიან მწარედ გავერთე. ეს გართობა იმაში მდგომარეობს, რომ ბევრი მცდელობისა და რამდენიმე ჟეტონის ჩაგდების მიუხედავად, ვერ მივაღწიე ესკალატორამდე (მაშინ მოუნდა ჩემი არგაშვება, როცა მეჩქარებოდა). ამ წამებ-წვალების დროს, კეპიანმა და სპორტულად ჩაცმულმა ბიჭმა შემომთავაზა დახმარება (ძალიან კი მჭირდებოდა) და მისი ჩაგდებული ჟეტონით გავძვერით ორივე. გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან მეჩქარებოდა, მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი, ისე ჩავირბინე ესკალატორი. ახლა კი გული მწყდება და ეს ორი დღეა, ვფიქრობ, ხანდახან როგორ მწარედ მარტყამს მზე თავის დიდ მუშტს... ასე რომ, თუ ახლა კითხულობ „გზას“, დიდი მადლობაა! P.S. გამიხსენე, რა... მარიამულ, დამიბეჭდე რა, გამწარებული ვეძებ იმ ბიჭს, ასე რომ დამამახსოვრა თავი და სულ მასზე ვფიქრობ“.

ეთო ბებო

„პონჩიკი“, „ბულკი“, ხაჭაპური, „პრიანიკიიი“.... აბა, ახალი იმერული, ლობიანი, ქადაااა... არა, არ გეგონოთ, მცხობელად დავიწყე მუშაობა ან ცომეულს ვყიდი. ეს ის შეძახილია, რომელზეც არაერთი თაობა დაიბადა, გაიზარდა და დავაჟკაცდა. რაც თავი მახსოვს, ყოველი დილა იწყებოდა „პონჩიკების“ ქება-დიდებით და მთავრდებოდა ჩაწოლილი „ტავარით“ მუცლის ამოხეთქვით. :-) საშუალო სიმაღლის, სუსტი აღნაგობის, გათეთრებული ქალი, შესაშური ხმის იოგებით... ეს იმ მოხუცის დახასიათებაა, რომელსაც ყველაზე მეტი „პონჩიკი“ აქვს გაყიდული და ქალი, რომელზეც ყოველთვის ლაპარაკობენ, ხანდახან, არც თუ ისე კარგს, მაგრამ მაინც... :-) ერთი შეხედვით, ძლიერი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ საკმარისია ახლოს გაიცნო, რომ მიხვდები, „რკინის ლედის“ უკან ჩვეულებრივი მოხუცი იმალება, რომელიც სიცოცხლეს ებღაუჭება. ეთერიმ ისე მიუკაკუნა 89 წელს, წნევაც არ გაუზომია, მაგრამ ბოლო დროს გატყდა, ავადმყოფობდა და აღარ ჰქონდა სასუსნავის ტარების თავი... იქნებ, ახლა მაინც დაისვენოსო, ალაპარაკდნენ კეთილის მსურველები, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. :) „ბაბუშკამ“ სხვენიდან ძველისძველი „კალიასკა“ ჩამომაღებინა, გარეცხა, გაავსო უგემრიელესი ცომეულით და კვლავ ჩამოიარა ქუჩა. „მაგრამ ხანგრძლივ, ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“ დასუსტებულმა მოხუცმა გადაწყვიტა, ცოტა ხნით თავი დაენებებინა, ბენდუქიძესავით აწყობილი ბიზნესისთვის და დასთან წასვლა გადაწყვიტა, რომელიც, მსოფლიოს მე-8 საოცრებად შეიძლება ჩაითვალოს. უეცრად, ნინა ბებო გარდაიცვალა. სამძიმარზე, პანაშვიდზე, საშინელი ამინდები იყო, დაკრძალვის დღეს წვიმის თავიდან ასაცილებლად, ძველ ტრადიციას მიმართეს. თუ გინდა, გასვენების დღეს კარგი ამინდი იყოს, გარდაცვლილის ტანსაცმელი სახურავზე უნდა დაამაგრო. ჩემმა მეგობარმა კი ნინა ბებოს ტრუსი გამოაბა, სახურავზე დამონტაჟებულ ანტენას. :) დაკრძალვის დღეს, მიცვალებული ეზოში დავასვენეთ, სიმართლე გითხრათ, არავინ იკლავდა თავს ტირილით. ვინც ტიროდა, ისიც ისე ხელოვნურად, რომ ბრმაც კი შეამჩნევდა. უცებ, ნიავმა წამოუბერა, ანტენას „ნიფხავი“ მოაძრო და ცოტა აფრიალა თუ ბევრი, მიცვალებულს მიაფინა ცხვირპირზე. ეთო ბებოსაც კი გაეცინა და მე რა დამემართებოდა, ხომ ხვდებით? მოხუცი დღეს ძველ ცხოვრებას დაუბრუნდა, ისევ ჰყიდის უგემრიელეს ცომეულს, რომელსაც ყველა „შ.პ.ს. ნამცეცას“ ვეძახით. რუისპირი“.

მუსიკოსის მოგონებები

„დაახლოებით 15 წლის წინ, ხარაგაულის რაიონის სოფელ ლეღვანში დაკრძალვაზე გახლდით, მუსიკოსად. გამოასვენეს მიცვალებული ეზოში და ჩვენც შევასრულეთ ერთი მელოდია. მიცვალებული ახალგაზრდა ქალი იყო და დედამისი ისეთი სიტყვებით დასტიროდა შვილს, რომ იქ მყოფ ყველა ადამიანს ცრემლი მოგვადგა თვალზე. მერე ცოტა გვერდით გადგა, მუხლებზე ხელები დაირტყა და დაიყვირა: დამკვრელებო, რავა დაგიღიათ პირები, დოუკარით საცეკვარი... ვიღას ახსოვდა ცხონებული მიცვალებული, ყველამ ჩვენ შემოგვხედა და კინაღამ დაიხოცნენ სიცილით. ჩვენ კი, რა თქმა უნდა, შევასრულეთ საცეკვაო მელოდია და ასე, ცეკვა-ცეკვით გავაცილეთ ცხონებული ქალბატონი საიქიოს. აცხონოს უფალმა მისი სული. მ.ვ.ლ. სურამიდან“.

კახური სიყვარული

„ამ დილით ჩემმა გურჯაანელმა მეგობარმა, ვანომ მომწერა. ბევრი ვიმესიჯეთ. მომწერა, 2 ბაჭია ვიყიდე, ერთი შენ გგავს, შენსავით ზარმაცია და დაწოლილს უყვარს საჭმლის მირომევაო. ზარმაცი არ ვარ, მაგრამ დაწოლილს ჭამა კი მიყვარს. შემდეგ, წარსული გამახსენდა: ბავშვობაში ლაგოდეხის რაიონში, ბებოსთან ჩავდიოდი სტუმრად. იქ დეიდასთან საგარეჯოელი ბიჭი ჩამოდიოდა. კახელები როგორც იტყვიან, იმ ბიჭმა თვალი დამადგა ანუ შევუყვარდი და დეიდამისის ძროხას ჩემი სახელი — ნათია დაარქვა. ალბათ ეს კახური სიყვარულის გამოხატულება იყო. გამოვიდოდა დეიდამისი უბანში და თავის ძროხას გასძახოდა: ნათიაა! ნათიაა! :) დაიღუპა ის ძროხა და გავიხარე მეც. :) ახლა კი ბაჭიას დაარქვეს ნათია. არა, რა შედარებაა, ძროხასთან ბაჭია. :) ბაჭია საყვარლობაა. ლაკვასთ“.

სიკვდილის გამარჯვება

„ქუჩაში მიმავალი, მუქ ლურჯ ბრიჯაში, ბოტასისა და კედის ნაჯვარ ფეხსაცმელში გამოწყობილი, ახოვანი მამაკაცი უეცრად გაჩერდა. ხელის გული გულზე მიიდო, მხრით ხეს მიეყრდნო და უსიამოვნო ტკივილის შეგრძნებისგან სახე უშნოთ დამანჭა და თვალები დახუჭა. შორიახლოს გოგონა იდგა, რომელმაც ახლოს მისვლა და სიტყვიერი დახმარება განიზრახა. ტკივილი გაიზარდა და იმდენად შეუტია, რომ მამაკაცი ჩაიკეცა და თავი მუხლებში ჩაქინდრა. გოგონამ შიშისგან ხელი პირზე მიიფარა და მამაკაცს მიუახლოვდა. ცუდად ხართ? წყალი ხომ არ გნებავთ? — ჰკითხა მღელვარებაშერეული ემოციით. მამაკაცმა თანხმობის ნიშნად თავისა და თვალების ოდნავი დახრით ანიშნა, რომ დახმარება ესაჭიროებოდა. გოგონა სწრაფად გაიქცა. მამაკაცი კი მოწყვეტით დაეცა. უეცრად, გამვლელმა ქალმა პროდუქტით დატვირთულ პარკებს ხელი უშვა და მამაკაცთან მივიდა. ცუდად ხარ, შვილო? რა მოგივიდა, დედიკო? მის გამოსაფხიზლებლად და თვალების გასახელად, ხელს ლოყაზე ურტყამდა. მამაკაცთან უკვე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ფეხები აუწიეთ! ეპილეფსია ხომ არ აქვს, საცოდაავს?! ენა დაუჭირეთ, ენა! „სასწრაფოში“ ვინმემ დარეკა? ბიბილოები, ბიბილოები დაუზილეთ! ისმოდა ხმები... ამასობაში გოგონამ წყალიც მოიტანა. ერთიანად გაფითრდა, მამაკაცის გაუარესებული მდგომარეობის დანახვისას. ერთს მამაკაცის აწეული ფეხები ეკავა, მეორეს — თავი, ერთი ბიბილოებს უზელდა, მეორე სველ ტილოს სახეზე უსვამდა, რამდენიმე გულიდან ამოსულ, მწუხარებადართულ სიტყვებს — ღმერთო, შენ უშველეს გაიძახოდა, რამდენიმე თვალდახუჭული ლოცულობდა და უამრავს ტელეფონი ჰქონდა მომარჯვებული... მომაკვდავმა მამაკაცმა წყალსმოკლებული თევზივით დაიწყო რეაგირება. ჰაერის შესრუტვას ლამობდა, მაგრამ ისევე უძლური იყო, როგორც გარშემო მყოფი ადამიანები, მისი სიცოცხლის შენარჩუნებაში... ამასობაში საყვირის ხმა გაისმა, რომელიც მამაკაცის გადარჩენის იმედის ჩამსახველი იყო, იქ მყოფი ყველა ჩვენთაგანისთვის. 2 ექიმი უმალ მივარდა მომაკვდავს, თვალებში ჩახედეს, ნემსი გაუკეთეს, წვეთოვანი დაუყენეს, პირზე ჟანგბადის მზარდი დოზით მიმწოდებელი მაშველი მოწყობილობა დაუყენეს. გადაჯვარედინებული ხელებით მკერდზე ვარჯიშს უტარებდნენ, მის გადარჩენას ცდილობდნენ. ხალხი დანანებითა და ცრემლით მოთქვამდა. ექიმები იბრძოდნენ, მთელი ძალისხმევით ცდილობდნენ, მამაკაცის სიკვდილი არ დაეშვათ. თუმცა,

აპარატზე გამოსახულმა, გულის ფეთქვის მანიშნებელმა ნელ-ნელა უკლო მწვერვალებს დამსგავსებული ნიშნების ჩვენებას, თითქოს უკვე პატარა გორაკებს აშუქებდა და მამაკაცსაც აკლდებოდა გულის ცემის სიმძლავრე... უეცრად მორჩა, დასრულდა, ექიმი შეჩერდა, გულის ცემა ნული იყო, სიცოცხლის ნიშანწყალი გაქრა, აპარატი სწორ ხაზს უჩვენებდა და შემზარავ, სიკვდილის დამადასტურებელ ხმას გამოსცემდა. 40-წუთიან ბრძოლას მაინც აჯობა ერთმა წყეულმა სიკვდილმა და სამუდამოდ გამოსტაცა მამაკაცს სული. ეული დატოვა მამრის სხეული და გულებში ჩაგვინერგა მწუხარება, დარდი და ვარამი. თითქოს ჰაერსაც კი სიკვდილის სუნი აუვიდა და მოღუშულობის, დაღვრემილობის უხილავი ძალით გვმოსავდა. გული შემეკუმშა, თვალის გარსი მლაშე სითხით ამევსო, სახეზე ყველას ტკივილი აესახა. მხოლოდ გოგონა ტიროდა ცხარე ცრემლით. P.S. ცხოვრებაში უკვე მეორედ შევესწარი ადამიანის სიკვდილს, რაც უეჭველრწმუნებულად მათქმევინებს რომ მაგ დამთრგუნველ შეგრძნებაზე მძიმე არაფერია... რა საინტერესოა, ნეტავ მართლა იმისთვის ვიბადებით, რომ დავიხოცოთ? მისტერ“.

უიღბლო

„მართლა მჯერა ჯადოქრობის. ჩემს ახლობელ გოგოზე მოგიყვებით. სკოლა წარმატებით დაამთავრა. უნივერსიტეტი — ორჯერ მეტი წარმატებით. თავისი სრულფასოვნებით, განათლებით, განსაცვიფრებელი გარეგნობით დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე. სამსახურიც მალე დაიწყო. იურისტის პროფესია, მოგეხსენებათ, ურთულესია, მაგრამ ის ყველაფერს კარგად უმკლავდებოდა. 27 წლის ისე გახდა, ბიჭისკენ არ გაუხედავს, უამრავი კარგი მამაკაცი სთავაზობდა გულსა და სულს, მაგრამ ბედის ირონიით, ყველას უარით ისტუმრებდა. იმ პერიოდში ურთულესი გამოცდისთვის ემზადებოდა, მოსამართლე უნდა გამხდარიყო და გამოჩნდა ერთი „ბიძა“, რომელიც ცოლობას სთხოვდა. 15 წლით უფროსი კაცი კუდში დასდევდა და გასაქანს არ აძლევდა. თავადაც თავისიანების ზეწოლის გამო ცდილობდა ცოლის შერთვას. სწორედ ჯადოს ზემოქმედებით გადაიბირეს ეს გოგო და დაიღუპა. იმპოტენტი, საყვარლისგან გამოლენჩებული ქმრის შეურაცხყოფა დიდხანს ვერ აიტანა და... აქ დამთავრდა ყველაფერი“.

დაუპატიჟებელი სტუმრები

„მაშინ პატარა ვიყავი, დედიკომ სასეირნოდ წამიყვანა. გზაში ნაცნობი ქალი შეხვდა. დაიწყეს ქაქანი და ასე გავუყევით გზას. იტალიურ ეზოში, კიბეზე ავედით და შევაღეთ ბინის კარი. დედა და ის ქალი სამზარეულოში შევიდნენ, მაგიდაზე სიგარეტი იდო, გააბოლეს, ყავა მოადუღეს, თან გაუჩერებლად ქაქანებდნენ. ის-ის იყო ყავის დალევას მორჩნენ, რომ ვიღაც ხალათიანი ქალი შემოვიდა — თქვენ ვინ ბრძანდებით და ჩემს სახლში რა გინდათო? :) უნდა გენახათ, სიცილისგან როგორ ვხოხავდით. იმ ქაქანში დედაჩემმა იფიქრა, რომ იმ ქალის სახლში მივედით, იმ ქალს კიდევ ჩვენი სახლი ეგონა. :) მად“.

წყევლა

„მე მოულოდნელ უბედურებაზე გიამბობთ. გიორგი პაპასა და ნინო ბებოს სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი ჰყავდათ. გიორგი ადრე გარდაიცვალა. ნინომ რის ვაი-ვაგლახით გაზარდა შვილები და რომ ეგონა, ვეღირსე ბედნიერ ცხოვრებასო, სწორედ მაშინ დაიწყო სამამულო ომი. ორი უფროსი ვაჟი გაიწვიეს ომში. ქალიშვილები გათხოვდნენ. ოჯახში უმცროსი ვაჟი, ლექსო დარჩა. მას და მეზობლის გოგოს, ანას, ერთმანეთი შეუყვარდათ. ანას ოჯახი შეძლებული იყო და მამამ ღარიბ ბიჭზე დაქორწინება აუკრძალა. ქალ-ვაჟი ერთმანეთისთვის რომ დაეშორებინათ, რას აღარ აკეთებდნენ უფროსები, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ლექსომ ანა შინ მიიყვანა. ძველად, ვისთვისაც დიდი სასჯელი უნდოდათ, ხატზე წყევლიდნენ ხოლმე. სწორედ ასე მოიქცა ანას მამაც. მწარედ დაწყევლა შვილი და სიძე და... სოფელში ამბობდნენ, საღამო ჟამს „ამინმა“ ჩამოიარა და მამის წყევლა გულით გაიყოლაო. ცოტა ხანში ლექსოც ფრონტზე წაიყვანეს და იქ დარჩა სამუდამოდ. ანა კი უკურნებელი სენით, სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. ამ ღამაზ წყვილს 1 წლის ბიჭი დარჩა. ნერტისი“.

ინტიმური მავნე ჩვევა

„გზავნილების“ ერთგული მკითხველი ვარ. ათენში ახალჩასულს ისეთი რაღაც შემემთხვა, ვიფიქრე, მივწერ მარის, თუ არ დაბეჭდავს, გაიცინებს მაინცმეთქი. საბერძნეთში 5 წლის წინ ჩავედი, ბერძნული არ ვიცოდი. ინგლისურად ვლაპარაკობდი და ბერძნულს „ვებრძოდი“. ერთ, აწ გარდაცვლილ ბებიას ვუვლიდი. ერთ დღეს მისი შვილი გვესტუმრა, შუახნის კაცი. ყავა შევთავაზე. დამთანხმდა და კისრისტეხით სამზარეულოსკენ გავიქეცი. ყავა მივართვი და მაგიდაზე დადგმული არ მქონდა, ფინჯანს ხელი რომ წამოავლო და ცხელი სასმელი ხახაში გადაუშვა. თან ვნებიანად გამიღიმა. ეს ღიმილი დიდად არ მესიამოვნა. თან „ვეტერანი“ ემიგრანტებისგან მკაცრად ვიყავი გაფრთხილებული, აქ ღიმილი თანხმობის ნიშანიაო. აქვე გეტყვით, რომ ბერძნულად „ხუი“ მავნე ჩვევას ნიშნავს. ჰოდა, ეს კაცი მეუბნება — ასეთი მავნე ჩვევა მაქვს, მდუღარე ყავა მიყვარსო. მე „ხუი“ რომ გავიგონე, მერე აღარც მახსოვს, რა თქვა. ვნებიანი ღიმილიც, რომელიც ყავით ნასიამოვნებმა მტყორცნა, „ხუისთან“ დავაკავშირე და ვაი, იმ კაცს რომ დღე დაადგა... ქართულად გემრიელად გამოვლანძღე. რაში მაინტერესებს, შენ როგორი „ხუია“ გაქვს-მეთქი?! იმ კაცის გამოშტერებული სახე არ დამავიწყდება, მაგრამ როცა ყველაფერი ამიხსნა, სიმწრით ხერხემალი ამეწვა. მეც ავუხსენი და მას შემდეგ, მდუღარე ყავის დანახვისას ყოველთვის ის კაცი მახსენდება. მაკა, 29 წლის, ათენი“.

ჭირვეული მეზობლები

„ყველას გაუგონია: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“. მრავალი ოჯახი, რომელიც წლების განმავლობაში მოსისხლე მტერი იყო, ქალ-ვაჟის სიყვარულს შეურიგებია და დაუმოყვრებია. მე კი მოგიყვებით ამბავს, რომელმაც წლობით ნაშენებ მეგობრობას, პატივისცემასა და რაც მთავარია, ნათელ-მირონობას საფუძველი შეურყია. ამ შემთხვევაში, სიყვარული ბედნიერების ნაცვლად, არაერთი ადამიანისთვის ტანჯვის მომტანი გახდა. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში 2 ოჯახი ცხოვრობს, რომელსაც საუკეთესო მეგობრობამ ნათელ-მირონობა გადააწყვეტინა. მართალია, ბავშვები ჯერ მონათლულები არ იყვნენ, მაგრამ და-ძმასავით იზრდებოდნენ. სოფელი რის სოფელია, ჭორი ვინმეს თუ არ გაუვრცელეს. ჰოდა, ერთ დღესაც ხალხმა ლაპარაკი დაიწყო, გიოს და ანის ერთმანეთი დაძმურად კი არა, „სხვანაირად“ უყვართო. ამას მოჰყვა ნერვიულობა, ერთმანეთთან საქმის გარკვევა-გამორკვევა, მაგრამ ვინაიდან ბავშვებმა ყველაფერი უარყვეს, ხალხიც გაჩუმდა. გიომ სკოლა დაამთავრა და უნივერსიტეტში ჩააბარა, მაგრამ საქართველოში დიდხანს აღარ გაჩერებულა და საზღვარგარეთ, მამამისთან გაემგზავრა, დედამისი კი მარტო დარჩა სოფელში. 2 წელიწადში ანიმაც ჩააბარა და დედაქალაქში გადავიდა საცხოვრებლად. წლები გადიოდა. ანის მშობლები გიოს დედას გვერდში ამოუდგნენ და მარტოობას არ აგრძნობინებდნენ. ძველი ამბავი ყველამ დაივიწყა, ამ ორი ოჯახის მეგობრობა კი დღითი დღე მყარდებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ გიო მამასთან ერთად საქართველოში დაბრუნდა. მაშინ კი აღიარეს გიომაც და ანიმაც — ერთმანეთი მართლა გვიყვარდა, ახლაც გვიყვარს და ერთმანეთთან კავშირი მთელი ამ წლების მანძილზე არ შეგვიწყვეტიაო. ალბათ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა ამ ოჯახებს შორის. ეს ამბავი ჯერ კიდევ არ დასრულებულა და არავინ იცის, რა მოხდება, რას გადაწყვეტს შეყვარებული წყვილი. ღმერთმა ქნას, მშვიდობით დასრულდეს, მე ისინი ძალიან მიყვარს. სონი“.

■

თქვენთვის საინტერესო თემაზე ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე:

marorita77@yahoo.com

„მშობლის გათხოვების გამო მხოლოდ უგუნურები თუ დაგცინებენ“

„ახლა დედაზე უნდა იფიქრო და არა – სადედამთილოზე“

„გზის“ №26-ში დაიბეჭდა 18 წლის ნინიკოს მესიჯი, რომელიც გვწერდა: „ასეთი თავმოყვარეობაშელახული არასდროს ვყოფილვარ — დედაჩემი ვიღაც ბერძენზე თხოვდება. ჩემი მშობლები 3 წელია, ერთმანეთს დაშორდნენ. მართალია, მამამ მაშინვე შეირთო ვიღაც უკრაინელი, მაგრამ ამის გამო გული ისე არ მტკენია, როგორც ახლა მეტკინა. მგონი, დედის გათხოვებას ვერ გადავიტან. ყველაზე ცუდი ისაა, რომ რამდენიმე თვეში საყვარელ ადამიანზე ვაპირებდი ჯვრისწერას, ახლა კი მისი მშობლების დასაცინი გავხდები...“

ლიკა ქაჯაია

პოპი:

„შენ ეგოისტი ხარ. დედაშენს უფლება აქვს, ბედნიერი იყოს. ბოლოს და ბოლოს, მან ხომ მთელი ცხოვრება შენზე ზრუნვაში გაატარა? დააფასე, სანამ დროა“.

შავტუხა:

„არ უნდა ინერვიულო იმაზე, თუ რას იტყვიან შენი საქმროს მშობლები, რადგან დამერწმუნე, დამნაშავე არაფერში ხარ. მესმის, რომ გული გტკივა, მაგრამ დედაშენსაც უნდა გაუგო — მან ის გააკეთა, რასაც სწორად მიიჩნევდა და მის გადაწყვეტილებას პატივი უნდა სცე. წარმატებები!“

იურისტი 19:

„უნდა გიხაროდეს, რომ დედაშენი ბედნიერია. თუკი მამაშენმა შეირთო ცოლი და ახლა შენც თხოვდები, დედაშენს რატომ არა აქვს უფლება, ბედნიერი იყოს? ნუ იქნები ეგოისტი. მე 19 წლის ვარ, დედაჩემიც საზღვარგარეთაა და ჩემი მშობლებიც დაცილებულები არიან. დედა ისე ახალგაზრდულად გამოიყურება და ისეთი ლამაზია, რომ ყველას ჩემი დაიკო ჰგონია. მეც დედისერთა ვარ, მაგრამ სულ იმას ვეუბნები: ვიდრე შენ არ გათხოვდები, არც მე ვეწევი ბედსმეთქი... ჩვენს მშობლებს უფლება აქვთ, ბედნიერები იყვნენ. ნუ ითხოვ დედაშენისგან, რომ საკუთარი ცხოვრება მსხვერპლად შემოგწიროს, რადგან აქამდე ზუსტად ამას აკეთებდა — საბერძნეთში ხომ იმიტომ წავიდა, რომ შენ არაფერი მოგკლებოდა?! დედას მიეფერე და ბედნიერება უსურვე“.

ანა:

„იცი, რა — ეგოისტი ხარ! თავადაც თხოვდები, მამაშენსაც მოუყვანია ცოლი და ახლა არ გინდა, რომ დედა ბედნიერი იყოს? არ მესმის, რა ვერ აგიტანია? მხოლოდ ისეთი დედა გინდა, რომელიც უცხო ქვეყანაში ვირულად იშრომებს და თითოეულ სიმწრით მოპოვებულ „კაპიკს“ შენ დაგახარჯავს? თავმოყვარეობაშელახული კი არა, მაგარი საცემი ხარ (მაპატიეთ, ამ გზავნილმა აღმაშფოთა). მხოლოდ უგუნური ადამიანები თუ დაგცინებენ ამ ამბის გამო. კარგად დაფიქრდი, რას ამბობ და როგორ იქცევი, ბოლოს ყველაფერი სანანებელი არ გაგიხდეს. თავი დაანებე, დედაშენის პირადი ცხოვრება შენ არ გეხება, საკუთარ თავს მიხედე. ჩემი აზრით, ის ქალი სწორად იქცევა“.

დამავიო:

„შენ როგორც არ უნდა შეეცადო, მეეჭვება, რაიმე შედეგს მიაღწიო. როგორც ჩანს, დედაშენს უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი აქვს. დედას დაელაპარაკე და უთხარი, თუ როგორ გიყვარს, რომ მისი დაკარგვა არ გინდა. დამერწმუნე, ეს სიტყვები მასზე იმოქმედებს. ჰო, კიდევ, არავის დასაცინი არ ხარ. დედაშენის პრიმიტიული აზროვნების გამო, სიყვარულზე უარს ნუ იტყვი. წარმატებები!“

გამგუჩა:

„არასწორად მსჯელობ. რადგანაც უკვე ზრდასრული ხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ დედაშენს ბედნიერების უფლება აღარ აქვს? შენ გათხოვდები, საკუთარი ცხოვრება გექნება, შენი ახალგაზრდა დედიკო კი მხოლოდ იმიტომ უნდა დარჩეს მარტო, რომ მშობლის დაოჯახება „გიტყდება“? იცი, რას გეტყვი? — ერთი ჭირვეული გოგო ხარ, რომელსაც ყველა და ყველაფერი ბოდიში, მაგრამ სულ „ფეხებზე ჰკიდია“, მთავარია, თავად გრძნობდეს თავს კარგად. ვინ მოგცა უფლება, საკუთარი დედის ცხოვრება განაგო? იმის ნაცვლად, რომ საკუთარი მშობლის ბედნიერება გულწრფელად გაიზიარო, ცდილობ, ყველაფერი ჩაუმწარო. ეგ შენი პატივმოყვარეობა წამით მაინც დაივიწყე და საკუთარი თავი დედაშენის ადგილას წარმოიდგინე. სამწუხაროდ, შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი, ვინც ასე აზროვნებს. P.S. ბოდიში, უხეშობისთვის“.

საპალელი გოგო:

„პატარა გოგო აღარ ხარ და უნდა ხვდებოდე, რომ დედაშენის საქმეში ცხვირი არ უნდა ჩაყო. მან უკეთ იცის, უნდა გათხოვდეს თუ არა. შენ ოჯახის შექმნას რომ დააპირებ, დარწმუნებული ვარ, დედას რჩევასაც არ ჰკითხავ“.

იკუშკები:

„ჩემო კარგო, ეგოისტურად იქცევი — დედაშენს ნამდვილად აქვს ბედნიერების უფლება და ამას ვერავინ წაართმევს! რატომ ხარ ასე უარყოფითად განწყობილი დედის გათხოვების მიმართ? მერე რა მოხდა, თუკი ადამიანს ბედნიერება ხელახლა ეწევა? მამაშენმაც ხომ მოიყვანა ცოლი? ჰოდა, დედამ რატომ უნდა დაიმარხოს თავი ცოცხლად? შენც ქალი ხარ და ამ საკითხს ასე კრიტიკულად არ უნდა მიუდგე. ღმერთმა დაგიფაროს, მაგრამ ქმარს შენც რომ გაშორდე, მერე შვილის ჭირვეულობისა და ეგოისტობის გამო საკუთარ ბედნიერებაზე უარი უნდა თქვა? საყვარელო, შვილები დიდი ბედნიერებაა, მაგრამ დამიჯერე, ყველა მოხუცის ერთადერთი გულშემატკივარი მხოლოდ საყვარელი მეუღლეა... თუ საქმროს ნამდვილად უყვარხარ, შენი დედიკოს გათხოვების გამო მისი ოჯახი ხმასაც ვერ ამოიღებს, მაგრამ თუ შეუგნებელი ხალხია, მათთან ურთიერთობა სხვა მიზეზის გამოც გაგიფუჭდება. ჩემი თხოვნა იქნება, დედის არჩევანს პატივი სცე და ბედნიერება უსურვო! ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ვერ გაიგებ, ვის, როდის და რას უმზადებს. გაახარე შენი დედიკო და შენც დატკბი მისი ბედნიერებით!“

სვანის ასული:

„როგორც ამბობ, უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია და ამიტომაც სჯობს, არსებულ რეალობას შეეგუო, მთელი ყურადღება საკუთარ ქორწილზე გადაიტანო. შენი მომავალი მეუღლის

მშობლებს კი ვურჩევ, შენ მიმართ რაც შეიძლება მეტი სითბო და შემწყნარებლობა გამოიჩინონ. დედას ვერავინ შეგიცვლის, მას ნუ დაკარგავ. სავარაუდოდ, არც მამაშენი იქნებოდა ერთგული ქმარი და არც დედაშენი — ბედნიერი (მის ხელში), ამიტომაც ახლა მის არჩევანს მკაცრად ნუ განსჯი. ბედნიერებას გისურვებთ! P.S. ისე, შენ ადგილას მდიდარი ბერძენი მამინაცვლის ყოლის პერსპექტივა ბევრს მოხიბლავდა :))“.

დადუნა:

„საყვარელო, მიეცი დედაშენს უფლება, ბედნიერი იყოს. უბრალოდ, მასაც უნდა, ვინმე იცავდეს, უვლიდეს... ხელი არ შეუშალო, რა, გთხოვ“.

ლალი:

„ყველას სჭირდება გვერდით ისეთი ადამიანი, ვინც მასზე იზრუნებს. გაუგე დედას. შენ თხოვდები, შენი ოჯახი გექნება, მშობელმა კი რა ქნას?.. იფიქრე იმაზე, რომ შენი დედიკოც ვიღაცისთვის სასურველი და საჭირო აღმოჩნდა. დამიჯერე, ეს ყველაზე პატარა ტრაგედიაა, რაც კი შეიძლება, შენს ცხოვრებაში მოხდეს“.

მარი:

„გათხოვება შენ თუ გინდა, დედაშენს რატომ არ უნდა უნდოდეს? ბოლოს და ბოლოს, ის ხომ შვილის გამო წავიდა საბერძნეთში, შენ კი ვერ უგებ. ცუდად იქცევი. იმედია, ჩემი მესიჯი არ „გაგიტყდება“.

მატიტელა:

„ჩემო კარგო, დედას ასე მკაცრად რატომ ექცევი? რატომ განიკითხავ? განა, მას ბედნიერების უფლება არა აქვს? დედაშენი ქმარმა მიატოვა, რამდენიმე თვეში შენც თხოვდები და იმას არ ფიქრობ, რომ დედა მარტო დარჩება, ორმაგად ცოდო იქნება საყვარელი მამაკაცისა და შვილის გარეშე... მხოლოდ საკუთარ თავზე რომ ფიქრობ, იქნებ, მშობელზეც გეფიქრა? არა, რა, დედისერთები ეგოისტები არიანო, რომ ამბობენ, მართალი ყოფილა! შენ, 18 წლის ბავშვს გინდა ოჯახი შექმნა, გვერდით მამაკაცი გყავდეს და როგორ ფიქრობ, ამ ყველაფრის სურვილი ქალს არ ექნება? დედას გაუგე და მამინაცვალთანაც კარგი ურთიერთობა დაამყარე. შეყვარებულს და მის ოჯახს დედის დაცინვის უფლება არ მისცე!“

უცნობი:

„ვიცი, როგორ სიტუაციაშიც ხარ. ასეთი რამ ჩემს დეიდაშვილსაც დაემართა, მაგრამ დედამისი ჯერ არ გათხოვილა და შენგან განსხვავებით, მას მამა მოუკვდა. იცოდე, ადამიანი, რომელიც იმის გამო დაგცინებს, რომ დედაშენი თხოვდება, შეუგნებელია! ბედნიერების, პირადი ცხოვრების მოწყობის უფლება ყველას აქვს... აბა, დედაშენის ადგილას წარმოიდგინე თავი — შენ თხოვდები, ის კი მარტო დარჩება... მერწმუნე, მისი გაბედნიერებით არაფერი დაშავდება და როცა გათხოვდები, ამას თავადაც მიხვდები“.

ლუნა:

„როცა ადამიანს თავმოყვარეობა არ გააჩნია, ყველაფერს იკადრებს! არც კი ვიცი, რა გირჩიო, რადგან დედაშენის საქციელით გაოგნებული ვარ. რაღა დროს მისი გათხოვებაა? ალბათ, იმ ბერძენმა კაცმა ტვინი ათასი სისულელით, დაპირებით გამოუჭედა და ახლა ვერც კი ხვდება, რამხელა შეცდომას უშვებს — დაუფიქრებელი ნაბიჯით შენც გავნებს და საკუთარ თავსაც. დედას გულახდილად დაელაპარაკე და ვინ იცის, იქნებ გათხოვება გადაიფიქროს კიდეც?!. იმედია, შენი შეყვარებული და მისი ოჯახი გაგიგებს, ზურგს არ შეგაქცევს. ისე, „ლოვეს“ თუ მართლა უყვარხარ, არავის და არაფრის გამო არ მიგატოვებს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! P.S. ისე, დედა რომ დაგასწრებს გათხოვებას, რა მაგრად „ტეხავს“, არა?“

ნათო:

„ჩემო კარგო, შეეცადე, დედას გაუგო, რადგან ბედნიერების უფლება ყველას აქვს. რაც შეეხება შენი საქმროს მშობლებს, თუ ისინი კულტურული ხალხია, აუცილებლად გაგიგებენ. გკოცნი“.

ლიკუნა 34:

„ძვირფასო, თავადაც შეყვარებული ყოფილხარ და როგორც ქალმა ქალს, უნდა გაუგო. გთხოვ, დაფიქრდე და ისე განსაჯო. დიდ ბედნიერებას გისურვებ!“

რუისპირი:

„ვერაფრით ვხვდები, თავმოყვარეობა რამ შეგილახა? დედაშენი, პირველ რიგში, ქალია. მამაშენმა ცოლი მაშინვე რომ შეირთო, რატომ მაშინ არ აღშფოთდი? შენ გათხოვდები, ახალი ოჯახი გექნება, შვილები გეყოლება, მამაშენი ახალ ცოლთან ერთად ერთობა და დედაშენმა მთელი ცხოვრება მოხუცებს უნდა მოუაროს? ახლა დედაზე უნდა იფიქრო და არა იმაზე, თუ რას იტყვის შენი სადედამთილო. რატომ ვერ ამართლებ მის საქციელს? დედაშენი ქალია, რომელსაც მოთხოვნილებები აქვს, კაცი სჭირდება. P.S. ახლა დედას უნდა ამოუდგე მხარში, ქალი მარტოობისთვის არ გაწირო“.

უცნობი:

„საყვარელო, მესმის შენი, მაგრამ არც ის შეიძლება, საკითხს ასე მიუდგე. ბოლოს და ბოლოს, მასაც ხომ აქვს უფლება, პირადი ცხოვრება ჰქონდეს?! უნდა გაუგო და ამის გამო ვერავინ დაგცინებს. მერწმუნე, ამქვეყნად დედაზე საყვარელი არავინაა; მშობელი არ დაკარგო, თორემ გამოუსწორებელ შეცდომას დაუშვებ. აბა, შენ იცი, ულევ ბედნიერებას გისურვებ! ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. დაფიქრდი და მიხვდები, რომ მართალი ვარ“.

&:

„შენი მესმის, მაგრამ ისიც უნდა გაათვითცნობიერო, რომ დედაშენიც ადამიანია... დედაჩემიც მეორედ გათხოვდა, მაგრამ ამით თავმოყვარეობა არ შემლახვია. ჩემი ბიოლოგიური მამა ავარიაში მოყვა და გარდაიცვალა, დედა კი 2 წლის შემდეგ გათხოვდა. თავიდან ამ ამბავს მეც განვიცდიდი, რადგან მეგონა, დედას ვკარგავდი, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ ჩემზე ბედნიერი არავინაა — მყავს მამა, რომელიც ძალიან, ძალიან მიყვარს, მყავს დედა და რაც მთავარია, 4 წლის წინ ამ ქვეყანას მოევლინა ჩემი დაიკო, რომლის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. დამშვიდდი და ყველაფერს სხვა თვალით შეხედე. მერწმუნე, ტყუილად ნერვიულობ!“.

მის ბილი კაულიც:

„სჯობს, დედას დაელაპარაკო და სთხოვო, არ გათხოვდეს. აუხსენი, რომ შესაძლოა, მისი ამ ნაბიჯით შენი რჩეული დაკარგო... ისე, მგონია, რომ დედაშენის გათხოვება არაფერში გიშლის ხელს. ჯობია, ორივე ბედნიერები იყოთ. შენ პატარა არ ხარ, იაზროვნე“.

ზოკა:

„გაგიხარდება, დედაშენი მინდვრის თაგვივით, მარტო რომ დარჩეს? ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი არ დაგცინებს, სულელებს კი ჭკუა არ მოეთხოვებათ. მიყვარხარ, გკოცნი“. ■

„მეგობარმა სიყვარული ამიხსნა...“

ლიკა, *18 წლის:*

„თქვენი დახმარება ძალიან მჭირდება: ბიჭმა, ვისთან ერთადაც ვიზრდებოდი, სიყვარული ამიხსნა და აღარ ვიცი, რა გავაკეთო. მერწმუნეთ, ეს ჩემთვის ყველაზე საშინელი დღე იყო, გული მტკივა. გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? არ მინდა, მასთან ძველი ურთიერთობა გამიფუჭდეს“.

P.S. ***მაშ ასე, თუ ლიკას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.*** ■

ფოტო, რომელმაც ნორნორა დაკარგა

• „ამ კაცს ვერაფერი შევაგნებინე“.

• „მარტოობას ხომ მაინც ჯობია?“ ჩიკო.

• „შეშლილი მარტოობა“

• „ამ ღამის შემდეგ როგორ შეცვლილა?!“

• „კაცი კაცობას ვერ შვრება და ეს ნახატი იზამს ვითომ რამეს?! ჰი, ჰი, ჰი“...

• „წინასწარ უნდა შევეჩვიო წოლას ჩემს მომავალ, ბებრუხანა, მილიონერ მეუღლესთან“. დიკა.

• „ქალი: სხვაცა მაქვს შენი სურათი, თავი ჩარჩოზე დიდია, ყვავებს და კაჭკაჭებს აფრთხობს, ახლაც ბოსტანში ჰკიდია“. :) ტერეზა.

• „ამ „სიფათშიგარშოკჩარტყმულს“ დამსგავსებულ, სურათიან ბალიშთან წოლას, ლენინთან წოლა მირჩევნია“. მისტერ.

• „მარტო სახლში“. ლუნა.

• „აი, ახლა შემოვა... უკვე მოვიდა... ნაბიჯების ხმა მესმის... კარი გაიღო... ვაიმეეე, ჩემი დედიკო მინდااااا!“ ლუნა.

• „რა ვქნა, რომ ბედი არ მწყალობს, ქალი ფიქრებშიც და ოცნებებშიც მარტოა“. რუსთავი.

• „პირველი ღამის „კოშმარი“. სვანის ასული.

• „ჩემი ოცნების მამაკაცი“

• „ეჰ, როგორ ველოდი ამ ღამეს, მას კი ჩაეძინა“.

• „მთლად ჯეისონ სტეტჰემი არაა, მაგრამ წავა „პივაზე“, რა“. კლეოპატრა.

• „შენ ქეთო ყარაულაშვილი მარტო ფილმის გმირი გეგონა?“

• „ასეთი გინდ გყოლია, გინდ — არა“.

• „ეჰ, ცარიელ საწოლს ისევ ეს ჯობია, ნეტავ როდის გამოჩნდება ის ერთადერთი?“ პოპი.

• „ეროტიკული სიზმრის შემდეგ“.

• „ყველა კაცი ასეთია“.

• „მარტოხელა, მარტოსული ქალბატონი“.

• „დედაკაცო, ვერა მხედამ აქა... მე აქ კაცი ვარ თუ „პროპკა?“ კოვბოი.

• „ამ გოგოს კაცი ენატრება, ზურიკელას კი — ტორტი“. რ.

• „რა ვქნა, ნამდვილი დავკარგე და“...

• „ეჰ, სხვა გზა არ არის“. ჯეკსონის ფანუკა.

• „ე.ი. ამ „გზას“ პაპარაცები ყველგან გყავთ, რა. როდის გადამიღეთ?“ რუისპირი.

• „გაფრენილი ოცნება“.

• „ყველაფრის კრიზისი“. ნებიერა.

• „უი, ვეღარ გამიძლო... ადე კაცო, დიდი ხანი უნდა გელოდო?“

• „უნდა დამეჯერებინა, რომ მეუბნებოდნენ, ხატვა კარგად ისწავლეო. ეეეეჰ, რა სცოდნია სიმარტოვეს?!“

• „არა, رااا! გასაბერი ქმარი უნდა ვიყიდო, მომბეზრდა ხატვა“.

• „ასეთია შინაბერას ბედიიი“... „ბარსას“ ფანი.

• „შინაბერას გავიცნობ, თუ არის ვინმე, დიდი სიამოვნებით“...

• „მიტოო, ჩამოდი, თორე დედაი გიტირებ, თურმე როგორა მყვარებიხარ, ბიჭო“.

• „ძვირფასო, ეს ის არაა, რასაც შენ ფიქრობ“.

• „ხედავთ, რას ვუშვრებით ქალები კაცებს, შემდეგ კი გვეშინია“.

• „აუ, ამან ქაღალდის ნაგლეჯი შეიყვარა და რომელ კაცს ეტყვის უარს? ჩემი ნომერია: 896-74-23-88. მომწეროს, თუ უნდა“.

• „გვერდზე გაიხედე, მე რას მომშტერებიხარ, ქალო“.

• „ოცნებაც ასეთი უნდა!“

• „კაცს დაგიხატავთო, შემპირდნენ და — აჰა!“

• „ვის უნდაااა, ვის უნდაااა, კაციიიი, ლამაზიიი“....

• „რა დილა თენდებااا... ოცნება იწყებااا“...

• „ჩემი ქმარი რომ მოვიიდეს, გაგიჟდება“.

• „გადმობრუნდი, დედაკაცო, შეურაცხყოფა უნდა მოგაყენო“. ■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ 21 წლის გოგო. ო/მ/მ გავიცნობ მამაკაცს, 25-29 წლამდე. მხოლოდ თბილისელს, დასაქმებულს და ბინიანს.

2. ო/მ/მ გავიცნობ 50-55 წლის, ყოველმხრივ ჩამოყალიბებულ, სერიოზული საქმიანობით დაკავებულ, ინტელიგენტ, სიმპათიურ მამაკაცს.

3. ვეხმაურები „გზა“ №25-ში, მე-13 მესიჯის ავტორს.

4. ვეხმაურები „გზა“ №25-ში, მე-12 მესიჯის ავტორს.

5. გულით მინდა შევქმნა ნამდვილი ქართული ოჯახი და გთხოვთ, გამომეხმაურონ და დამირეკონ სერიოზულებმა. მქვია ირმა, ვარ 27 წლის. დამირეკეთ ნებისმიერ დროს.

6. ვეხმაურები 55 წლის მამაკაცს. დამირეკეთ.

7. ვარ 41 წლის, საკმაოდ სიმპათიური, განათლებული, დასაქმებული. მაქვს ბატარა ბინა. გამომეხმაუროს განათლებული, სიმპათიური მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით.

8. ვარ 22/172/57, მხიარული, თბილი, მოსიყვარულე. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30 წლამდე დასაქმებულ, მეოჯახე და პატიოსან მამაკაცს. ინდი.

9. მარტო ხარ? მოდი, ერთად ვიმარტოოთ და ორივემ სიმარტოვე მივატოვოთ, სიყვარულით, სიხარულით ვისაზრდოოთ, ერთმანეთი არასოდეს მივატოვოთ. გავიცნობ საინტერესო ბიჭს. ლელა.

10. ვარ 32 წლის, სუფთა წარსულით. მსურს ლამაზი, თბილი ოჯახი და მოსიყვარულ მეუღლე. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს პატიოსანი, დასაქმებული, თბილისში მცხოვრები.

11. გავიცნობ 20-დან 30 წლამდე ასაკის, სერიოზულ მამაკაცს, დასავლეთისკენ მყოფს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ სიმპათიური გოგო. „ნაცოლარები“ ნუ გამომეხმაურებიან.

12. ვარ 27 წლის, მსურს გავიცნო განათლებული, ეკლესიური, ფინანსურად ძლიერი, 32 წლამდე ასაკის მამაკაცი, ვისაც სერიოზული ურთიერთობა და ლამაზი ოჯახის შექმნა სურს.

კაცები

13. მოგესალმებით ყველას, ვარ 33 წლის, მწვანეთვალება, სიმპათიური ბიჭი და მსურს გავიცნო ლამაზი გოგონა, 22-30 წლამდე. ბინის მქონე.

14. გავიცნობ ბათუმელ, სიმპათიურ ქალბატონს, 35-45 წლამდე.

15. ვარ 42 წლის, თბილისელი, გავიცნობ უღალატო, ნაზ და თბილ ქალბატონს, რომელსაც შეუძლია სიყვარული. მუდამ თქვენი ერთგული.

16. მინდა შევქმნა ნამდვილი ქართული ოჯახი, პატიოსან, მშრომელ, ერთგულ ქალბატონთან ერთად. 37 წლამდე. ვცხოვრობ რაიონში, ვმუშაობ!

17. ვეხმაურები 24 ნომრის, მეოთხე მესიჯის ავტორს, ქალბატონს, იმერეთიდან.

18. გთხოვთ გამომიგზავნოთ „გზა“ №26, მე-11 მესიჯის ავტორის მობილურის ნომერი. წინასწარ გიხდით მადლობას.

19. ვარ სერიოზული ბიჭი, 30/175. მსურს დაოჯახება. ვმუშაობ. გავიცნობ 158-170 სიმაღლის, ლამაზ და კოხტა, ხალისიან, კარგ გოგოს, ეკლესიურს. გიო.

20. ვარ 41 წლის ქვრივი, დასავლეთიდან. ვეძებ ქალბატონს, ვინც გამიწევს მეგობრობას.

ვეძებ

21. გამარჯობა, გწერთ საბერძნეთიდან. ვეძებ დიდი ხნის მეგობარს, ჯაოიაშვილ ნოდარს, რომელიც ცხოვრობს ლაგოდეხის რაიონში, სოფელ ვარდისუბანში (თუ არ ვცდები). დაახლოებით 57 წლის უნდა იყოს. შეიძლება ვინმე იცნობდეს ან შვილიშვილებმა წაიკითხონ. გთხოვთ, მომწეროთ. დაახლოებით 30 წელია, არაფერი ვიცი მის შესახებ. წინაწარ დიდ მადლობას გიხდით.



სხვადასხვა

• ვალერი მამასახლისო, არაფერზე ინერვიულო. სიმშვიდე შეინარჩუნე. გვენატრები ძალიან. მამა ილია ამ დღეებში განახავს. ღმერთი გფარაოდეს. უშენოდ გული ცარიელია.

• თეოს, თეზერში მცხოვრებს, ვეტყვი, რომ ძაან მიყვარს.

• ვის ვუყვარვარ?

• გიო, ამას როცა წაიკითხავ, უკვე შორს ვიქნები. გახსოვდეს, მიყვარხარ და ჩემი სული შენთან დარჩა. გულზე ხელი დაიდე და იგრძნობ, რომ მანდ ვარ. შენი ელენე.

• მიხო, ნეტავ, კითხულობ ამ მესიჯებს? შენი საქმე კარგად იქნება. მაგრად გვენატრები. გკოცნი და გეხუტები გაჭყლეტვამდე. მოგიკითხა ყველამ. მიყვარხარ. ერთი სული მაქვს, განახო. თეკო.

• რა გახარებული ვაარ! ორი ძაან მაგარი ადამიანი გავიცანი, ფლამინგო და CRAZY GIRL-ი. უმაგრესი მგზავნელები ხართ, თქვენ გენაცვალეთ! კუტრინა.

• სოფი20, ისე გამიხარდა, რომ დაბრუნდი, მგონი, ფრთები გამომება და ცაში დავფრინაავ! :) P.S. რუდიკა, მე გაგეცნობი, ვიმეგობროთ. კუტრინა.

• ე.ი. მასწავლებლებში კარგი მოსწავლის სტატუსი მაქვს, კლასელებში — გადარეული

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრეფილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

სანდროსი, მეგობრებში — კაი ბიჭის. ფეხბურთიც მიყვარს და კლასიკაც, მაშ. „ბარსას“ ფანი.

• მინდა, მოვიკითხო ჩემი საყვარელი ბებო. ვიცი, ყოველდღე ელოდება ჩემს ზარს. უნდა, რომ სოფელში ვესტუმრო, მაგრამ მე რაღაც მიზეზების გამო ვერ მივდივარ. „ბარსას“ ფანი.

• ვაიმე, დედააა! ვიჯექი სახლში და ამომეჭრა მეზობელი ტარტაროზი. ე.ი. ისეთ კითხვებს მისვამს, პირდაღებული ვრჩები. რა დავაშავე ამ პატარა ბიჭმა? „ბარსას“ ფანი.

• ვერ ვხვდები, რას ერჩით მისტერს... მე მაგალითად, მის გზავნილებს სპეციალურად ვეძებ, რომ ცოტა ვიხალისო. აშკარად უჭრის გონება და თქვენც მიბაძეთ. :) უნუწური.

• მატიტელა, შენ გენაცვალე მე! რა კარგი ხარ, რომ გახსოვარ. :) ვერ გწერთ, თორემ არც ერთი ნომერი არ ჩამიგდია. უი, სწავლა დავამთავრე, წითელ დიპლომიან! :) გაკოცეთ. ატარექსია.

• ვაა, მისტერ-ოღლი, როგორ ჰგავხარ შენსავე აღწერილ გმირს — ფსევდომესიას. ლამის დაგასპონსორო ასათიანზე, რომ განდიდების მანიისგან განიკურნო, შე ტვინდასარეგულირებელო.

• სანთელი ქრება, შენ მელანდები, ვარსკვლავი წყდება, შენ მელანდები. გძულვარ? მე მალე აღარ ვიქნები, მალე მომკლავენ შენზე ფიქრები და ბედნიერი იქნები. „ბარსას“ ფანი.

• დრო კი არა, ჩვენ გავდივართ... უბრალოდ, მინდოდა მეთქვა ეს. :(ცუდად ვარ. :(...

• გოგი დოლიძის რომელიმე სიმღერის გამორჩევა ძნელია, მაგრამ ბოლო სიმღერა, რომელმაც ახლახან იხილა დღის სინათლე, იმედია მოისმინეთ... გადავრჩებით! სარვიეტა.

• ილია, ჩემო სიცოცხლეს, ძალიან მენატრები. ერთი სული მაქვს, როდის გამოვაღწევ ამ ჯოჯოხეთიდან და შენთან მოვალ. ერთ თვეში ჩამოვალ და გეფიცები, სულ შენთან ვიქნები.

• გაგიკვირდებათ და „გზის“ უძველეს ნომრებს ვკითხულობ. ჩემში „გზავნილებმა“ ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ვიფიქრე, მომეწერა. აწი თქვენი მუდმივი მკითხველი, მარიამო.

• მარუსია, გენაცვალე, რაფერ ხარ, მაკა ვარ სვანი! თუ გახსოვარ, რა ვი, მე სულ მახსოვხართ ძველები, ჯიგრები და საყვარელი ხალხი...

• ქვეყნად სიკეთეს დღეი აქვს დიდი, თავისუფლებას კი ფრთები ლაღი, საცოდავია ოჯახი იგი, როდესაც პატრონს სჯობია ძაღლი. ტერეზა.

• მხოლოდ შენთვის მინდა სიცოცხლე...

• მარი, თქვენ ხართ? ეს ნომერი ჟურნალ „გზაში“ იყო მითითებული და გზავნილები აქ უნდა მოგწეროთ? ანი.

• როცა სიყვარულს სული ვაჩუქე... და მაინც ვერ გრძნობს გამონაშუქებს. ბალიშზე დავჯღაბნე მახინჯი კაცი, რომ არ ვიფიქრო კაცებზე აწი... პაწაწუნა.

• მარ, როგორ ხარ? ძალიან გთხოვ, არ დამბლოკო. მაინტერესებს, მგზავნელებში არის ვინმე ჯეკი და სადაურია? თუ შეგიძლია ჯეკ, იქნებ შემდეგ ნომერში მომწერო? მიყვარხართ. მჯრ.

• მგზავნელებო, თუ აქ ვინმე ყვარლის რაიონიდან ხართ, გამომეხმაურეთ. მჯრ.

• მარტის ქალო, შვილის იუბილეს გილოცავ. დიდი და ჯანმრთელი გაგეზარდოს. ჭრიჭინა.

• რუისპირ, მშურს შენი, რა მაგარი სამსახური იშოვეეეე?! ჭრიჭინა.

• მე GREEN GIRL-ი გავიცანიიი! ნუ მართალია, უკვე წავიდა, მაგრამ იმედია, მალე ჩამოვა. ჭრიჭინა.

• ფლამინგო, გაახარებს „ჯეოსელს“ ღმერთი, არა? :) და კიდევ, თამუნას, რომ არ „ემოტობს“ და ჩემთან გარეკინებს. უჰ, კარგად კი ვქაქანებთ ხოლმე, არა? ჭრიჭინა.

• ჩემი გიჟი და გადარეული CRAZY სად დამეკარგა? გენათალე მაგ თბილ გულში. ჭრიჭინა.

• ქართულ ცეკვებს ვსწავლობ, მასწავლებელი მოდის და სახლში მასწავლის. ჩავრთეთ დისკი და მთიულური, დაისი, აჭარული, ოსური და შალახო ავარჩიე. ბებო მეუბნება, მთიულური და შალახო ცალ-ცალკე რატომ თქვი, ერთი ცეკვა არ არისო?! :) არა, რა, მე რომ ბებო მყავს. :) ჭრიჭინა.

• ბიძაშვილმა „დივიდი“ იყიდა და დამირეკა, ჩამო, მულტფილმების მაგარი დისკი მაქვს და ერთად ვუყუროთო. ჩავედი. ჩართო დისკი. „3 გოჭი“ (ჩემი საყვარელი მულტფილმია) რომ დამთავრდა, ვკითხე, ვახო, ახლა რა იწყებამეთქი? მაგარი ბანძი და ცუდი მულტფილმი იწყება, მაგრამ შენ მოგეწონებაო. წარმოიდგინეთ, 7 წლის ბავშვმა დაიწუნა და 20 წლის გოგოს უნდა მომწონებოდა. ცოტა გასაკვირია, არა? ინტერესით ველოდი, რა დაიწყებოდა. „ყინული და გოგონა“ იყო. :) P.S. რა თქმა უნდა, მომეწონა. ჭრიჭინა.

• ქალბატონო ნანი, ძალიან გამიხარდა, თქვენს ინტერვიუს რომ გავეცანი. საოცრად თბილი და ტკბილი ქალბატონი ბრძანდებით. თქვენ მიმართ პატივისცემით განსჭვალული ჭრიჭინა.

• აღარაფერი აღარ შემეძლო, მონატრების და ტკივილის გარდა, ჩამოვაფარე სულს მონატრების, ჩამოძენძილი მოშავო ფარდა და სიშავეში თეთრი ლაქები, განწირულივით გამოვიგლოვე, როცა ყველაზე ძლიერ მიჭირდა, მეგობრებმაც მაშინ იდროვეს, მაშინ იდროვეს და გამომფიტეს, მაქციეს დამდნარ ფიქრად და დარდად და ყველაფერი შემომაძარცვეს, სიყვარულის და ტკივილის გარდა. ეს ლექსი ეძღვნება დათო ძიძიგურს. იქნებ შენს საქციელს დაუკვირდე და მამაოსთან აღსარებაზე მიხვიდე, რომ ღმერთმა გაპატიოს და შეგინდოს შენი ყველა აფერისტობა. თუ დაგაინტერესებს, ვინა ვარ, დამიკავშირდი. ნამდვილად მებრალები.

• ჩემმა შიომ მინდა გაიგოს, რომ ძალიან მიყვარს და მენატრება. სულ მალე შენი ვიქნები. თენდება ჩვენი სანატრელი დღეც. გკოცნის შენი პუტკუნა გოგო, საბერძნეთიდან.

• მდინარის პირას, სევდით გარინდულს, კვლავ მომეძალა შენზე ფიქრები, გეძახის გული, სული არ ითხოვს, სულმა დაგფარა თეთრი ნისლებით. გულს არ ახარებს ღამის სიმშვიდე. ციცინათელთა ნაზი ნათება, ოცნება კვდება, გრძნობა იძინებს და ჩემს სხეულში ისევ ღამდება. ცაზე ვარსკვლავთა ნათება ქრება, ნიავი დაძრწის, თმაში დაცურავს, მოგონებებიც ნელ-ნელა კვდება, გადასარჩენად მე აღარ ვზრუნავ. იცი, მომინდა შენი შეხება, გულის გადაშლა და საუბარი, მაგრამ ვიცი, რომ ეს არ მოხდება, ჩემს გულს ვუამბე ეს და ვუთხარი. მდინარის პირას სევდით გარინდულს ისევ მომინდა შენი დანახვა, ველარ ვუთხარი ვერაფერი გულს, ის ვერასოდეს შენ ვერ დაგკარგავს. ბელურას. კლეოპატრა.

• გამარჯობა, მარი. მე ეკა მქვია. დიდხანს ვფიქრობდი, დამერეკა შენთან თუ არა და ბოლოს, მაინც დარეკვა გადავწყვიტე. 20 წლის ვხდები და ჩემს ცხოვრებაში იმდენი რამ ხდება, ხანდახან უკვე მე თვითონ მწყვეტს რეალობას. არ მიყვარს ამაზე საუბარი, მაგრამ გადავწყვიტე პირადად მოგიყვე და როგორ შეიძლება შენი ნახვა?

• არა, რაა, ე რა „კაშმაარ“! დედიკოს ველოდი, „გზა“ უნდა მოეტანა და წინა ნომერი მომიტანა. ცოტაც და ვისკუპებდი მეორე სართულიდან... ცოტა დამაკლდა. :(ფიფქია.

• მარ, ახლა შენი ნებართვით ჩემს დეიდას გაგაცნობთ. ერთი მაკვარანცხი ვინმეა. თიანეთში უშუქობის პერიოდში მთელი სოფელი ერთ სახლში იკრიბებოდა, რათა „დვიჟოკზე“ ჩართულ ტელევიზორში სერიალები ენახა. ჰოდა, ჩემს დეიდუკას შეუმჩნევია, რომ ყოველი რეკლამის დროს ივანე ტუალეტში დარბოდა. ესეც ამდგარა და ჩუმად წაუსვია ქაღალდზე წიწაკა. რეკლამას კი ჩვეული პროცედურა მოჰყვა. დაიწყო სერიალი და დაჯდა ივანეც. ჯერ ვითომ არაფერი, მერე კი დაუწყია წრიალი. რეკლამასაც აღარ უცდიდა, ისე გარბოდა გარეთ. მერე კი ველარ მოითმინა და სახლში გავარდა. მეორე დღეს კი უყვება დეიდას: რომ მივედი, წყალში ჩავჯექი, მარა არ მიშველაო. მერე გამოვაღე ფანჯარა და გადავყავი ტრ-ი გარეთ, ცოტა გამიარა, მაგრამ მაინც მეფხანებოდა, კაცოო. WHITE ANGEL.

• ცხოველები ალბათ ბევრს გიყვართ. მეც, თან ძალიან. :) გარეთ, ქუჩაში მოსიარულე ძაღლები და კატები ძლიერ მეცოდება და ვეფერები ხოლმე. ერთს „სნიკერსი“ ვუწილადე, მეორეს კექსი ვუყიდე და მესამეს შაურმის ნახევარი დავუთმე. :) მაგრამ ზოგიერთის სიყვარული ცხოველებისადმი უფრო უსაზღვროა. საბჭოთა კავშირის დროს, ერთ მონადირეს მთიდან დათვის ბელი ჩამოუყვანია და ცოლთან ერთად ზრდიდა. პატარა დათუჩა იმდენად მიეჩვია მათ, რომ საჭმელსაც მათთან ერთად მიირთმევდა. გაბრაზებაც სცოდნია. ერთხელ, როცა ქალი ქსოვდა, დათვს მაგიდაზე თათი დაუტყაპუნებია, მშიაო. ქალს ხუმრობით ხელი გაურტყამს, ცოტა ხანი დამაცადეო. ეს როგორო, გარეთ გასულა ბურდღუნით და ჯოხი შემოუტანია, ნაწყენ დათვს. :) ცოლ-ქმარს შვილი არ ჰყავდა თურმე და დათვს განსაკუთრებით ამიტომაც შეეჩვინენ, მაგრამ მაშინდელი წყობა ტყუილად როდი ვახსენე, დათვი წაურთმევიათ. :(ალბათ წარმოიდგინეთ, როგორ განიცადეს.

• ერთი ჭიქა, ჩემო ძმაო, ერთი ჭიქაც დამისხით. ო, ბატონო, მაპატიე, მხეცივით ნუ განრისხდი. ყველას როგორ გენანებათ, ერთი ჭიქა ღვინო და... გადაწყვიტა ჩემი დასჯა, თითქოს წმინდა სინოდმა... გაუჯავრდნენ, შეაჩვენეს და ცოლ-შვილმაც დატოვა, ღვინის ბოთლი მოუჩანდა, გახეული პალტოდან. დასცინოდნენ უცოდველნი, ცოდვიანს და ნამთვრალევს, დაესიზმრა: მდინარეში თითქოს ღვინით ნათლავდნენ. ის კი იდგა მარტოსული და საფეთქლებს იზელდა, ამ ქვეყანას ჩემმა მტერმაც არ უყუროს ფხიზელმა. :) ტერეზა.

• დამდგარა ხუთშაბათი საოცნებო, გზა მივცეთ ფიქრების ქარავნებს, ყანწს ვავსებ მგზავნელთა სიყვარულით და თქვენთან გადმოვდივარ ალავერდს. ტერეზა.

• გულით ისეთი შავი ხარ, გააშავებდი კირს... წყალწაღებული არა ხარ, წყალწასაღები — კიი. ტერეზა.

• დაგთმე, გაგიშვი, დავადუმილე ხმა, შენ და გრძნობად მონაპარევი და საუკუნოდ ავაჩურჩულე ამ სიყვარულის შემოგარენი. წავშალე ფიქრი, გრძნობანი სდუმან, თვით ნეტარებაც იქცა სიჩუმედ, აღარ გავათბობ მე შენს სასთუმალს, აჩრდილად მოვალ, ჩუმად გიყურებ. გაგიშვი, დავთმე ჩემი სიტყვები და შეპირება იქცა ნისლებად, შენ სიყვარული გექცევა ტანჯვად, ყოველდღე, როცა გაგეღვიძება. გაგიშვი, დაგთმე, მაგრამ რა ვუყო, შენ არ იყავი მაინც მოსული, დაფიქრდი, სევდა თუ ვის გაუყო, ცრემლი შენს თვალთგან გარდამოსული. გაგიშვი, მოკვდა შენზე ოცნება, ზეცას ამაღლდა შენზე ფიქრები, ნუთუ გგონია განმეორდება? ნუთუ გგონია, შენი ვიქნები? დაგთმე, დამკარგე ამით საერთოდ, დაასამარე გრძნობა ურყევი, ცოტა გეცადა, რომ არ დამეთმო, ახლა ვერაფერს ველარ უშველი. დაგთმე, დაგკარგე, ცრემლები მახრჩობს, უშენოდ მართლა გამიჭირდება, ეს სიყვარული

მაინც დამათრობს, ეს არასოდეს დამავიწყდება. ბეღურას. კლეოპატრა.

• საღამო იყო. მზე ჩასვლას აპირებდა და ოქროსფრად მოქარგულ სხივებს უტოვებდა არემარეს. ბაღში სიმშვიდე სუფევდა, რომელსაც ჩიტების ლამაზი გალობა ერთვოდა თან. მერხზე გოგონა იჯდა. ის თითქოს ამ სილამაზეს ვერც კი აღიქვამდა. იჯდა ჩუმად, გაყინული მზერით და დაფანტული ფიქრებით. მის მზერაში მხოლოდ ერთის ამოკითხვა შეიძლებოდა: მოლოდინის. იჯდა გაუნძრევლად და მზერით, ფიქრით, ოცნებით ეძებდა მას. ელოდა, მაინც ელოდა და ის მოვიდა. წამიერად დაემსგავსა გარემოს გოგონას სული. ის მოვიდა... მაგრამ მოვიდა ისევ დუმილით, ისევ უსიტყვოდ, ისევ უნუგეშოდ. ისევ თვალები ამბობდნენ სათქმელს, მხოლოდ თვალები, მაგრამ გოგოს აღარ სჯეროდა მათი, აღარ უნდოდა მათი დანახვა, აღარ უნდოდა ტკივილი, აღარ უნდოდა ცრემლი და უიმედო იმედი. გოგონა წავიდა, ხმის ამოუღებლად წავიდა, ისე, როგორც ის მოვიდა, წავიდა და სამუდამოდ გაექცა მატყუარა თვალებს და არაფრისმთქმელ ბაგეებს, წავიდა და სამუდამოდ გაიხურა გრძნობების კარი. საღამო მიილია, მზემ დაარიგა ოქროსფრად ნაქარგი სხივები, არემარეს დაემშვიდობა და ბინდს დაუთმო გზა. გოგონას სულშიც ისევ დაბინდდა, სამუდამოდ დაბინდდა. კლეოპატრა.

• 9717, პრობლემების მოგვარებას გისურვებ. რა მაინტერესებს, იცი? შენი ნომერი როგორ გავიგო? გაცნობის დიდი სურვილი მაქვს. მატიტელა.

• მარი, ძალიან გამიხარდა, „გზაში“ ივერი კიკილაშვილზე რომ წავიკითხე. პირველად სიღნაღში დავინახე. ვიკითხე, ეს სიმპათიური ადამიანი ვინ არის-მეთქი და მითხრეს, ივერი კიკილაშვილიაო. გამიხარდა მისი დანახვა, რადგან მისი პოეზია ძალიან მომწონდა და ბევრი ლექსი ზეპირადაც ვიცოდი. მას შემდეგ ხშირად ვხედავდი სიღნაღის ბულვარში, გავლილს მაგრამ მისვლა და ახლოს გაცნობა მერიდებოდა. ახლა კი ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს უკვე ახლოს ვიცნობ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ქალბატონ მარინა გოგოლაშვილს. ქალბატონო მარინა, ძალიან დიდ პატივს გცემთ, როგორც ადამიანს და როგორც ჟურნალისტს. დიდი სიყვარულით მოვიკითხავ თქვენს ნინიკოს და ივერის ლექსს ვუძღვნი. უნდა მიგატოვო!.. მინდა მომენატრო... თურმე მონატრებაც ხდება სანატრელი. ერთი გაღიმება მძევლად დავიტოვო და მერე ამ ღიმილით გითხრა ყველაფერი. მაკა (ანაგა).

• მოდი, მომიკიდე, უნდა გავაბოლო. დარდი გავაყოლო კვამლს, მწარე ფიქრები მასში ჩავაქსოვო და გავაყოლო ქარს. ვუძღვნი მამაჩემს.

• სალამი მარ, როგორ ხარ? პირველად გწერ, მაგრამ პირველი გზავნილიდანვე ვკითხულობ შენს რუბრიკას. სად გაქრნენ ძველი მგზავნელები? მომწონდა სტიქია, საინტერესო თემები ჰქონდა. მე ნანა ვარ.

• ღამის წყვდიადის უტყვი ზმანებით, სანთლები უხმოდ დასტირის შანდლებს, ამ სანთლის შუქზე შენი სახებით, მოგონებების დავუშვებ ფარდებს. შენს გრძნობას ვდევდი ღიმით და ცრემლით, თითქოს ოცნებას ხელით შემახეს, ახლა კი უკვე დარჩენილ ფერფლით, სწორედ განჭვრეტილს გიზღავ შესაფერს. დრო სწრაფად გადის და გრძნობა კვდება, ვითავისუფლებ სულის სენაკებს, მე ნუ მაბრალი უაზრო სევდას, ეს შენ ვერ მისწვდი მაღალ მწვერვალებს. ტერეზა.

• ფეხები მიადგი ლამაზო ერთმანეთს, კაბის ქვეშ გიყურებს მთელი დედამიწა, გვირილა კანჭებზე გაკოცებს ღმერთმანი, შეგრცხვება იცოდე და მე ვერ დაგიცავ.

• ნათი, შენი 2004 წლის ინტერვიუ წავიკითხე ამწუთას, არ ვიცი, რა შეიცვალა ამ 6 წელიწადში, ის კი გავიგე, თუ როგორი ჩასაყლაპი იყავი, 6 წლის წინ.

• მარი, გთხოვ, ეს მესიჯი დამიბეჭდე. მინდა, ერთ ადამიანს ვუთხრა, რომ ახლა მაინც შემეშვას, მე ხომ უკვე გავთხოვდი და იმას ნუ ეპოტინები, რასაც ვერასდროს შესწვდები.

• მარ, ნეტავ თუ გყვარებია? ნეტავ თუ გამოგიცდია ეს გრძნობა? როცა დრო უსაშველოდ იწელება, მისი ნახვიდან მის ნახვამდე. როცა მისი დანახვითაც კი უზომოდ ბედნიერი ხარ, როცა მისით სუნთქავ და მისით არსებობ. ხდები უფრო კეთილი და უფრო დამთმობი, უფრო თბილი და უფრო ალერსიანი და ეს ყველაფერი ყველაფერია შენთვის. ეჰ, ჩემი ბეღურა. კლეოპატრა.

• სიყვარულის ქალაქი აშენდა, ოღონდ ძალიან პატარაა იგი. ერთი დიდი ქალაქი და პატარ-პატარა დაბები. სილამაზე, სიკეთე და რწმენა სახლობს იქ. არ უნდა დაინგრეს ის. მუდამ უნდა გაძლოს, მაგრამ ზოგს ისეთი უხეირო მშენებელი ჰყავს, სულის ერთი შებერვა და ხუხულასავით ჩამოინგრევა. მარტო ერთს ჰყავს კარგი მშენებელი და იმანაც დედაქალაქი აუგო თავის გულში სიყვარულს... აბა, თუ მიხვდები ვინ არის? ჰოკერა.

• მერვე კლასში რომ გადავედი, ბებოსთან წავედი სტუმრად. ჰოდა, ლიკა ბებომ მთხოვა, „ხალადელნიკიდან“ წყალი გამომიტანეო. გავედი და ვეძებ „ხალადელნიკს“, ორი საათის განმავლობაში. რომ ვერ მივაგენი, ბებოს ვეუბნები, ვერ ვნახე-მეთქი. რა ვერ ნახე, გოგო, ცხვირწინააა. გავიხედე და მაცივარი არ შემრჩა ხელში?! ეგ ხომ მაცივარია-მეთქი? ამოვღერღე. აბა, მე რა გითხარიო... „ხალადელნიკი“ რაღა ჯანდაბაა-მეთქი? მოკვდა სიცილით. რას გვიშვრება ეს რუსულის არცოდნა?! ფიფქია.

• პირველად გწერთ და იმედია, გულით მიმიღებთ. მაგარი მგზავნელები ხართ, მაგრამ ყველაზე მეტად SWEET GIRL-ი მომწონს, რაღაცნაირად ორიგინალური ადამიანია. მისტერ კალა.

• გამარჯობა მარი, მე არ ვიცი რა გაქვთ თემად, მაგრამ მაინც გწერ. იმედია, არ მიწყენ და დაბეჭდავ. იცით, ძალიან მიყვარხართ ყველანი ბავშვებო. სულ თქვენთან ერთად ვარ, მაგრამ მოწერით ახლა გწერთ, მიყვარხართ მაგრები ხართ. პაწუკელა.

• მარი, ვიქნები ბანალური და გეტყვი, რომ წლებია, რაც „გზა“ ჩემი მეორე სუნთქვა გახდა. მინდა, სულ მიხაროდეს ხუთშაბათი დილის გათენება! გაიხარეთ! დედუნა.

• გაურკვევლობის ბურუსი იმაზე საშინელი და საბედისწეროა შენთვის, ვიდრე ბედნიერება. გარშემო ადამიანებს უხარიათ ის, რაც გტანჯავს... გიღიმიან ზერელე ღიმილით. გული გეკუმშება, ვერ სუნთქავ. გინდა, რამეს მიეყრდნო, მაგრამ ვერ ახერხებ, საყრდენი არა გაქვს... თვალებში ნისლი გიდგება და უფრო საყვარელი ხდები. გინდა იფიქრო, მაგრამ ფიქრიც ვერ გამოგდის... გინდა იწვიმო, იყვირო, ჩიტად იქცე და ბეღურად... ჩერდები. უკან მიხედვის გეშინია... უკან ხომ ბედნიერება ჩაკალი დაუნდობლად, დაფიქრებით... მომენატრე... მინდა დაგკოცნო, ჩაგეხუტო და ვიტირო... შენი სუნთქვა მინდა და სურნელი... დედუნა.

• მოგესალმებით ყველას. იცით, არ მაქვს იმის იმედი, რომ ამ „სმსს“ „გზავნილებში“ ვიხილავ, მაგრამ მაინც მოგწერთ. ერთი დაქალი მყავს, დღე არ გავა, რაიმე კურიოზი არ შეემთხვეს. ერთხელ თავს გადამხდარი კურიოზი მომიყვა: შაბათს დილით ადრე წავედი ტაძარში, ლოცვის დროს მეტანია გავაკეთე, ხოლო ადგომისას ჩემ წინ თითქოს ჩამობნელდა და თანდათან ვიღაცის ფეხები გამოჩნდა. ნელ-ნელა კი მუხლებიც დავინახე, აი, მაშინ კი მიეხვდი, რომ ჩემ წინ მდგარი გრძელკაბიანი ქალის კაბაში მქონდა თავი შეყოფილი და სასწრაფოდ ვცადე თავის დაღწევა. იქ მდგარი ხალხი თავს ვერ იკავებდა, რომ სიცილი არ წასკდომოდა, მე კი სირცხვილისგან გავწითლდი და აღარ ვიცოდი, სად დავმალულიყავი.ამ ამბის შემდეგ კი ყოველთვის აკვირდება, ვინ დგას მის წინ. P.S იმედი მაქვს, ამ „სმს“ არ წაიკითხავს, თორემ მინიმუმ, გადასახლება არ ამცდება. ძალიან მიყვარხარ...

• გამარჯობა მარი. როგორ ხარ? სულ მესამეჯერ გიმესიჯებ, მაგრამ „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ. ძალიან მიყვარს ჟურნალი „გზა“ და უფრო „გზავნილები“. ჩემი სამუშაოს გადამკიდე, კვირას მიწევს „გზავნილების“ კითხვა. დღეს თითქმის დილიდან ვკითხულობ. ბევრი ჟურნალი მაქვს შენახული და როდესაც მომეწყინება, თავიდან ვკითხულობ ხოლმე და ვხალისობ. ახლა წავიკითხე შენი შარშანდელი მოგზაურობა ბათუმში და ძალიან ვისიამოვნე კიდეც. მეც ბათუმელი ვარ და მარ, გთხოვ, ახლა დამიბეჭდე და აწი ყოველთვის მოგწერ. ცირა.

• აქა ამბავი ჩემი სასაფლაოზე მოგზაურობისა. :-) არა რა, ადამიანი დებილი რომ დაიბადება, იმას კი ბავშვი ხარო, არ უნდა უთხრა. :-) მე და მადო წავედით, სანთლები უნდა დაგვენთო ღვთისმშობლის ნიშთან, გვერდით კი სასაფლაოებია... სანთლების დანთებას მოვრჩით და წამოვიდა საშინელი წვიმა და სეტყვა. ჰოდა, ჩვენც მეტი რა დაგვრჩენოდა და იქვე ერთ ერთ საფლავთან გაკეთებულ გადაფარებულში შევედით. :-) საათნახევარი ისე კარგად ვგრძნობდით თავს მკვდრების გარემოცვაში, როგორც არაფერი. თან რა უნდა გაგვეკეთებინა და დავგზავნეთ კაი ხალხთან ესემესები, ტექსტით: „პრივეტ, საით ხარ? ახლა ჩვენ იცი, სად ვართ? იქ, სადაც ბევრი ხალხია და ცოცხლები — მარტო ჩვენ“. :-) თან მაგრად ვიცინეთ. ჰოდა, მარტო ერთმა მოგვწერა: „უი, კუკიაზე ხართ? არადა, რა ახალგაზრდები იყავით“. :-) როგორც იყო, გადაიღო და წამოვპლატუნდით, მაგრამ მართლა კაი იყო წინაპრებთან, რა. :-) გკოცნით. სოფი20.

• საყვარელო მარი, ჩემი ქვეყნიდან ძალიან შორს ვარ, უკვე 6 წელია. ძალიან ძნელია, მაგრამ არ ვწუწუნებ, არც თავს გაბეზრებ, მაგრამ მინდა, გული გადაგიშალო. შვილების დარდი მაქვს. სანამ ერთად იყვნენ, არ ვნერვიულებდი. ახლა კი ერთი რაჭაში მიდის, მეორე — თურქეთში. ბიჭები არიან, 16 და 17 წლის.

• მარ, ახლა „თინეიჯერული პონტები“ წავიკითხე და დავიგრუზე, იცი? არც გოგოებს ვცემ და ვაგინებ, არც ლუარსაბ თათქარიძეს ვგავარ, ჭამაც არ მიყვარს. ერთ ჭამაზე კი არა, მთელ ჩემს სიცოცხლეში ვერ შევჭამ ერთ ცხვარს, არც ჩახეთქვამდე ვსვამ და ე.ი. არავის მოვწონვარ? ცოლს მოვიყვან, ნეტავ? რუისპირი.

• ქუჩაში მივდიოდი მე ერთხელ მთვრალი, ხალხი მიყურებდა დამცინავ თვალით. თავებს აქნევდნენ და ჩუმად ჩურჩულებდნენ, ქალია მთვრალი, ქალია მთვრალი. მერე რაა, რომ ქალია მთვრალი, მას განა ცოტა აქვს საფიქრალი, თუ კაცი დარდებს ღვინონში იკლავს, მაშ ქალმა რა ქნას, თავი მოიკლას?

• მარ, მინდა იცოდე, რომ ბევრი უღირსი და ფარისეველია „მობილი-ზაციაში“. ბერბიჭას სახელით სხვადასხვა ნომრიდან დამიმესიჯეს. ამას იკადრებს ღირსეული ადამიანი? როგორ ფიქრობ, ეს რა მიზნით გააკეთეს? რა აინტერესებდათ? ჩემი გამასხარავება თუ ბერბიჭას ჩემს თვალში დამდაბლება? თუმცა, ვერ მომატყუეს და ნამდვილი ბერბიჭა პირველივე „სმსით“ ვიცანი, რადგან მისი ლექსიკა და აზროვნების დონე სხვებში არ ამერევა. კარგი იქნებოდა, ის ნომრები არ წამეშალა და შენთვის გადმომეცა, რომ დაგეზუსტებინა, იმ გარეწრების ვინაობა. ემი.

• ყოველი დღე ცრემლის წვიმაში და შვილის მოლოდინში ილეოდა. ასე ნელა და მიპარვით, თხუთმეტი წელი წაიღო დრომ. თავისი ამოუყორავი სტომაქი კი ვერა და ვერ ამოავსო. ახლა მეთექვსმეტე წელს ყლაპავდა

და სულ არ ადარდებდა, რომ ქალი დედობას ნატრობდა, შვილის ალერსზე ფიქრობდა და ვერ გრძნობდა, რომ მის არსებაში უკვე ცოცხლობდა პატარა სიხარული... დამეხმარე მამაო! შენი თვალების ჭირიმე! მთრთოლვარე ხმა და აკანკალებული ხელით გამოსახული ჯვარი სხეულზე... შავი, კუპრივით ანაფორა და თეთრი, ქათქათა წვერი მაღალი, გამხდარი და თითქოს თვალებად ქცეული სული. მის გარშემო კი პატარები. ზოგს აცვია და ზოგს არა. ერთი ეგაა, მათ თვალებში მეფობს რწმენა ამ გამხდარი კაცისა... კურთხეულია უფლის სახელით მომავალი მათი... WHITE ANGEL.

• ქარი ქრის. ქარი ქრის... შემოდის სევდიანი ქარი... სიყვარულისა და სიძულვილის ქარი... ბედნიერებისა და უბედურების... მონატრების და გადავიწყების... ქარი ქრის... სიყვარულის, ბედნიერებისა და მონატრების ქარი... კიდევ სიძულვილის, უბედურებისა და გადავიწყების... ახლა კი სიყვარულის ქარია... ქარი ქრის... ქარი ქრის... ჰოკერა.

• ლაშა, ახლა მითხრა მაგულიმ, პარასკევთან დაკავშირებით არაფერი ვიცოდით, თორემ მოვიდოდით შორიდან, მაინც განახავდით. გვაპატიე რა, ყველას ძალიან გვენატრები და ყველას ძალიან გვინდოდა შენი ნახვა. თავს გაუფრთხილდი, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მალე განახოთ. ჩვენ კარგად ვართ, თამო იზრდება. თეა ყოველდღე მიმესიჯებს. მითხრეს, რომ შედარებით კარგად ხარ. ვიცი, ძლიერი ხარ და ყველაფერს გაუძლებ. იცოდე, რომ ყველას გვენატრები. გკოცნით.

• ლაშას. ძმაკუშ, ძალიან მომენატრე, ყველაფერს გავაკეთებ შენთვის, ბოლომდე ვიბრძოლებ, ფულზე თუ მიდგება საქმე, რაც გვაქვს, გავყიდი და მანდედან მაინც გამოგიყვან. როგორც შეგეფერება, ისე იცხოვრე... იცოდე, რომ ყველდებით ყველა, თიას ენატრები, ერთმანეთთან კავშირი გვაქვს, ყურადღებას არ მოვაკლებ. ჯაჯიკო.

• ლაშა, რა ვი, რაღა გითხრა? ყველაფერი კარგად იქნება, თამუნია იზრდება, მე ვმუშაობ, დედა ყველაფერს აკეთებს. ხომ იცი, რა ძლიერია, ყველაფერს უძლებს. სოსო და გენკა გკითხულობენ, სოსო ჯარში მიდის, კონტრაქტზე. თამო უკვე ყველაფერს იძახის და როგორც იცოდა ხოლმე, დიას ყვირის. არ ავიწყდები. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, ჩათვალე, რომ მაგული რომ ყოფილა მანდ, მეც მანდ ვარ ხოლმე. რომ გიგზავნი რაღაცებს, მაგული მიშლის, ბევრი არ შეუგზავნოო. გეხვეწები, თავს მიხედე, თეას ძალიან უყვარხარ და ენატრები. ნინო.

• გამარჯობა ჩემო კარგო მარი, მოგიკითხავ დიდი სიყვარულით, თქვენ და მგზავნელებს. ყველანი მიყვარხართ. 2 თვეა, ათენში ვარ და ახლა ჩემი 40 წლის, გაუთხოვარი დაქალი ჩამოვიყვანე და მეორე დღესვე სამსახურში მივაბრძანე. მისმა ბებომ გული გამიწუხა, რატომ არის გაუთხოვარიო და რომ ვუთხარი, ქალწულია-მეთქი, მის ჯანმრთელობაში შეეპარა ეჭვი. მე კი ეს ჩემი ქალწული ბებოს დავუტოვე და საღამოს ჩემს ბებოსთან წამოვედი. ჩემი დაქალი მარტო რომ დარჩა უცხო ქალთან და თან ენა არ იცის, შიშით გული აუჩქარდა. ამ დროს ბებომ ტელევიზორი ჩართო საინფორმაციო მედვედევს და პუტინს უჩვენებდა. სიხარულის ცრემლები გადმოსცვივდა, ისეთი სიყვარულით შეხედა ჩვენს მტრებს. ასე მეგონა, ჩემი ძმები იყვნენო და მერე ბრეჟნევიც რომ აჩვენეს, ხმამაღლა შეეყვირე, ეჰ, ნეტავი ის დრო იყოს, აქ ხომ არ ვიქნებოდიო. ეს ამბავი ამ კვირას მიამბო და გამაფრთხილა, შენს თენგოს არ უთხრა, თორემ სამშობლოს ღალატში დამადანაშაულებსო. გერასიმე.

• ქალბატონო მარი! მაპატიეთ, კიდევ რომ გაწუხებთ. ნუთუ საქართველოში არ მოიძებნება ისეთი 10 წლამდე ობოლი ბავშვი, ვისი კარგი მომავალიც მის სანათესაოს არ აინტერესებს? საუკეთესო ბერძენ ოჯახს მისი შვილად აყვანის სურვილი აქვს, რომელსაც არაფერი მოაკლდება, მთელი ცხოვრება. ძალიან უნდათ, გოგონა აიყვანონ და გაზარდონ, რომელსაც თავის ფესვებს არასოდეს დაუკარგავენ. თუნდაც, მშობლები ჰყავდეს. დახმარებას ჰპირდებიან მის ოჯახს. წინასწარ გიხდით მადლობას. პატივისცემით, მაკო, ათენი.

• ფართი დამიმთავრდა, ბავშვებოო. კარგა ხანს არ ჩავრთავ და ნუ დამივიწყეთ, სულ მთლად. გაკოცეთ. ფიფქია.

• მე მრცხვენია, ქართველი რომ ვარ, როცა ვხედავ, რომ ქართველი დედა „ოდნოში“ მეგობარს სურათზე კომენტარს უტოვებს მაშინ, როცა მისი მესამეკლასელი შვილი ქართულად ვერ ლაპარაკობს. როცა 22 წლის გოგო თხოვდება და ეკითხები, ოჯახში რა შემოსავალი აქვთ, გეუბნება, რომ დედამთილი ჰყავს საბერძნეთში. მრცხვენია, როცა, ქართველების უმეტესობამ იცის, ვინაა გია სურამელაშვილი და არ იცის და არც უნდა იცოდეს, ვინ იყო ოთარ ჭილაძე, ნოე ჟორდანია, ექვთიმე თაყაიშვილი. ბევრი რამის მრცხვენია, მაგრამ აღარ გავაგრძელებ. ბასა.

• დღეს სამსახურში კურიერი გადავღალე. ყოველ 5 წუთში მარკეტში ვგზავნი, ხან ცივ ყავაზე, ხან ცივ „ნაბეღლავზე“ და ხანაც ცივ ლუდზე. ისე დავაპროგრამე საცოდავი, რომ ახლა საქმეზე დავუძახე და ცივი ლუდით გამომეცხადა. მეც მაშინვე სიძე-სიდედრები გავიხსენე და აღარც სიცხე მაწუხებს და აღარც ლაქლაქა უფროსი. მატიტელა.

• ეეეჰ, ჩემს სამსახურსაც სამსახური უნდა ერქვას, რა. შენობა დგას შუაგულ მზეზე და მთელი დღე მზე მიჭვრიტინებს. ახლა უფროსი მყავს, პირდაპირ საოცრება, იმდენს ლაპარაკობს, ადამიანს ლაპარაკით დაორსულებს. ყველაზე მაგარი იცით, რა არის? კაბინეტში კონდენციონერს არ მართვევინებს, მერე გარეთ რომ გახვალ, გაცივდებიო. ჩემს ჯანმრთელობაზე ზრუნავს თუ დენის მრიცხველზე, ვერ გამიგია. მგონი დავისიცხე, თორემ ვის რაში აინტერესებს ჩემი სამსახური და მისი უფროსი? მატიტელა.

• აუ, რა ცხელა?! მგონი მზემ მართლა გაიგიჟა თავი. ისე მოვიხარშე, კანიბალებმა რომ დამიჭირონ, ჩემი მოხარშვა აღარ დასჭირდებათ. ატარექსიას მოკითხვა. მატიტელა.

• კუტრინ, მაშინ გეტყვი, რომ მარჯვენა ფეხის ნეკა თითზე მკიდია, შენ ფეხებზე რა გკიდია და რა — არა. ჩემზე მშვენივრად იცი, რომ სიტყვა პირიდან ამოდის და შესაბამისად, თითოეული ჩვენთაგანი ვალდებულია, ნათქვამის ახსნა-განმარტება და რაც მთავარია, შესრულება შეძლოს. როდესაც ჩამოხვალ, ალბათ დაღლილი იქნები, ამიტომ სურვილი თუ გექნება, ანეკდოტს მოგიყვები, შენი გასაკეთებელი მხიარულ ნოტაზე რომ გააკეთო. გეფიცები, გულის „ზღანცქალით“ ველი შენს ჩამოსვლას. :-) მისტერ.

• ყოველდღე ჩხუბი, ჩხუბი იმაზე, რომ გააკეთოს არჩევანი. სწორი არჩევანი. მე შემიძლია დაუსრულებლად ავუხსნა, რატომ მე და არა — ის, მაგრამ მას ჩემი არ ესმის. ერთ დროს მოსიყვარულე ადამიანი, მის მტრად ვიქეცი, რომელიც თითქოს სამოთხის კარს უკეტავდა და არ აძლევდა უფლებას, განეცადა თავისუფლება, სიტკბო... ის სულ შეიცვალა, მის სიყვარულიან თვალებში ახლა მხოლოდ ზიზღს ვხედავდი. რატომ არ შეიძლება თქვას, მე ცხოვრება მირჩევნია! ჰო, ჰო, ცხოვრება, თავისუფლება და ლაღად ცხოვრება. რატომ არ აქვს ამდენი ძალა, უარი თქვას ამ სისუსტეზე? ამ კითხვაზე პასუხი თავად არ აქვს, თავად არ იცის რა უნდა, არა, თუმცა, როგორ არ იცის? იცის, რა უნდა. მხოლოდ... და ერთადერთი. ხალხნო! გაუფრთხილდით საკუთარ თავს და მათ, ვისაც უყვარხართ. პატალა გოჭი. მაარ, ეს ჩემი ჩანაწერის პატარა ნაწილია, რომელსაც „ბერეგი სებია“ ჰქვია. ალბათ მიხვდით, რომ ნარკომანიაზეა. ეს თემა მაშინ დამაინტერესა, როცა ამიხსნეს, მამა რამ წამართვა. თავს გაუფრთხილდით! პატალა გოჭი.

• ერთხელ, როდესაც დეიდაჩემი 3 წლის იყო, ბებო გაცივდა და დაცემინა. დეიდაჩემი მიუბრუნდა და სრული სერიოზულობით უთხრა, სიცოცხლე დედა და არგადარჩენაო. ბებოს გაციება აღარ ახსოვდა, სიცილით იგუდებოდა. დეიდაჩემი კი გაკვირვებული უყურებდა და ვერ მიმხვდარიყო, რაზე იცინოდნენ. მაო.

• ბამბუჩ, არ ინერვიულო. არანაკლებ სასაცილო ისტორიებს ვწერდი მარის, მაგრამ ერთი თვეა, ჩემი ნიკი „გზაში“ არ გამოჩენილა. მიუხედავად იმისა, რომ არც ისე ახალი ვარ. კამკამა.

• თეთრად გათენებულ ღამეების ლანდი თურმე რად მიღირდა, ამას ახლა ვხვდები, ყველაფერი გაქრა და წარსულს ჩაბარდა, სადაც დაბრუნებას ისევ ვინატრებდი. თეთრად გათენებულ ღამეებში დარდი, მთვარიან ღამეში ჩვენი ლაპარაკი, შენს სარკმელთან თბილი და საამო ქარი, ვედრება და მაინც სიგარეტის კვამლი. გამოცდა და ცრემლი, გულში მაინც სევდა, ჩემი წრფელი, თუმცა ფუჭი შეგონება, განშორებისთვის დიდი მონატრება, თეთრი ღამეების ისევ მოგონება. მერე შემოდგომა, ღამე... მარტოობა... წლები მიფრინავენ, ბავშვობა გვშორდება, ო, ის ღამეები აღარ დაბრუნდება, სულში მოგონება კვლავაც გაცოცხლდება... P.S. მარ, კახეთში ისე ცხელა, „ვენტილატორსაც“ ოფლი გასდის. 9717.

• ღმერთო შემაყვარე, მანაც შემიყვაროს, ღმერთო, გამახარე, მანაც გაიხაროს, ღმერთო ეს წმინდა გზა ისე გაგვიკვალე, ამ დიდი გრძნობით სულ რომ გავიხაროთ. ქვეყნად სიყვარული შენი შექმნილია და ის, ვინც მე მომწონს, მისთვის გაჩენილი, ნეტავ რა მოხდება, ეს ნაზი ქმნილება მხოლოდ ჩემთვის იყოს, ჩემთვის გაჩენილი და თუ მოინდომებ, ნატვრას ამისრულებ და თუ გოგონა ჩემთვის შექმნილია, მაშინ ამ სიყვარულს ნუღარ დაასრულებ, შენ ხომ სიყვარული ჩვენთვის შეგიქმნია. 9717. მარ, ვიცი, ახლა ჩემთვის არ გეცლება, მაგრამ უნდა მომწერა. თან ეს პირველი „სმსიო“. გაგიჟებული ვარ! რა სჭირთ ამ ჟურნალისტებს, მუშაობა ეზარებათ! მარ, მომისმენ?

• ჩემი ზღვა, მისთვის ღელავდა. ეძახდა ტალღები. გოგონა ხელებგშლილი იდგა და ელოდა. თოვდა, წვიმდა, ქარი იყო. ზღვას გაზაფხული უნდოდა. ველოდებოდი. მჭირდებოდა. ვქრებოდი. მიყვარდა! ტკივილამდე მიყვარდა! ის წავიდა. წამართვა! მეც მივდევ! რომ დავიბრუნო! სიმარტოვე მინდა. ვეძებ იმას, რასაც გაურბიან და ვფიქრობ, დამრჩა რამე, დასათმობი? ნანუკა.

• ჯაფარიძე! გავგიჟდები. რატომ დავუწერე „ფერები შავზე“, „მე გაზაფხული მინდა“, „ნეტავ“, „მეუბნება, მიყურებს, მიღიმის“, „შენთვის საჩუქარ დღეებს ვკარგავ“... ეჰ...

• ვახო, ბიჭო, ცოცხლებში ითვლები? რა 1783 წელს გამდნარი თოვლივით დაიკარგე, ჰა? :-)) როგორ ხარ, ძამი? რუისპირი.

• ტერეზა, როგორ ხარ? ჩუში, სად გაქრი? ვერძი რატომ წავიდა? დღეს ლიკა ვნახე. :-)) რუისპირი.

• სალამი, მარიამ! აშკარაა, რომ ჩემი „გზავნილები“ არ მოგწონს ან ვერ ვწერ ისე, როგორც საჭიროა... არა, არა, არ მწყინს ეს ამბავი მე, გულით კი ველოდები „გზაში“ ჩემს ამბებს, მაგრამ უშედეგოდ. პირველად რომ გამოჩნდი „გზის“ ფურცელზე, მას შემდეგ თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. გაფასებთ როგორც პიროვნებას და შემდეგ — ჟურნალისტს.

• მძულს, რომ მიყვარხარ ასე ძლიერად, მძულს, რომ უშენოდ წამებიც ვერ ვძლებ, მძულს, რომ ამ გრძნობამ გამაძლიერა, მძულს, რომ სუყველგან მხოლოდ შენ გეძებ. მძულს, რომ უშენოდ ძნელია სუნთქვა, მძულს, რომ ტკბილია შენი ალერსი, მძულს, რომ უშენოდ გულსაც არ უნდა, მძულს, რომ სიყვარულს ვეძებ თვალებში. მძულს ასე ძლიერ, რომ მენატრები, მძულს, რომ ოცნება შენით ვისწავლე, მძულს, რომ ამ

გრძნობას ვერ ვემალები, მძულს, რომ ამდენი შენთვის ვიწვალე. მძულს, რომ შენია ჩემი ფიქრები, მძულს, რომ წამართვი გული მალულად, მძულს, რომ წახვიდე, აგიტირდები, მძულს რომ ეს გრძნობა ვერ დამალულა. მძულს, რომ უშენოდ მე ვერ ვიცოცხლებ, მძულს, რომ შენია ჩემი სურვილი, მძულს, რომ შენა ხარ ჩემი სიცოცხლე და მე კი მიყვარს ეს სიძულვილი. ბეღურას. კლეოპატრა.

• საღამო მშვიდობისა, მარი, მე შენი ერთ-ერთი ერთგული მკითხველი ვარ, ადრეც ვგზავნიდი „სმსებს“ „გზავნილებში“, მაგრამ მერე მხოლოდ კითხვით შემოვიფარგლე. ამ წერილს მხოლოდ იმიტომ გიგზავნი, რომ გითხრა, თუ როგორ ძალიან მიყვარს ჟურნალი „გზა“ და ეს შენი დამსახურებაცაა... შეიძლება ეს წერილი არც წაიკითხო, მაგრამ ეგ არაფერი (იმედია არ მიწყენ, შენობით რომ მოგმართავ, მაგრამ უკვე იმდენი ხანია, შენი მკითხველი ვარ, რომ უცხოდ არც გთვლი). ბოდიში, თუ ჩემი ბუუტურით თავი მოგაბეზრე. ტკბილ ძილს და ლამაზ სიზმრებს გისურვებ.

• ვის ახსოვს, გეგეზე რომ ვგზავნიდი ამბებს „გზაში“? თელავალი კოლორიტა-მეთქი. სამშაბათს „სიმართლის დროშია“ მიწვეული. გამიხარდა ძალიან. P.S. რა ლამაზიიი დღეაა, რა ნათელი მზეაა, იმიტომ რო ჩემი საყვარელი ლიმონას დაბადეეების დღეაა. თეოოო, მიყვარხარ ძალიან და მინდა, ძაااალიან ბედნიერი იყო. გაკოცე ბევრი. უყვარხარ რეალს...

• რას იტყვის ხალხი? და ხშირად ბევრი, ამ აზრის გამო ცხოვრებას ინგრევს, არა აქვს ყველას თავის ცხოვრება, სხვისი ცხოვრებით ბევრ ნიღაბს ირგებს. რატომ ერევა სხვა სხვის საქმეში, ჩემს ომში თითქმის ყველა ბრძენია, რისი გულისთვის ყიდიან სინდისს, ხმა სხვის სიხარულს ვერ მოერია. P.S. კლეოპატრას დაჟინებული თხოვნით. :) შემოგევლე ქალ, მიყვარხარ. მის რეალი.

• ტერეზა, დიდი მადლობა, რომ გაიმეტე რჩევაო, მასე ვაკეთებ ლამაზო, სისხლში მაქვს მე ეგ ჩვევაო. გაკოცე ბევრი მაგ გულში, რითმა გზას კვლავ ეჩვევაო, :) მის რეალი.

• შენ შამაგევლა ქალაუ, ჩემი ხარ ნატვრისთვალიო, კოცნით ლოყა არ მამჭამო, ვარ ცარიელი ძვალიო. სულში ქარივით შევარდი, სულ ამირიე კვალიო, როცა ვერ გხედავ ლიმონჩიკ, გულით მაგელის ქნარიო. გრძნობის ნისია დამადე, გამოჩნდი, მოგცე ვალიო, თვალი სხვისკენ არ გაგექცეს, არ აიკიდო შარიო. მის რეალ გიძღვნის ამ ლექსსა, კაფიის დედოფალიო. ხომ იცი, ლომის სნორია, ლეკვი ძუა თუ ხვადიო, რითმა ავლესე ლამაზო, სიტყვამ ქნა კოხტა ფანდიო, ია რომ გაიფურჩქნება, ვეღარ დაჩრდილავს ვარდიო, მალე მამწერე პასუხი, კაფია იყოს მარდიო. :) მის რეალი.

• ჰო, მე ახალი ვარ, მაგრამ სულ ვკითხულობ „გზას“. ამიტომ, გამოაქვეყნეთ, რა�ა... ცხელაა... ოჰ, მეც ისე დავიწყე, ვითომ ზამთარი იყოს და გვიკვირდეს სიცხე. გაგანია ზაფხულია, ახლა ერთი 10-ჯერ უნდა ვიყო გაშავებული, მარა გაცლის ვინმე? რომც მაცალოს რა, სახლის სახურავზე ხომ არ ავალ? კაი აზრი კია, მარა სირცხვილია, სირცხვილიიი... შემომხედავს მთელი მეზობლობა და დამცინებს... ზღვაზე კიდევ, ჯერ ვერ წავალ... ახლა ვაპირებ, ჩემი სტუმარი ლიკას გაწუწვას, მარა ეგ რა სტუმარია? იძახის, სტუმარი ვარ და ის მომიტანეთ და ესოოოო... ჰოდა, გაწუწვაც მეზარება. ახლა ვიღაც იფიქრებს, ეს ვიღაც უსაქმურიაო, მაგრამ ვერ მოგართვით, რააა... ჩემნაირი საქმიანი ნეტავ ბევრი იყოს. სკოლაც რომ მომენატრა, რაღა ვქნა? ახლა წავე მეეე, რა, სად მცალია ამდენი? მოცლილი კი არ ვარ მე. უუუჰ!

• ბედნიერი ქალი ხარ, ჩემო ძვირფასო მარი. ამ წუთისოფლის ორომტრიალში სასწაულად რომ ავლენ, ღვთით მომადლებულ ნიჭს, ყოველ ხუთშაბათს გვაპურებ შენი შემოქმედებით. სიამაყით შეგიძლია შეხედო მადლითა და ნაყოფით სავე, ჩავლილ წლებს. ჯერ ნორჩი ხარ, ჩემსავით რომ დაღვინდები, შენი ღვაწლი მაშინ გაგახარებს. მე რა... მე აბლაბუდა ვარ. ენერგიულმა, მხიარულმა და უშიშარმა, ადგილი ვერ მოვუნახე საკუთარ ნიჭს. მე მხოლოდ ერთი რამ მეამყება, ეს იყო დიდი ხნის წინ, საბჭოთა კავშირის დროს. კიევში გამართულ კონკურსზე გამარჯვებით, საქართველოს სადიდებლად ერთი პატარა აგური მეც დავდე. ეს იყო და ეს... ხომ დასანანია?

• დიდი მადლობა, მგზავნელებს ჩემი თავი რომ გააცანი. გული მისკდება, ზოგს შეიძლება ვიზუალურად არ მოვეწონო, რა ვიცი. შენ კი ჩემო მარი, ერთს გეტყვი: სიცოცხლე ზეიმია და შენი ცხოვრების გზაც ამ ზეიმით იყოს სავსე! ღმერთი შენსკენ, მიყვარხარ! P.S. ჩვენო საყვარელო მგზავნელებო, ყველას გეფერებით. რუისპირის ლექსებმა მისადმი სიმპათია გამიღრმავა, ლექსებით დიდი სულიერი ბრძოლაა გადმოცემული. ისიც მინდა გითხრათ, რომ პოეზიას კარგად ვცნობ, არსად წამიკითხავს ასეთი მძაფრი შინაგანი ძიებები. რუისპირო, მაგარი და ღრმა ხარ. ჩემო საყვარელო ლუნა, შენი ლექსებით მოვიხიბლე. მომწონს ტერეზას ლექსის ეს ფრაზა — „რა ვქნათ, თუკი მანძილია შორი, სიყვარული სიყვარულად რჩება!“ რაც შეეხება მეხსიერებაზე განმარტებას, ვინ იძლევა, ვერ გავარკვიე, უნიკოა. შინაარსმა კი გამაკვირვა, რა საოცარი აღმოჩენაა. ადამიანის გონება ნამდვილად უსაზღვროა. არგუმენტებით რა კარგად გვიხსნის, მეხსიერების არსს. მართლაც ნიჭიერი ახალგაზრდობა გვეზრდება. ვეთანხმები ტირიფი73-ის ტაქტიან „სმსს“, ყოჩაღ, შენში დიდაქტიკური ტონი მომწონს. წინა წლის „გზებს“ ვათვალიერებდი. ლიმონას პიროვნებით ვარ აღფრთოვანებული. ჩემო მარი, ძალიან გთხოვ, ერთხელაც დაბეჭდე ლიმონას „სმსი“, რომელსაც ლექსით ამთავრებს: „მარიამულ სიხარულო, მგზავნელებო ძვირფასნო, ლიმნის ქალი დაგიბრუნდათ, იდღეგძელეთ, დიდხანსო“. და მაინც... ბერბიჭა მაკლია „გზაში“, კელაპტარივით რომ ანათებდა. დაგვეკარგა ვერძი, ცხრათვალა, ემიგრანტი. სად არიან? მგზავნელებო, კიდევ ერთხელ გეფერებით და გემშვიდობებით. ნანი დუმბაძე.

• როგორც იქნა, ამდენი ხნის სურვილი ამისრულდა და პატარა პუდელის პატრონი გავხდი. ისე ვარ გახარებული, რომ მეტად წარმოუდგენელია... სახელს მთელი კვირაა ვარჩევ, ხან კოკოს ვეძახით, ხან ჩარლის, ხან ჯესის და ეს საწყალიც ისეა დაბნეული, მე რომ მეძახიან, მაშინაც თვითონ გარბის... მიყვარს ჩემი ბატკანივით ცუგა... SWEET-GIRL.

• ისეთი კარგი ვინმე ხარ, არც კი ვიცი, როგორ შეგაქო, ისეთი რა გითხრა, რაც არც მოგისმენია? :)

• მეც მიყვარხარ ტერეზ, ქალო შენა... ჩემი ტკბილი დესერტუნა ხარ. :) ხალხნოოო, GREEN GIRL-ი ჩამოსულა თბილისში და არა ვნახოთ? ერთი ხოშიანად შავიკრიბოთ, ვინც აქა ვართ, ჩვენს სამებაში და ვიბოდიალოთ მერე თბილისის ქუჩებშიიი... მარ, ნომერი გამოცვლილი მაქვს, ქე იცი ეს ამბავი, მარა სხვებმა რომ არ იციან? :) ჰოდა, გამოაკარი რა, ჩემი ნომერი ღიად, თვარა ამათი ამბავი რომ ვიცი, პაწა თუ არ დაუცაცახნე, შეხვედრა კი არა, მეგობრობაც განზე დაგვრჩება. ახლა მაინც არ ექნებათ მიზეზი, შენი ნომერი არ ვიცოდითო... ცოტა გამოცოცხლდით ბავშვებო. ეგრე არ დარჩეთ, ჯოო. :) ლიმონა.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

გილოცავ!

• დაბადების დღე მინდა მივულოცო ჩემს საყვარელ მეუღლეს. ჩემო სიცოცხლევ, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ყოველივე კარგს. სულ სიყვარულში გაგვევლოს მთელი ცხოვრება.

• ჩემს საყვარელ დისშვილს, გიორგი მოსემღვდლისშვილს მინდა, დიდი სიყვარულით მივულოცო დაბადების დღე. უფლის მადლი თან გდევდეს, დეიდ. მიყვარხარ უზომოდ და მენატრები ძალიან. მანანა.

• ქუთაისში, ჩემს მონატრებულ შვილიშვილს, ნესტან ტყეშელაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 12 ივლისს. ვუსურვებ კარგად ყოფნას, ქმარ-შვილთან ერთად უფალი გფარავდეთ ცინარა ბებო. ათენი.

• გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს, თქვენს ქმარ-შვილთან ერთად. გფარავდეთ ღმერთი. რიტა და ედო.

• ათენში დროებით მცხოვრებ ქალბატონს, მაია ციბაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 13 ივლისს. იხარე და იბედნიერე, შენს საყვარელ ქმარ-შვილთან და შვილიშვილებთან ერთად. გვიყვარხართ და გაფასებთ, ნამდვილო ქართველო დედა. ათენი, მეგობრები.

• ჩემს საყვარელ და უზომოდ მონატრებულ დისშვილს, თამთა არდოტელს ვულოცავ დაბადების დღეს, 8 ივლისს! გილოცავ, ჩემო სიხარულო ამ ლამაზ დღეს და გისურვებ ყოველივე კარგს, ცხოვრებაში! ჯანმრთელი, ბედნიერი და გახარებული ყოფილიყავი მუდამ, შენს საყვარელ ქმარ-შვილთან ერთად! უფალი გფარავდეთ! თამრიკო. ათენი.

• ოქროს დაბადების დღეს, 1-ელ ივლისს ვულოცავ მონატრებულ, საყვარელ, პირველ მოსწრება შვილიშვილს, პატარა თეკლა ჭუმბურიძეს. ბებო, ბედნიერ ბავშვობას გისურვებ, იებისა და ენძელების ბილიკებით გევლოს, ჩემო ლამაზო თეკლა. დიდი სიყვარულითა და მონატრებით, მზია ბებო.

• პატარა, უცნობ, საყვარელ, მონატრებულ დისშვილს, თეკლას ვულოცავ ოქროს დაბადების დღეს, 1-ელ ივლისს. უფალი გფარავდეს, ჩემო პატარავ. ძაკო მამასახლისი.

• გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ყველაფერს საუკეთესოს, ყველა შენს კეთილისმსურველთან ერთად.

ჩემს უზომოდ მონატრებულ ძმისშვილს, სალომე ჩოხელს და მის მეუღლეს, ბეჟან კობაიძეს ვულოცავ დაბადების დღეებს და ბედნიერებას. მრავალი დაბადების დღეები გეზეიმოთ, ჯანმრთელებს და გახარებულებს. ლამაზი სიყვარული, სიკეთე და სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი! გისურვებთ კარგს და საუკეთესოს. უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის. შორიდან გკოცნით და გეფერებით, ზოია მამიდა და ზაზა ძია.

ტაიმ-აუტი

პატარა გმირები

ნათან ტომსონი (9 წლის)

დანით შეიარაღებული ნარკომანი ტომსონების ბინაში შეიჭრა. დედის დასახმარებლად მისული ბიჭი მამაკაცმა სახეში დაჭრა, მაგრამ ნათანი არ დაიბნა და დახმარების სათხოვნელად მეზობლებთან გაიქცა. თავდამსხმელმა ქალს დანით რვა ჭრილობა მიაყენა, მაგრამ იგი გადარჩა.

ალექსის გუდინსი (7 წლის)

30 წლის სალეტი პარკერს ალექსისი სკოლაში მიჰყავდა, როცა მის მანქანას ყოფილმა საყვარელმა

ცეცხლი გაუხსნა. დედა თავსა და ხელში დაიჭრა. გოგონა დედას გადაეფარა და 6 ტყვია ბავშვს მოხვდა. ალექსისი გადარჩა, მოძალადეს კი მრავალწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

იზაბელა ჯილინგი (2 წლის)

გოგონას დედა წამლის მიღების შემდეგ ცუდად გახდა და სანამ გონებას დაკარგავდა, შვილს „სასწრაფო დახმარების“ გამოძახება სთხოვა. ექიმებმა დედა გადაარჩინეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, რამდენიმე დღით ადრე, იზაბელამ საბავშვო გადაცემაში ნახა, თუ როგორ უნდა დაერეკა „სასწრაფოში“ და დახმარება ეთხოვა.

აგუსტინ რობინეტი (6 წლის)

პირველკლასელმა ბიჭმა მამას დაურეკა, როცა მიხვდა, რომ მის ფეხმძიმე დედიკოს მშობიარობა დაეწყო. დროულად გამოძახებულმა „სასწრაფომ“ დედისა და ახალშობილის გადარჩენა მოახერხა.

ჯოდი მაკნისი (5 წლის)

მაკნისების სახლში მოულოდნელად ხანძარი გაჩნდა და 5 წლის კოდიმ საძინებლიდან 3 წლის ძმის გამოყვანა მოახერხა.

ჩარლი სიმპსონ (7 წლის)

ტაიტიზე, ბიჭმა ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე განცხადება განათავსა: „მე ჩარლი სიმპსონი მიწისძვრით დაზარალებულებისთვის ფულს ვაგროვებ. ამ თანხით ტაიტელებს საჭმელს, წყალსა და კარვებს ვუყიდი“. ასეთივე განცხადება ბიჭმა ქალაქში ველოსიპედზე სეირნობისასაც გაიკრა. მთლიანობაში, ჩარლიმ 120 ათასი გირვანქა სტერლინგი შეაგროვა.

აიდან ტერნერი (10 წლის)

ბიჭის დედას სველ მეტლახზე ფეხი გაუსრიალდა და უგონოდ დაეცა. აიდანმა ჯერ ბებიას დაურეკა, შემდეგ „სასწრაფო“ გამოიძახა. სამდღიანი მკურნალობის შემდეგ ბიჭის დედა საავადმყოფოდან გამოწერეს.

მადი მაკრეი (11 წლის)

მადი ორ დასა და დედასთან ერთად წვიმიან ამინდში შინ ბრუნდებოდა. ქალმა საჭე ვერ დაიმორჩილა და მანქანა მდინარეში გადავარდა. მანდი ფანჯრიდან ამოძვრა, ნაპირზე გამოცურა და მაშველები გამოიძახა. მისი წყალობით ოჯახი გადარჩა. ■

ბრიფინგი „თბილისის“ საუნაში

ემა ტუხიაშვილი

„ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლომდე, სანამ არ დავამხობთ სატანას“, — ეს სიტყვები თენგიზ კიტოვანმა 1991 წლის სექტემბერში, ტელევიზიის შენობასთან გამართულ მიტინგზე თქვა. შეიარაღებული ბრძოლა კი 22 დეკემბერს, დილის 9 საათზე მთავრობის სასახლესთან დაიწყო. კიტოვანის გვარდიამ თბილისის ზღვიდან სამხედრო ტექნიკა გადმოისროლა. შტაბი სასტუმრო „თბილისში“ განთავსდა... გვარდიელები მთელი ღამის ნაქეიფრები იყვნენ. წინადღეს, 21 დეკემბერს, სასტუმროს საბანკეტო დარბაზში დიდებული სუფრა დახვდათ გაშლილი: ვიღაცას დაბადების დღე უნდა ეზეიმა, მაგრამ არ დასცალდა. გაშლილ სუფრაზე კარგად მოილხინეს მეამბოხე გვარდიელებმა...

საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე, სასტუმრო „თბილისის“ საუნაში ხანმოკლე თათბირი გაიმართა, რომლის დროსაც თენგიზ კიტოვანს ჟურნალისტებიც მიუღია. გადაწყდა, შორს მსროლელი ჰაუბიცა ქაშვეთის ეკლესიასთან დაეყენებინათ და მთავრობის სასახლის მიმართულებით, რომლის ბუნკერსაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი ხელისუფლების წარმომადგენლები აფარებდნენ თავს, „ბალვანკები“ (ჭურვი, რომელსაც საბრძოლო მუხტი მოხსნილი აქვს) ესროლათ. ამბობენ, ეს „გენიალური მიგნება“ თენგიზ კიტოვანს ეკუთვნოდა, რომელიც ასე ახსნა: საბრძოლო ჭურვები რომ ვესროლოთ, ჩვენც ავფეთქდებით, ამიტომ „ბალვანკები“ ვესროლოთ; გამსახურდიას „შაქარი“ (ანუ დიაბეტი. — ავტ.) აქვს, ინერვიულებს და კომაში ჩავარდებაო... — უთქვამს მებრძოლებისთვის... ■

მუნდიალი 2010

ემოციები და შთაბეჭდილებები

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. ფინალური მატჩი შესაძლოა, საფეხბურთო სამყაროს ერთი ნაწილისთვის მოულოდნელობად იქცეს, ხოლო მეორე ნაწილისთვის — ტურნირის ლოგიკურ ფინიშად. ეს გასაკვირი არც იქნება, რადგან ჯერ კიდევ პირველობის საწყის ეტაპზე, ფავორიტად შერაცხილმა არაერთმა გუნდმა სრული ფიასკო განიცადა. ამას მოჰყვა უკვე პლეიოფიდან ისეთი ტიტულოვანი ნაკრებების გამოთიშვა, როგორებიცაა — ინგლისის, ბრაზილიისა და არგენტინის გუნდები. მოვლენათა ასეთ განვითარებას ფეხბურთის სპეციალისტების, მიმომხილველებისა და უბრალო გულშემატკივრების მხრიდან არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. საკუთარი მოსაზრება არაერთმა ცნობილმა პიროვნებამ გამოთქვა, რაც უინტერესო არც ჩვენი მკითხველისთვის იქნება.

რონალდო *(ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფორვარდი). აი რას ამბობს ის თანამემამულე ფილიპე მელოს შესახებ, რომელიც ჰოლანდიელებთან ნახევარფინალური დაპირისპირებისას (1:2) მოედნიდან გააძევეს:*

— ფილიპე მელო უმჯობესია, შვებულების გასატარებლად ბრაზილიაში არ დაბრუნდეს. არ მესმის, თუ როგორ ვერ გაერკვნენ სიტუაციაში მელო და ჟულიო სეზარი გოლის გაშვებისას. როდესაც ჟულიო კარიდან გამოდის, ყოველთვის ყვირის, მაგრამ ამჯერად ისინი ერთდროულად წავიდნენ ბურთზე.

ჟილბერტო სილვა *(ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველი):*

— სამწუხაროდ, 2014 წელს 38 წლისა ვიქნები. ასეთ ასაკში მსოფლიოს პირველობაზე თამაში რთული იქნება. საუკეთესო შედეგების ჩვენებას ვცდილობდით. სამწუხაროდ, ეს ვერ შევძელით. ჰოლანდიასთან ორი ბურთი სტანდარტული სიტუაციების შედეგად გავუშვით. ჰოლანდიელებს გამარჯვება არ დაუმსახურებიათ. ძალიან შეწუხებული ვარ. ამერიკისა და ფიფას კონფედერაციათა თასები მოვიგეთ. ბოლოს კი სერიოზულ მეტოქეს გადავეყარეთ და დავმარცხდით.

რაიმონ დომენეკი *(საფრანგეთის ნაკრების უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი) იმ ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდთან ჩატარებული მატჩის ბოლო ეპიზოდის შესახებ საუბრობს, როდესაც მან მეტოქეთა თავკაც კარლოს ალბერტო პარეირას ხელი არ ჩამოართვა:*

— ჩემთვის მნიშვნელოვანი საფრანგეთის ნაკრების იმიჯის დაცვაა. ალბათ ჩემს ჟესტზე საინფორმაციო საშუალებების მხრიდან მოსალოდნელი ნეგატიური რეაქცია არ გამითვალისწინებია. პარეირას პირდაპირ და კონფიდენციალურად უნდა დავლაპარაკებოდი. რაც შეეხება მოთამაშეთა გაფიცვას, ამის აღსაკვეთად, ჩვენ ფიზიკური ძალის გარდა ყველა შესაძლებელი არგუმენტი გამოვიყენეთ...

დიეგო მარადონა *(არგენტინის ნაკრების თავკაცი):*

— იმედგაცრუებული ვარ. ამ ყველაფრის შემდეგ სამშობლოში დაბრუნება მიძნელდება. ბიჭებთან ერთად ყველაფერი უნდა განვიხილო. მეტოქემ ბურთის გატანა შეძლო, ჩვენ ეს არ გამოგვივიდა. თუმცა საგოლე მომენტები გვქონდა. ასეთი დიდი ანგარიშით არ უნდა წაგვეგო. 1982 წელს ტურნირიდან გამოთიშვა ძალიან განვიცადე, მაგრამ მაშინ ახალგაზრდა ვიყავი. ახლა თითქმის 50 წლის ვარ და ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული პერიოდია. იმისი ძალა აღარ მაქვს, რომ მომავალში რაიმე მოვიმოქმედო. შემიძლია, ხვალვე დავტოვო მთავარი მწვრთნელის თანამდებობა, მაგრამ ჯერჯერობით გადადგომის შესახებ არ მიფიქრია, ყველაფერი მოთამაშეებთან და ოჯახის წევრებთან ერთად უნდა განვიხილო.

არგენტინისა და გერმანიის გუნდებს შორის გამართული მეოთხედფინალური შეხვედრის შემდეგ, მარადონასა და თეთრ-ცისფერმაისურიანთა ქომაგებს შორის ინციდენტიც მოხდა. გულშემატკივრები არგენტინელთა თავკაცს ტრიბუნებიდან მოურიდებლად ლანძღავდნენ, რაც უპასუხოდ დიეგოსაც არ დაუტოვებია. ამ მომენტში მას ქალიშვილი — დალმა და სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენლები ამშვიდებდნენ.

ხავიერ მასკერანო *(არგენტინის ნაკრების კაპიტანი):*

— გერმანიამ შესანიშნავი მატჩი ჩაატარა, ჩვენ კი ჩავაგდეთ თამაში. ასეთ მომენტში ადამიანს კარიერის დასრულების სურვილი გიჩნდება.

მაიკლ ოუენი *(ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი):*

— როდესაც ინგლისის ნაკრებში თამაშობ, გრძნობ, რომ ძაღლების ხროვა გიყურებს და მზადაა, ყელი გამოგღადროს. მაგრამ მეჩვენება, რომ ფანები მაინც მხარში ამოუდგებიან რუნის. ის პუბლიკის საყვარელი პერსონაა და იმ ფეხბურთს თამაშობს, რომელიც ხალხს უყვარს.

ლუკაშ პოდოლსკი *(გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი):*

— ამჟამად ყველას ისეთი გრძნობა აქვს, რომ ჩვენ უკვე ვეღარაფერი შეგვაჩერებს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ერთმა მატჩმა შეიძლება, ყველაფერი დაასრულოს...

ოლივერ კანი *(გერმანიის ნაკრების ყოფილი მეკარე):*

— საწვრთნელ შეხვედრაში *(გერმანიის არგეტინლებთან დაპირისპირებას გულისხმობს. — ავტ.)* დიდებული გამარჯვებით ვტკბებოდი. გერმანიის ნაკრები იმ დროს დაუბრუნდა, როდესაც მთლიანად მეტოქეს თრგუნავდა.

ტომას მიულერი *(გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი):*

— როდესაც არგენტინის გუნდს 4:0-ს უგებ, ემოციის გამოსახატავად სიტყვები აღარ გყოფნის. ამ შეხვედრაში ჩვენი გუნდი ნამდვილი ვარსკვლავი იყო.

ფლორან მალუდა *(საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი):*

— დომენეკთან ტაქტიკის განხილვა არც კი გვიცდია. უბრალოდ პოზიციებზე გვაყენებდნენ და მორჩა. არავითარი დაცვა მწვრთნელის მხრიდან არ გვქონია. ფეხბურთის გარდა ყველაფერზე ვსაუბრობდით.

მაიკონი *(ბრაზილიის ნაკრების მცველი):*

— გასახდელში იმაზე ვსაუბრობდით, რომ ჰოლანდიელებს გამარჯვებისთვის არაფერი გაუკეთებიათ.

ლოთარ მათეუსი *(გერმანიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი):*

— მიხაელ ბალაკის დაკარგვის გამო ძალიან გაღიზიანებული ვარ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ გუნდში მისმა არყოფნამ ნაკრების თამაშზე დადებითად იმოქმედა. ბალაკის გამო ზოგიერთ ფეხბურთელს, რომელმაც ამჟამად გაიბრწყინა, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა უხდებოდა. სხვათა შორის, შემადგენლობაში ამ მოთამაშეთა არშეყვანა ადრეც საკამათო ხასიათისა იყო. ამჯერად კი თითოეული ახალგაზრდა ფეხბურთელი საკუთარ წილ პასუხისმგებლობას იზიარებს. ■

„ჩემთვის ეს სასწაულია“

მსახიობი არჩილ სოლოლაშვილი პროზაულ ნაწარმოებებსაც და პოეზიასაც თანაბარი ინტერესით კითხულობს, მთავარია, ტექსტმა დააინტერესოს. მაინცდამაინც კარგი მეხსიერებით არ გამოირჩევა. სქელტანიანი ნაწარმოების შინაარსი შეუძლია, ისე გიამბოს, არაფერი გამორჩეს, მაგრამ ორსტროფიანი ლექსის თქმის დროს, შეცდომები დაუშვას, რადგანაც დაზეპირება უჭირს. როლისთვის განკუთვნილ ტექსტს კი რეპეტიციებზე იმახსოვრებს. ცდილობს, სცენაზე განსახიერებული ამა თუ იმ პერსონაჟისგან კარგი თვისება აიღოს, მისი ხასიათის სიღრმეს ჩასწვდეს. რაც შეეხება იმას, მოუპარავს თუ არა წიგნი, ღიმილით მპასუხობს: „IV კლასში რომ ვიყავი, ბიბლიოთეკიდან წიგნი — „ლენინის დედა“ მოვიპარე, ახლაც არ ვიცი, ეს რამ გამაკეთებინა. ის შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში პირველი და უკანასკნელი ქურდობა იყო“.

სინანულის განცდა და ლოცვა მაცხოვრის საფლავთან

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— რომ არა მსახიობობა, რა პროფესიას აირჩევდი?

— თეატრალურ უნივერსიტეტში რომ არ ჩამებარებინა, ალბათ სასულიერო სემინარიის სტუდენტი გავხდებოდი. არ ვიცი, ჩემგან როგორი სასულიერო პირი დადგებოდა, მაგრამ სურვილი კი მქონდა. ჩემში „ორი აჩიკო“ ცხოვრობს — ერთი, რომელსაც ყველაფერი აინტერესებს ხელოვნებაზე და აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს და მეორე — რომელიც სულის სიმშვიდეზე ფიქრობს.

მონასტერში წასვლა ხომ არ გინდა-მეთქი — ამ კითხვას საკუთარ თავს პერიოდულად ვუსვამ.

— ეკლესიაში წირვა-ლოცვებს თუ ესწრები?

— არა...

— ოდესმე მონასტერში თუ გიცხოვრია?

— მონასტერში არ მიცხოვრია... ცოტა ხნის წინ ისრაელში, გასტროლზე ვიყავით, იქ საერთაშორისო ფესტივალზე „მაკბეტი“ წარმოვადგინეთ... წმინდა მიწაზე პირველად გახლდით; ერთი კვირაა, რაც დავბრუნდი და ჯერ ისევ შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ. მაცხოვრის ტაძარში რომ შევედი, მეგონა, კისერზე განუზომელი ცოდვები მედო, სინანულის ასეთი ძლიერი განცდა მანამდე არასდროს მქონია... ტაძარში 500-ზე მეტი ტურისტი იყო, ბერძენმა მოძღვარმა რატომღაც იმდენი ადამიანისგან გამომარჩია, ხელი მომკიდა, მაცხოვრის საფლავთან მიმიყვანა, სანთელი მომცა და მითხრა: — ილოცეო... იცი, რა დამემართა? ტირილი რომ დავიწყე, ვეღარ გავჩერდი.

— ბედნიერი ადამიანი ხარ...

— ვიღაცისთვის შესაძლოა, ეს არაფერს ნიშნავდეს, ჩემთვის კი — ნამდვილი სასწაულია!... იმ პერიოდში რა ლოცვა უნდა უნდა მეთქვა, დამავიწყდა, გულში მხოლოდ ერთ სიტყვას — „მაპატიე“ ვიმეორებდი... წმინდა მიწაზე განსხვავებული მადლი ტრიალებს...

— პეტრე, ანდრია პირველწოდებული, იაკობი, იოანე, მათე, ფილიპე, ბართლომე, თომა, იაკობ ალფესის ძე, თადეოსი, სვიმონი, იუდა...

— (*მაწყვეტინებს*) ეს ქრისტეს თორმეტი მოციქულის სახელებია.

— კონფუცი მიიჩნევდა, რომ ახალგაზრდებს უფროსების მიმართ პატივისცემა უნდა გამოეჩინათ, მშობლების მიმართ — მოკრძალება, საქმეს სერიოზულობითა და ღირსებით უნდა მოჰპყრობოდნენ, ხალხი ჰყვარებოდათ, კაცთმოყვარე ადამიანებს დაახლოებოდნენ. ყოველივე ამის შემდეგ თუ კიდევ დარჩებოდათ დრო და ენერგია, ურიგო არ იქნებოდა, თუ მასაც დახარჯავდნენ... რაში უნდა დაეხარჯათ დარჩენილი დრო?

— სწავლაში, არა?

— შეიძლება ითქვას, რომ გამოიცანი. კონფუცის აზრით, დარჩენილი დრო წიგნების კითხვაში უნდა გამოეყენებინათ. ამ ძაღლის ჯიში სად გაჩნდა, უცნობია. ვარაუდობენ, რომ მათი სამშობლო ინდოეთი იყო, საიდანაც ისინი ჯერ საბერძნეთში, შემდეგ — იუგოსლავიასა და ვენეციის ყურის სანაპიროზეც კი მოხვდნენ. ამ ჯიშის სახელი ყურის სანაპიროს სახელისგან არის ნაწარმოები. დიდი ხნის მანძილზე ეს ჯიში ნაკლებად პოპულარული იყო. დაასახელე იგი.

— სხვა მინიშნებას ვერ მეტყვი?

— მულტფილმები გიყვარს?

— რა თქმა უნდა.

— ძაღლის ეს ჯიში პოპულარული მას შემდეგ გახდა, როცა დისნეის მულტფილმი გამოვიდა.

— ა! მივხვდი, დალმატინელზე ლაპარაკობ.

— ეს დაავადება უამრავ ადამიანთან ერთად, იულიუს კეისარს, ალექსანდრე მაკედონელს და ნაპოლეონსაც აწუხებდა.

— ეპილეფსიით იყვნენ დაავადებულები.

— 1815 წელს ამისთვის დიდი ბრიტანეთის 3 კუნძული განიხილებოდა. ტრინიდატი, სენტ-ლუსია და მესამე, დღეს სწორედ ამიტომ არის ცნობილი. დაასახელე ეს კუნძული.

— არ ვიცი.

— წმინდა ელენეს კუნძული.

— სადაც ნაპოლეონი გადაასახლეს. მინიშნება რომ გეთქვა, გამოვიცნობდი.

— ვის ეკუთვნის სიმღერა ქართული ანიმაციური ფილმიდან — „სოფლის მაშენებლები“?

— ალექსანდრე ბასილაიას.

— რომელ სისხლძარღვებში მიედინება სისხლი ყველაზე ნელა?

— კაპილარებში, არა?

— რა თქმა უნდა. რა ერქვა ძველ საბერძნეთში მონას, რომელსაც ბავშვებისთვის თვალყურის დევნება და სკოლაში წაყვანა ევალებოდა?

— ვერ გიპასუხებ.

— პედაგოგი.

— მართლა? საინტერესო კითხვებია.

— რომელია ყველაზე წყალუხვი მდინარე?

— ამაზონი.

— „ქართველებისთვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს — „დედაქალაქს“, მკვიდრს და დიდ-ბოძს სახლისას — „დედაბოძს“, უდიდეს და უმთავრეს ბურჯს — „დედაბურჯს“, გუთნის გამგებლის მამაკაც-საც კი — „გუთნისდედას“. რამოდენად გაძლიერებულია, გადიდებულია მნიშვნელობა დედისა, გაპატიოსნებულია, გალონიერებულია და თავმოსაწონებელი. სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედობით, ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა. სიტყვა „ქალი“ განა იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება — „დედა“ და მასთან ერთად „კაცი“?! — რომელი ცნობილი საზოგადო მოღვაწეა ამ გამონათქვამის ავტორი?

— ილია ჭავჭავაძე.

— წლების წინ ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ნიშნავდა საგაზაფხულო ხვნას, დაასახელე ეს სიტყვა.

— ვერ გიპასუხებ.

— კანონი.

— დარწმუნებული ხარ?

— რა თქმა უნდა, როცა გუთანს მინდორში პირველად გაიტანდნენ, იმ დღეს „კანონის დღეს“ უწოდებდ-ნენ. რომელი მდინარე იყინება ყველაზე ხანგრძლივი დროით მსოფლიოში?

— ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის რომელიმე მდინარე იქნება, ზუსტად არ ვიცი.

— მდინარე ლენა ოქტომბერში იყინება და 6 თვე სქელი ყინულით იფარება. სად არის დაკრძალული ალექსანდრე ჭავჭავაძე?

— თუ კარგად მახსოვს, შუამთის მონასტერში.

— დიახ. ამ ქართველ მწერალზე უდიდესი გავლენა იქონია ფრიდრიხ ნიცშეს ნაშრომებმა. მის შემოქმედებას სხვადასხვა დროს უმაღლესი შეფასება მისცეს შტეფან ცვაიგმა, რომენ როლანმა და მსოფლიო ლიტერატურის სხვა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა. იგი ევროპის რამდენიმე ლიტერატურული საზოგადოების წევრად იყო არჩეული. 1960-იანი წლების დამდეგს ნობელის პრემიაზ-ეც იყო მისი წარდგენა გადაწყვეტილი, რასაც ხელი მწერლის გარდაცვალებამ შეუშალა — რომელ მწერ-ალზეა ლაპარაკი?

— ეს მწერალი ქართველია და ევროპაში ცხოვრობდა?

— დიახ, ბოლო წლებში გერმანიაში იმყოფებოდა.

— გრიგოლ რობაქიძე ხომ არა?

— გამოიცანი. რომელი ქართული ფილმის გმირები არიან — „ბოლოკა“ და „ბეთჰოვენა“?

— „ღიმილის ბიჭების“.

— რას ნიშნავს სიტყვა „ბოზი“ მცირე აზიაში?

— მგონი, ლამაზს ნიშნავს, არა (*იცინის*)?

— დიახ, ფერეიდნელი ქართველებიც ამ მნიშვნელო-ბით ამბობენ.

— ე.ი. ეს იქ შეურაცხმყოფელი სიტყვა არ არის.

— რას აკეთებდა ბალზაკი, როცა საკუთარ თავზე ლაპარაკობდა?

— არ ვიცი, რამე ჩვეულება ჰქონდა?

— გენიალური ადამიანებისადმი პატივისცემის ნიშ-ნად, ქედს იხრიდა. რომელი ფრინველი იძინებს ფეხზე მდგომი?

— მგონი წერო, არა?

— დიახ. მარტოხელა კაცი შინ არყოფნის დროს გაქურდეს. შეიტყობდა თუ არა ამ ამბავს აგარაკზე მყოფი მისი ცოლი-შვილი?

— (*იცინის*) გინდა დამაბნიო? მარტოხელა კაცს ცოლ-შვილი არ ჰყავს.

— ის უცხოელი გახლდათ. ილია ჭავჭავაძესთან მეგობრობდა, გერმანულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, ქართველ პოეტთა ლექსები. არის ავტორი წიგნისა — „საქართველოს გული“. — დაასახელე ეს პიროვნება.

— ვერ გიპასუხებ.

— არტურ ლაისტი. რომელი ქართველი მეფის მამას და შვილს ერქვა ბაგრატი?

— (*ფიქრობს*), ასე სწრაფად ვერ ვიხსენებ.

— მიგანიშნებ, ეს მეფე კონსტანტინე გამსახურდიას ერთ-ერთი რომანის პერსონაჟია.

— (*პაუზის შემდეგ*) გიორგი I.

— რომელია ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანის დამაკავშირებელი სრუტე?

— მგონი, გიბრალტარი აკავშირებთ, არა?

— დიახ. ამაღლება, ბზობა, აღდგომა, ნათლისღება — რომელია უძრავი ქრისტიანული დღესასწაული?

— ნათლისღება.

— როდის აღვნიშნავთ, გახსოვს?

— 19 იანვარს.

— ეს ჩანჩქერი ვენესუელაში მდინარე ჩურუნზე მდებარეობს. მისი სიმაღლე 1054 მეტრია. დაასახელე იგი.

— ანხელი.

— რა ერქვა ადგილს ძველ საბერძნეთში, სადაც ეპაექრებოდნენ სიმღერაში, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრაში და ორატორობის ხელოვნებაში?

— თეატრი.

— ვინ არის სცენარისტი, რეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელი ფილმისა — „დიდი დიქტატორი“?

— ჩარლი ჩაპლინი.

— ამ ლექსს ჰქვია — „საყვედური დამწყებ ეშმაკს“ და სულ ერთი სტროფია: „თეთრი ძაფით ხარ ნაკერი, ბრიყვო,/ ნეკში ვინახავ ჭკუას შენოდენს,/ ეშმაკი უნდა ისეთი იყოს,/ რომ ეშმაკობა არ სჭირდებოდეს“, — დაასახელე ავტორი.

— შოთა ნიშნიანიძე.

— რომელი ლიტერატურული პერსონაჟია ალონსო კეხადა?

— ძალიან მეცნობა (*ფიქრობს*).

— სავარაუდო პასუხებს გეტყვი: გულივერი, დონ-კიხოტი, გრაფი მონტე-კრისტო თუ რობინზონ კრუზო?

— დონ-კიხოტი.

— „მანავი,“ „კახეთი, ზამთარი“, „ძველი სამრეკლო“, — რომელი ცნობილი მხატვრის ფუნჯს ეკუთვნის ეს ტილოები?

— ზუსტად არ მახსოვს.

— ელენე ახვლედიანის. დაასრულე ჰაროლდ მაკმი-ლანის ცნობილი გამონათქვამი: „კარგ დიპლომატს ყოველთვის უნდა ახსოვდეს ის, რაც მან უნდა...

— გამოიყენოს.

— „...რაც მან უნდა დაივიწყოს“.

— კითხვები დამთავრდა?

— კითხვარი დასრულდა, მაგრამ ბოლოს მინდა, დუტას ფილმზე — „სულიკო“ გკითხო, გადაღებები როდის დაიწყება და რა როლი გექნება?

— გადაღებები ალბათ სექტემბრიდან დაიწყება. ვთამა-შობ პერსონაჟს, რომლის მკვლელობაზეც მოქმედება ვი-თარდება. დანარჩენი კი ინტრიგად დავტოვოთ... ფილმში ჩემი პარტნიორი ნანკა კალატოზიშვილია. ის გარდაცვ-ლილი ბრმა გოგონას როლს თამაშობს, ძალიან საინ-ტერესო მელოდრამაა... ■

ანეკდოტები

* * *

— წელან დაგინახე, ვაჟბატონო, როგორ ამოდიოდი ღვინის სარდაფიდან, — უყვირის ცოლი მიხოს.

— მა, სულ იქ ხომ არ დავრჩებოდი!

* * *

— მიხო, სად იყავი, ჯო, დილით გეძახდი და ვერ გაგაგონე!

— რას გამაგონებდი, „სუხარს“ ვჭამდი.

* * *

მიხო და მიტო ვენახს წამლავენ. უცებ მათ თავზე ვერტმფრენი დაეკიდა. მიხო ეუბნება მიტოს:

— მიტო, რათ გაჩერდა ეგ ვერანა?

— რავი, აბა, ალბათ ბენზინი გაუთავდა.

* * *

რადიოდიქტორი:

— მოისმინეთ კულტურის ამბები. გუშინ, საკუთარი სახლის წინ სამი გასროლით სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი მოკლეს.

* * *

მიხომ ვერაფრით აარჩია მაროსთვის საჩუქარი და გამყიდველს მიმართა:

— მითხარით, თქვენ რომ ჩემი ცოლი იყოთ, რას ამოირჩევდით?

— სხვა ქმარს.

* * *

ღამის 4 საათზე მიხოს კარზე კაკუნი გაისმა. მიხომ ნამძინარევი ხმით კარზე მომდგარ ადამიანს მიმართა:

— რომელი ხარ?

— ჟან კლოდ ვან დამი, — ვიღაცა ხუმრობის ხასიათზეა...

— აბა, დაახვიეთ მანდენდან, თორემ გამოვალ და ოთხივეს დაგანგრევთ.

* * *

— ეჰ, ფულსა და სიმდიდრეში არ არის ბედნიერება... ხომ გინახავს სერიალი — „მდიდრებიც ტირიან“?

— მართალია, მაგრამ თუ მაინცდამაინც სატირალია, მეტროში ტირილს, „მერსედესში“ ტირილი სჯობია.

* * *

ლოთი მამა მეხუთე ბოთლს ცლის:

— მამი, შეიძლება, ბოთლები ჩავაბარო და პური ვიყიდო? — ეკითხება შვილი.

— მიდი, შვილო, მიდი, მე რომ არ გყავდეთ, რა გეშველებოდათ?

* * *

ჭიჭიკიას ცოლმა ქმრის კაბინეტში უამრავი ცარიელი ბოთლი აღმოაჩინა.

— საიდან ამდენი ცარიელი ბოთლი?

— მეც არ მიკვირს?! ყოველთვის სავსეს ვყიდულობ ხოლმე!

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცქცეთ თვალი

1. რით არის განსაკუთრებული ელ გრეკოს „ლაოკოონი“?
2. რას წერს ახალი საწერკალამის გასინჯვისას ადამიანთა 97 პროცენტი?
3. დაასრულეთ მიხაილ ზადორნოვის სიტყვები: „სატირიკ ეტა უსტავში ...“
4. დაასახელეთ იაპონური კომპანია, რომლის სახელწოდებაც ქართულად ასე ითარგმნება: „სამი ბრილიანტი“.
5. რა არის „ქერჭრელი“?
6. როგორი ადამიანები ამბობენ ცხოვრების მანძილზე ხუთჯერ უფრო მეტ „ჰოს“, ვიდრე — „არას“?
7. ვის ეძახდნენ ოსმალეთში თოფანქჩიაღასს?
8. ჰანს-ქრისტიან ანდერსენი ძალზე უხეიროდ იცვამდა. ერთხელ ვიღაცამ დასცინა: „მაგ უბადრუკ საგანს თქვენს თავზე ქუდი ჰქვია?“ რა უპასუხა ანდერსენმა?
9. 1925 წლის 10 ივლისს აშშ-ის ქალაქ დეიტონში სასამართლო პროცესი შედგა, რომელსაც „მაიმუნის პროცესი“ უწოდეს. განსასჯელი 24 წლის მასწავლებელი ჯონ სკოუპსი იყო, რომელიც დამნაშავედ ცნეს და 100 დოლარით დააჯარიმეს. რა დაუშავა ახალგაზრდა მასწავლებელმა?
10. დაასახელეთ ბიბლიური პერსონაჟი, რომელმაც 969 წელი იცოცხლა.
11. სადაური მეიარაღე იყო ნაგანი?
12. დაასახელეთ პრიმიტიული საბრძოლო იარაღი, რომელსაც ზოგჯერ ქალის თმისგანაც აკეთებდნენ.

* * *

ერთი კაცი სახლში ბრუნდება ღამით. გზად სასაფლაოზე მოუწია გავლამ. მიდის და შიშით გული უსკდება. ხედავს, რომ ვიღაც მოხუცი კაცი საფლავის ქვას ამაგრებს.

— უჰ, როგორ შემაშინეთ! მანდ რას აკეთებთ?

— ჩემს შვილს წლები არასწორად დაუწერია და ვასწორებ.

* * *

— ჩვენთან სამსახურში მხოლოდ პატიოსან ხალხს ვიღებთ. პატიოსნები უფრო ცოტას იპარავენ.

* * *

ორი დაქალი ხვდება ერთმანეთს:

— გავიგე, ქმარს გასცილებიხარ. რა მოხდა?

— აბა, რა გითხრა... შეძლებდი ისეთ ადამიანთან ცხოვრებას, რომელიც სიგარეტს ეწევა, ყოველ საღამოს მთვრალი მოდის სახლში, ყვირის და იგინება?

— არა, ნამდვილად ვერ შევძლებდი!

— ჰოდა, ვერც იმან შეძლო...

* * *

გოგოსა და ბიჭის დიალოგიდან:

— წამო ჩემთან, ყავა დავლიოთ. სახლში მარტო ვარ...

— კარგი, ოღონდ აფთიაქში შევივლი და ყავისთვის რამეს წამოვიღებ...

* * *

— შენს ქმარს უცხო კაცთან თუ უნახავხარ ლოგინში?

— არა, რას ამბობ?! მარტო ჩვენს ანზორიასთან მნახა რამდენჯერმე...

* * *

მძიმე ავადმყოფი ქმარი ლოგინში წევს, ცოლი გვერდით უზის და წერილს წერს:

— შაქრო, რომელია სწორი, „დაკრძალვა“ თუ „დასაფლავება“?

* * *

ნასვამი ჟორა გვიან ღამით დაბრუნდა სახლში. კარის საკეტს გასაღები მოარგო, მაგრამ გაღება ვეღარ შეძლო და იქვე ჩაეძინა. დილით მისმა ცოლმა ვეღარ შეძლო შიგნიდან კარის გაღება. დაიწყო კაკუნი.

— ვინ არის? — ჟორამ ძლივს გაახილა თვალები.

— ჟუჟუნა ვარ!

— სახლში არ შემოგიშვებ, იქ წაეთრიე, სადაც მთელი ღამე დაწანწალებდი!

* * *

ქმარი ოთახში შევარდა და ცოლს მთელი ხმით უყვირის:

— ყველაფერი ვიცი!

ცოლი არ დაიბნა:

— ყველაფერი?! აბა, მითხარი, როდის მოხდა ტრაფალგარის ბრძოლა?!

* * *

გურიაში დედა ეძახის შვილს:

— ბონდოია, სა მიხვალ, ბიჭო? დუმილი.

— სა მიხვალ, მითხარი, არ გადამრიო!

დუმილი.

— სა მიხვალ-მეთქიიიი?!

— იქინეეე!

— ვერ იტყვი მერე?!

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. იგი ერთადერთი ტილოა, რომელშიც ბერძნული ნარმოშობის ესპანელი მხატვარი რელიგიურ თემას სცილდება.

2. საკუთარ სახელსა და გვარს.

3. „... რომანტიკ“.

4. „მიცუბიში“.

5. ასე ეძახიან ერთმანეთში არეულ ქერსა და ხორბალს.

6. კეთილსინდისიერი.

7. მეთოფეთა უფროსს.

8. „თქვენი ქუდის ქვეშ მდებარე უბადრუკ საგანს კი თავი ჰქვია?“

9. იგი მოსწავლეებს დარვინის ევოლუციის თეორიას უკითხავდა, რაც ტენესის შტატის კანონმდებლობით აკრძალული იყო.

10. მათუსალა.

11. ბელგიელი.

12. შურდული.

ჩვენი ფოტო გაღეარეა



ჰოროსკოპი

8-15 ივლისი

ვეძიკი

გაფრთხილდით, რომ კოლეგებმა თქვენი იდეები არ გამოიყენონ. შაბათ-კვირას დაისვენეთ და მეგობრებთან ერთად პიკნიკი მოაწყვეთ.

ჯუჯი

შესაძლოა, მეგობრებმა საზღვარგარეთ გამგზავრება და მუშაობის დაწყება შემოგთავაზონ. მზეზე სიარულს მოერიდეთ.

ტყუპი

წარმატების მისაღწევად ბევრი უნდა იშრომოთ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

ქიჩიტი

საყვარელი ადამიანის მიმართ მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ. ჩაიტარეთ სამედიცინო-პროფილაქტიკური გამოკვლევა. კარგი პერიოდია რემონტის დასაწყებად.

ლომი

სამსახურში კოლეგებთან კამათს მოერიდეთ. მშობლებთან ერთად ხანმოკლე მოგზაურობა გელით. შესაძლოა, საერთო მეგობრების წრეში ძველ შეყვარებულს შეხვდეთ.

ქალწუდი

კარგი პერიოდია რემონტისთვის, ავეჯის შესაცვლელად. არ დაუშვათ კონფლიქტი საყვარელ ადამიანსა და თქვენს ნათესავებს შორის.

სასწორი

მოაგვარეთ ურთიერთობა ნათესავებთან და მეზობლებთან. დაძაბული სამუშაო კვირის შემდეგ საყვარელ ადამიანთან ერთად ქალაქგარეთ გამგზავრება დადებით ენერგიას შეგმატებთ.

ბრიტანეთი

ფინანსურ საკითხებს თქვენს სასიკეთოდ მოაგვარებთ. საყვარელი ადამიანების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. კარგი იქნება, ექიმს თუ გაესინჯებით.

ბუვიდლოსანი

კვირის დასაწყისში ახალ გეგმებსა და იდეებს განახორციელებთ. მატერიალურად მოძლიერდებით და ახლობლების დახმარებასაც შეძლებთ.

თხის რქა

ნათესავებისა და მეგობრების მიმართ ნუ გამოამჟღავნებთ აგრესიას და წყენას გულში ნუ ჩაიდებთ. საყვარელ ადამიანს თქვენი დახმარება დასჭირდება.

ბობოწყუდი

უცხოელი სტუმრების დახვედრა მოგიწევთ. ხანმოკლე მოგზაურობა გელით. საკუთარი იდეების განხორციელებას ადვილად შეძლებთ.

თევზები

რადიკალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. კვირის ბოლოს სიტუაცია თქვენს სასიკეთოდ შეიცვლება.

როგორ გავშიფროთ საკუთარი თავი და გარშემო მყოფები



საკუთარი თავისა და გარშემო მყოფების გასაშიფრავად მარტივ არტთერაპიას გთავაზობთ. ამისათვის ქაღალდი და ფერადი ფანქრებია საჭირო.

დახატეთ წელიწადის 4-ივე დრო, მინდორი, კედელი, სახლი, სხვენი და სარდაფი. შემდეგ განვიხილოთ ნახატი:

წელიწადის დრონი:

თუ კაშკაშა მზესა და მწვანე ფოთლებით შემოსილ ხეს დახატავთ, მშვენიერ განწყობილებაზე ხართ. საყვარელი ადამიანი გაღმერთებთ.

პეიზაჟზე ასახული შიშველი ხეები, წვიმა, ქარი, თოვლი თქვენს დაღლილობაზე, უნებისყოფობასა და დეპრესიაზე მიუთითებს.

მინდორი:

თუ მინდორზე ყვავილებს ხატავთ — ცხოვრების დინებას მიჰყვებით;

ხშირი და ხასხასა ბალახი თქვენს ძლიერ და ამავდროულად, ეგოისტურ ბუნებაზე მიუთითებს;

კედელი თქვენს ცხოვრებისეულ წინაღობებზე მიუთითებს:

მაღალი გალავანი — ჩაკეტილი პიროვნება ბრძანდებით და გიჭირთ დაგროვილი პრობლემების გადაჭრა.

გისოსები — სიძნელეებს არ ეპუებით. ნებისმიერი სიტუაციიდან ადვილად პოულობთ გამოსავალს;

მდინარე ასახავს თქვენს წარმოსახვას ცხოვრებაზე:

განიერი, წყალუხვი მდინარე თქვენს გულუხვობასა და კეთილგანზრახვაზე მეტყველებს;

რუ — სათანადოდ არ აფასებთ საკუთარ ძალებს;

სახლი საკუთარი ადგილი საზოგადოებაში:

პატარა, პრიმიტიული სახლი — მცირედითაც კმაყოფილდებით. ყოველთვის კმაყოფილი ხართ მიღებული შედეგით. მეტის პრეტენზია არასდროს გაქვთ;

მდიდრული სახლი — მატერიალური კეთილდღეობისთვის იბრძვით. გიყვართ და აფასებთ კომფორტს;

სხვენი, სარდაფი:

სარდაფი თქვენს სექსუალურობას ასახავს. თუ იგი ნივთებითაა გადატენილი, სექსუალურ ცხოვრებაში კრიზისი გაქვთ;

ავეჯი და სხვა გამოუყენებელი ნივთებით სავსე სხვენი მიუთითებს, რომ უინიციატივო პიროვნება ხართ. ■



ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. მეტალურგი; 2. ტაშკენტი; 3. აგარაკი; 4. უფალი; 5. იმიტაცია; 6. შუშაბანდი; 7. კროლი; 8. დოგი; 9. ჭერამი; 10. ობოლი; 11. პერიპეტია; 12. პირი; 13. რეპი; 14. პრესა; 15. სეინერი; 16. ევა; 17. პალმა; 18. სუიციდი; 19. ლაიკა; 20. ფეერია; 21. მიხაკი; 22. მაცა; 23. კამეა; 24. ჩაი; 25. ნადიმი; 26. პიკადორი; 27. კარე; 28. ლაინერი; 29. ფიცი; 30. იდეა; 31. ედი; 32. ტავრია; 33. ნატვრა; 34. ალპინისტი; 35. ნაგავი; 36. ერბო; 37. ბაასი; 38. ის; 39. ყრუ; 40. ბაი; 41. ყალიონი.

სურათებზე: 1. მიშელ პფაიფერი; 2. ბენ ეფლეკი.

სპეციალური კროსვორდი



შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

დ. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება, რომელსაც მიიჩნევენ ურყევ ჭეშარიტებად ყველა დროისა და ისტორიული პირობებისათვის; **ა**. გათავისუფლებული ყმა; **ი**. ჭადრაკის სამშობლო; **ს**. კრებულში, ჟურნალში ან გაზეთში მოთავსებული მცირე მოცულობის პუბლიცისტური ან მეცნიერული ნაწარმოები; **ვ**. თენგიზ აბულაძის ფილმი, რომელმაც „ნატვრის ხესთან“ და „მონანიებასთან“ ერთად ტრილოგია შეადგინა; **ე**. რა ერქვა დათა თუთაშხიას დას; **ნ**. დინამიტის გამომგონებლის გვარი; **ე**. განსწავლული ადამიანი; **ჩ**. მუსლიმანთა ტრადიციული თავსაბურავი; **ვ**. რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1932 წლებში; **ე**. მწვავე შეხლა-შემოხლა; **ნ**. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ს**. ღონე, ილაჯი, არაქათი; **ჟ**. დრო, ხანი; **უ**. სატრანსპორტო საშუალება, რომლის გადაბრუნებასაც, ანდაზის თანახმად, გზის გამოჩენა მოჰყვება ხოლმე; **რ**. გერმანელი მწერალი, „ნასესხები სიცოცხლის“ ავტორი; **ნ**. რევოლვერის მარკა; **ა*.** იჯარა; **ლ*.** მზის სადიდებელი სვანური სიმღერა; **თ*.** მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც იაკობ ბემეს თქმით, ხელში მახვილი რომ არ ეჭიროს, სასწორს თავზე გადაამტვრევდნენ; **ა*.** რა ერქვა ანარქისტს მხატვრული ფილმში „ლაზარე“, მღვდელს რომ უშრობდა სისხლს — ქრისტე ღმერთი გამხდარი იყო, შენ რამ გაგასუქაო; **ნ*.** გვამი, ცხედარი; **ე*.** სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **რ*.** საქართველოს მაღალმთიანი კუთხე; **თ*.** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ა*.** „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ქალი; **დ*.** ზღაპრული ურჩხული.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

გ*. გაბელია; **ა*.** ათენი; **ე*.** ელბა; **რ*.** რეისი; **თ*.** თიანეთი; **ე*.** ექსტაზი; **თ*.** თაგვი; **დ*.** დიანა; **ა*.** არმანდო; **დ*.** დიოგენე; **ა*.** ასმათი; **ი*.** ინცესტი; **ს*.** სახრე; **ვ*.** ვივალდი; **ე*.** ეტალონი; **ნ*.** ნარცისი; **ე*.** ემისია; **თ*.** თაკვერი; **გ*.** გავაზი; **ზ*.** ზნე; **ა*.** აორტა; **ს*.** სვიფტი; **თ*.** თეტიდა; **ა*.** ანკარა; **ნ*.** ნობელი; **ე*.** ეკიპაჟი; **რ*.** რელიეფი; **თ*.** თეირანი; **ა*.** ანანასი; **დ*.** დიონისე.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

ბეგიას გამომცხვარი კვერი ტკბილიაო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

3	6	2	9	8	5	4	7	1
5	1	7	4	6	3	2	8	9
8	9	4	1	7	2	3	6	5
9	4	6	2	1	8	5	3	7
7	2	8	3	5	6	1	9	4
1	5	3	7	9	4	6	2	8
2	3	9	5	4	7	8	1	6
4	8	1	6	2	9	7	5	3
6	7	5	8	3	1	9	4	2

2	6	5	3	1	8	4	7	9
7	3	4	5	9	6	8	1	2
8	9	1	4	2	7	6	3	5
5	2	9	6	4	3	7	8	1
1	8	3	9	7	2	5	4	6
4	7	6	8	5	1	2	9	3
9	5	7	2	3	4	1	6	8
3	1	8	7	6	5	9	2	4
6	4	2	1	8	9	3	5	7

5	3	6	1	2	4	9	7	8
1	7	9	8	5	6	2	3	4
8	2	4	3	9	7	6	1	5
3	6	1	4	7	5	8	2	9
7	4	8	9	1	2	3	5	6
9	5	2	6	3	8	1	4	7
6	9	5	2	4	1	7	8	3
4	1	3	7	8	9	5	6	2
2	8	7	5	6	3	4	9	1

* მარტივი

7				6			8	
	6		2			5		9
		9			1	4		
		7		5				8
		6		1	9	7		
2					8	9		
		4	1			6		
5		2			6		3	
	3			2				5

** საშუალო

		4		7			1	
					2	4		
		2			8		6	
	3			4				9
6					5			7
2				6	7		8	
	7		5			3		
		5	7					
	2			8		9		

*** რთული

	1			8				3
	9			5				
2			7					6
	8				3			1
		2	6	7		3		
3			4				6	
5					1			9
				4			3	
7				6			4	

ფოტოკუთხეები



640/26

1890
ОСНОВАНО · ESTABLISHED

BORJOMI®

გათავისუფლდი ზედმეტისაგან